



ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის  
სტრატეგიული განვითარების გეგმა  
2018-2021



## შინაარსი

<b>1. მოქალაქეზე ორიენტირებული თვითმმართველი ქალაქი.....</b>	<b>8</b>
<b>1.1 მოქალაქეზე და მის საჭიროებებზე ორიენტირებული პოლიტიკა.....</b>	<b>8</b>
1.1.1 მოქალაქეთა სტრუქტურისა და საჭიროებების კვლევა .....	8
1.1.2 მოქალაქეების საჭიროებებზე ორიენტირებული დარგობრივი სტრატეგიების შემუშავება და განხორციელება .....	10
1.1.3 მუნიციპალური ბიუჯეტის დაგეგმარებაში მოქალაქეთა ჩართულობის ორ დონიანი სისტემის შექმნა .....	14
<b>2. ბათუმის ფუნქციონალური პროფილის გაძლიერება და დივერსიფიკაცია .....</b>	<b>19</b>
<b>2.1 ბათუმის ქალაქწარმომქმნელი ფუნქციების ანალიზი და ამ ფუნქციების განვითარების პერსპექტივების შესწავლა. ბათუმის ქალაქწარმომქმნელი ორგანიზაციების გაძლიერება, დივერსიფიკაცია და რაოდენობის ზრდა. ....</b>	<b>19</b>
2.1.1 ქალაქ ბათუმის ქალაქწარმომქმნელი ფუნქციების, დარგების და ორგანიზაციების კვლევა.....	19
2.1.2 ქალაქ ბათუმის პროფილური ორგანიზაციების სივრცითი განთავსების გეგმის მომზადება.....	22
2.1.3 ქალაქწარმომქმნელი საწარმოების შექმნის, ამოქმედებისა და არსებული საწარმოების განვითარების ხელშეწყობის ღონისძიებების განხორციელება .....	24
2.1.4 პოტენციურ მეწარმეთა შესაძლებლობების გაძლიერება .....	27
<b>2.2 ბათუმის ქალაქმომსახურების ფუნქციების ანალიზი და ამ ფუნქციების განვითარების პერსპექტივის შესწავლა. ბათუმის ქალაქმომსახურების ორგანიზაციების გაძლიერება, დივერსიფიკაცია და რაოდენობის ზრდა. ....</b>	<b>30</b>
2.2.1 ქალაქმომსახურების ფუნქციების, დარგებისა და ორგანიზაციების კვლევა .....	30
2.2.2 ბათუმის ქალაქმომსახურების სფეროში ახალი ორგანიზაციების შექმნისა და არსებული ორგანიზაციების გაძლიერების ღონისძიებების განხორციელება.....	33
<b>3. ქ. ბათუმის ეკონომიკური პროფილის გაძლიერება და დივერსიფიკაცია .....</b>	<b>38</b>
<b>3.1 ბიზნესის განვითარების ხელშეწყობა .....</b>	<b>38</b>
3.1.1 ინდუსტრიული/საწარმოო ბიზნეს ცენტრის შექმნა .....	38
3.1.2 მეწარმეობისა და ინოვაციების განვითარების სტიმულირება .....	42
3.1.3 საერთაშორისო ბიზნეს ცენტრის შექმნის ხელშეწყობა .....	45
3.1.4 ადგილობრივი განვითარების ფორუმების ორგანიზება.....	48
<b>3.2 ტურიზმის განვითარების ხელშეწყობა .....</b>	<b>52</b>
3.2.1 ტურისტული პოტენციალის კვლევა .....	52
3.2.2 საზღვაო და საჰაერო კავშირების დივერსიფიცირება.....	54



3.2.3 საგანმანათლებლო ტურიზმის განვითარების ხელშეწყობა.....	57
3.2.4 სპორტული ტურიზმის განვითარების ხელშეწყობა.....	60
3.2.5 სამედიცინო ტურიზმის განვითარების ხელშეწყობა.....	63
<b>3.3 საერთაშორისო თანამშრომლობა და ქსელური კავშირები .....</b>	<b>66</b>
3.3.1 თანამშრომლობა საერთაშორისო დონორ და საფინანსო ორგანიზაციებთან, არასამთავრობო სექტორსა და სამოქალაქო საზოგადოებასთან. ერთობლივი პროექტების ინიცირება და განხორციელება .....	66
3.3.2 დამეგობრებულ ქალაქებთან პარტნიორული ურთიერთობების განვითარება.....	70
<b>3.4 ბათუმში ეკონომიკური, სოციალური და კულტურული ცენტრების განვითარება.....</b>	<b>73</b>
3.4.1 ქ. ბათუმში ეკონომიკური, სოციალური და კულტურული ცენტრების განვითარების შესაძლებლობების კვლევა.....	73
<b>3.5 ქალაქის შემოერთებული ტერიტორიების განვითარების ხელშეწყობა.....</b>	<b>76</b>
3.5.1. ქალაქის შემოერთებული ტერიტორიების ეკონომიკური განვითარების სტიმულირება.....	76
3.5.2 გადამამუშავებელ საწარმოების შექმნისა და განვითარების ხელშეწყობა .....	78
<b>4. მუნიციპალური სერვისების გაუმჯობესება.....</b>	<b>82</b>
<b>4.1 კომუნალური სერვისების გაუმჯობესება.....</b>	<b>82</b>
4.1.1 უწყვეტი წყალმომარაგების სისტემის განვითარება .....	82
4.1.2 წყალარინების სისტემის რეაბილიტაცია .....	85
4.1.3 სანიაღვრე არხების რეაბილიტაცია.....	88
4.1.4 მუნიციპალური ნარჩენების მართვის ეფექტური სისტემის დანერგვა და განხორციელება .....	91
4.1.5 მოქალაქეთა ბუნებრივი აირით მომსახურების უზრუნველყოფა.....	97
4.1.6 ქალაქის ენერგომომარაგების გაუმჯობესების ხელშეწყობა .....	100
<b>4.2 ქალაქის კეთილმოწყობის სამუშაოები და საბინაო პოლიტიკა .....</b>	<b>103</b>
4.2.1 შიდასაუბნო გზების რეაბილიტაცია.....	103
4.2.2 საცხოვრებელი სახლების რეაბილიტაცია და საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესების ხელშეწყობა .....	106
4.2.3 მუნიციპალური სასაფლაოების მოწყობა და მოვლა-პატრონობა .....	110
<b>4.3 მუნიციპალური სატრანსპორტო სისტემის განვითარება.....</b>	<b>112</b>
4.3.1 ქ. ბათუმის ეფექტური პარკირების სისტემის შემუშავება და ამოქმედება.....	112
4.3.2 მუნიციპალური ტრანსპორტით მგზავრთა გადაყვანის ეფექტური სისტემის შემუშავება და განხორციელება .....	114
4.3.3 ბათუმის მუნიციპალური ავტობუსების პარკის განახლება .....	117
4.3.4 ქალაქ ბათუმის ველოსისტემის განვითარება .....	120
4.3.5 მუნიციპალური ტრანსპორტის ერთიანი სატარიფო სისტემის დანერგვა .....	123
<b>4.4 ენერგოეფექტური ტექნოლოგიების დანერგვა და განვითარება. განახლებადი ენერჯის გამოყენების ზრდა .....</b>	<b>125</b>
4.4.1 ენერგოეფექტურობის სადემონსტრაციო პროექტების განხორციელება.....	125
4.4.2 საცხოვრებელი სახლების დათბუნება.....	128



4.4.3 გარე განათების მინიმალური სტანდარტის დანერგვა .....	132
<b>4.5 ქალაქის გამწვანებისა და გარემოს დაცვის ღონისძიებები.....</b>	<b>135</b>
4.5.1 ქალაქის გამწვანების გეგმის შემუშავება და განხორციელება .....	135
4.5.2 ქალაქის ეკოლოგიური მდგომარეობის გაუმჯობესება და სარეკრეაციო ინფრასტრუქტურის განვითარება .....	137
4.5.3 კლიმატის ცვლილების შერბილებისა და ადაპტაციის ღონისძიებების განხორციელება.....	139
<b>4.6 მუნიციპალური სერვისების გაუმჯობესება.....</b>	<b>143</b>
4.6.1 მუნიციპალური სერვისების ავტომატიზაცია და მომსახურების „ერთი ფანჯრის პრინციპი“-ს ამოქმედება.....	143
<b>4.7 მუნიციპალური ქონების მართვა.....</b>	<b>146</b>
4.7.1 მუნიციპალური ქონების ინვენტარიზაცია.....	146
4.7.2 ინფრასტრუქტურული პროექტებისა და აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის ექსპორტპიაცია დაქვემდებარებული უძრავი ქონების ათვისება .....	148
<b>5. ქალაქის ურბანული განვითარება .....</b>	<b>152</b>
<b>5.1 ურბანული განვითარების მარეგულირებელი სტრატეგიული განვითარების და სამართლებრივი ჩარჩოს შემუშავება და ამოქმედება .....</b>	<b>152</b>
5.1.1 მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის შემუშავება და სამშენებლო პოლიტიკის გაუმჯობესება	152
5.1.2 ისტორიული განაშენიანებისა და განაშენიანების რეგულირების დაცვის ზონების დამტკიცება....	154
5.1.3 ძველი ბათუმის ისტორიული განაშენიანების რეგულირების ზონაში კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების დაცვისა და რეაბილიტაცია .....	156
<b>6. მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა.....</b>	<b>160</b>
<b>6.1 ჯანმრთელობის დაცვის სერვისებზე თანაბარი ხელმისაწვდომობის მხარდაჭერა და უსაფრთხო გარემოს შექმნა მოქალაქეებისათვის.....</b>	<b>160</b>
6.1.1 დაავადებათა პრევენცია.....	160
6.1.2 გადაადგილები დაავადების - C ჰეპატიტის მკურნალობის პროგრამის ხელმისაწვდომობის ზრდა.....	162
6.1.3. მედიკამენტებზე ხელმისაწვდომობის ზრდა .....	164
6.1.4 სტაციონარულ და ამბულატორიულ სამედიცინო მომსახურებაზე ხელმისაწვდომობის ზრდა ..	166
6.1.5 სარეაბილიტაციო მომსახურების მიწოდება საჭიროების მქონე პირებისათვის.....	169
6.1.6 ჯანმრთელობისათვის უსაფრთხო გარემოს შექმნა .....	171
6.1.7 სამედიცინო დაწესებულებების განვითარების ხელშეწყობა .....	173
<b>6.2 სოციალური თანასწორობის უზრუნველყოფის ხელშეწყობა.....</b>	<b>175</b>
6.2.1 მოწყვლადი ჯგუფების ხელმისაწვდომობის ზრდა ძირითად კომუნალურ სერვისებსა და საქალაქო ტრანსპორტით გადაადგილებაზე .....	175
6.2.2 მოწყვლადი სოციალური კატეგორიების მატერიალური დახმარება .....	178
<b>6.3 სოციალური (საზოგადოებრივი) რისკების მართვის მექანიზმებისა და მოსახლეობის ცხოვრების დონის გაუმჯობესება, ცხოვრების გარანტირებული მინიმუმის შექმნა.....</b>	<b>180</b>



6.3.1 მოწყვლადი სოციალური კატეგორიებისათვის მინიმალური სოციალური პირობების შექმნა .....	180
6.3.2 მზრუნველობა-მოკლებულ და მოვლის საჭიროების მქონე პირებისათვის სოციალური პირობების გაუმჯობესება.....	183
<b>7 ადამიანური კაპიტალის განვითარებაზე ორიენტირებული ინკლუზიური, ხარისხიანი და ხელმისაწვდომი განათლების მიღების შესაძლებლობების შექმნა და მხარდაჭერა.....</b>	<b>188</b>
<b>7.1 მაღალი ხარისხის, გამჭვირვალე, ინკლუზიური და ბავშვის საუკეთესო ინტერესებზე ორიენტირებული სკოლამდელი აღზრდისა და განათლების სისტემის დანერგვა .....</b>	<b>188</b>
7.1.1 სკოლამდელი აღზრდისა და განათლების ახალი სისტემის შემუშავება და ამოქმედება .....	188
7.1.2 სკოლამდელი აღზრდისა და განათლების მომსახურების ხელმისაწვდომობის გაზრდა.....	192
<b>7.2 ინკლუზიური განათლების სისტემის განვითარების ხელშეწყობა .....</b>	<b>195</b>
7.2.1 სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებებში სენსორული ინტეგრაციის პროგრამის დანერგვა და ამოქმედება .....	195
7.2.2 ზოგადი განათლების მიღების ხელმისაწვდომობა განსაკუთრებული საჭიროების მქონე პირებისათვის.....	198
<b>7.3 ადამიანური კაპიტალის განვითარება .....</b>	<b>200</b>
7.3 პროფესიული განვითარების ხელშეწყობა .....	200
7.3.2 უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტთა სწავლის სტიმულირება .....	202
<b>8. ეროვნული და ეთნიკური კულტურის, შემოქმედებითი ჯგუფების განვითარება და მათი საერთაშორისო სივრცეში ინტეგრაცია. ქალაქ ბათუმის, როგორც საერთაშორისო კულტურული ღონისძიებების მასპინძელი ქალაქის პოპულარიზაციის ხელშეწყობა.....</b>	<b>205</b>
<b>8.1 მატერიალური და არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის დაცვა, განვითარების ხელშეწყობა და პოპულარიზაცია .....</b>	<b>205</b>
8.1.1 კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ხელშეწყობა .....	205
8.1.2 არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის დაცვა და მისი პოპულარიზაციის მხარდაჭერა.....	207
<b>8.2 კულტურული ღონისძიებების მხარდაჭერა.....</b>	<b>209</b>
8.2.1 ფესტივალების მხარდაჭერა .....	209
8.2.2 ხელოვნების დარგებში ახალი, თანამედროვე მიმდინარეობების განვითარების სტიმულირება .....	211
8.2.3 ღირსესანიშნავი თარიღების აღნიშვნა.....	213
<b>8.3 შემოქმედებითი საქმიანობის განვითარების ხელშეწყობა .....</b>	<b>215</b>
8.3.1 კლასიკური და თანამედროვე მუსიკის პოპულარიზაციის ხელშეწყობა .....	215
8.3.2 ბათუმელ ხელოვანთა საერთაშორისო და ადგილობრივ კულტურულ ღონისძიებებში მონაწილეობის ხელშეწყობა .....	217
<b>8.4 მრავალეთნიკური კულტურის განვითარების მხარდაჭერა .....</b>	<b>219</b>
8.4.1 ქალაქ ბათუმში მცხოვრები ეთნიკური ჯგუფების მიერ ინიცირებული პროექტების მხარდაჭერა ..	219



<b>9. სპორტისა და ახალგაზრდობის განვითარების ხელშეწყობა .....</b>	<b>222</b>
<b>9.1 მასობრივი და მაღალი მიღწევების სპორტის განვითარების ხელშეწყობა.....</b>	<b>222</b>
9.1.1 მასობრივი სპორტის განვითარების ხელშეწყობა .....	222
9.1.2 მაღალი მიღწევების სპორტის განვითარების ხელშეწყობა .....	225
9.1.3 საერთაშორისო სპორტული ღონისძიებების ორგანიზებისა და ჩატარების ხელშეწყობა.....	228
<b>9.2 განვითარებისა და თვითრეალიზაციის შესაძლებლობები ბათუმელი ახალგაზრდებისათვის.....</b>	<b>230</b>
9.2.1 არაფორმალური განათლების მიღების ხელმისაწვდომობის გაზრდა .....	230
9.2.2 ინტელექტუალური და შემეცნებითი პროექტების მხარდაჭერა .....	232
9.2.3 ახალგაზრდული ინიციატივების მხარდაჭერა .....	234
<b>10 მუნიციპალიტეტის ინსტიტუციონალური გაძლიერება.....</b>	<b>237</b>
<b>10.1 ინსტიტუციური ცვლილებები მუნიციპალურ სტრუქტურებში .....</b>	<b>237</b>
10.1.1 თანამდებობრივი ფუნქციების ეფექტური განაწილებისა და განხორციელების სისტემის დანერგვა .....	237
10.1.2 სტრუქტურული ერთეულების ოპტიმიზაცია .....	239



## სტრატეგიული მიმართულება 1

### მოქალაქეზე ორიენტირებული თვითმმართველი ქალაქი

#### სტრატეგიული ღონისძიებები

#### 1.1 მოქალაქეზე და მის საჭიროებებზე ორიენტირებული პოლიტიკა

- 1.1.1 მოქალაქეთა საჭიროებების კვლევა;
- 1.1.2 ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების გაერთიანებების, როგორც წარმომადგენლობითი უფლების მქონე ჯგუფების შექმნა და ამოქმედება;
- 1.1.3 საინფორმაციო კამპანიების ჩატარება და ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების გაერთიანებების წარმომადგენელთა შესაძლებლობების ზრდა;
- 1.1.4 მოქალაქეების საჭიროებებზე ორიენტირებული დარგობრივი სტრატეგიების შემუშავება და განხორციელება.



# 1. მოქალაქეზე ორიენტირებული თვითმმართველი ქალაქი

## 1.1 მოქალაქეზე და მის საჭიროებებზე ორიენტირებული პოლიტიკა

### 1.1.1 მოქალაქეთა სტრუქტურისა და საჭიროებების კვლევა

#### პროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი

პროგრამის მიზანია მოქალაქეთა სტრუქტურისა და ცხოვრების დონის არსებული ტენდენციების განსაზღვრა. კვლევის შედეგები შემდგომ საფუძვლად დაედება მოქალაქეთა საჭიროებებზე ორიენტირებული მუნიციპალური პროგრამების შემუშავებას.

პროგრამის განხორციელების შედეგად ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტს ექნება ინფორმაცია ცხოვრების მაღალი სტანდარტის უზრუნველყოფის მიმართულებით მოქალაქეთა საჭიროებებისა და განსახორციელებელი ღონისძიებების შესახებ და შესაბამისად, მუნიციპალიტეტის ბიუჯეტისა და მიზნობრივი პროგრამების შემუშავება განხორციელდება კვლევის შედეგების გათვალისწინებით.

#### პროგრამის აღწერა

ქალაქი რთული სოციალურ-ეკონომიკური და ტერიტორიული სისტემაა. ის მრავალი ქვესისტემისაგან შედგება. ამ ქვესისტემების ეფექტურ მუშაობას მრავალი დეტალი განაპირობებს. მიუხედავად კომპლექსური სისტემისა, მისი ყველა ელემენტი ერთი მთავარი ღერძის გარშემო ტრიალებს - მოქალაქე, მისი საჭიროებები და მოთხოვნილებები.

ბათუმი მერია, გაატარებს ყველა ღონისძიებას მისი მოქალაქეების სტრუქტურისა და საჭიროებების კვლევასთან დაკავშირებით და შეიმუშავებს თვითმმართველობის ეფექტურ მოდელს რომელიც უზრუნველყოფს მოქალაქეთა საჭიროებებისა და მოთხოვნილებების ასახვას ქალაქის ბიუჯეტში და შესაბამისი მიზნობრივი პროგრამების განხორციელებას.

#### განსახორციელებელი ღონისძიებები

- ✓ ცხოვრების ხარისხის შესახებ (საზოგადოებრივი ტრანსპორტი, ჯანმრთელობა, უსაფხუბოება, გარემო, თავისუფალი დრო, განათლება, დასაქმება და ა. შ.) და მოქალაქეთა სტრუქტურის შესახებ (დემოგრაფიული, ასაკობრივი, გენდერული სტრუქტურა) მოქალაქეთა საჭიროებების კვლევის ტექნიკური დავალების შემუშავება;
- ✓ მოქალაქეთა სტრუქტურისა და საჭიროების კვლევის მომსახურების შესყიდვა.

#### პროგრამის განხორციელებასთან დაკავშირებული რისკების მართვა

№	რისკის აღწერა	რისკის ალბათობა	რისკის მნიშვნელობა	რისკების მართვის მექანიზმები
1	შეზღუდული წვდომა სტატისტიკურ ინფორმაციაზე.	4	5	კომუნიკაცია საქართველოს სტატისტიკის ეროვნულ სამსახურთან და შესაბამის სახელმწიფო/კერძო ორგანიზაციებსა და





				სტრუქტურებთან.
2	დაბალხარისხიანი კვლევის დოკუმენტის მომზადება.	3	5	მაქსიმალურად ზუსტი და მაღალკვალიფიციური ტექნიკური დავალების მომზადება.

**პროგრამის მიზნობრივი ჯგუფები**

- ❖ ადგილობრივი თვითმმართველობა;
- ❖ ქალაქ ბათუმის მოსახლეობა

**პროგრამაში ჩართული მხარეები**

- ❖ ადგილობრივი თვითმმართველობა;
- ❖ ქალაქ ბათუმის მოსახლეობა;
- ❖ არასამთავრობო ორგანიზაციები;
- ❖ საერთაშორისო ინსტიტუტები;
- ❖ დონორი ორგანიზაციები.

**პროგრამის სავარაუდო ბიუჯეტი და მისი დაფინანსების წყარო**

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი.  
საერთაშორისო და დონორი ორგანიზაციები.

**პროექტის განმახორციელებელი ერთეული და განხორციელების მეთოდი**

ქ. ბათუმის მერიის აპარატი.  
პროგრამა განხორციელდება ტენდერის საფუძველზე მომსახურების შესყიდვის გზით.

პროგრამის განხორციელების სამოქმედო გეგმა

წელი	განსახორციელებელი ღონისძიებები	1 კვარტ.			2 კვარტ.			3 კვარტ.			4 კვარტ.		
	მოქალაქეთა საჭიროებებისა და სტრუქტურის კვლევის ტექნიკური დავალების შემუშავება;												
	მოქალაქეთა საჭიროებებისა და სტრუქტურის კვლევის მომსახურების შესყიდვა.												

**შედეგების შეფასების ინდიკატორები**

- ❖ მომზადებული მოქალაქეთა საჭიროების კვლევის დოკუმენტი.



### 1.1.2 მოქალაქეების საჭიროებებზე ორიენტირებული დარგობრივი სტრატეგიების შემუშავება და განხორციელება

#### პროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი

პროგრამის მიზანია მუნიციპალიტეტის უფლებამოსილებას მიკუთვნებული დარგების განვითარების გრძელვადიანი, მდგრადი პოლიტიკის განსაზღვრა, რაც შემდგომში საფუძვლად დაედება შესაბამისი სფეროს მუნიციპალურ პროგრამებს და საშუალებას მისცემს მუნიციპალიტეტს ეფექტურად განკარგოს ფინანსური რესურსები კონკრეტული საშუალო და გრძელვადიანი მიზნების მისაღწევად. გარდა ამისა, აღნიშნული პოლიტიკის დოკუმენტები გარკვეულწილად იქნება მექანიზმი მოქალაქეებისათვის მუნიციპალიტეტის მიერ ამ დოკუმენტებით აღებული ვალდებულებების შესრულების კონტროლის მიმართულებით.

#### პროგრამის აღწერა

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის სტრუქტურული ერთეულები და მუნიციპალური ორგანიზაციები მოქალაქეთა საჭიროებების გათვალისწინებით შეიმუშავენ შემდეგ საშუალო და გრძელვადიან დარგობრივი პოლიტიკის დოკუმენტებს:

- განათლების პოლიტიკა და მისი განხორციელების სამოქმედო გეგმა;
- კულტურის განვითარების პოლიტიკა და მისი განხორციელების სამოქმედო გეგმა;
- ჯანდაცვის პოლიტიკა და მისი განხორციელების სამოქმედო გეგმა;
- დასაქმების პოლიტიკა და მისი განხორციელების სამოქმედო გეგმა;
- სკოლამდელი აღზრდის პოლიტიკა და მისი განხორციელების სამოქმედო გეგმა;
- სპორტისა და ჯანსაღი ცხოვრების წესის პოლიტიკა და მისი განხორციელების სამოქმედო გეგმა;
- შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა ქალაქის ცხოვრებაში უკეთესი ინტეგრაციის პოლიტიკა და მისი განხორციელების სამოქმედო გეგმა;
- უცხო ქვეყნის მოქალაქეთა ქალაქის ცხოვრებაში უკეთესად ინტეგრაციის პოლიტიკა და მისი განხორციელების სამოქმედო გეგმა;
- სოციალურად დაუცველ მოსახლეობაზე ზრუნვის პოლიტიკა და მისი განხორციელების სამოქმედო გეგმა.

ზემოთ აღნიშნული პოლიტიკური დოკუმენტების და მათი განხორციელების სამოქმედო გეგმები საფუძვლად დაედება მუნიციპალურ პროგრამებს. თითოეული პროგრამა იქნება ნაბიჯი იმ დროში გაწერილი რაოდენობრივი და ხარისხობრივი კრიტერიუმების მიღწევის/შესრულების მიმართულებით რომლებიც გათვალისწინებული იქნება ზემოთ ჩამოთვლილ დოკუმენტებში.

#### განსახორციელებელი ღონისძიებები

- ✓ ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის სტრუქტურული ერთეულების მიერ ხედვების, მიზნების, სტრატეგიული მიმართულებებისა და განსახორციელებელი ღონისძიებების განაზღვრა შემდეგი დარგობრივი მიმართულებების შესაბამისად:



- განათლება;
  - კულტურა;
  - ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვა;
  - დასაქმება;
  - სკოლამდელი აღზრდა;
  - სპორტი და ჯანსაღი ცხოვრების წესი;
  - შშმ პირთა ინტეგრაცია;
  - უცხო ქვეყნის მოქალაქეთა ინტეგრაცია.
- ✓ აღნიშნული პოლიტიკის დოკუმენტებზე დაყრდნობით მუნიციპალური პროგრამების შემუშავება და განხორციელება.

**პროგრამის განხორციელებასთან დაკავშირებული რისკები და მათი მართვა**

№	რისკის აღწერა	რისკის ალბათობა	რისკის მნიშვნელობა	რისკების მართვის მექანიზმები
1	შეზღუდული წვდომა სტატისტიკურ ინფორმაციაზე.	4	5	კომუნიკაცია საქართველოს სტატისტიკის ეროვნულ სამსახურთან და შესაბამის სახელმწიფო/კერძო ორგანიზაციებსა და სტრუქტურებთან.
2	შესაბამისი დარგის დაინტერესებული მხარეების დაბალი ჩართულობა დოკუმენტების მომზადების პროცესში, რაც ნაკლებად გამოკვეთს მიზნობრივი ჯგუფების საჭიროებებს,	2	5	მუნიციპალიტეტი უზრუნველყოფს სისტემატიურ შეხვედრებს მიზნობრივ ჯგუფებთან მათი ინფორმირებულობისა და პროცესში ჩართულობის უზრუნველყოფის მიზნით.

**პროგრამის მიზნობრივი ჯგუფები**

- ❖ ადგილობრივი თვითმმართველობა;
- ❖ ადგილობრივი მოსახლეობა;
- ❖ დარგობრივი მიმართულებების შესაბამისად მომუშავე ორგანიზაციები, უწყებები;
- ❖ კერძო სექტორი.

**პროგრამაში ჩართული მხარეები**

- ❖ ადგილობრივი თვითმმართველობა;
- ❖ ცენტრალური ხელისუფლება;
- ❖ რეგიონული ხელისუფლება;
- ❖ ადგილობრივი მოსახლეობა;
- ❖ არასამთავრობო ორგანიზაციები;
- ❖ საერთაშორისო და დონორი ორგანიზაციები.

**პროგრამის სავარაუდო ბიუჯეტი და მისი დაფინანსების წყარო**

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი

**პროექტის განმახორციელებელი ერთეული და განხორციელების მეთოდი**

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის სტრუქტურული ერთეულები



დარგობრივი სტრატეგიები მომზადდება შესაბამისი პასუხისმგებელი სტრუქტურული ერთეულების მიერ უშუალოდ ან ტენდერის საშუალებით მომსახურების შესყიდვის გზით. პროგრამის განხორციელების სამოქმედო გეგმა

წელი	განსახორციელებელი ღონისძიებები	1 კვარტ.			2 კვარტ.			3 კვარტ.			4 კვარტ.		
	განათლების პოლიტიკა და მისი განხორციელების სამოქმედო გეგმა;												
	კულტურის განვითარების პოლიტიკა და მისი განხორციელების სამოქმედო გეგმა;												
	ჯანდაცვის პოლიტიკა და მისი განხორციელების სამოქმედო გეგმა;												
	დასაქმების პოლიტიკა და მისი განხორციელების სამოქმედო გეგმა;												
	სკოლამდელი აღზრდის პოლიტიკა და მისი განხორციელების სამოქმედო გეგმა;												
	სპორტისა და ჯანსაღი ცხოვრების წესის პოლიტიკა და მისი განხორციელების სამოქმედო გეგმა;												
	შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა ქალაქის ცხოვრებაში უკეთესი ინტეგრაციის პოლიტიკა და მისი განხორციელების სამოქმედო გეგმა;												
	უცხო ქვეყნის მოქალაქეთა ქალაქის ცხოვრებაში უკეთესად ინტეგრაციის პოლიტიკა და მისი განხორციელების სამოქმედო გეგმა												
	სოციალურად დაუცველ მოსახლეობაზე ზრუნვის პოლიტიკა და მისი განხორციელების სამოქმედო გეგმა.												

**შედეგების შეფასების ინდიკატორები**

შემუშავებული და დამტკიცებული შემდეგი დარგობრივი სტრატეგიები:

- ❖ განათლების პოლიტიკა და მისი განხორციელების სამოქმედო გეგმა;
- ❖ კულტურის განვითარების პოლიტიკა და მისი განხორციელების სამოქმედო გეგმა;



- ❖ ჯანდაცვის პოლიტიკა და მისი განხორციელების სამოქმედო გეგმა;
- ❖ დასაქმების პოლიტიკა და მისი განხორციელების სამოქმედო გეგმა;
- ❖ სკოლამდელი აღზრდის პოლიტიკა და მისი განხორციელების სამოქმედო გეგმა;
- ❖ სპორტისა და ჯანსაღი ცხოვრების წესის პოლიტიკა და მისი განხორციელების სამოქმედო გეგმა;
- ❖ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა ქალაქის ცხოვრებაში უკეთესი ინტეგრაციის პოლიტიკა და მისი განხორციელების სამოქმედო გეგმა;
- ❖ უცხო ქვეყნის მოქალაქეთა ქალაქის ცხოვრებაში უკეთესად ინტეგრაციის პოლიტიკა და მისი განხორციელების სამოქმედო გეგმა;
- ❖ სოციალურად დაუცველ მოსახლეობაზე ზრუნვის პოლიტიკა და მისი განხორციელების სამოქმედო გეგმა.



### 1.1.3 მუნიციპალური ბიუჯეტის დაგეგმარებაში მოქალაქეთა ჩართულობის ორდონიანი სისტემის შექმნა

#### პროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი

პროგრამის მიზანია მუნიციპალიტეტის კომპეტენციას მიკუთვნებული სამეურნეო საკითხების გადაწყვეტის მიმართულებით მოქალაქეთა ჩართულობის ეფექტური მექანიზმის შექმნა, რაც შედეგად მისცემს შესაძლებლობას მუნიციპალიტეტს განახორციელოს სწრაფი და დროული რეაგირება ქალაქის სამეურნეო პრობლემების გადაჭრისას და უზრუნველყოს მოქალაქეთა მონაწილეობა ქალაქის სამეურნეო საკითხების მოგვარებასა და მართვაში.

პროგრამის განხორციელების შედეგად ასევე ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტში იფუნქციონირებს სამეურნეო საკითხების გადაჭრის მიმართულებით მომუშავე სისტემა რომელიც ეფუძნება მოქალაქეებისა და მუნიციპალიტეტის სტრუქტურული ერთეულების ერთობლივი თანამშრომლობის პრინციპს.

#### პროგრამის აღწერა

არსებული პრაქტიკა ცხადყოფს, რომ მოსახლეობის ინტერესების გათვალისწინება ადგილობრივი თვითმმართველობის განხორციელების პროცესში სრულყოფილად ვერ ხორციელდება. არსებული ჩართულობის მექანიზმებიდან დღესდღეობით მოქმედებს პეტიციის წარდგენა, ასევე მერის სამოქალაქო მრჩეველთა საბჭო. რაც შეეხება დასახლებების საერთო კრებებს, აღნიშნული მექანიზმი საერთო კრებების ჩატარების რთული რეგულაციებიდან გამომდინარე, დღემდე არცერთ მუნიციპალიტეტში არ ამოქმედებულა. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საჭიროა ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მიერ შემუშავებულ იქნას ადგილობრივი თვითმმართველობის განხორციელებაში მოქალაქეთა მონაწილეობის ალტერნატიული ფორმა, რომელიც იქნება მოქნილი, ქმედითი და მაქსიმალურად მოახდენს მოქალაქეთა მონაწილეობას მუნიციპალიტეტის საქმიანობაში, კონკრეტულად კი დაეხმარება მუნიციპალიტეტს სამეურნეო საკითხების გადაჭრაში.

პროგრამის ფარგლებში, ადმინისტრაციული ერთეულების შესაბამისად შეიქმნება ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების გაერთიანებები, რომლის წევრებიც იქნებიან ადმინისტრაციულ ერთეულში მდებარე ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების თავმჯდომარეები. ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების გაერთიანებები აღჭურვილი იქნება შესაბამისი უფლებამოსილებით გამოავლინოს ქალაქის მიმდინარე სამეურნეო ხასიათის პრობლემები და მოახდინოს მუნიციპალიტეტის შესაბამის სტრუქტურული ერთეულების ინფორმირება შემდგომი რეაგირების მიზნით. მერიის შესაბამისი სამსახურები უზრუნველყოფენ მიმდინარე სამეურნეო პრობლემების მოგვარებისათვის საჭირო ღონისძიებების განხორციელებას, მათ შორის პრობლემებისა და გადაჭრის გზების პროგრამულად ასახვას ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში. მერიის შესაბამისი სამსახურები მოამზადებენ არსებული პრობლემების შესაბამის ტექნიკურ და საპროექტო დოკუმენტაციას, ასევე ფინანსურ და მატერიალურ შეფასებას და საბოლოოდ დამუშავებული სახით ასახავენ მას ქალაქის ბიუჯეტში შესაბამისი რეაგირებისათვის. მუნიციპალური სერვისების ავტომატიზაცია ასევე ხელს შეუწყობს მოქალაქეთა დისტანციურ და ოპერატიულ მონაწილეობას მუნიციპალური საკითხების გადაწყვეტაში.

პროექტის დაგეგმვის პერიოდში გაიმართება პრეზენტაციები თითოეულ ადმინისტრაციულ



ერთეულში მიზნობრივი ჯგუფებისა და დაინტერესებული მხარეებისათვის ინფორმაციის მიწოდების მიზნით.

შეხვედრაზე მოხდება პროექტის გაცნობა, განხილვა, დისკუსია. დაფიქსირდება ის პრობლემები და ბარიერები, რომელიც შესაძლებელია პროექტის განხორციელების დროს წარმოიქმნას. მოხდება პრობლემების იდენტიფიკაცია და მათი გადაჭრის მიმართულებით რეკომენდაციების შემუშავება. აღნიშნულ პროცესში ასევე განისაზღვრება მუნიციპალიტეტის ორგანოების როლი პროექტის განხორციელების თითოეულ ეტაპზე.

ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების გაერთიანებების შექმნისა და ამოქმედების შემდგომ, ასევე განხორციელდება მათ წარმომადგენელთა კვალიფიკაციის ასამაღლებელი ტრენინგები და გადამზადების ღონისძიებები.

### განსახორციელებელი ღონისძიებები

- ✓ ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების გაერთიანებების წესდების შემუშავება და დამტკიცება;
- ✓ ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების გაერთიანებების ჩამოყალიბება და ამოქმედება;
- ✓ ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების გაერთიანებების კრებების ჩატარება და წესდების შესაბამისად, სამეურნეო საკითხების გადაწყვეტასთან დაკავშირებით წინდადადებებისა და რეკომენდაციების მომზადება და წარდგენა ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიაში.
- ✓ ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიაში ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების გაერთიანებებთან თანამშრომლობის პრინციპის განსაზღვრა, შესაბამისი სისტემის ჩამოყალიბება და ამოქმედება.
- ✓ ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიაში არსებული ბიზნეს პროცესების ანალიზი;
- ✓ პროგრამული უზრუნველყოფის შექმნა;
- ✓ ერთიანი ელექტრონული სერვისების და გეოსერვისების პორტალის შექმნა.

### პროგრამის განხორციელებასთან დაკავშირებული რისკების მართვა

№	რისკის აღწერა	რისკის ალბათობა	რისკის მნიშვნელობა	რისკების მართვის მექანიზმები
1	დროში გაწეილი რეაგირება მუნიციპალიტეტის მხრიდან, რაც განპირობებულია პროცედურების არსებული საკანონმდებლო რეგულაციებით. (ბიუჯეტის ცვლილება საჭიროებს საკრებულოს თანხმობას)	3	4	საპილოტე პროგრამის გაშვების შემდგომ მუნიციპალიტეტი განსაზღვრავს წლის განმავლობაში პროგრამისათვის საჭირო თანხის მოცულობას და გაითვალისწინებს ბიუჯეტის დაგეგმვისას.
2	მიზნობრივი ჯგუფების ნაკლები აქტიურობა.	3	5	მუნიციპალიტეტი უზრუნველყოფს სისტემატიურ შეხვედრებს მიზნობრივ ჯგუფებთან მათი ინფორმირებულობის



				და ჩართულობის უზრუნველყოფის მიზნით.
--	--	--	--	---

**პროგრამის მიზნობრივი ჯგუფები**

- ❖ ადგილობრივი თვითმმართველობა;
- ❖ ადგილობრივი მოსახლეობა;
- ❖ ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობები.

**პროგრამაში ჩართული მხარეები**

- ❖ ადგილობრივი თვითმმართველობა;
- ❖ ადგილობრივი მოსახლეობა;
- ❖ ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობები.
- ❖ არასამთავრობო ორგანიზაციები.

**პროგრამის სავარაუდო ბიუჯეტი და მისი დაფინანსების წყარო**

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი.  
საერთაშორისო და დონორი ორგანიზაციები.

**პროექტის განმახორციელებელი ერთეული და განხორციელების მეთოდი**

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის აპარატი;  
არასამთავრობო ორგანიზაციები;  
საერთაშორისო და დონორი ორგანიზაციები.  
პროგრამა განხორციელდება უშუალოდ განმახორციელებელი სტრუქტურული ერთეულის მიერ.  
პროგრამის განხორციელების სამოქმედო გეგმა

წელი	განსახორციელებელი ღონისძიებები	1 კვარტ.			2 კვარტ.			3 კვარტ.			4 კვარტ.		
	ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების გაერთიანებების წესდების შემუშავება და დამტკიცება												
	ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების გაერთიანებების პროექტის პრეზენტაცია ადგილობრივ მოსახლეობასთან, თვითმმართველობის სტრუქტურულ ერთეულებსა და დაინტერესებულ მხარეებთან												
	შეხვედრების პროცესში ბარიერების იდენტიფიკაცია, შესაბამისი დაძლევის ღონისძიებების შემუშავება და წარდგენა ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიაში												
	მუნიციპალიტეტის შესაბამისი სტრუქტურული ერთეულების როლის განსაზღვრა და ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების გაერთიანებებთან												





თანამშრომლობის სისტემის ჩამოყალიბება და განვითარება													
ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების გაერთიანებების ჩამოყალიბება და ამოქმედება													
ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების გაერთიანებების კრებების ჩატარება და წესდების შესაბამისად, სამეურნეო საკითხების გადაწყვეტასთან დაკავშირებით წინადადებებისა და რეკომენდაციების მომზადება და წარდგენა ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიაში													
ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიაში ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების გაერთიანებებთან თანამშრომლობის პრინციპის განსაზღვრა, შესაბამისი სისტემის ჩამოყალიბება და ამოქმედება													
ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების გაერთიანებების წარმომადგენელთათვის შესაძლებლობების ამაღლების მიზნით ტრენინგებისა და გადამზადების ღონისძიებების განხორციელება													
ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიაში არსებული ბიზნეს პროცესების ანალიზი													
პროგრამული უზრუნველყოფის შექმნა													
ერთიანი ელექტრონული სერვისების და გეოსერვისების პორტალის შექმნა.													

**შედეგების შეფასების ინდიკატორები**

- ❖ ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების გაერთიანებების რაოდენობა;
- ❖ სამეურნეო საკითხების მოგვარებასთან დაკავშირებით ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების გაერთიანებების მიერ შემუშავებული წინადადებების და რეკომენდაციების რაოდენობა;
- ❖ ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ აღნიშნული წინადადებებისა და რეკომენდაციების საფუძველზე განხორციელებული ღონისძიებების სტატისტიკური მაჩვენებლები.



## ბათუმის ფუნქციონალური პროფილის გაძლიერება და დივერსიფიკაცია

**2.1 ბათუმის ქალაქწარმომქმნელი ფუნქციების ანალიზი და ამ ფუნქციების განვითარების პერსპექტივების შესწავლა. ბათუმის ქალაქწარმომქმნელი ორგანიზაციების გაძლიერება, დივერსიფიკაცია და რაოდენობის ზრდა.**

- 2.1.1 ქალაქ ბათუმის ქალაქწარმომქმნელი ფუნქციების, დარგების და ორგანიზაციების კვლევა
- 2.1.2 ქალაქ ბათუმის პროფილური ორგანიზაციების სივრცითი განთავსების გეგმის მომზადება
- 2.1.3 ქალაქწარმომქმნელი საწარმოების შექმნის, ამოქმედებისა და არსებული საწარმოების განვითარების ხელშეწყობის ღონისძიებების განხორციელება
- 2.1.4 პოტენციურ მეწარმეთა შესაძლებლობების გაძლიერება

**2.2 ბათუმის ქალაქმომსახურების ფუნქციების ანალიზი და ამ ფუნქციების განვითარების პერსპექტივის შესწავლა. ბათუმის ქალაქმომსახურების ორგანიზაციების გაძლიერება, დივერსიფიკაცია და რაოდენობის ზრდა.**

- 2.2.1 ქალაქმომსახურების ფუნქციების, დარგებისა და ორგანიზაციების კვლევა
- 2.2.2 ბათუმის ქალაქმომსახურების სფეროში ახალი ორგანიზაციების შექმნისა და არსებული ორგანიზაციების გაძლიერების ღონისძიებების განხორციელება



## 2. ბათუმის ფუნქციონალური პროფილის გაძლიერება და დივერსიფიკაცია

2.1 ბათუმის ქალაქწარმომქმნელი ფუნქციების ანალიზი და ამ ფუნქციების განვითარების პერსპექტივების შესწავლა. ბათუმის ქალაქწარმომქმნელი ორგანიზაციების გაძლიერება, დივერსიფიკაცია და რაოდენობის ზრდა.

### 2.1.1 ქალაქ ბათუმის ქალაქწარმომქმნელი ფუნქციების, დარგების და ორგანიზაციების კვლევა

#### პროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი

მოცემული კვლევა არის საფუძველი, რომელიც განაპირობებს თუ რა დარგების განვითარებაშია ბათუმის, როგორც ქალაქის არსებობისა და განვითარების პერსპექტივა. მოცემული დოკუმენტი ავტომატურად ხდება საფუძველი და ნაწილი ისეთი სხვა სტრატეგიული დოკუმენტებისა, როგორცაა ქ. ბათუმის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმა, ქ. ბათუმის ინვესტირების გეგმა. შედეგად, კვლევა შექმნის სტრატეგიული დარგებისა და ორგანიზაციების განვითარების სქემას და შექმნის შესაძლებლობებს მათი განვითარების კონკრეტული ღონისძიებების დაგეგმვისა და განხორციელებისათვის.

#### პროგრამის აღწერა

ყოველწლიურად ბათუმის ეკონომიკის დამოკიდებულება ტურიზმზე იზრდება. არსებობს საშიშროება, რომ ბათუმი გახდეს მონოფუნქციური - ერთ სექტორზე დამოკიდებული ქალაქი. ამასთან დაკავშირებული სხვადასხვა პრობლემებიდან გამომდინარე, მათ შორის - სტრუქტურული უმუშევრობა, ტურიზმის სექტორში შემოსავლების სეზონურობა და ა.შ. ქმნის ეკონომიკის სხვა სექტორების განვითარებისა და ახალი სექტორების მოზიდვის საჭიროებას.

ქალაქ ბათუმის მერია განსაკუთრებულ ყურადღებას დაუთმობს ბათუმის ქალაქწარმომქმნელი ფუნქციების შესწავლას, ქალაქწარმომქმნელი დარგების განსაზღვრას და ამ დარგის ორგანიზაციების შექმნისა და განვითარების პერსპექტივის გამოვლენას.

აღნიშნული მიზნით მომზადდება ქალაქწარმომქმნელი ფუნქციების, დარგებისა და ორგანიზაციების კვლევა, რომელიც განსაზღვრავს ქალაქის პოზიციონირებას, როგორც ქვეყნის შიგნით, ისე რეგიონალურ ჭრილში, გამოკვეთავს იმ დარგებსა და მიმართულებებს, რომლებიც ქმნიან ქალაქის კონკურენტულ უპირატესობებს ეროვნულ და საერთაშორისო დონეზე. ცენტრალური ხელისუფლების, ქალაქის მოსახლეობის და მერიის შესაბამისი სამსახურების მაღალი ჩართულობით მომზადდება ქალაქის ფუნქციონალური დატვირთვის გრძელვადიანი ხედვა, მიზნები და შესაბამისი განსახორციელებელი აქტივობები. კვლევა ასევე განსაზღვრავს არსებულ ქალაქწარმომქმნელ ორგანიზაციებს, შეისწავლის მათი განვითარების გამოწვევებსა და პერსპექტივებს. განსაკუთრებული ყურადღება მიექცევა ქალაქწარმომქმნელ დარგებში უმოქმედო და არამდგრადი საწარმოებისათვის მეორე



სიცოცხლის მიცემის პროექტს.

**განსახორციელებელი ღონისძიებები**

- ✓ ქალაქწარმომქმნელი ფუნქციების, დარგების და ორგანიზაციების კვლევის ტექნიკური დავალების შემუშავება;
- ✓ ქალაქწარმომქმნელი ფუნქციების, დარგების და ორგანიზაციების კვლევის მომზადების მომსახურების შესყიდვა.

**პროგრამის განხორციელებასთან დაკავშირებული რისკები და მათი მართვა**

№	რისკის აღწერა	რისკის ალბათობა	რისკის მნიშვნელობა	რისკების მართვის მექანიზმები
1	შეზღუდული წვდომა სტატისტიკურ ინფორმაციაზე.	4	5	კომუნიკაცია საქართველოს სტატისტიკის ეროვნულ სამსახურთან და შესაბამის სახელმწიფო/კერძო ორგანიზაციებსა და სტრუქტურებთან.
2	დაბალხარისხიანი კვლევის დოკუმენტის მომზადება.	4	5	მაქსიმალურად ზუსტი და მაღალკვალიფიციური ტექნიკური დავალების მომზადება.
3	გამოცდილების არარსებობა მსგავსი დოკუმენტის მომზადების მიმართულებით.	4	5	შესაბამისი გამოცდილების მქონე საერთაშორისო თანამშრომლობის ჩართულობა და მონაწილეობა დოკუმენტის ტექნიკური დავალების მომზადების, ტენდერის შეფასებისა და კვლევის შეფასების პროცესში.

**პროგრამის მიზნობრივი ჯგუფები**

- ❖ ადგილობრივი თვითმმართველობა;
- ❖ ქალაქ ბათუმის მოსახლეობა;
- ❖ ინვესტორები;
- ❖ ბიზნეს სუბიექტები.

**პროგრამაში ჩართული მხარეები**

- ❖ ცენტრალური ხელისუფლება;
- ❖ რეგიონული ხელისუფლება;
- ❖ ადგილობრივი თვითმმართველობა;
- ❖ ქალაქ ბათუმის მოსახლეობა;
- ❖ არასამთავრობო ორგანიზაციები;
- ❖ საერთაშორისო ინსტიტუტები;
- ❖ დონორი ორგანიზაციები;
- ❖ საკონსულტაციო და კვლევითი



ორგანიზაციები.

**პროგრამის სავარაუდო ბიუჯეტი და მისი დაფინანსების წყარო**

- ❖ ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი;
- ❖ საერთაშორისო და დონორი ორგანიზაციები.

**პროექტის განმახორციელებელი ერთეული და განხორციელების მეთოდი**

პროგრამა განხორციელდება ტენდერის საფუძველზე კვლევის მომზადების მომსახურების შესყიდვის გზით.

**პროგრამის განხორციელების სამოქმედო გეგმა**

წელი	განსახორციელებელი ღონისძიებები	1 კვარტ.			2 კვარტ.			3 კვარტ.			4 კვარტ.		
	ქალაქწარმომქმნელი ფუნქციების, დარგების და ორგანიზაციების კვლევის ტექნიკური დავალების შემუშავება												
	ქალაქწარმომქმნელი ფუნქციების, დარგების და ორგანიზაციების კვლევის მომზადების მომსახურების შესყიდვა												

**შედეგების შეფასების ინდიკატორები**

- ❖ შემუშავებული ქალაქ ბათუმის ქალაქწარმომქმნელი ფუნქციების, დარგების და ორგანიზაციების კვლევის დოკუმენტი;



## 2.1.2 ქალაქ ბათუმის პროფილური ორგანიზაციების სივრცითი განთავსების გეგმის მომზადება

### პროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი

პროგრამის მიზანია შექმნას სახელმძღვანელო გეგმა ინვესტიციების განხორციელების მიმართულებით რომელიც გარდა იმისა, რომ ხელს შეუწყობს ქალაქის გეგმაზომიერ განვითარებას, გახდება გზამკვლევი მუნიციპალიტეტისათვის კონკრეტული საინვესტიციო პროექტებისათვის შესაბამისი ინფრასტრუქტურული ღონისძიებების დაგეგმვისა და განხორციელების მიმართულებით.

### პროგრამის აღწერა

ქალაქქარმომქმნელი ფუნქციების, დარგების და ორგანიზაციების კვლევისა და ქალაქის მიწათსარგებლობის გენერალურ გეგმაზე დაყრდნობით, ერთის მხრივ შეიქმნება ინვესტირების სახელმძღვანელო გეგმა, ხოლო მეორე მხრივ გზამკვლევი მუნიციპალური სამსახურებისათვის მომავალი სატრანსპორტო, კომუნალური თუ სხვა ტიპის საკითხების წინასწარი დაგეგმარებისა და გათვალისწინების მიზნით. აღნიშნულის საფუძველზე ასევე მომზადდება საინვესტიციო გეგმა და რუქა, რაც საშუალებას მისცემს ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტს შეიმუშავოს კონკრეტული საინვესტიციო პროექტები და პაკეტი, რომლებსაც შემდგომ შესთავაზებს ინვესტორებს განსახორციელებლად.

### განსახორციელებელი ღონისძიებები

- ✓ ქალაქ ბათუმის მიწათსარგებლობის გენერალურ გეგმაში ბათუმის პროფილური ორგანიზაციების განვითარებასთან დაკავშირებული საკითხების გათვალისწინება;
- ✓ ქ. ბათუმის პროფილური დარგების ინვესტირების გეგმის მომზადება.

### პროგრამის განხორციელებასთან დაკავშირებული რისკები და მათი მართვა

№	რისკის აღწერა	რისკის ალბათობა	რისკის მნიშვნელობა	რისკების მართვის მექანიზმები
	გამოცდილების არარსებობა მსგავსი დოკუმენტის მომზადების მიმართულებით.	4	5	შესაბამისი გამოცდილების მქონე საერთაშორისო თანამშრომლობის ჩართულობა და მონაწილეობა დოკუმენტის მომზადების პროცესში.

### პროგრამის მიზნობრივი ჯგუფები

- ❖ ადგილობრივი თვითმმართველობა;
- ❖ ქალაქ ბათუმის მოსახლეობა;
- ❖ ინვესტორები;
- ❖ ბიზნეს სუბიექტები.

### პროგრამაში ჩართული მხარეები

- ❖ ცენტრალური ხელისუფლება;
- ❖ რეგიონული ხელისუფლება;
- ❖ ადგილობრივი თვითმმართველობა;
- ❖ ქალაქ ბათუმის მოსახლეობა;
- ❖ არასამთავრობო ორგანიზაციები;



- ❖ საერთაშორისო ინსტიტუტები;
- ❖ დონორი ორგანიზაციები.

**პროგრამის სავარაუდო ბიუჯეტი და მისი დაფინანსების წყარო**

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი.

**პროექტის განმახორციელებელი ერთეული და განხორციელების მეთოდი**

პროგრამა განხორციელდება უშუალოდ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ქონების მართვისა და ეკონომიკური პოლიტიკის სამსახურის, არქიტექტურისა და ურბანული განვითარების სამსახურის მიერ.

**პროგრამის განხორციელების სამოქმედო გეგმა**

წელი	განსახორციელებელი ღონისძიებები	1 კვარტ.			2 კვარტ.			3 კვარტ.			4 კვარტ.		
	ქალაქ ბათუმის მიწათსარგებლობის გენერალურ გეგმაში ბათუმის პროფილური ორგანიზაციების განვითარებასთან დაკავშირებული საკითხების გათვალისწინება												
	ქ. ბათუმის პროფილური დარგების ინვესტირების გეგმის მომზადება												

**შედეგების შეფასების ინდიკატორები**

- ❖ ბათუმის მუნიციპალიტეტის მიერ მომზადებული საინვესტიციო პროექტების რაოდენობა;
- ❖ განხორციელებული საინვესტიციო პროექტების რაოდენობა;
- ❖ განხორციელებული ინვესტიციების მოცულობა.



### 2.1.3 ქალაქწარმომქმნელი საწარმოების შექმნის, ამოქმედებისა და არსებული საწარმოების განვითარების ხელშეწყობის ღონისძიებების განხორციელება

#### პროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი

პროგრამის მიზანია ქალაქწარმომქმნელი საწარმოების გაძლიერება, ქალაქწარმომქმნელ დარგებში ახალი საწარმოების შექმნის ხელშეწყობა, რაც დადებით ზეგავლენას მოახდენს ქალაქის პროფილის დივერსიფიკაციაზე.

#### პროგრამის აღწერა

მნიშვნელოვანია ქალაქწარმომქმნელ დარგებში შეიქმნას ახალი საწარმოები. ამ თვალსაზრისით, ქალაქის პროფილური დარგების და მათი განვითარების კონცეფციაზე დაყრდნობით, გატარდება სხვადასხვა ღონისძიებები უცხოური და ადგილობრივი ინვესტიციების მოზიდვისათვის. განსაკუთრებული ყურადღება მიექცევა ქალაქწარმომქმნელ დარგებში უმოქმედო და არამდგრადი საწარმოებისათვის მეორე სიცოცხლის მიცემის პროექტს. გამოცდილების არ ქონის, რესურსების ნაკლებობის, ადმინისტრაციული ბარიერების და სხვა გამოწვევების გამო, მეწარმეები ვერ ახერხებენ მათი ბიზნესის პოტენციალის სრულად გამოყენებას, ზოგიერთი მათგანი წყვეტს კიდევ საქმიანობას. ასეთი მეწარმეებისთვის ბათუმის მერია განახორციელებს სხვადასხვა ტიპის ღონისძიებებს მიმართულს მათი ამოქმედებისაკენ.

ბათუმის მერიის საქმიანობაში მნიშვნელოვანი ყურადღება დაეთმობა როგორც საკუთარი ბიზნესის დაწყების მსურველთა შესაძლებლობების და რაოდენობის ზრდას, ასევე სხვა ქალაქებიდან ახალი ბიზნესების მოზიდვას. ამ მიზნით ბათუმის მერია სახელმწიფო სტრუქტურებთან ერთად შეიმუშავებს ახალ პროგრამებს, ისევე როგორც გააძლიერებს მოქმედ სახელმწიფო პროგრამებს.

#### განსახორციელებელი ღონისძიებები

- ✓ ქალაქ ბათუმის ქალაქწარმომქმნელი ფუნქციების, დარგების და ორგანიზაციების კვლევის საფუძველზე ქალაქწარმომქმნელი ორგანიზაციების არსებული მდგომარეობის, განვითარების ბარიერებისა და პერსპექტივების დადგენა;
- ✓ ქალაქწარმომქმნელი ორგანიზაციების ფუნქციონირების ხელშეწყობი ღონისძიებები დაგეგმვა და განხორციელება;
- ✓ ცენტრალურ და რეგიონულ ხელისუფლებასთან თანამშრომლობით, ახალი სტარტაპ ბიზნესის განვითარების ხელშეწყობის სახელმწიფო პროგრამების განხორციელების მხარდაჭერა.

#### პროგრამის განხორციელებასთან დაკავშირებული რისკები და მათი მართვა

№	რისკის აღწერა	რისკის ალბათობა	რისკის მნიშვნელობა	რისკების მართვის მექანიზმები
1	გამოცდილების არარსებობა მსგავსი დოკუმენტის მომზადების	4	5	შესაბამისი გამოცდილების მქონე არასამთავრობო და საერთაშორისო





	მიმართულებით.			თანამშრომლობის ჩართულობა და მონაწილეობა დოკუმენტის მომზადების პროცესში.
--	---------------	--	--	---

**პროგრამის მიზნობრივი ჯგუფები**

- ❖ ადგილობრივი თვითმმართველობა;
- ❖ ინვესტორები;
- ❖ ბიზნეს სუბიექტები.

**პროგრამაში ჩართული მხარეები**

- ❖ ცენტრალური ხელისუფლება;
- ❖ რეგიონული ხელისუფლება;
- ❖ ადგილობრივი თვითმმართველობა;
- ❖ ქალაქ ბათუმის მოსახლეობა;
- ❖ არასამთავრობო ორგანიზაციები;
- ❖ საერთაშორისო ინსტიტუტები;
- ❖ დონორი ორგანიზაციები

**პროგრამის სავარაუდო ბიუჯეტი და მისი დაფინანსების წყარო**

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი.

**პროექტის განმახორციელებელი ერთეული და განხორციელების მეთოდი**

ქ. ბათუმის მერიის ქონების მართვისა და ეკონომიკური პოლიტიკის სამსახური.

პროგრამის განხორციელების სამოქმედო გეგმა

წელი	განსახორციელებელი ღონისძიებები	1 კვარტ.			2 კვარტ.			3 კვარტ.			4 კვარტ.			
	ქალაქ ბათუმის ქალაქწარმომქმნელი ფუნქციების, დარგების და ორგანიზაციების კვლევის საფუძველზე ქალაქწარმომქმნელი ორგანიზაციების არსებული მდგომარეობის, განვითარების ბარიერებისა და პერსპექტივების დადგენა;													
	ქალაქწარმომქმნელი ორგანიზაციების ფუნქციონირების ხელშეწყობი ღონისძიებები დაგეგმვა და განხორციელება;													
	ცენტრალურ და რეგიონულ ხელისუფლებასთან თანამშრომლობით, ახალი სტარტაპ ბიზნესის განვითარების ხელშეწყობის სახელმწიფო პროგრამების განხორციელების													



მხარდაჭერა.														
-------------	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--

### შედეგების შეფასების ინდიკატორები

- ❖ ქალაქწარმომქმნელი ორგანიზაციების ფუნქციონირებისა და განვითარების ხელშეწყობის დაგეგმილი და განხორციელებული პროექტების რაოდენობა;
- ❖ სტარტაპ ბიზნესის განვითარების სახელმწიფო პროგრამების რაოდენობა, რომელიც ხორციელდება ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მხარდაჭერითა და თანამონაწილეობით;
- ❖ ახალი ორგანიზაციებისა და საწარმოების რაოდენობა, რომლებიც შეიქმნა ქალაქწარმომქმნელ დარგებში.



## 2.1.4 პოტენციურ მეწარმეთა შესაძლებლობების გაძლიერება

### პროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი

პროგრამის მიზანია ხელი შეუწყოს მეწარმეობის განვითარებას მეწარმეებისა და პოტენციური მეწარმეების ინფორმირების ამაღლების, მათი ჩართულობის გაზრდით სახელმწიფო და მუნიციპალურ პროგრამებში რაც შედეგად გაზრდის სამეწარმეო აქტივობას და უზრუნველყოფს მეწარმე სუბიექტების საქმიანობისათვის ხელსაყრელი პირობების შექმნას.

### პროგრამის აღწერა

პოტენციურ მეწარმეთა შესაძლებლობების გაძლიერების მიზნით ბათუმის მერია ითანამშრომლებს შესაბამის პროფესიულ ასოციაციებთან (სავაჭრო პალატა, სამრეწველო პალატა). აღნიშნული თანამშრომლობა მნიშვნელოვანი იქნება საქართველოს ტერიტორიაზე მოქმედი მეწარმე სუბიექტების საქმიანობისათვის ხელსაყრელი პირობების შექმნისათვის, ადგილობრივი საქონლის ექსპორტის ხელშეწყობისა და საინვესტიციო საქმიანობის ხელშემწყობი ღონისძიებების განხორციელებისათვის. გარდა ამისა თანამშრომლობა ხელს შეუწყობს უცხოური ინვესტიციების დაბანდებისათვის ხელსაყრელი პირობების შექმნას, ქალაქ ბათუმის ტერიტორიაზე მოქმედ საწარმოებსა და ასევე საზღვარგარეთის ქვეყნების საწარმოებს შორის სავაჭრო-სამრეწველო და სამეცნიერო-ტექნიკური კავშირების დამყარებას. ქ. ბათუმის მერია ასევე ორგანიზებას გაუწევს შეხვედრებს, სადაც პოტენციურ მეწარმეებს გააცნობს მეწარმეთა წარმატებულ გამოცდილებას (მაგ: აუხსნის რა ფინანსური რესურსებია საჭირო სხვადასხვა პროფილის საწარმოების შესაქმნელად, როგორ და სად მოიპოვონ ფინანსები და ა.შ)

### განსახორციელებელი ღონისძიებები

- ✓ თანამშრომლობის ინიცირება შესაბამის პროფესიულ ასოციაციებთან;
- ✓ კონტაქტების დამყარება მეწარმეებთან და მეწარმეობით დაინტერესებულ პირებთან;
- ✓ თანამშრომლობა ცენტრალურ და რეგიონულ ხელისუფლების შესაბამის ორგანოებთან მეწარმეობისა და სტარტაპ ბიზნესის განვითარების მიმართულებით პროგრამების განხორციელების მხარდაჭერისათვის;
- ✓ საინფორმაციო შეხვედრების ორგანიზება მეწარმეებსა და მეწარმეობით დაინტერესებულ პირებთან.

### პროგრამის განხორციელებასთან დაკავშირებული რისკები და მათი მართვა

№	რისკის აღწერა	რისკის ალბათობა	რისკის მნიშვნელობა	რისკების მართვის მექანიზმები
1	მიზნობრივი ჯგუფების ნაკლები ინტერესი	3	4	ქ. ბათუმის მერია შესაბამის დაკავშირებულ მხარეებთან ერთად უზრუნველყოფს საინფორმაციო შეხვედრების ჩატარებას მიზნობრივი ჯგუფების



				მაქსიმალურად ინფორმირებისა და დაინტერესებისათვის.
--	--	--	--	---

**პროგრამის მიზნობრივი ჯგუფები**

- ❖ ადგილობრივი თვითმმართველობა;
- ❖ მეწარმეები და მეწარმეობით დაინტერესებული პირები;
- ❖ სავაჭრო-სამრეწველო პალატა;
- ❖ პროფესიული ასოციაციები.

**პროგრამაში ჩართული მხარეები**

- ❖ ცენტრალური ხელისუფლება;
- ❖ რეგიონული ხელისუფლება;
- ❖ ადგილობრივი თვითმმართველობა;
- ❖ ქალაქ ბათუმის მოსახლეობა;
- ❖ არასამთავრობო ორგანიზაციები;
- ❖ საერთაშორისო ინსტიტუტები;
- ❖ დონორი ორგანიზაციები;
- ❖ პროფესიული ასოციაციები.

**პროგრამის სავარაუდო ბიუჯეტი და მისი დაფინანსების წყარო**

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი.

**პროექტის განმახორციელებელი ერთეული და განხორციელების მეთოდი**

- ❖ ქ. ბათუმის მერიის ქონების მართვისა და ეკონომიკური პოლიტიკის სამსახური;
- ❖ პროფესიული ასოციაციები.

პროგრამის განხორციელების სამოქმედო გეგმა

წელი	განსახორციელებელი ღონისძიებები	1 კვარტ.			2 კვარტ.			3 კვარტ.			4 კვარტ.		
	თანამშრომლობის ინიცირება შესაბამის პროფესიულ ასოციაციებთან												
	კონტაქტების დამყარება მეწარმეებთან და მეწარმეობით დაინტერესებულ პირებთან												
	თანამშრომლობა ცენტრალურ და რეგიონულ ხელისუფლების შესაბამის ორგანოებთან მეწარმეობისა და სტარტაპ ბიზნესის განვითარების მიმართულებით პროგრამების განხორციელების მხარდაჭერისათვის												
	საინფორმაციო შეხვედრების ორგანიზება მეწარმეებსა და მეწარმეობით დაინტერესებულ პირებთან.												

**შედეგების შეფასების ინდიკატორები**



- ❖ მეწარმეობის ხელშეწყობი სახელმწიფო და მუნიციპალური პროგრამების რაოდენობა;
- ❖ ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის პარტნიორი ორგანიზაციების რაოდენობა მეწარმეობის განვითარების მიმართულებით;
- ❖ მეწარმეობის ხელშეწყობის სახელმწიფო და მუნიციპალური პროგრამების მოსარგებლე ბენეფიციართა რაოდენობა;
- ❖ მეწარმეობის მიმართულებით მოქმედი ბიზნეს სუბიექტების რაოდენობა.



2.2 ბათუმის ქალაქმომსახურების ფუნქციების ანალიზი და ამ ფუნქციების განვითარების პერსპექტივის შესწავლა. ბათუმის ქალაქმომსახურების ორგანიზაციების გაძლიერება, დივერსიფიკაცია და რაოდენობის ზრდა.

### 2.2.1 ქალაქმომსახურების ფუნქციების, დარგებისა და ორგანიზაციების კვლევა

#### პროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი

პროგრამის მიზანია ქალაქის მომსახურების სფეროს წამყვანი დარგებისა და ორგანიზაციების შესწავლის საფუძველზე გამოვლენა, მათი არსებული მდგომარეობისა და განვითარების ტენდენციების დადგენა. მათი როლის განსაზღვრა ეროვნულ და საერთაშორისო კონტექსტში. კვლევის საფუძველზე აღინშნული დარგებისა და ორგანიზაციების გაძლიერების მიმართულებით განსახორციელებელი ღონისძიებების დასახვა და განხორციელება.

#### პროგრამის აღწერა

ტრანსპორტი, კავშირგაბმულობა, საცალო ვაჭრობა, განათლება, კულტურა, სპორტი, და სხვა ქალაქმომსახურე დარგებში მოქმედი ორგანიზაციები ემსახურებიან როგორც ადგილობრივ მოსახლეობას, ასევე ვიზიტორებს. ქალაქმომსახურების ფუნქციები და მათი განვითარების დონე პირდაპირ აისახება მოსახლეობის არსებული საჭიროებების დაკმაყოფილების ხარისხზე, ასევე ქალაქის ისეთი მნიშვნელოვანი დარგის განვითარებაზე როგორცაა ტურიზმი. ქალაქმომსახურების დარგების გამართული მუშაობა უზრუნველყოფს ქალაქის მდგრადობას და მის, როგორც საცხოვრებლად და სამუშაოდ სასურველი ადგილის განვითარებას. ბათუმის მერია შეისწავლის ქალაქმომსახურების არსებულ პროფილს. შეისწავლის ამ დარგის ორგანიზაციების სხვადასხვა გამოწვევებს და დასახავს მათი მოგვარების გზებს. ბათუმის მერია ასევე შეისწავლის ქალაქმომსახურების როგორც არსებული, ისე ახალი სექტორების განვითარების შესაძლებლობებს და ამასთან დაკავშირებული საჭირო რესურსების არსებობას.

#### განსახორციელებელი ღონისძიებები

- ✓ ქალაქმომსახურების ფუნქციების, დარგების და ორგანიზაციების კვლევის ტექნიკური დავალების შემუშავება;
- ✓ ქალაქმომსახურების ფუნქციების, დარგების და ორგანიზაციების კვლევის მომსახურების შესყიდვა.

#### პროგრამის განხორციელებასთან დაკავშირებული რისკები და მათი მართვა

№	რისკის აღწერა	რისკის ალბათობა	რისკის მნიშვნელობა	რისკების მართვის მექანიზმები
1	შეზღუდული წვდომა სტატისტიკურ ინფორმაციაზე.	4	5	კომუნიკაცია საქართველოს სტატისტიკის ეროვნულ სამსახურთან და შესაბამის



				სახელმწიფო/კერძო ორგანიზაციებსა და სტრუქტურებთან.
2	დაბალხარისხიანი კვლევის დოკუმენტის მომზადება.	4	5	მაქსიმალურად ზუსტი და მაღალკვალიფიციური ტექნიკური დავალების მომზადება.
3	გამოცდილების არარსებობა მსგავსი დოკუმენტის მომზადების მიმართულებით.	4	5	შესაბამისი გამოცდილების მქონე საერთაშორისო თანამშრომლობისა და არასამთავრობო სექტორის ჩართულობა და მონაწილეობა დოკუმენტის ტექნიკური დავალების მომზადების, ტენდერის შეფასებისა და კვლევის შეფასების პროცესში.

**პროგრამის მიზნობრივი ჯგუფები**

- ❖ ადგილობრივი  
თვითმმართველობა;
- ❖ ორგანიზაციები და  
დაწესებულებები მომსახურების  
სფეროში;
- ❖ ტურისტები;
- ❖ ვიზიტორები.

**პროგრამაში ჩართული მხარეები**

- ❖ ცენტრალური ხელისუფლება;
- ❖ რეგიონული ხელისუფლება;
- ❖ ადგილობრივი თვითმმართველობა;
- ❖ ქალაქ ბათუმის მოსახლეობა;
- ❖ არასამთავრობო ორგანიზაციები;
- ❖ ორგანიზაციები და დაწესებულებები  
მომსახურების სფეროში.

**პროგრამის სავარაუდო ბიუჯეტი და მისი დაფინანსების წყარო**

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი;  
საერთაშორისო და დონორი ორგანიზაციები.

**პროექტის განმახორციელებელი ერთეული და განხორციელების მეთოდი**

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ქონების მართვისა და ეკონომიკური პოლიტიკის  
სამსახური. პროგრამა განხორციელდება ტენდერის საფუძველზე გეგმის მომზადების  
მომსახურების შესყიდვის გზით.

**პროგრამის განხორციელების სამოქმედო გეგმა**

წელი	განსახორციელებელი ღონისძიებები	1 კვარტ.			2 კვარტ.			3 კვარტ.			4 კვარტ.		
	ქალაქმოსახურების ფუნქციების, დარგების და ორგანიზაციების კვლევის ტექნიკური დავალების												



შემუშავება;													
ქალაქმოსახურების ფუნქციების, დარგების და ორგანიზაციების კვლევის მომსახურების შესყიდვა.													

**შედეგების შეფასების ინდიკატორები**

- ❖ შემუშავებულია ქალაქ ბათუმის ქალაქმომსახურე დარგების და ორგანიზაციების კვლევის დოკუმენტი.





## 2.2.2 ბათუმის ქალაქმომსახურეობის სფეროში ახალი ორგანიზაციების შექმნისა და არსებული ორგანიზაციების გაძლიერების ღონისძიებების განხორციელება

### პროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი

პროგრამის მიზანია შესწავლის საფუძველზე უზრუნველყოს ქალაქის მომსახურეობის სფეროს წამყვანი მიმართულებებისა და ორგანიზაციების გამოვლენა. ასევე ამ ორგანიზაციებისა და მიმართულებების განვითარების ბარიერების იდენტიფიცირება და მათი დაძლევის ღონისძიებების დაგეგმვა და განხორციელება. რაც შედეგად უზრუნველყოფს ქალაქმომსახურეობის ორგანიზაციების გაძლიერებასა და მათი რაოდენობის ზრდას.

### პროგრამის აღწერა

ქალაქ ბათუმის მერია ქალაქმომსახურეობის ფუნქციების, დარგებისა და ორგანიზაციების კვლევის საფუძველზე განსაზღვრავს არსებული ორგანიზაციების გაძლიერებასთან დაკავშირებულ საკითხებს და ასევე გაითვალისწინებს კვლევის დოკუმენტში მითითებულ რეკომენდაციებს ამ ორგანიზაციების გაძლიერების მიმართულებით. ამასთანავე, ქალაქ ბათუმის მერია შეიმუშავებს ქალაქმომსახურეობის სხვადასხვა სფეროში ახალი ორგანიზაციების შექმნის შესაძლებლობებს, მოთხოვნებს და წარუდგენს მას კერძო სექტორს. ამ მხრივ, ყურადღება მიექცევა როგორც ადგილობრივი მოსახლეობის აქტიურობას ბიზნესის განხორციელების თვალსაზრისით, ისე უცხოური ინვესტიციების მოზიდვის შესაძლებლობებს. განსაკუთრებული ყურადღება მიექცევა ქალაქმომსახურეობის სფეროებში უმოქმედო და არამდგრადი საწარმოებისათვის მეორე სიცოცხლის მიცემის პროექტს. გამოცდილების არ ქონის, რესურსების ნაკლებობის, ადმინისტრაციული ბარიერების და სხვა გამოწვევების გამო უმოქმედო თუ არამდგრადი საწარმოებისათვის ბათუმის მერია განხორციელებს სხვადასხვა ტიპის ღონისძიებებს მიმართულს მათი ამოქმედებისაკენ.

### განსახორციელებელი ღონისძიებები

- ✓ ქალაქ ბათუმის ქალაქმომსახურეობის ფუნქციების, დარგების და ორგანიზაციების კვლევის საფუძველზე ქალაქმომსახურე ორგანიზაციების არსებული მდგომარეობის, განვითარების ბარიერებისა და პერსპექტივების დადგენა;
- ✓ არსებული ქალაქმომსახურე ორგანიზაციების გაძლიერებისა და ფუნქციონირების ხელშეწყობი ღონისძიებები დაგეგმვა და განხორციელება;
- ✓ ცენტრალურ და რეგიონულ ხელისუფლებასთან თანამშრომლობით, ახალი ქალაქმომსახურე ორგანიზაციების შექმნისა და ამოქმედების ხელშეწყობა, სახელმწიფო და რეგიონულ პროგრამებში მათი მონაწილეობის მხარდაჭერა.

### პროგრამის განხორციელებასთან დაკავშირებული რისკები და მათი მართვა

№	რისკის აღწერა	რისკის ალბათობა	რისკის მნიშვნელობა	რისკების მართვის მექანიზმები
1	მუნიციპალიტეტის გამოცდილების ნაკლებობა მსგავსი პროგრამების	3	5	შესაბამისი გამოცდილების მქონე საერთაშორისო



	განხორციელების მიმართულებით.			თანამშრომლობისა და არასამთავრობო სექტორის ჩართულობა და მონაწილეობა დოკუმენტის ტექნიკური დავალების მომზადების, ტენდერის შეფასებისა და კვლევის შეფასების პროცესში.
--	------------------------------	--	--	--

**პროგრამის მიზნობრივი ჯგუფები**

- ❖ ადგილობრივი თვითმმართველობა;
- ❖ ორგანიზაციები და დაწესებულებები მომსახურების სფეროში;
- ❖ ინვესტორები;
- ❖ ტურისტები;
- ❖ ვიზიტორები.

**პროგრამაში ჩართული მხარეები**

- ❖ ცენტრალური ხელისუფლება;
- ❖ რეგიონული ხელისუფლება;
- ❖ ადგილობრივი თვითმმართველობა;
- ❖ ქალაქ ბათუმის მოსახლეობა;
- ❖ არასამთავრობო ორგანიზაციები;
- ❖ ორგანიზაციები და დაწესებულებები მომსახურების სფეროში.

**პროგრამის სავარაუდო ბიუჯეტი და მისი დაფინანსების წყარო**

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი;  
საერთაშორისო და დონორი ორგანიზაციები.

**პროექტის განმახორციელებელი ერთეული და განხორციელების მეთოდი**

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ქონების მართვისა და ეკონომიკური პოლიტიკის სამსახური. პროგრამა უშუალოდ განხორციელდება აღნიშნული სამსახურის მიერ მუნიციპალიტეტის უფლებამოსილების ფარგლებში.

**პროგრამის განხორციელების სამოქმედო გეგმა**

წელი	განსახორციელებელი ღონისძიებები	1 კვარტ.			2 კვარტ.			3 კვარტ.			4 კვარტ.			
	ქალაქ ბათუმის ქალაქმომსახურების ფუნქციების, დარგების და ორგანიზაციების კვლევის საფუძველზე ქალაქმომსახურე ორგანიზაციების არსებული მდგომარეობის, განვითარების ბარიერებისა და პერსპექტივების დადგენა													
	არსებული ქალაქმომსახურე ორგანიზაციების გაძლიერებისა და ფუნქციონირების ხელშეწყობი ღონისძიებები დაგეგმვა და განხორციელება													



ცენტრალურ და რეგიონულ ხელისუფლებასთან თანამშრომლობით, ახალი ქალაქმომსახურე ორგანიზაციების შექმნისა და ამოქმედების ხელშეწყობა, სახელმწიფო და რეგიონულ პროგრამებში მათი მონაწილეობის მხარდაჭერა													
---	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--

### შედეგების შეფასების ინდიკატორები

- ❖ ქალაქმომსახურე ორგანიზაციების ფუნქციონირებისა და განვითარების ხელშეწყობის მიმართულებით დაგეგმილი და განხორციელებული პროექტების რაოდენობა;
- ❖ სახელმწიფო და რეგიონულ პროგრამების ბენეფიციარი ორგანიზაციების რაოდენობა მომსახურების სფეროში;
- ❖ მომსახურების სფეროს მოქმედი ორგანიზაციების რაოდენობა.



## ქ. ბათუმის ეკონომიკური პროფილის გაძლიერება და დივერსიფიკაცია

### 3.1 ბიზნესის განვითარების ხელშეწყობა

- 3.1.1 ინდუსტრიული/საწარმოო ბიზნეს ცენტრის შექმნა
- 3.1.2 მეწარმეობისა და ინოვაციების განვითარების სტიმულირება
- 3.1.3 საერთაშორისო ბიზნეს ცენტრის შექმნის ხელშეწყობა
- 3.1.4 ადგილობრივი განვითარების ფორუმების ორგანიზება

### 3.2 ტურიზმის განვითარების ხელშეწყობა

- 3.2.1 ტურისტული პოტენციალის კვლევა
- 3.2.2 საზღვაო და საჰაერო კავშირების დივერსიფიცირება
- 3.2.3 საგანმანათლებლო ტურიზმის განვითარების ხელშეწყობა
- 3.2.4 სპორტული ტურიზმის განვითარების ხელშეწყობა
- 3.2.5 სამედიცინო ტურიზმის განვითარების ხელშეწყობა

### 3.3 საერთაშორისო თანამშრომლობა და ქსელური კავშირები

- 3.3.1 თანამშრომლობა საერთაშორისო დონორ და საფინანსო ორგანიზაციებთან, არასამთავრობო სექტორსა და სამოქალაქო საზოგადოებასთან. ერთობლივი პროექტების ინიცირება და განხორციელება
- 3.3.2 დამეგობრებულ ქალაქებთან პარტნიორული ურთიერთობების განვითარება

### 3.4 ბათუმში ეკონომიკური, სოციალური და კულტურული ცენტრების განვითარება

- 3.4.1 ქ. ბათუმში ეკონომიკური, სოციალური და კულტურული ცენტრების განვითარების შესაძლებლობების კვლევა

### 3.5 ქალაქის შემოერთებული ტერიტორიების განვითარების ხელშეწყობა

- 3.5.1. ქალაქის შემოერთებული ტერიტორიების ეკონომიკური განვითარების სტიმულირება
- 3.5.2 გადამამუშავებელ საწარმოების შექმნისა და განვითარების ხელშეწყობა





## 3. ქ. ბათუმის ეკონომიკური პროფილის გაძლიერება და დივერსიფიკაცია

### 3.1 ბიზნესის განვითარების ხელშეწყობა

#### 3.1.1 ინდუსტრიული/საწარმოო ბიზნეს ცენტრის შექმნა

##### **პროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი**

პროგრამის მიზანია უზრუნველყოს ბიზნესის განვითარების სტიმულირება და დასაქმების ხელშეწყობა ინდუსტრიული/საწარმოო ბიზნეს ცენტრის შექმნისა და ამოქმედების გზით. აღნიშნული ცენტრი უზრუნველყოფს საწარმოო სივრცეების შეღავათიანი პირობებით სარგებლობის შესაძლებლობებს არსებული და დამწყები მცირე და საშუალო მეწარმეობისათვის.

##### **პროგრამის აღწერა**

ინდუსტრიული/ საწარმოო ბიზნეს ცენტრი არის მიზანმიმართული პოლიტიკა ქალაქწარმომქმნელი ახალი დარგების (კერძოდ მსუბუქი მრეწველობა) სტიმულირების თვალსაზრისით; ახალი სამუშაო ადგილების შექმნის თვალსაზრისით; ბიზნეს გარემოს გაუმჯობესების თვალსაზრისით; ბათუმის შემოერთებული ტერიტორიების ურბანიზაციის თვალსაზრისით. ინდუსტრიული/საწარმოო ბიზნეს ცენტრი იქნება კომუნიკაციებით (გზა, წყალი, კანალიზაცია, ელექტროენერგია, გაზი...) უზრუნველყოფილი საწარმოო სივრცეების (ე.წ. საწარმოო შენობების - „ბოქსების“) ერთობლიობა, სადაც დამწყებ ან მოქმედ მცირე მეწარმეს შესაძლებლობა ექნება განათავსოს წარმოების ხაზი და შეუდგეს მის ოპერირებას სპეციალური შეღავათიანი იჯარის პირობებში. ასეთი ტიპის სივრცე სასურველი ადგილი გახდება არა მარტო ახალი საწარმოებისთვის, არამედ არსებული საწარმოებისათვისაც ვინაიდან ბიზნესი კარგად გრძნობს სინერჯის ეფექტს ერთ საწარმოო სივრცეში ოპერირების თვალსაზრისით. ამავე დროს ასეთი ტიპის სივრცეზე ხელმისაწვდომობა გაცილებით შეუწყობს ხელს ადგილობრივ მეწარმეებს სხვადასხვა ტიპის სახელმწიფო ხელშეწყობი პროგრამების ათვისებაში.

##### **განსახორციელებელი ღონისძიებები**

- ✓ ინდუსტრიული/საწარმოო ბიზნეს ცენტრისათვის ქალაქის ფარგლებში შესაბამისი ტერიტორიის შერჩევა და დაპროექტება;
- ✓ ინდუსტრიული/საწარმოო ბიზნეს ცენტრის უზრუნველყოფა აუცილებელი კომუნიკაციებით (გზის მიყვანა, ელექტროენერჯით, ბუნებრივი აირის სისტემით, წყლისა და საკანალიზაციო სისტემის მოწყობა);
- ✓ საწარმოო სივრცეების მშენებლობა;
- ✓ პრიორიტეტული მიმართულებების შესაბამისად ინდუსტრიული/საწარმოო ბიზნეს ცენტრის დაინტერესებული სუბიექტების განაცხადების ფორმების, დოკუმენტაციისა და შერჩევის კრიტერიუმების მომზადება;
- ✓ შემუშავებული კრიტერიუმების შესაბამისად, დაინტერესებული სუბიექტების



- განაცხადების მიღება, განხილვა და შერჩევა საკოორდინაციო ჯგუფის მიერ;
- ✓ შერჩეული ბიზნეს სუბიექტებისათვის გამოყოფილი ტერიტორიისა და შენობის შეღავათიანი იჯარით გადაცემა;
- ✓ შერჩეული ბიზნეს სუბიექტებისათვის შესაძლებლობების გაძლიერების, საკონსულტაციო ღონისძიებების განხორციელება;
- ✓ შერჩეული ბიზნეს სუბიექტების მუდმივი მონიტორინგი და განვითარების ანგარიშების მომზადება.

**პროგრამის განხორციელებასთან დაკავშირებული რისკები და მათი მართვა**

№	რისკის აღწერა	რისკის ალბათობა	რისკის მნიშვნელობა	რისკების მართვის მექანიზმები
1	საწარმოო ბიზნეს ცენტრის მოწყობისათვის შესაბამისი ტერიტორიის არარსებობა	3	5	ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტი მიმართავს აჭარის არ მთავრობას აღნიშნული პროგრამის მიზნებისათვის მიწის ნაკვეთის გადმოცემასთან დაკავშირებით.
2	მიზნობრივი ჯგუფების ნაკლები ინტერესი პროგრამაში მონაწილეობასთან დაკავშირებით.	3	5	ქ. ბათუმის მერია შესაბამის დაკავშირებულ მხარეებთან ერთად უზრუნველყოფს საინფორმაციო შეხვედრების ჩატარებას მიზნობრივი ჯგუფების მაქსიმალურად ინფორმირებისა და დაინტერესებისათვის.

**პროგრამის მიზნობრივი ჯგუფები პროგრამაში ჩართული მხარეები**

- ❖ მცირე და საშუალო ბიზნესის წარმომადგენლები;
- ❖ ახალი ბიზნესის დაწყებით დაინტერესებული პირები;
- ❖ ცენტრალური ხელისუფლება;
- ❖ რეგიონული ხელისუფლება;
- ❖ ადგილობრივი თვითმმართველობა;
- ❖ მცირე და საშუალო ბიზნესის წარმომადგენლები;
- ❖ საერთაშორისო და დონორი ორგანიზაციები;
- ❖ ბიზნეს საკონსულტაციო კომპანიები;
- ❖ საფინანსო-საკრედიტო ორგანიზაციები.

**პროგრამის სავარაუდო ბიუჯეტი და მისი დაფინანსების წყარო**

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი.

**პროექტის განმახორციელებელი ერთეული და განხორციელების მეთოდი**

ქ. ბათუმის მერიის ქონების მართვისა და ეკონომიკური პოლიტიკის სამსახური;

ქ. ბათუმის მერიის კეთლმოწყობის სამსახური.

**პროგრამის განხორციელების სამოქმედო გეგმა**



წელი	განსახორციელებელი ლონისძიებები	1 კვარტ.			2 კვარტ.			3 კვარტ.			4 კვარტ.		
	ინდუსტრიული/საწარმოო ბიზნეს ცენტრისათვის ქალაქის ფარგლებში შესაბამისი ტერიტორიის შერჩევა და დაპროექტება												
	ინდუსტრიული/საწარმოო ბიზნეს ცენტრის უზრუნველყოფა აუცილებელი კომუნიკაციებით (გზის მიყვანა, ელექტრენერჯით, ბუნებრივი აირის სისტემით, წყლისა და საკანალიზაციო სისტემის მოწყობა)												
	საწარმოო სივრცეების მშენებლობა												
	პრიორიტეტული მიმართულებების შესაბამისად ინდუსტრიული/საწარმოო ბიზნეს ცენტრის დაინტერესებული სუბიექტების განაცხადების ფორმების, დოკუმენტაციისა და შერჩევის კრიტერიუმების მომზადება												
	შემუშავებული კრიტერიუმების შესაბამისად, დაინტერესებული სუბიექტების განაცხადების მიღება, განხილვა და შერჩევა საკოორდინაციო ჯგუფის მიერ												
	შერჩეული ბიზნეს სუბიექტებისათვის გამოყოფილი ტერიტორიისა და შენობის შეღავათიანი იჯარით გადაცემა												
	შერჩეული ბიზნეს სუბიექტებისათვის შესაძლებლობების გაძლიერების, საკონსულტაციო ღონისძიებების განხორციელება												
	შერჩეული ბიზნეს სუბიექტების მუდმივი მონიტორინგი და განვითარების ანგარიშების მომზადება.												

**შედეგების შეფასების ინდიკატორები**

- ❖ ინდუსტრიული/საწარმოო ბიზნეს ცენტრში განთავსებული ბიზნეს სუბიექტების (მათ შორის სტარტაპების) რაოდენობა;
- ❖ ინდუსტრიული/საწარმოო ბიზნეს ცენტრში განთავსებული საწარმოების განვითარების





- ფინანსური და ეკონომიკური მაჩვენებლები;
- ❖ ინდუსტრიული/საწარმოო ბიზნეს ცენტრიდან გასული, დამოუკიდებლად ფუნქციონირებადი ბიზნეს სუბიექტების რაოდენობა;
  - ❖ ინდუსტრიული/საწარმოო ბიზნეს ცენტრის მიმართ გაზრდილი ინტერესი (გაიზომება მომართვიანობის საფუძველზე);
  - ❖ ინდუსტრიული/საწარმოო ბიზნეს ცენტრის ახალი ბიზნეს სუბიექტების რაოდენობა.



### 3.1.2 მეწარმეობისა და ინოვაციების განვითარების სტიმულირება

#### პროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი

პროგრამის მიზანია ხელი შეუწყოს მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარებას, ასევე მიმზიდველი გარემოს შექმნას ახალი ბიზნესის დაწყების მსურველთათვის. პროექტი შექმნის მრავალფუნქციური ბიზნეს სივრცეს, რომელიც შესთავაზებს არამხოლოდ შეღავათიან საოფისე პირობებს, არამედ კვალიფიციურ დახმარებას ბიზნესის დაწყებისა და განვითარების მიმართულებით, რაც შედეგად დაეხმარება არსებულ მცირე და საშუალო ბიზნესს განვითარებაში და სტიმულს მისცემს ბიზნესის დაწყების მსურველებს, საშუალო და გრძელვადიან პერიოდში კი ხელს შეუწყობს დასაქმებას.

#### პროგრამის აღწერა

სახელმწიფო და რეგიონულ სტრუქტურებთან მჭიდრო კოორდინაციით, ასევე სამეწარმეო სექტორით დაინტერესებულ არასამთავრობო ორგანიზაციებსა და საგანმანათლებლო დაწესებულებებთან პარტნიორობით, ქალაქ ბათუმის მერია შექმნის პირობებს მეწარმეობის მომსახურების სფეროსა და ინოვაციურ დარგებში მოსაზიდად. ქალაქ ბათუმის მერია უზრუნველყოფს შესაბამისი სივრცის გამოყოფას ქალაქის ტერიტორიაზე, სადაც ხელმისაწვდომი იქნება ინტერნეტი და ბიზნესის წარმოებისათვის საჭირო სხვა სერვისები. მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარების ცენტრი იქნება მრავალფუნქციური ბიზნეს სივრცე, სადაც ახლდამწყებ და განვითარებად ბიზნესს შეეძლება ისარგებლოს კომუნიკაციის საშუალებებით, საოფისე ინვენტარითა და კომპიუტერული ტექნიკით აღჭურვილი საოფისე ფართით. ისარგებლოს საინფორმაციო და საკონსულტაციო მომსახურებით ბიზნესის წარმოებასა და განვითარებასთან დაკავშირებული დარგების მიმართულებით, როგორცაა ბიზნეს გეგმების მომზადება, ბუღალტერია, მარკეტინგული გეგმების მომზადება და გაუმჯობესება.

#### განსახორციელებელი ღონისძიებები

- ✓ ბიზნეს ცენტრის განთავსებისათვის საჭირო ტერიტორიისა და შენობის შერჩევა;
- ✓ შერჩეული შენობის უზრუნველყოფა კომუნიკაციებით (ელექტროენერგია, წყალი, ბუნებრივი აირი, ინტერნეტი);
- ✓ ბიზნეს ცენტრის შენობის აღჭურვა საოფისე ინვენტარითა და კომპიუტერული ტექნიკით;
- ✓ ბიზნეს ცენტრის პერსონალის შერჩევა და ამოქმედება;
- ✓ პროექტის შესახებ ინფორმაციის გავრცელება და მისი პრომოუშენი სხვადასხვა ადგილობრივ და საერთაშორისო ბიზნეს შეხვედრებსა და ფორუმებზე.

#### პროგრამის განხორციელებასთან დაკავშირებული რისკები და მათი მართვა

№	რისკის აღწერა	რისკის ალბათობა	რისკის მნიშვნელობა	რისკების მართვის მექანიზმები
1	მცირე და საშუალო ბიზნესის სექტორის, ასევე სამეწარმეო სფეროს წარმომადგენელთა ნაკლები ინტერესი	3	5	ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტი შესაბამის განმხორციელებელ პარტნიორებთან ერთად უზრუნველყოფს საინფორმაციო და



				სამუშაო შეხვედრების ორგანიზებას პოტენციურ ბენეფიციართა ინფორმირებისა და დაინტერესების მიზნით.
2	მუნიციპალიტეტის გამოცდილების ნაკლებობა მსგავსი მოდელით მუშაობის მიმართულებით.	3	5	პროგრამის განხორციელების პერიოდში ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტი მჭიდროდ ითანამშრომლებს შესაბამისი გამოცდილების მქონე საერთაშორისო ორგანიზაციებთან და არასამთავრობო სექტორთან.

### პროგრამის მიზნობრივი ჯგუფები

- ❖ ბიზნეს სფეროს წარმომადგენლები;
- ❖ სამეწარმეო სფეროს წარმომადგენლები;
- ❖ პროფესული ასოციაციები;
- ❖ საგანმანათლებლო დაწესებულებები და ტრენინგ-ცენტრები;
- ❖ სამეწარმეო სფეროთი დაინტერესებული არასამთავრობო ორგანიზაციები.

### პროგრამაში ჩართული მხარეები

- ❖ ცენტრალური ხელისუფლება;
- ❖ რეგიონული ხელისუფლება;
- ❖ სამეწარმეო სფეროთი დაინტერესებული არასამთავრობო ორგანიზაციები;
- ❖ სამეწარმეო სფეროს წარმომადგენლები;
- ❖ საერთაშორისო ორგანიზაციები;
- ❖ ექსპერტები.

### პროგრამის სავარაუდო ბიუჯეტი და მისი დაფინანსების წყარო

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი;  
საერთაშორისო და დონორი ორგანიზაციები.

### პროექტის განმახორციელებელი ერთეული და განხორციელების მეთოდი

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია - ქონების მართვისა და ეკონომიკური პოლიტიკის სამსახური; კეთილმოწყობის სამსახური.

ცენტრალური და რეგიონული ხელისუფლება;  
საგანმანათლებლო დაწესებულებები და ტრენინგ-ცენტრები;  
არასამთავრობო ორგანიზაციები.

პროგრამა განხორციელდება უშუალოდ განმახორციელებელი პარტნიორების მიერ.

### პროგრამის განხორციელების სამოქმედო გეგმა



წელი	განსახორციელებელი ღონისძიებები	1 კვარტ.			2 კვარტ.			3 კვარტ.			4 კვარტ.		
	ბიზნეს ცენტრის განთავსებისათვის საჭირო ტერიტორიისა და შენობის შერჩევა												
	შერჩეული შენობის უზრუნველყოფა კომუნიკაციებით (ელექტროენერგია, წყალი, ბუნებრივი აირი, ინტერნეტი)												
	ბიზნეს ცენტრის შენობის აღჭურვა საოფისე ინვენტარითა და კომპიუტერული ტექნიკით												
	ბიზნეს ცენტრის პერსონალის შერჩევა და ამოქმედება												
	პროექტის შესახებ ინფორმაციის გავრცელება და მისი პრომოუშენი სხვადასხვა ადგილობრივ და საერთაშორისო ბიზნეს შეხვედრებსა და ფორუმებზე.												

#### შედეგების შეფასების ინდიკატორები

- ❖ ბიზნეს ცენტრის მონაწილე კომპანიების რაოდენობა;
- ❖ ბიზნეს ცენტრიდან გასული, დამოუკიდებლად მოქმედი კომპანიების რაოდენობა;
- ❖ სახელმწიფო, რეგიონული და მუნიციპალური პროგრამებით დაფინანსებული ბიზნეს და სამეწარმეო პროექტების რაოდენობა;
- ❖ რეგისტრირებული ბიზნეს სუბიექტების რაოდენობის ზრდა;
- ❖ აქტიური ბიზნეს სუბიექტების რაოდენობის ზრდა;
- ❖ ბიზნეს სექტორის გამოშვების ზრდა;
- ❖ ბიზნეს სექტორში დასაქმებულთა რაოდენობა.



### 3.1.3 საერთაშორისო ბიზნეს ცენტრის შექმნის ხელშეწყობა

#### პროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი

პროგრამის მიზანია ინვესტიციების განხორციელების ხელშეწყობა და დასაქმების ზრდა მსხვილი საერთაშორისო კომპანიების მოზიდვითა და მათი ქ. ბათუმში ოპერირების ხელშეწყობის გზით. რაც შედეგად ერთის მხრივ ხელს შეუწყობს ინვესტიციების მოზიდვას და განხორციელებას, მეორეს მხრივ შეამცირებს უმუშევრობის და დასაქმების პრობლემას.

#### პროგრამის აღწერა

უცხოური ბიზნესის და უცხოური ინვესტიციების მოზიდვის მიზნით, ქ. ბათუმის მერია ხელს შეუწყობს ქალაქში საერთაშორისო ბიზნეს ცენტრის შექმნასა და ფუნქციონირებას. პროექტის ფარგლებში ქ. ბათუმის მერიის მხრიდან განხორციელდება შესაბამისი ღონისძიებები საერთაშორისო ბიზნეს ცენტრის მშენებლობისა და ოპერირების უზრუნველსაყოფად. საერთაშორისო ბიზნეს ცენტრის ოპერირებისას გათვალისწინებული იქნება ისეთი სავალდებულო საკითხები, როგორცაა უცხოელი ინვესტორებისა და საერთაშორისო ორგანიზაციების დაინტერესება და მოზიდვა, ადგილობრივი კადრების დასაქმება. საერთაშორისო ბიზნეს ცენტრით დაინტერესებულ საერთაშორისო კომპანიებს შესაძლებლობა ექნებათ შეღავათიანი პირობებით ისარგებლონ კომუნიკაციებით უზრუნველყოფილი საოფისე სივრცით. ქ. ბათუმის მერია თავის მხრივ უზრუნველყოფს ტერიტორიაზე კომუნიკაციების (გზა, ელექტროენერგია, ბუნებრივი აირი, წყლისა და კანალიზაციის სისტემის) მოწყობას. გარდა ამისა, ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მიერ პროექტის განხორციელების ხელშეწყობის მიზნით, მუდმივად მოხდება პროექტის პოპულარიზაცია ადგილობრივ და საერთაშორისო ბიზნეს და საინვესტიციო ღონისძიებებზე.

#### განსახორციელებელი ღონისძიებები

- ✓ საერთაშორისო ბიზნეს ცენტრის მოდელის შემუშავება;
- ✓ ბიზნეს მოდელის საფუძველზე საერთაშორისო ბიზნეს ცენტრის მოწყობის სამუშაოების განხორციელება (ტერიტორიის შერჩევა, დაპროექტება, კომუნიკაციებით უზრუნველყოფა და მშენებლობა);
- ✓ საერთაშორისო ბიზნეს ცენტრის ამოქმედება.

#### პროგრამის განხორციელებასთან დაკავშირებული რისკები და მათი მართვა

№	რისკის აღწერა	რისკის ალბათობა	რისკის მნიშვნელობა	რისკების მართვის მექანიზმები
1	ინვესტორებისა და კერძო კომპანიების ნაკლები ინტერესი საერთაშორისო ბიზნეს ცენტრის მშენებლობისა და ოპერირების მიმართ	3	5	იმ შემთხვევაში თუ კვლევა დაადასტურებს აღნიშნული მოდელის ეფექტურობას, ქ. ბათუმის მერია შესთავაზებს მიმზიდველ პირობებს, კერძოდ მიწის ნაკვეთს შესაბამისი შეღავათიანი



				პირობებით
2	საერთაშორისო ორგანიზაციების ნაკლები ინტერესი საერთაშორისო ბიზნეს ცენტრის სივრცით სარგებლობის მიმართ	4	5	ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის შესაბამისი სტრუქტურული ერთეულები უზრუნველყოფენ პროგრამის შესახებ ინფორმაციის გავრცეებასა და პოტენციურ მოსარგებლეთა დაინტერესებას სხვადასხვა ოფიციალურ შეხვედრასა და ფორუმზე.

**პროგრამის მიზნობრივი ჯგუფები**

- ❖ ინვესტორები;
- ❖ მსხვილი კერძო კომპანიები;
- ❖ საერთაშორისო ორგანიზაციები.

**პროგრამაში ჩართული მხარეები**

- ❖ ცენტრალური ხელისუფლება;
- ❖ რეგიონული ხელისუფლება;
- ❖ ადგილობრივი თვითმმართველობა;
- ❖ ინვესტორები;
- ❖ საერთაშორისო ორგანიზაციები;
- ❖ არასამთავრობო ორგანიზაციები.

**პროგრამის სავარაუდო ბიუჯეტი და მისი დაფინანსების წყარო**

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი.

**პროექტის განმახორციელებელი ერთეული და განხორციელების მეთოდი**

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ქონების მართვისა და ეკონომიკური პოლიტიკის სამსახური; ქ. ბათუმის მერიის კეთილმოწყობის სამსახური.

**პროგრამის განხორციელების სამოქმედო გეგმა**

წელი	განსახორციელებელი ღონისძიებები	1 კვარტ.			2 კვარტ.			3 კვარტ.			4 კვარტ.		
	საერთაშორისო ბიზნეს ცენტრის მოდელის შემუშავება;												
	ბიზნეს მოდელის საფუძველზე საერთაშორისო ბიზნეს ცენტრის მოწყობის სამუშაოების განხორციელება (ტერიტორიის შერჩევა, დაპროექტება, კომუნიკაციებით უზრუნველყოფა და მშენებლობა)												
	საერთაშორისო ბიზნეს ცენტრის ამოქმედება.												



### შედეგების შეფასების ინდიკატორები

- ❖ საერთაშორისო ბიზნეს ცენტრის საოფისე ფართის რაოდენობა;
- ❖ საერთაშორისო ბიზნეს ცენტრის მონაწილე საერთაშორისო კომპანიების რაოდენობა;
- ❖ საერთაშორისო ბიზნეს ცენტრის მონაწილე საერთაშორისო კომპანიებში დასაქმებული ადგილობრივი კადრების რაოდენობა.



### 3.1.4 ადგილობრივი განვითარების ფორუმების ორგანიზება

#### პროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი

პროგრამის მიზანია უზრუნველყოს: ადგილობრივ, რეგიონულ და ეროვნულ დონეზე, ადგილობრივი განვითარების გრძელვადიანი პლატფორმის შექმნა; საქართველოსა და მსოფლიოს სხვადასხვა ქალაქებს შორის ადგილობრივ განვითარებასთან დაკავშირებულ საკითხებზე საუკეთესო საერთაშორისო გამოცდილების გაზიარების ხელშეწყობა; გადაწყვეტილების მიმღებ პირებს, ექსპერტებსა და აკადემიურ წრეებს შორის უშუალო და ინტერაქტიული კომუნიკაციის დამყარება და ქალაქებს შორის თანამშრომლობის ინიცირება. შედეგად ფორუმის ფარგლებში შეიქმნება: მდგრად ურბანულ განვითარებაზე, ბიზნეს და საინვესტიციო თემატიკაზე მომუშავე ინტერაქტიული პლატფორმა; მდგრადი ურბანული განვითარების, ბიზნესის ხელშეწყობისა და ინვესტიციების განხორციელების მიმართულებით ახალი პროექტები და პარტნიორობები; გაზრდილი იქნება ქალაქის ცნობადობა საერთაშორისო ასპარეზზე.

#### პროგრამის აღწერა

პროგრამის ფარგლებში დაარსდება ბათუმის მდგრადი ურბანული განვითარების ფორუმი, როგორც ყოველწლიური ღონისძიება, რომელიც აქცენტს გააკეთებს მდგრადი განვითარების სხვადასხვა ურთიერთდაკავშირებულ საკითხებზე, როგორცაა სტრატეგიული და ურბანული დაგეგმარება, სატრანსპორტო სისტემების განვითარება, სასმელი წყლისა და ჩამდინარე წყლების მართვა, კატასტროფების რისკების შემცირება, კლიმატის ცვლილების შერბილება და ადაპტაცია, ინფორმაციის ხელმისაწვდომობა, განათლება და შესაძლებლობების გაძლიერება. ფორუმი არსებულ გამოწვევებზე, გადაჭრის გზებსა და საუკეთესო პრაქტიკაზე მსჯელობის მიზნით გააერთიანებს ხელისუფლების, კერძო და სამოქალაქო სექტორის წარმომადგენლებს, პარტნიორ ქალაქებსა და ორგანიზაციებს.

ასევე ქ. ბათუმი ორგანიზებას ან თანაორგანიზებას გაუწევს ბიზნეს და საინვესტიციო ფორუმებს, სადაც ქალაქის ბიზნეს და საინვესტიციო პოტენციალის პოპულარიზაციის მიზნით წარმოადგენს ქ. ბათუმის საინვესტიციო გეგმით გათვალისწინებულ კონკრეტულ წინადადებებს.

ბათუმის ადგილობრივი განვითარების ფორუმები იქნება:

- ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის ინიციატივა უზრუნველყოს სივრცე მულტიდისციპლინარული დიალოგისათვის მდგრად ურბანულ განვითარებასთან, ბიზნეს და საინვესტიციო შესაძლებლობებთან დაკავშირებით;
- ინტერაქტიული პლატფორმა, რომელიც თავს მოუყრის შესაბამისი დარგების ექსპერტებსა და სპეციალისტებს საჯარო, კერძო და სამოქალაქო სექტორიდან. ხელს შეუწყობს სინერგიული კავშირების იდენტიფიცირებასა და თანამშრომლობის ინიცირებას;
- შეხვედრის ადგილი გადაწყვეტილების მიმღები პირებისათვის ადგილობრივი და ცენტრალური ხელისუფლებიდან, პარტნიორი ქალაქებისა და საერთაშორისო ორგანიზაციებიდან გამოცდილების გაზიარების, პოლიტიკის ინსტრუმენტებისა და წარმატებული პრაქტიკის განსაზღვრისათვის განვითარების არსებული გამოწვევების





საპასუხოდ.

გარდა ამისა, ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტი განახორციელებს თანადაფინანსებას ბიზნეს და საინვესტიციო ფორუმებისა და კონფერენციების ორგანიზებასთან დაკავშირებული კერძო ინიციატივების დაფინანსებას. პრიორიტეტული მიმართულებების შესაბამისად შემუშავდება კონკრეტული კრიტერიუმები, რომლის საფუძველზეც მოხდება თანადაფინანსების პროექტის შერჩევა.

### განსახორციელებელი ღონისძიებები

- ✓ ქალაქ ბათუმის მდგრადი განვითარების ფორუმის კონცეფციის მომზადება;
- ✓ განსახორციელებელ პარტნიორებთან ერთად ფორუმის პროგრამის მომზადება, მომხსენებლებისა და სტუმრების განსაზღვრა;
- ✓ მდგრადი განვითარების ფორუმის საორგანიზაციო საკითხების დაგეგმვა;
- ✓ მდგრადი განვითარების ფორუმის ჩატარება.
- ✓ ქალაქ ბათუმის საინვესტიციო ფორუმის კონცეფციის მომზადება;
- ✓ განსახორციელებელ პარტნიორებთან ერთად საინვესტიციო ფორუმის პროგრამის მომზადება, მომხსენებლებისა და სტუმრების განსაზღვრა;
- ✓ საინვესტიციო ფორუმის საორგანიზაციო საკითხების დაგეგმვა;
- ✓ საინვესტიციო ფორუმის ჩატარება.
- ✓ მდგრადი განვითარების, ბიზნეს და საინვესტიციო ღონისძიებების კერძო ინიციატივების თანადაფინანსებისათვის, განვითარების პრიორიტეტული მიმართულებების შესაბამისად პროექტის თანადაფინანსების კრიტერიუმების შემუშავება;
- ✓ თანადაფინანსების მიზნით შემოსული კერძო ინიციატივების შერჩევა;
- ✓ შერჩეული კერძო ინიციატივების თანადაფინანსება.

### პროგრამის განხორციელებასთან დაკავშირებული რისკები და მათი მართვა

№	რისკის აღწერა	რისკის ალბათობა	რისკის მნიშვნელობა	რისკების მართვის მექანიზმები
1	ფორუმების მონაწილეების ნაკლები ინტერესი.	3	5	ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტი სისტემატიურად მოახდენს აღნიშნული თემატური ფორუმების პოპულარიზაციას სხვადასხვა ადგილობრივ და საერთაშორისო შეხვედრებსა და სემინარებზე.

### პროგრამის მიზნობრივი ჯგუფები

- ❖ ადგილობრივი თვითმმართველობები;

### პროგრამაში ჩართული მხარეები

- ❖ ადგილობრივი თვითმმართველობები;
- ❖ საერთაშორისო და დონორი ორგანიზაციები;
- ❖ პარტნიორი ქალაქები;



- ❖ საერთაშორისო და დონორი ორგანიზაციები;
- ❖ პარტნიორი ქალაქები;
- ❖ არასამთავრობო ორგანიზაციები;
- ❖ კერძო სექტორი;
- ❖ პოტენციური ინვესტორები;
- ❖ საგანმანათლებლო ორგანიზაციები;
- ❖ სამოქალაქო საზოგადოება
- ❖ არასამთავრობო ორგანიზაციები;
- ❖ კერძო სექტორი;
- ❖ პოტენციური ინვესტორები;
- ❖ საგანმანათლებლო ორგანიზაციები;
- ❖ დარგის ექსპერტები.

### პროგრამის სავარაუდო ბიუჯეტი და მისი დაფინანსების წყარო

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი;  
საერთაშორისო და დონორი ორგანიზაციები.

### პროგრამის განმახორციელებელი ერთეული და განხორციელების მეთოდი

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის ქონების მართვისა და ეკონომიკური პოლიტიკის სამსახური.  
პროგრამა განხორციელდება უშუალოდ პასუხისმგებელი სტრუქტურული ერთეულის მიერ.

### პროგრამის განხორციელების სამოქმედო გეგმა

წელი	განსახორციელებელი ღონისძიებები	1 კვარტ.				2 კვარტ.				3 კვარტ.				4 კვარტ.				
	ქალაქ ბათუმის მდგრადი განვითარების ფორუმის კონცეფციის მომზადება																	
	განმახორციელებელ პარტნიორებთან ერთად ფორუმის პროგრამის მომზადება, მომხსენებლებისა და სტუმრების განსაზღვრა																	
	მდგრადი განვითარების ფორუმის საორგანიზაციო საკითხების დაგეგმვა																	
	მდგრადი განვითარების ფორუმის ჩატარება																	
	ქალაქ ბათუმის საინვესტიციო ფორუმის კონცეფციის მომზადება																	
	განმახორციელებელ პარტნიორებთან ერთად საინვესტიციო ფორუმის პროგრამის მომზადება, მომხსენებლებისა და სტუმრების განსაზღვრა																	
	საინვესტიციო ფორუმის საორგანიზაციო საკითხების დაგეგმვა																	



	საინვესტიციო ფორუმის ჩატარება												
	მგრადი განვითარების, ბიზნეს და საინვესტიციო ღონისძიებების კერძო ინიციატივების თანადაფინანსებისათვის, განვითარების პრიორიტეტული მიმართულებების შესაბამისად პროექტის თანადაფინანსების კრიტერიუმების შემუშავება												
	თანადაფინანსების მიზნით შემოსული კერძო ინიციატივების შერჩევა												
	შერჩეული კერძო ინიციატივების თანადაფინანსება												

**შედეგების შეფასების ინდიკატორები**

- ❖ ფორუმების მონაწილე შესაბამისი დარგის ექსპერტების რაოდენობა;
- ❖ ახალი თანამშრომლობებისა და პარტნიორობების, ინიცირებული პროექტების რაოდენობა;
- ❖ საერთაშორისო კონფერენციებსა და ფორუმებზე ბათუმის მონაწილეობის სტატისტიკა;
- ❖ ადგილობრივ და საერთაშორისო მედია საშუალებებით გავრცელებული ინფორმაციის სტატისტიკა.



## 3.2 ტურიზმის განვითარების ხელშეწყობა

### 3.2.1 ტურისტული პოტენციალის კვლევა

#### პროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი

მოცემული კვლევა საშუალებას მისცემს მუნიციპალიტეტს შეადგინოს ქალაქის ტურისტული ინფრასტრუქტურის განვითარების გეგმა, შეიმუშავოს კონკრეტული ინფრასტრუქტურული და სხვა ტიპის პროექტები და იზრუნოს მათ განხორციელებაზე.

#### პროგრამის აღწერა

ქალაქს, საკუთარი ისტორიული უბნებით და მრავალფეროვანი ძეგლებით გააჩნია განსაკუთრებული ტურისტულ პოტენციალი. როგორც წესი, ბათუმის ტურისტული ინფრასტრუქტურა კონცენტრირებულია ქალაქის ზღვისპირა ნაწილში, რის გამოც ერთი მხრივ, სხვა უბნების მოსახლეობა ვიზიტორებიდან მიღებულ სარგებელს სრულად ვერ ნახულობს და მეორეს მხრივ, ეს უბნები შესაბამისად განვითარების შესაძლებლობებს მოკლებულია. ამასთანავე, ტურისტების გარკვეულ ნაწილში კონცენტრაცია იწვევს სატრანსპორტო და კომუნალურ პრობლემებს და ხშირად მოსახლეობისა თუ ვიზიტორების უკმაყოფილების მიზეზი ხდება.

ბათუმის მერია აჭარის არ ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტთან კოორდინაციით განხორციელებს ქალაქის ტურისტული პოტენციალის კვლევას ახალი შესაძლებლობების გამოვლენისა და მათი შემდგომი რეალიზაციის მიზნით. ტურისტული პოტენციალის კვლევის საფუძველზე დაიგეგმება და განხორციელდება შესაბამისი ინფრასტრუქტურული პროექტები. ამ მხრივ განსაკუთრებული ყურადღება მიექცევა ბათუმის ე.წ. „არატურისტულ“ უბნებს.

#### განსახორციელებელი ღონისძიებები

- ✓ ქ. ბათუმის ტურისტული პოტენციალის კვლევის მომსახურების შესყიდვის ტექნიკური დავალების მომზადება და ტენდერის გამოცხადება;
- ✓ ქ. ბათუმის ტურისტული პოტენციალის კვლევის მომსახურების შესყიდვა.

#### პროგრამის განხორციელებასთან დაკავშირებული რისკები და მათი მართვა

№	რისკის აღწერა	რისკის ალბათობა	რისკის მნიშვნელობა	რისკების მართვის მექანიზმები
1	დაბალი ხარისხის კვლევის მომზადება	3	5	მაქსიმალურად ზუსტი და მაღალი ხარისხის ტექნიკური დავალების მომზადება ტურიზმის დეპარტამენტთან კოორდინაციით.

პროგრამის მიზნობრივი ჯგუფები

პროგრამაში ჩართული მხარეები



- ❖ ადგილობრივი თვითმმართველობა;
- ❖ ტურისტები;
- ❖ ვიზიტორები.
- ❖ ადგილობრივი თვითმმართველობა;
- ❖ ცენტრალური ხელისუფლება;
- ❖ რეგიონული ხელისუფლება;

**პროგრამის სავარაუდო ბიუჯეტი და მისი დაფინანსების წყარო**

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი.

**პროგრამის განმახორციელებელი ერთეული და განხორციელების მეთოდი**

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის ქონების მართვისა და ეკონომიკური პოლიტიკის სამსახური; აჭარის არ ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტი.

პროგრამა განხორციელდება ტენდერის საფუძველზე კვლევის მომზადების მომსახურების შესყიდვის გზით.

**პროგრამის განხორციელების სამოქმედო გეგმა**

წელი	განსახორციელებელი ღონისძიებები	1 კვარტ.			2 კვარტ.			3 კვარტ.			4 კვარტ.		
	ქ. ბათუმის ტურისტული პოტენციალის კვლევის მომსახურების შესყიდვის ტექნიკური დავალების მომზადება და ტენდერის გამოცხადება												
	ქ. ბათუმის ტურისტული პოტენციალის კვლევის მომსახურების შესყიდვა.												

**შედეგების შეფასების ინდიკატორები**

- ❖ მომზადებული ტურისტული პოტენციალის კვლევა;
- ❖ კვლევის რეკომენდაციებზე დაყრდნობით განხორციელებული პროექტების რაოდენობა.



### 3.2.2 საზღვაო და საჰაერო კავშირების დივერსიფიცირება

#### პროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი

პროგრამის მიზანია ქალაქში ვიზიტორთა რაოდენობის ზრდა და შესაბამისად ტურისტული და სხვა თანმდევი სექტორების განვითარება.

#### პროგრამის აღწერა

საზღვაო-საკრუიზო ტურიზმის განვითარების მიზნით, საზღვაო და საჰაერო კავშირების დივერსიფიცირებისა და განვითარების ხელშეწყობისათვის ქ. ბათუმის მერია დაამყარებს კავშირებს შესაბამის ბიზნეს ოპერატორებთან. მათი დაინტერესების მიზნით, მერია ორგანიზებას გაუწევს საქმიან შეხვედრებს, ჩაატარებს შესაბამის კვლევებს და უზრუნველყოფს შედეგების წარმოდგენას ადგილობრივ და საერთაშორისო ღონისძიებებზე. გარდა ამისა უზრუნველყოფს ქალაქის პოტენციალის წარმოჩენას სხვადასხვა ადგილობრივ და საერთაშორისო ღონისძიებაზე.

#### განსახორციელებელი ღონისძიებები

- ✓ საზღვაო და საჰაერო ტრანსპორტისა და კავშირების განვითარების მიზნით კონტაქტების დამყარება შესაბამის ოპერატორებთან;
- ✓ საერთაშორისო და ადგილობრივ ღონისძიებებში მონაწილეობა საზღვაო და საჰაერო კავშირების განვითარების პოპულარიზაციისა და ახალი ოპერატორი კომპანიების დაინტერესების მიზნით;
- ✓ საზღვაო სამგზავრო ტრანსპორტირების განვითარების მიზნით კავშირების დამყარება შავი ზღვის აუზის ქვეყნებთან;
- ✓ საერთაშორისო და ადგილობრივ ღონისძიებებში მონაწილეობა ნავსადგურის პოპულარიზაციისა და ახალი ოპერატორი კომპანიების დაინტერესების მიზნით.

#### პროგრამის განხორციელებასთან დაკავშირებული რისკები და მათი მართვა

№	რისკის აღწერა	რისკის ალბათობა	რისკის მნიშვნელობა	რისკების მართვის მექანიზმები
1	ავიაკომპანიების ბაზარზე შემოსვლასთან დაკავშირებული სირთულეები რაც შეიძლება განპირობებული იქნეს ბათუმის აეროპორტის კერძო ოპერატორი კომპანიის ნაკლები ინტერესით.	5	5	აეროპორტის ოპერატორი კომპანიის დაინტერესების მიზნით ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია უზრუნველყოფს ბიზნეს ოპერატორებთან მოლაპარაკებებში მათ აქტიურად ჩართვას.
2	ბათუმის პორტის კერძო ოპერატორი კომპანიის ნაკლები ინტერესით.	5	5	ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია უზრუნველყოფს ბიზნეს ოპერატორებთან მოლაპარაკებებში პორტის



				წარმომადგენლების აქტიურად ჩართვასა და ამ გზით დაინტერესებას,
--	--	--	--	--

**პროგრამის მიზნობრივი ჯგუფები**

**პროგრამაში ჩართული მხარეები**

- ❖ ადგილობრივი თვითმმართველობა;
  - ❖ საზღვაო-საკრუიზო კომპანიები;
  - ❖ ავიაკომპანიები;
  - ❖ ტურისტული სააგენტოები;
  - ❖ ტურისტები;
  - ❖ ვიზიტორები.
- ❖ ადგილობრივი თვითმმართველობა;
  - ❖ ცენტრალური ხელისუფლება;
  - ❖ რეგიონული ხელისუფლება;
  - ❖ კერძო სექტორი.

**პროგრამის სავარაუდო ბიუჯეტი და მისი დაფინანსების წყარო**

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი.

**პროგრამის განმახორციელებელი ერთეული და განხორციელების მეთოდი**

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის ქონების მართვისა და ეკონომიკური პოლიტიკის სამსახური.  
პროგრამა განხორციელდება უშუალოდ პასუხისმგებელი სტრუქტურული ერთეულის მიერ.

**პროგრამის განხორციელების სამოქმედო გეგმა**

წელი	განსახორციელებელი ღონისძიებები	1 კვარტ.			2 კვარტ.			3 კვარტ.			4 კვარტ.		
	საზღვაო და საჰაერო ტრანსპორტისა და კავშირების განვითარების მიზნით კონტაქტების დამყარება შესაბამის ოპერატორებთან												
	საერთაშორისო და ადგილობრივ ღონისძიებებში მონაწილეობა საზღვაო და საჰაერო კავშირების განვითარების პოპულარიზაციისა და ახალი ოპერატორი კომპანიების დაინტერესების მიზნით												
	საზღვაო სამგზავრო ტრანსპორტირების განვითარების მიზნით კავშირების დამყარება შავი ზღვის აუზის ქვეყნებთან												
	საერთაშორისო და ადგილობრივ ღონისძიებებში მონაწილეობა ნავსადგურის პოპულარიზაციისა და ახალი ოპერატორი კომპანიების დაინტერესების მიზნით.												



### შედეგების შეფასების ინდიკატორები

- ❖ ბათუმში მოქმედი საზღვაო-საკრუიზო კომპანიების რაოდენობა;
- ❖ ავიაკომპანიების რაოდენობა;
- ❖ მიზნობრივი ქვეყნების რაოდენობა, რომელთა მიმართულებითაც ხორციელდება საზღვაო და საჰაერო მარშრუტები;
- ❖ ტურისტების რაოდენობა;
- ❖ საზღვაო და საჰაერო ტრანსპორტისა და კავშირების განვითარების მიზნით ჩატარებული ფორუმებისა და საქმიანი შეხვედრების რაოდენობა;
- ❖ ბათუმში მოქმედი საზღვაო გადამზიდი კომპანიების რაოდენობა;
- ❖ მიზნობრივი ქვეყნების რაოდენობა, რომელთა მიმართულებითაც ხორციელდება მგზავრთა გადაყვანა ბათუმის პორტის სამგზავრო ტერმინალის საშუალებით;
- ❖ ტურისტების რაოდენობა;
- ❖ ნავსადგურისა და კავშირების განვითარების მიზნით ჩატარებული საქმიანი შეხვედრების რაოდენობა;
- ❖ ნავსადგურის პოტენციალის პოპულარიზაციის მიზნით საერთაშორისო ღონისძიებებში მონაწილეობის სტატისტიკა.





### 3.2.3 საგანმანათლებლო ტურიზმის განვითარების ხელშეწყობა

#### პროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი

პროგრამის მიზანია ბათუმის უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ცნობადობისა და კონკურენტუნარიანობის გაზრდა განათლების საერთაშორისო ბაზარზე უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების მიერ ინიცირებული პროექტების მხარდაჭერისა და საგანმანათლებლო დაწესებულებების ლექტორ-მასწავლებლების შესაძლებლობების განვითარების გზით.

#### პროგრამის აღწერა

ბათუმს, როგორც რეგიონის ერთ-ერთ ტურისტულად აქტიურ და დინამიურ ქალაქს, ტურიზმის სხვა განვითარებად მიმართულებებთან ერთად გააჩნია საგანმანათლებლო ტურიზმის განვითარების პოტენციალიც. ქალაქში დღეისათვის ფუნქციონირებს 3 სახელმწიფო და 7 კერძო უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება, რომელთაც აქვთ უნარი შესაბამისი სასწავლო პროგრამების განვითარებით დაიკავონ თავიანთი ნიშა საერთაშორისო საგანმანათლებლო სივრცეში.

პროგრამის ფარგლებში ქ. ბათუმის მერია უფლებამოსილების ფარგლებში ხელს შეუწყობს ქალაქ ბათუმში ახალი, ევროპული საგანმანათლებლო დაწესებულებების გახსნასა და ფუნქციონირებას, განახორციელებს ბათუმის უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების მიერ ინიცირებული იმ პროექტების მხარდაჭერას, რომლებიც ითვალისწინებენ ამ საგანმანათლებლო დაწესებულებათა ცნობადობის გაზრდას განათლების საერთაშორისო ბაზარზე. პროგრამა ასევე უზრუნველყოფს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ლექტორ-მასწავლებელთა სამეცნიერო საქმიანობის ხელშეწყობას მათი საერთაშორისო საგანმანათლებლო და სამეცნიერო ღონისძიებებში მონაწილეობისა და უცხოეთში სტაჟირების ხელშეწყობის გზით. გარდა ამისა, პროგრამა უზრუნველყოფს ბათუმში საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციების ორგანიზების მხარდაჭერას.

#### განსახორციელებელი ღონისძიებები

- ✓ ბათუმის უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების განვითარებაზე ორიენტირებული პროექტების მხარდაჭერა;
- ✓ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ლექტორ-მასწავლებელთა საგანმანათლებლო და სამეცნიერო ღონისძიებებში მონაწილეობის მხარდაჭერა;
- ✓ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ლექტორ-მასწავლებელთა უცხოეთში სტაჟირების თანადაფინანსება;
- ✓ საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციების ჩატარების მხარდაჭერა.

#### პროგრამის განხორციელებასთან დაკავშირებული რისკები და მათი მართვა

№	რისკის აღწერა	რისკის ალბათობა	რისკის მნიშვნელობა	რისკების მართვის მექანიზმები
1	ქ. ბათუმის მერიის შეზღუდული სამოქმედო არეალი	4	4	ქ. ბათუმის მერია ითანამშრომლებს



	უფლებამოსილებიდან გამომდინარე		საკითხთან დაკავშირებულ ყველა სახელმწიფო სტრუქტურასთან და უზრუნველყოფს კომპეტენციის ფარგლებში მხარდაჭერის ღონისძიებების განხორციელებას.
--	-------------------------------	--	--

**პროგრამის მიზნობრივი ჯგუფები**

- ❖ ბათუმში მოქმედი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებები;
- ❖ ახალგაზრდა ბათუმელი მეცნიერები;
- ❖ დოქტორანტები;
- ❖ უცხოელი მეცნიერები;
- ❖ არასამთავრობო ორგანიზაციები;
- ❖ კვლევითი ცენტრები.

**პროგრამაში ჩართული მხარეები**

- ❖ ცენტრალური ხელისუფლება;
- ❖ რეგიონული ხელისუფლება;
- ❖ ადგილობრივი თვითმმართველობა;
- ❖ საგანმანათლებლო დაწესებულებები;
- ❖ კვლევითი ცენტრები.

**პროგრამის სავარაუდო ბიუჯეტი და მისი დაფინანსების წყარო**

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი.

**პროგრამის განმახორციელებელი ერთეული და განხორციელების მეთოდი**

ქალაქ ბათუმის მერიის განათლებისა და კულტურის განყოფილება.

პროგრამა უშუალოდ განხორციელდება პასუხისმგებელი სტრუქტურული ერთეულისა და დაკავშირებული ცენტრალური და რეგიონული სამთავრობო სტრუქტურების მიერ.

**პროგრამის განხორციელების სამოქმედო გეგმა**

წელი	განსახორციელებელი ღონისძიებები	1 კვარტ.			2 კვარტ.			3 კვარტ.			4 კვარტ.		
	ბათუმის უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების განვითარებაზე ორიენტირებული პროექტების მხარდაჭერა												
	უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ლექტორ-მასწავლებელთა საგანმანათლებლო და სამეცნიერო ღონისძიებებში მონაწილეობის მხარდაჭერა												



უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ლექტორ-მასწავლებელთა უცხოეთში სტაჟირების თანადაფინანსება													
საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციების ჩატარების მხარდაჭერა.													

**შედეგების შეფასების ინდიკატორები**

- ❖ ბათუმის უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების განვითარებაზე ორიენტირებული თანადაფინანსებული პროექტების რაოდენობა;
- ❖ ბათუმის უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებში ჩარიცხულ უცხოელ სტუდენტთა რაოდენობა;
- ❖ საერთაშორისო საგანმანათლებლო და სამეცნიერო კონფერენციებში მონაწილე უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ლექტორ-მასწავლებელთა რაოდენობა, რომელთა თანადაფინანსებაც განხორციელდა მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან;
- ❖ უცხოეთში სტაჟირებაზე მყოფი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ლექტორ-მასწავლებელთა რაოდენობა, რომელთა თანადაფინანსებაც განხორციელდა მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან;
- ❖ მუნიციპალიტეტის მიერ თანადაფინანსებული საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის რაოდენობა, რომელიც ჩატარდება ქ. ბათუმში.



### 3.2.4 სპორტული ტურიზმის განვითარების ხელშეწყობა

#### პროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი

პროგრამის მიზანია გაზარდოს ბათუმის, როგორც საერთაშორისო სპორტული ღონისძიებების მასპინძელი ქალაქის ცნობადობა და როლი როგორც ქვეყნის, ისე საერთაშორისო მასშტაბით რაც თავის მხრივ ხელს შეუწყობს სპორტული ტურიზმის, როგორც ქალაქის ერთერთი მაპროფილებელი მიმართულების განვითარებას.

#### პროგრამის აღწერა

ბოლო წლებში ბათუმის სასპორტო ინფრასტრუქტურაში განხორციელებულმა და დაგეგმილმა ინვესტიციებმა შესაძლებელი გახადა სპორტული ტურიზმის განვითარებაზე ზრუნვა. მიმდინარე პერიოდისთვის აჭარის მთავრობისა და ქ. ბათუმის მერიის ინიციატივით დასრულებულია და მიმდინარეობს შემდეგი სპორტული ინფრასტრუქტურული პროექტები:

**ბათუმის ფეხბურთის სტადიონი** - მშენებლობა დაწყებულია და მისი დასრულება 2020 წლისათვის იგეგმება. სტადიონი დაპროექტებულია უეფა-ს IV კატეგორიის მოთხოვნათა შესაბამისად და გათვლილია 20 000 მაყურებელზე. სტადიონის მოედანი დაპროექტებულია სადრენაჟო სისტემებითა და სანიაღვრე ქსელებით. სტადიონის გარე ტერიტორიაზე განთავსებული იქნება ღია პარკინგი, სკვერები, ბეტონის დეკორატიული ფილებისგან მოპირკეთებული ბილიკები, გზები და მოედნები.

**სპორტული კომპლექსი** - 3400 მაყურებელზე გათვლილი სპორტული კომპლექსი დაახლოებით 23 000 კვ.მეტრ ტერიტორიაზე მოეწყობა და იქ სხვადასხვა სპორტული სახეობების სექცია განთავსდება: სპორტული ტანვარჯიშისა და მხატვრული ტანვარჯიშის დარბაზი; ბ/რ ჭიდაობის დარბაზი; თავისუფალი ჭიდაობის დარბაზი; სპორტული ცეკვების დარბაზი; ჭადრაკის დარბაზი; ტაეკვონდოს დარბაზი; ქართული საბრძოლო ხელოვნების დარბაზი; უნივერსალური ტრანსფორმირებადი დარბაზი; კრივის დარბაზი. თანამედროვე სტანდარტების სპორტულ კომპლექსში გასახდელეები, საპირფარეშოები, დამხმარე და საინვენტარო სათავსოები მოეწყობა. შენობას ასევე ღია ავტოსადგომი ექნება. კომპლექსი ადაპტირებული იქნება შშმ პირებისთვის.

პროექტი სპორტული კომპლექსის ტერიტორიაზე ასევე სასტუმროს მშენებლობას ითვალისწინებს. 138 ადგილიან სასტუმროში, 42 ადამიანზე გათვლილი საკონფერენციო დარბაზი განთავსდება. კომპლექსის მშენებლობა 2018 წელს დასრულდება.

**მრავალფუნქციური სპორტული დარბაზის** მშენებლობის დასრულება 2018 წლისათვის იგეგმება. სამშენებლო ფართი 13 600 კვ. მეტრს შეადგენს. მრავალფუნქციურ სპორტული დარბაზს დიდი და მცირე დარბაზები ექნება - დიდი დარბაზი გათვლილი იქნება 2500 მაყურებელზე, ხოლო მცირე - 500 მაყურებელზე.

**ბათუმის სარაგბო სტადიონი** - საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად მოწყობილი ბათუმის სარაგბო სტადიონი 2017 წლიდან ფუნქციონირებს. სტადიონი ორი მოედანისგან შედგება - ბუნებრივ საფარიანი მოედანი, რომლის ტრიბუნა 2480 მაყურებელზეა გათვლილი და ხელოვნურ საფარიანი მოედანი, რომლის ტრიბუნაც 500 მაყურებელს იტევს.



**სპორტული ბაზა** – შედგება ორი მოედნისგან, რომელიც გათვალისწინებულია 1575 მაყურებელზე, სპორტული ბაზის მოედნები დაპროექტდა ფიფას მოთხოვნის სტანდარტების შესაბამისად. ერთი მოედანი იქნება ხელოვნურ საფარიანი, ხოლო მეორე ბუნებრივი საფარიანი. ორსართულიანი ადმინისტრაციული შენობის პირველ სართულზე მოეწყობა დარბაზი მოჭიდავეებისთვის. სატენდერო პირობებით შენობა შშმ პირებისთვის ადაპტირებული იქნება.

აღნიშნული სპორტული ინფრასტრუქტურის ფუნქციონირება ხელს შეუწყობს ბათუმის გადაქცევას საერთაშორისო სპორტული ღონისძიებების მასპინძელ ქალაქად, რაც თავის მხრივ ხელს შეუწყობს სპორტული ტურიზმის განვითარებას.

დაგეგმილი და მიმდინარე მსხვილი სპორტული ინფრასტრუქტურული პროექტების გათვალისწინებით, ქალაქის მერია ცენტრალურ და რეგიონულ მთავრობასთან მჭიდრო კოორდინაციით შეიმუშავებს შესაბამისი უბნების განვითარების კონცეფციას სპორტული დაწესებულებების სრულყოფილი ფუნქციონირებისათვის საჭირო სერვისებისა და ინფრასტრუქტურის განვითარების მიმართულებით და წარუდგენს მათ განსახორციელებლად ინვესტორებს.

**განსახორციელებელი ღონისძიებები**

- ✓ მსხვილი სასპორტო ინფრასტრუქტურულ პროექტებთან მიმართებაში აუცილებელი დარგებისა და სერვისების განვითარების კვლევის მომზადება;
- ✓ კვლევის საფუძველზე საინვესტიციო წინადადებების შემუშავება;
- ✓ მათი განხორციელების პრომოუშენი ადგილობრივ და საერთაშორისო ღონისძიებებსა და შეხვედრებზე.

**პროგრამის განხორციელებასთან დაკავშირებული რისკები და მათი მართვა**

№	რისკის აღწერა	რისკის ალბათობა	რისკის მნიშვნელობა	რისკების მართვის მექანიზმები
1				

**პროგრამის მიზნობრივი ჯგუფები**

- ❖ ქალაქ ბათუმის მოსახლეობა;
- ❖ ტურისტები;
- ❖ ვიზიტორები;
- ❖ სპორტული დაწესებულებები;
- ❖ ინვესტორები.

**პროგრამაში ჩართული მხარეები**

- ❖ ცენტრალური ხელისუფლება;
- ❖ რეგიონული ხელისუფლება;
- ❖ ადგილობრივი თვითმმართველობა;
- ❖ ინვესტორები;
- ❖ საერთაშორისო და დონორი ორგანიზაციები;
- ❖ არასანთავრობო ორგანიზაციები;
- ❖ სპორტული დაწესებულებები.



### პროგრამის სავარაუდო ბიუჯეტი და მისი დაფინანსების წყარო

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი.

### პროგრამის განმახორციელებელი ერთეული და განხორციელების მეთოდი

- ❖ ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამსახური;
- ❖ ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის არქიტექტურისა და ურბანული დაგეგმარების სამსახური;
- ❖ ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის ქონების მართვისა და ეკონომიკური პოლიტიკის სამსახური.

პროგრამის ცალკეული ღონისძიებები განხორციელდება ტენდერის საფუძველზე შესაბამისი საქონელის, მომსახურების ან სამშენებლო სამუშაოების შესყიდვის გზით.

### პროგრამის განხორციელების სამოქმედო გეგმა

წელი	განსახორციელებელი ღონისძიებები	1 კვარტ.			2 კვარტ.			3 კვარტ.			4 კვარტ.		
	მსხვილი სასპორტო ინფრასტრუქტურულ პროექტებთან მიმართებაში აუცილებელი დარგებისა და სერვისების განვითარების კვლევის მომზადება												
	კვლევის საფუძველზე საინვესტიციო წინადადებების შემუშავება												
	მათი განხორციელების პრომოუშენი ადგილობრივ და საერთაშორისო ღონისძიებებსა და შეხვედრებზე.												

### შედეგების შეფასების ინდიკატორები

- ❖ ბათუმის სასპორტო ინფრასტრუქტურის სრულყოფილი ფუნქციონირებისათვის დამხმარე დარგებისა და სერვისების მომზადებული კვლევა;
- ❖ კვლევის საფუძველზე შემუშავებული საინვესტიციო წინადადებების რაოდენობა;
- ❖ განხორციელებული პროექტების რაოდენობა.
- ❖ საერთაშორისო და ადგილობრივი სპორტული ღონისძიებების რაოდენობა, რომელიც გაიმართა ქ. ბათუმში.



### 3.2.5 სამედიცინო ტურიზმის განვითარების ხელშეწყობა

#### პროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი

პროგრამის მიზანია ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტმა შესაბამის ცენტრალურ და რეგიონულ სამთავრობო სტრუქტურულ ერთეულებთან ერთად ხელი შეუწყოს ქალაქ ბათუმის ცნობადობის ზრდა სამედიცინო ტურიზმის თვალსაზრისით, სამედიცინო დაწესებულებების დატვირთვის კოეფიციენტის ზრდას, სამედიცინო სფეროში აკუმულირებული შემოსავლების ზრდასა და სამედიცინო ბიზნესის განვითარებას.

#### პროგრამის აღწერა

თანამედროვე მსოფლიოში აქტუალურია სამედიცინო ტურიზმის, როგორც სამედიცინო სფეროს, ტურიზმისა და ბიზნეს სექტორის სინერგიული განვითარების მოდელის დანერგვა. სამედიცინო ტურიზმის აქტუალობა განპირობებულია ქვეყნებს შორის სამედიცინო სფეროს განვითარების სხვადასხვა დონით. განვითარებულ ქვეყნებში არსებული მაღალკვალიფიციური სამედიცინო მომსახურების მიღება დაკავშირებულია მაღალ დანახარჯებთან, რაც ნაკლებად ხელმისაწვდომს ხდის მას. აქედან გამომდინარე, აღნიშნული პროგრამა მიზნად ისახავს ქალაქ ბათუმში მაღალი ხარისხის სამედიცინო მომსახურების მიწოდებას კონკურენტული ფასით, რაც შემდგომში განაპირობებს ბათუმის სამედიცინო ტურიზმის ცენტრად ფორმირებას. პროგრამის ფარგლებში განხორციელდება მსოფლიოს წამყვანი სამედიცინო ცენტრების (გერმანია, თურქეთი, ისრაელი და ა.შ) მსგავსი სამედიცინო ცენტრების ფორმირების ხელშეწყობა დსთ-სა და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების საშუალო და დაბალ შემოსავლიანი მოქალაქეებისათვის.

პროექტის ფარგლებში განვითარდება ის ძვირადღირებული სამედიცინო მომსახურებები, რომელთა ხელმისაწვდომობაც განსაკუთრებით შეზღუდულია მსოფლიო ბაზარზე:

- ❖ კარდიოქირურგია;
- ❖ ინვიტრო განაყოფიერება;
- ❖ სტომატოლოგია;
- ❖ ბალნეოთერაპია;
- ❖ კლიმატოთერაპია.

აღნიშნული სერვისები მათი მნიშვნელოვნად დაბალი ფასის მიუხედავად, საკმაოდ მაღალ დონეზე არის განვითარებული ქალაქ ბათუმში. პროექტის ფარგლებში ხელი შეეწყობა მიწოდებული სერვისის ხარისხის კიდევ უფრო გაუმჯობესებას და სწორი საიმიჯო პოლიტიკის გატარებას.

#### განსახორციელებელი ღონისძიებები

- ✓ სამედიცინო დაწესებულებების ინფრასტრუქტურისა და მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განვითარების ხელშეწყობა;
- ✓ სამედიცინო პერსონალის გადამზადება, მათ შორის მსოფლიოს წამყვან კლინიკებში;
- ✓ დონორებისა და ინვესტორების მოზიდვა სამედიცინო ინფრასტრუქტურის



- განვითარების უზრუნველსაყოფად;
- ✓ ბათუმის, როგორც სამედიცინო ტურიზმის ცენტრის ბრენდირება და შესამაბისი საპრომოუშენო ღონისძიებების განხორციელება.

**პროგრამის განხორციელებასთან დაკავშირებული რისკები და მათი მართვა**

№	რისკის აღწერა	რისკის ალბათობა	რისკის მნიშვნელობა	რისკების მართვის მექანიზმები
1				

**პროგრამის მიზნობრივი ჯგუფები**

- ❖ დსთ-სა და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების მოქალაქეები;
- ❖ სამედიცინო დაწესებულებები.

**პროგრამაში ჩართული მხარეები**

- ❖ ცენტრალური ხელისუფლება;
- ❖ რეგიონალური ხელისუფლება;
- ❖ ადგილობრივი თვითმმართველობა;
- ❖ სამედიცინო დაწესებულებები;
- ❖ საერთაშორისო და დონორი ორგანიზაციები.

**პროგრამის სავარაუდო ბიუჯეტი და მისი დაფინანსების წყარო**

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი.

**პროგრამის განმახორციელებელი ერთეული და განხორციელების მეთოდი**

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახური.

**პროგრამის განხორციელების სამოქმედო გეგმა**

წელი	განსახორციელებელი ღონისძიებები	1 კვარტ.			2 კვარტ.			3 კვარტ.			4 კვარტ.		
	სამედიცინო დაწესებულებების ინფრასტრუქტურისა და მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განვითარების ხელშეწყობა												
	სამედიცინო პერსონალის გადამზადება, მათ შორის მსოფლიოს წამყვან კლინიკებში												
	დონორებისა და ინვესტორების მოზიდვა სამედიცინო ინფრასტრუქტურის განვითარების უზრუნველსაყოფად												
	ბათუმის, როგორც სამედიცინო												





	ტურიზმის ცენტრის ბრენდირება და შესამაზისი საპრომოუშენო ღონისძიებების განხორციელება.													
--	---	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--

### შედეგების შეფასების ინდიკატორები

- ❖ ქალაქ ბათუმის სამედიცინო დაწესებულებების მიერ უცხო ქვეყნის მოქალაქეებისათვის გაწეული სამედიცინო მომსახურების მაჩვენებელი;
- ❖ ქალაქის წამყვანი, მაპროფილებელი სამედიცინო დარგების და მომსახურებების რაოდენობა;
- ❖ გადამზადებული სამედიცინო პერსონალის რაოდენობა, რომელთა გადამზადების ხარჯების თანადაფინანსება განხორციელდა ბათუმის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან.



### 3.3 საერთაშორისო თანამშრომლობა და ქსელური კავშირები

3.3.1 თანამშრომლობა საერთაშორისო დონორ და საფინანსო ორგანიზაციებთან, არასამთავრობო სექტორსა და სამოქალაქო საზოგადოებასთან. ერთობლივი პროექტების ინიცირება და განხორციელება

#### პროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი

პროგრამის მიზანია ხელი შეუწყოს ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის სტრატეგიული მიზნების მიღწევას საერთაშორისო სტანდარტებსა და გამოცდილებაზე დაყრდნობით, უზრუნველყოს ამოცანებისა და აქტივობების განხორციელება არასამთავრობო, სამოქალაქო და საერთაშორისო ორგანიზაციებთან პარტნიორული თანამშრომლობის საფუძველზე.

#### პროგრამის აღწერა

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტს საერთაშორისო და დონორ ორგანიზაციებთან თანამშრომლობის ფართო და საკმაოდ ხანგრძლივი გამოცდილება გააჩნია.

მუნიციპალიტეტი 2007 წლიდან მჭიდროდ თანამშრომლობს **გერმანიის განვითარების ბანკთან (KfW)** ბათუმის კომუნალური ინფრასტრუქტურის რეაბილიტაციის პროექტის ფარგლებში, ქალაქის მთელ ტერიტორიაზე შეიცვალა და განახლდა წყლისა და საკანალიზაციო სისტემები, მოეწყო სანიარვო არხები, აშენდა ჩამდინარე წყლების გამწმენდი ნაგებობა.

2008 წლიდან ბათუმის მუნიციპალიტეტი თანამშრომლობს **ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების (EBRD) ბანკთან** მუნიციპალური ტრანსპორტის გაუმჯობესების მიმართულებით. კერძოდ 2008 წელს „ბათუმის ავტობუსების პროექტი“-ს ფარგლებში ბანკის შეღავათიანი სესხის ფარგლებში განხორციელდა **100 ერთეული** ზონდას ტიპის ავტობუსის შეძენა. 2016 წლიდან ხორციელდება აღნიშნული პროექტის მე-2 ფაზა, რომლის ფარგლებშიც ბანკის შეღავათიანი სესხისა და E5P გრანტის ფარგლებში მოხდება 20 ერთეული დიზელისა და 10 ერთეული ელექტრო ავტობუსის შეძენა. ამ მხრივ ბათუმი იქნება ამიერკავკასიაში პირველი ქალაქი, სადაც ელექტროავტობუსები იმოდრავებს.

მუნიციპალიტეტის მნიშვნელოვან პარტნიორს წარმოადგენს **გაეროს განვითარების პროგრამა საქართველოში (UNDP)**, რომელთან ერთადაც ხორციელდება პროექტი - ინტეგრირებული მდგრადი სატრანსპორტო სისტემების განვითარება ქალაქ ბათუმისა და აჭარის რეგიონისათვის - პროექტის მიზანს წარმოადგენს აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკასა და ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტში მდგრადი და ინტეგრირებული მუნიციპალური სატრანსპორტო სისტემების და მობილობის გეგმების განვითარების ხელშეწყობა, რაც თავის მხრივ ხელს შეუწყობს მდგრადი სატრანსპორტო პოლიტიკის ჩამოყალიბებას ეროვნულ დონეზე და მწვანე ურბანული განვითარების პოლიტიკისა და მექანიზმების ფორმირებას. პროექტის ფარგლებში, გაეროს განვითარების პროგრამის მიერ გამოცხადებულ საერთაშორისო ტენდერში გამარჯვებული გერმანული კომპანია A+S Consult-მა მოამზადა ქალაქ ბათუმის სატრანსპორტო მოდელი, ბათუმის ინტეგრირებული



მდგრადი ურბანული მობილობის განვითარების გრძელვადიანი სტრატეგია და სამოქმედო გეგმა, პარკირების სტრატეგია და პოლიტიკა, ველოსისტემის და საზოგადოებრივი ტრანსპორტის ოპტიმიზაციის გეგმა. გარდა ამისა, პროექტი მოიცავს სადემონსტრაციო ღონისძიებების განხორციელებაში ბათუმის მუნიციპალიტეტის მხარდაჭერას.

2015 წლიდან ბათუმის მუნიციპალიტეტი თანამშრომლობს **USAID-ის პროგრამა დემოკრატიული მმართველობის ინიციატივა (GGI)**, რომელიც აშშ საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) მიერ დაფინანსებული 5 წლიანი პროექტია და ითვალისწინებს საჯარო მომსახურების ხარისხის და ეფექტიანობის გაუმჯობესებაზე, გამჭვირვალობის და ანგარიშვალდებულების წახალისებაზე და ადგილობრივი თვითმმართველობის ყველა ასპექტში მოქალაქეებისა და სამოქალაქო საზოგადოების ჩართულობის ხელშეწყობაზე მუნიციპალიტეტის დახმარებას. აღნიშნული პროექტის ფარგლებში მომზადდა მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის ტექნიკური დავალება, ასევე მუნიციპალიტეტს გაეწია დახმარება პროგრამული ბიუჯეტის მომზადების მიმართულებით.

2014 წლიდან ბათუმის ენერგეტიკის მდგრადი განვითარების სამოქმედო გეგმის საფუძველზე მუნიციპალიტეტი თანამშრომლობს სხვადასხვა არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციასთან, რომლებთან თანამშრომლობითაც განხორციელდა შემდეგი პროექტები:

- **„განახლებადი ენერგეტიკისა და ენერგოეფექტურობის პროექტი საქართველოს მუნიციპალიტეტებისთვის“** – BP საქართველოს მიერ გამოყოფილი გრანტის ფარგლებში განხორციელდა ლერმონტოვის ქუჩაზე არსებულ მერიის ადმინისტრაციულ შენობაში გათბობა-გაგრილების სისტემის მოდერნიზაცია, არსებულ სისტემას დაემატა „ჰაერი-წყალი“ ტიპის თბური ტუმბოები და სხვა მოწყობილობები. პროექტი განხორციელდა კავშირმა „ენერგოეფექტურობის ცენტრი საქართველო“, ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიასთან თანამშრომლობით;
- **„სუფთა ენერჯის პროგრამა“** - **გარე განათების სადემონსტრაციო პროექტი** - USAID/Winrock თანამშრომლობის ფარგლებში, USAID-ის გრანტით განხორციელდა 136 ერთეული ენერგოეფექტური გარე განათების სანათის დამონტაჟება გორგილამის ქუჩაზე. პროექტის თანამონაწილეობისათვის, ქ. ბათუმის მერიის მიერ განხორციელდა გორგილამის ქუჩის გაგრძელებისა და კეთილმოწყობის სამუშაოები, ასევე მოეწყო შინდისის გმირების სახელობის სკვერი. სკვერი გაშენებულია 4 ჰა ფართობზე და ადაპტირებულია ევროსტანდარტების შესაბამისად.
- **ენერგოეფექტურობის ჩარჩო დოკუმენტის შემუშავება ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის შენობებისათვის** - პროექტი განხორციელდა გერმანიის განვითარების ბანკის მიერ გამოყოფილი 300 000 ევროს გრანტის ფარგლებში. პროექტის მიერ მომზადდა მუნიციპალიტეტის შენობების ბაზის შექმნა, აღნიშნული ბაზიდან დადგენილი კრიტერიუმების შესაბამისად 1 მრავალსართულიანი საცხოვრებელი და 29 საზოგადოებრივი/მუნიციპალური შენობის შერჩევა ენერგო აუდიტისათვის მომზადებისა და შემდგომში ენერგოეფექტურობის ღონისძიებების განხორციელების მიზნით. ასევე საინვესტიციო სქემების შეთავაზება აღნიშნულ შენობებში ენერგოეფექტურობის ღონისძიებების დასაფინანსებლად. პროექტი ასევე ითვალისწინებს მდგრადი ურბანული განვითარების დაგეგმვისათვის



კონცეპტუალური ჩარჩოს, პოლიტიკისა და ღონისძიებების შეთავაზებას (ბათუმის მახასიათებლებისა და საერთაშორისო გამოცდილების შესაბამისად). მიმდინარე ეტაპზე იგეგმება პროექტის სადემონსტრაციო ღონისძიებების განხორციელება KfW ბანკის გრანტის ფარგლებში.

პროგრამის ფარგლებში გაგრძელდება ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის თანამშრომლობა საერთაშორისო დონორ ორგანიზაციებთან, ევროკავშირთან, ადგილობრივ და საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციებსა და სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლებთან მუნიციპალიტეტის სტრატეგიული მიზნების მისაღწევად ერთობლივი პროექტების ინიცირებისა და განხორციელებისათვის.

### განსახორციელებელი ღონისძიებები

- ✓ პრიორიტეტული მიმართულებების შესაბამისად საერთაშორისო დონორ ორგანიზაციებთან, ევროკავშირთან, ადგილობრივ და საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციებსა და სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლებთან თანამშრომლობის ინიცირება;
- ✓ საერთაშორისო დონორ ორგანიზაციებთან, ევროკავშირთან, ადგილობრივ და საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციებსა და სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლებთან ერთობლივი პროექტების დაგეგმვა და განხორციელება.

### პროგრამის განხორციელებასთან დაკავშირებული რისკები და მათი მართვა

№	რისკის აღწერა	რისკის ალბათობა	რისკის მნიშვნელობა	რისკების მართვის მექანიზმები
1	მუნიციპალიტეტის ნაკლები გამოცდილება პროექტების წერის მიმართულებით	3	4	ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტი უზრუნველყოფს პროექტების წერისა და მართვის მიმართულებით თანამშრომელთა შესაძლებლობების გაძლიერებას სხვადასხვა გადამზადების კურსებისა და სემინარების საშუალებით

### პროგრამის მიზნობრივი ჯგუფები

- ❖ ადგილობრივი თვითმმართველობა;
- ❖ ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მოსახლეობა;
- ❖ საერთაშორისო საფინანსო და დონორი ორგანიზაციები;
- ❖ არასამთავრობო ორგანიზაციები.

### პროგრამაში ჩართული მხარეები

- ❖ ადგილობრივი თვითმმართველობა;
- ❖ ცენტრალური ხელისუფლება;
- ❖ საერთაშორისო საფინანსო და დონორი ორგანიზაციები;
- ❖ არასამთავრობო ორგანიზაციები;
- ❖ კვლევითი და საგანმანათლებლო დაწესებულებები;



❖ დარგობრივი საკონსულტაციო კომპანიები და  
კერძო ექსპერტები.

**პროგრამის სავარაუდო ბიუჯეტი და მისი დაფინანსების წყარო**

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი.

საერთაშორისო საფინანსო და დონორი ორგანიზაციები.

**პროგრამის განმახორციელებელი ერთეული და განხორციელების მეთოდი**

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის სტრუქტურული ერთეულები.

პროგრამა განხორციელდება როგორც პარტნიორი ორგანიზაციებიდან მოზიდული შეღავათიანი სესხისა თუ გრანტის საფუძველზე, ასევე მუნიციპალიტეტის თანამონაწილეობით.

**პროგრამის განხორციელების სამოქმედო გეგმა**

წელი	განსახორციელებელი ღონისძიებები	1 კვარტ.			2 კვარტ.			3 კვარტ.			4 კვარტ.		
	პრიორიტეტული მიმართულებების შესაბამისად საერთაშორისო დონორ ორგანიზაციებთან, ევროკავშირთან, ადგილობრივ და საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციებსა და სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლებთან თანამშრომლობის ინიცირება												
	საერთაშორისო დონორ ორგანიზაციებთან, ევროკავშირთან, ადგილობრივ და საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციებსა და სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლებთან ერთობლივი პროექტების დაგეგმვა და განხორციელება												

**შედეგების შეფასების ინდიკატორები**

- ❖ საერთაშორისო დონორ ორგანიზაციებთან, ევროკავშირთან, ადგილობრივ და საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციებსა და სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლებთან ინიცირებული თანამშრომლობა;
- ❖ ერთობლივად დაგეგმილი და განხორციელებული პროექტების რაოდენობა.



### 3.3.2 დამეგობრებულ ქალაქებთან პარტნიორული ურთიერთობების განვითარება

#### პროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი

პროგრამის მიზანია ორმხრივი თანამშრომლობის საფუძველზე ქალაქებთან ისტორიული, კულტურული, ეკონომიკური განვითარების მიმართულებით პარტნიორული კავშირების დამყარება, რაც ხელს შეუწყობს აღნიშნული მიმართულებებით გამოცდილებების გაზიარებასა და არსებული პოტენციალის გამოყენებას ქალაქ ბათუმის სტრატეგიული ამოცანების შესასრულებლად.

#### პროგრამის აღწერა

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტს 1987 წლიდან ყავს დამეგობრებული ქალაქები მსოფლიოს მასშტაბით, რომლებთანაც თანამშრომლობს ქალაქის განვითარების, ეკონომიკის, განათლების, კულტურის, ტურიზმისა და სხვა ორმხრივი ინტერესის საფუძველზე შერჩეულ სფეროებში. ქალაქ ბათუმის დამეგობრებულ ქალაქებს შორისაა ქ. ბარი (იტალია, 1987წ), ქ. სან-სებასტიანი (ესპანეთი, 1987წ), ქ. სავანა (აშშ, ჯორჯიას შტატი, 1992წ), პირეი (საბერძნეთი, 1996წ), ტრაზონი (თურქეთი, 2000წ), ვანამორი (სომხეთი, 2006წ.), ვოლოსი (საბერძნეთი, 2007წ.), იალტა (უკრაინა, 2008წ.), ბურგასი (ბულგარეთი, 2009წ.) მარბეია (ესპანეთი, 2010წ.) კუშადასი (თურქეთი, 2010 წ.) ვერონა (იტალია, 2010 წ.), ორდუ (თურქეთი, 2011წ.), ტერნოპოლი (უკრაინა, 2011წ.), ნიუ ორლეანი (აშშ, 2012წ.), იალოვა (თურქეთი, 2012წ.), ნახჭევანი (აზერბაიჯანი, 2012წ.), აშოდი (ისრაელი, 2012წ.), დაუგავილსი (ლატვია, 2012წ.), დონეცკი (უკრაინა, 2013წ.), შარმ ელშეიხი (ეგვიპტე, 2014წ.), პრალა (ჩეხეთი, 2013წ.), ურუმჩი (ჩინეთი, 2013 წ.), იურმალა (ლატვია, 2014წ.), ბრესტი (ბელარუსი 2015წ.), პაფოსი (კვიპროსი, 2016წ.)

2012 წლიდან ქ. ბათუმი ჩართულია გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოება (GIZ)-ის ადგილობრივი თვითმმართველობის პროგრამაში. აღნიშნული პროგრამის ფარგლებში ქ. ბათუმი, პარტნიორ ქალაქ როსტოკთან ერთად მუშაობდა ქალაქის განვითარების გეგმის მეთოდოლოგიაზე. პროექტის პირველ ეტაპზე როსტოკელი ექსპერტების მიერ შემუშავდა ქალაქის განვითარების ძირითადი მიმართულებების სარეკომენდაციო დოკუმენტი. 2016 წელს დასრულდა აღნიშნული პროექტის პირველი ეტაპი. მეორე ეტაპზე თანამშრომლობა 2 წლის განმავლობაში გაგრძელდება ქალაქ როსტოკის მიერ ქ. ბათუმისათვის საექსპერტო მხარდაჭერისა და ცნობიერების ამაღლების მხრივ ქალაქის მდგრადი განვითარების, ნარჩენების მართვისა და ტურიზმის მიმართულებით.

2015 წელს ქ. ბათუმი დამეგობრდა აშშ ქალაქ გოლდენთან ნარჩენების მართვის თანამედროვე ტექნოლოგიების დანერგვასა და განხორციელებასთან დაკავშირებით ქალაქ ბათუმის შესაძლებლობების გაძლიერებისა და გამოცდილების გაზიარების მიზნით. ქალაქების დამეგობრება პროექტის „ნარჩენების მართვის ტექნოლოგიები რეგიონებში“ (WMTR) ფარგლებში შედგა. პროექტის ფარგლებში უკვე მომზადდა ქ. ბათუმის მუნიციპალური ნარჩენების მართვის 5 წლიანი სამოქმედო გეგმა. ასევე განსაზღვრულია ნარჩენების წყაროსთან სეპარაციის დანერგვის მიმართულებით ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მხარდაჭერა.



პროგრამის ფარგლებში ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტი გააგრძელებს და გაააქტიურებს არსებულ თანამშრომლობებს პარტნიორ ქალაქებთან, ასევე უზრუნველყოფს ახალი პარტნიორობების დამყარების მიზნით თანამშრომლობის ინიცირებასა და ერთობლივი პროექტების განხორციელებას.

**განსახორციელებელი ღონისძიებები**

- ✓ პრიორიტეტული მიმართულებების შესაბამისად პარტნიორ და დამეგობრებულ ქალაქებთან თანამშრომლობის ინიცირება;
- ✓ დამეგობრებულ და პარტნიორ ქალაქებთან ერთობლივი პროექტების დაგეგმვა და განხორციელება;
- ✓ დამეგობრებული ქალაქების გააქტიურება ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ეკონომიკურ და კულტურულ ღონისძიებებში მონაწილეობის მიმართულებით.

**პროგრამის განხორციელებასთან დაკავშირებული რისკები და მათი მართვა**

№	რისკის აღწერა	რისკის ალბათობა	რისკის მნიშვნელობა	რისკების მართვის მექანიზმები
1	ნაკლები ინტერესი პარტნიორი ქალაქების მხრიდან	4	5	ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტი უზრუნველყოფს პარტნიორ ქალაქებთან კომუნიკაციასა და მათ მონაწილეობას სხვადასხვა კულტურულ და საქმიან ღონისძიებებში. ასევე შესაბამის საგრანტო პროექტებში მათთვის პარტნიორობის შეთავაზებას.

**პროგრამის მიზნობრივი ჯგუფები**

- ❖ ადგილობრივი თვითმმართველობა;
- ❖ ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის პარტნიორი ქალაქები.

**პროგრამაში ჩართული მხარეები**

- ❖ ადგილობრივი თვითმმართველობა;
- ❖ რეგიონული ხელისუფლება;
- ❖ ცენტრალური ხელისუფლება;
- ❖ ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის პარტნიორი ქალაქები;
- ❖ საერთაშორისო ორგანიზაციები;
- ❖ არასამთავრობო ორგანიზაციები.

**პროგრამის სავარაუდო ბიუჯეტი და მისი დაფინანსების წყარო**

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი;  
საერთაშორისო ორგანიზაციები.

**პროგრამის განმახორციელებელი ერთეული და განხორციელების მეთოდი**

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის სტრუქტურული ერთეულები.  
პროგრამა უშუალოდ განხორციელდება პასუხისმგებელი სტრუქტურული ერთეულების



მიერ.

**პროგრამის განხორციელების სამოქმედო გეგმა**

წელი	განსახორციელებელი ღონისძიებები	1 კვარტ.			2 კვარტ.			3 კვარტ.			4 კვარტ.		
	პრიორიტეტული მიმართულებების შესაბამისად პარტნიორ და დამეგობრებულ ქალაქებთან თანამშრომლობის ინიცირება												
	დამეგობრებულ და პარტნიორ ქალაქებთან ერთობლივი პროექტების დაგეგმვა და განხორციელება												
	დამეგობრებული ქალაქების გააქტიურება ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ეკონომიკურ და კულტურულ ღონისძიებებში მონაწილეობის მიმართულებით.												

**შედეგების შეფასების ინდიკატორები**

- ❖ დამყარებული ახალი პარტნიორობის რაოდენობა;
- ❖ ერთობლივად განხორციელებული პროექტების რაოდენობა;
- ❖ აქტიური სტატუსის მქონე პარტნიორი ქალაქების რაოდენობა.





### 3.4 ბათუმში ეკონომიკური, სოციალური და კულტურული ცენტრების განვითარება

#### 3.4.1 ქ. ბათუმში ეკონომიკური, სოციალური და კულტურული ცენტრების განვითარების შესაძლებლობების კვლევა

##### პროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი

პროგრამის მიზანია კვლევაზე დაყრდნობით გამოავლინოს ქალაქის კონკრეტული უბნების განვითარების შესაძლებლობები. ეკონომიკური, სოციალური და კულტურული ცენტრების შექმნა უზრუნველყოფს ეკონომიკური აქტივობის წერტილების შექმნას ქალაქში, რაც ასევე განაპირობებს მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებას შემოსავლების გენერირების თვალსაზრისით.

##### პროგრამის აღწერა

ეკონომიკური აქტივობა და სამუშაო ადგილები კონცენტრირებულია ბათუმის ცენტრალურ ნაწილში, რაც ერთის მხრივ წარმოქმნის სატრანსპორტო პრობლემებს, მეორეს მხრივ კი ამცირებს ქონების ღირებულებას ქალაქის სხვა ნაწილებში. კონკრეტულ ტერიტორიის ისტორიული ფაქტორი, იქ არსებული ინფრასტრუქტურა და მისი მაცხოვრებლები განაპირობებს კონკრეტული ადგილის გამოყენებისა და განვითარების შესაძლებლობას.

ქალაქის ცალკეული ადგილების შესაძლებლობის შესაფასებლად, მოხდება კონკრეტული ადგილების იდენტიფიცირება, რომელთაც არსებული მოცემულობით განვითარების, ან ახალი ფუნქციონალური დატვირთვის შემთხვევაში გააჩნიათ პოტენციალი იქცნენ ბათუმის ცენტრებად როგორც ეკონომიკური, ისე სოციალური და კულტურული განვითარების თვალსაზრისით. ამ მიზნით, ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტი უზრუნველყოფს შესაბამისი კვლევის ჩატარებას და კვლევის საფუძველზე არსებული მგომარეობისა და განვითარების პერსპექტივების შეფასებას.

##### განსახორციელებელი ღონისძიებები

- ✓ ქ. ბათუმის ეკონომიკური, სოციალური და კულტურული განვითარების ცენტრების შექმნის კვლევის ტექნიკური დავალების შემუშავება
- ✓ ქ. ბათუმის ეკონომიკური, სოციალური და კულტურული განვითარების ცენტრების შექმნის კვლევის მომზადების მომსახურების შესყიდვა.

##### პროგრამის განხორციელებასთან დაკავშირებული რისკები და მათი მართვა

№	რისკის აღწერა	რისკის ალბათობა	რისკის მნიშვნელობა	რისკების მართვის მექანიზმები
1	დაბალხარისხიანი კვლევის დოკუმენტის მომზადება	3	5	მაქსიმალურად ზუსტი და მაღალკვალიფიციური ტექნიკური დავალების



				მომზადება.
2	მუნიციპალიტეტის გამოცდილების ნაკლებობა მსგავსი კვლევების შემუშავებისა და განხორციელების მიმართულებით	3	5	კვლევის ტექნიკური დავალებისა და კვლევის მომზადების შუალედური და საბოლოო შედეგების წარდგენის პერიოდში ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტი აქტიურად ითანამშრომლებს შესაბამისი პროფილის საერთაშორისო და არასამთავრობო ორგანიზაციებთან მათი ჩართულობისა და გამოცდილების გაზიარების მიზნით.

**პროგრამის მიზნობრივი ჯგუფები**

- ❖ ქალაქ ბათუმის მოსახლეობა;
- ❖ ადგილობრივი თვითმმართველობა.

**პროგრამაში ჩართული მხარეები**

- ❖ ცენტრალური ხელისუფლება;
- ❖ რეგიონული ხელისუფლება;
- ❖ ადგილობრივი თვითმმართველობა;
- ❖ არასამთავრობო ორგანიზაციები;
- ❖ სამოქალაქო სექტორი;
- ❖ ბიზნეს სექტორი.

**პროგრამის სავარაუდო ბიუჯეტი და მისი დაფინანსების წყარო**

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი.

**პროგრამის განმახორციელებელი ერთეული და განხორციელების მეთოდი**

- ❖ ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის არქიტექტურისა და ურბანული განვითარების სამსახური;
- ❖ ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის ქონების მართვისა და ეკონომიკური პოლიტიკის სამსახური.

**პროგრამის განხორციელების სამოქმედო გეგმა**

წელი	განსახორციელებელი ღონისძიებები	1 კვარტ.			2 კვარტ.			3 კვარტ.			4 კვარტ.		
	ქ. ბათუმის ეკონომიკური, სოციალური და კულტურული განვითარების ცენტრების შექმნის კვლევის ტექნიკური დავალების												



შემუშავება													
ქ. ბათუმის ეკონომიკური, სოციალური და კულტურული განვითარების ცენტრების შექმნის კვლევის მომზადების მომსახურების შესყიდვა.													

**შედეგების შეფასების ინდიკატორები**

- ❖ ქ. ბათუმის ეკონომიკური, სოციალური და კულტურული განვითარების ცენტრების შექმნის ტექნიკურ-ეკონომიკური დასაბუთების დოკუმენტი;
- ❖ დოკუმენტის საფუძველზე ინიცირებული და განხორციელებული პროექტებისა და წინადადებების რაოდენობა.



### 3.5 ქალაქის შემოერთებული ტერიტორიების განვითარების ხელშეწყობა

#### 3.5.1. ქალაქის შემოერთებული ტერიტორიების ეკონომიკური განვითარების სტიმულირება

##### პროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი

პროგრამის მიზანია გაზარდოს შემოერთებულ ტერიტორიაზე მცხოვრები მოსახლეობის ეკონომიკური აქტივობა მათთვის მიზნობრივ პროგრამებზე ხელმისაწვდომობის გაზრდით. პროგრამის მიზანია ასევე ქალაქის შემოერთებული ტერიტორიების ეკონომიკური პოტენციალის ათვისების ხელშეწყობა სოფლის მეურნეობის მიმართულელებით სახელმწიფო მიზნობრივი პროგრამების განხორციელებით.

##### პროგრამის აღწერა

2011 წელს, ქალაქ ბათუმის ადმინისტრაციული საზღვრების გაფართოების შემდგომ, ქალაქის ტერიტორიის საზღვრებში მოექცა შემოგარენში მდებარე სოფლები, სადაც მოსახლეობა მისდევს სასოფლო-სამეურნეო საქმიანობას. ტერიტორიისათვის ქალაქის სტატუსის მინიჭების შემდგომ, მოსახლეობას გარკვეულწილად აღარ მიუწვდება ხელი სოფლის მეურნეობის განვითარების არსებულ პროგრამებზე. აღნიშნული მუნიციპალური პროგრამის ფარგლებში, ქ. ბათუმის მერია აჭარის არ სოფლის მეურნეობის სამინისტროსთან მჭიდრო კოორდინაციით უზრუნველყოფს აჭარის არ სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიზნობრივ პროგრამებსა და ქვეპროგრამებში ქ. ბათუმის შემოერთებულ ტერიტორიაზე მცხოვრები მოსახლეობის მაქსიმალურ ჩართულობას.

##### განსახორციელებელი ღონისძიებები

- ❖ აჭარის არ სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიზნობრივი პროგრამების რაოდენობა, რომელთა მიზნობრივ ჯგუფებშიც გათვალისწინებული იქნება ქ. ბათუმის მოსახლეობა;
- ❖ აჭარის არ სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიზნობრივ პროგრამების მონაწილეთა რაოდენობა ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტიდან.

##### პროგრამის განხორციელებასთან დაკავშირებული რისკები და მათი მართვა

№	რისკის აღწერა	რისკის ალბათობა	რისკის მნიშვნელობა	რისკების მართვის მექანიზმები
1	მიზნობრივი ჯგუფების დაბალი აქტივობა	3	4	ქ. ბათუმის მერია უზრუნველყოფს მიზნობრივი პროგრამების შესახებ ინფორმაციის გავრცელებას მასობრივი საინფორმაციო საშუალებებითა და შესაბამისი მიზნობრივი ჯგუფების ინფორმირებასა



				და დაინტერესებას პროგრამებით სარგებლობის მიმართულებით.
--	--	--	--	---

**პროგრამის მიზნობრივი ჯგუფები**

- ❖ ადგილობრივი თვითმმართველობა;
- ❖ ქ. ბათუმის შემოერთებულ ტერიტორიებზე მცხოვრები მოსახლეობა.

**პროგრამაში ჩართული მხარეები**

- ❖ ადგილობრივი თვითმმართველობა;
- ❖ რეგიონული ხელისუფლება;
- ❖ ცენტრალური ხელისუფლება;
- ❖ არასამთავრობო ორგანიზაციები.

**პროგრამის სავარაუდო ბიუჯეტი და მისი დაფინანსების წყარო**

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი.

**პროექტის განმახორციელებელი ერთეული და განხორციელების მეთოდი**

ქ. ბათუმის მერიის ქონების მართვისა და ეკონომიკური პოლიტიკის სამსახური აჭარის არ სოფლის მეურნეობის სამინისტროსთან კოორდინაციით.

პროგრამა განხორციელდება უშუალოდ პასუხისმგებელი სტრუქტურული ერთეულის მიერ.

**პროგრამის განხორციელების სამოქმედო გეგმა**

წელი	განსახორციელებელი ღონისძიებები	1 კვარტ.			2 კვარტ.			3 კვარტ.			4 კვარტ.		
	აჭარის არ სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიზნობრივი პროგრამების რაოდენობა, რომელთა მიზნობრივ ჯგუფებშიც გათვალისწინებული იქნება ქ. ბათუმის მოსახლეობა.												
	აჭარის არ სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიზნობრივ პროგრამების მონაწილეთა რაოდენობა ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტიდან.												

**შედეგების შეფასების ინდიკატორები**

- ❖ ქალაქის შემოერთებული ტერიტორიებისათვის ამოქმედებული მიზნობრივი პროექტების რაოდენობა;
- ❖ ქალაქის შემოერთებულ ტერიტორიებზე მცხოვრები ბენეფიციარების რაოდენობა, რომლებმაც ისარგებლეს სახელმწიფო მიზნობრივი პროგრამებით.



**3.5.2 გადამამუშავებელ საწარმოების შექმნისა და განვითარების ხელშეწყობა**

**პროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი**

პროგრამის მიზანია ქალაქის შემოერთებული ტერიტორიების ურბანიზაციის ხელშეწყობა, მათი ეკონომიკური აქტივობის გაძლიერება და შემოერთებულ ტერიტორიაზე მცხოვრები მოსახლეობის დასაქმების ხელშეწყობა.

**პროგრამის აღწერა**

პროგრამის ფარგლებში, აჭარის არ სოფლის მეურნეობის სამინისტროსთან კოორდინაციით, ქალაქ ბათუმის მერია ხელს შეუწყობს ქალაქის შემოერთებულ ტერიტორიებზე, სოფლის ტიპის დასახლებებში სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის გადამამუშავებელი საწარმოების შექმნასა და განვითარებას. ამ მიზნით ქ. ბათუმის მერია დაინტერესებული პირებისათვის უზრუნველყოფს მიწის შეღავათიანი პირობებით გადაცემას, ტერიტორიის კომუნიკაციით უზრუნველყოფას და ასევე კონსულტაციების გაწევას მუნიციპალიტეტის კომპეტენციას მიკუთვნებული საკითხების მოგვარების მიმართულებით.

**განსახორციელებელი ღონისძიებები**

- ✓ აჭარის არ სოფლის მეურნეობის სამინისტროსთან კოორდინაციით, დაინტერესებული პირების მიერ წარმოდგენილი წინადადებების განხილვა;
- ✓ მიწის შეღავათიანი პირობებით გადაცემასთან დაკავშირებული საკითხების უზრუნველყოფა;
- ✓ ტერიტორიის უზრუნველყოფა კომუნიკაციებით;
- ✓ საინფორმაციო-საკონსულტაციო შეხვედრების გამართვა.

**პროგრამის განხორციელებასთან დაკავშირებული რისკები და მათი მართვა**

№	რისკის აღწერა	რისკის ალბათობა	რისკის მნიშვნელობა	რისკების მართვის მექანიზმები
1	შეზღუდული ხელმისაწვდომობა მიწის ნაკვეთებზე	3	5	ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტი ითანამშრომლებს შესაბამის სამთავრობო უწყებებთან საუკეთესო წინადადებებისათვის მიწის გამოყოფის საკითხების მოგვარების მიმართულებით.

**პროგრამის მიზნობრივი ჯგუფები**

- ❖ ადგილობრივი თვითმმართველობა;
- ❖ სასოფლო-სამეურნეო

**პროგრამაში ჩართული მხარეები**

- ❖ ცენტრალური ხელისუფლება;
- ❖ რეგიონული ხელისუფლება;
- ❖ ადგილობრივი თვითმმართველობა;



- პროდუქციის გადამამუშავებით დაინტერესებული პირები.
- ❖ ქალაქ ბათუმის მოსახლეობა;
  - ❖ არასამთავრობო ორგანიზაციები.

### პროგრამის სავარაუდო ბიუჯეტი და მისი დაფინანსების წყარო

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი.

### პროექტის განმახორციელებელი ერთეული და განხორციელების მეთოდი

ქ. ბათუმის მერიის ქონების მართვისა და ეკონომიკური პოლიტიკის სამსახური.

პროექტი განხორციელდება უშუალოდ პასუხისმგებელი სტრუქტურული ერთეულის მიერ განმახორციელებელ პარტნიორთან - აჭარის არ სოფლის მეურნეობის სამინისტროსთან კოორდინაციით.

### პროგრამის განხორციელების სამოქმედო გეგმა

წელი	განსახორციელებელი ღონისძიებები	1 კვარტ.			2 კვარტ.			3 კვარტ.			4 კვარტ.		
	აჭარის არ სოფლის მეურნეობის სამინისტროსთან კოორდინაციით, დაინტერესებული პირების მიერ წარმოდგენილი წინადადებების განხილვა												
	მიწის შეღავათიანი პირობებით გადაცემასთან დაკავშირებული საკითხების უზრუნველყოფა												
	ტერიტორიის უზრუნველყოფა კომუნიკაციებით												
	საინფორმაციო-საკონსულტაციო შეხვედრების გამართვა.												

### შედეგების შეფასების ინდიკატორები

- ❖ სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის გადამამუშავებელი საწარმოების მშენებლობის მიმართულებით შემოსული წინადადებების რაოდენობის ზრდა;
- ❖ ქალაქის ტერიტორიაზე მოქმედი სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის გადამამუშავებელი საწარმოების რაოდენობა;
- ❖ გამართული საინფორმაციო-საკონსულტაციო შეხვედრების რაოდენობა.



## მუნიციპალური სერვისების გაუმჯობესება

### 4.1 კომუნალური სერვისების გაუმჯობესება

- 4.1.1 უწყვეტი წყალმომარაგების სისტემის განვითარება
- 4.1.2 წყალარინების სისტემის რეაბილიტაცია
- 4.1.3 სანიაღვრე არხების რეაბილიტაცია
- 4.1.4 მუნიციპალური ნარჩენების მართვის ეფექტური სისტემის დანერგვა და განხორციელება
- 4.1.5 მოქალაქეთა ბუნებრივი აირით მომსახურების უზრუნველყოფა
- 4.1.6 ქალაქის ენერგომომარაგების გაუმჯობესების ხელშეწყობა

### 4.2 ქალაქის კეთილმოწყობის სამუშაოები და საბინაო პოლიტიკა

- 4.2.1 შიდასაუბნო გზების რეაბილიტაცია
- 4.2.2 საცხოვრებელი სახლების რეაბილიტაცია და საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესების ხელშეწყობა
- 4.2.3 მუნიციპალური სასაფლაოების მოწყობა და მოვლა-პატრონობა

### 4.3 მუნიციპალური სატრანსპორტო სისტემის განვითარება

- 4.3.1 ქ. ბათუმის ეფექტური პარკირების სისტემის შემუშავება და ამოქმედება
- 4.3.2 მუნიციპალური ტრანსპორტით მგზავრთა გადაყვანის ეფექტური სისტემის შემუშავება და განხორციელება
- 4.3.3 ბათუმის მუნიციპალური ავტობუსების პარკის განახლება
- 4.3.4 ქალაქ ბათუმის ველოსისტემის განვითარება
- 4.3.5 მუნიციპალური ტრანსპორტის ერთიანი სატარიფო სისტემის დანერგვა

### 4.4 ენერგოეფექტური ტექნოლოგიების დანერგვა და განვითარება. განახლებადი ენერჯის გამოყენების ზრდა

- 4.4.1 ენერგოეფექტურობის სადემონსტრაციო პროექტების განხორციელება.
- 4.4.2 საცხოვრებელი სახლების დათბუნება
- 4.4.3 გარე განათების მინიმალური სტანდარტის დანერგვა

### 4.5 ქალაქის გამწვანებისა და გარემოს დაცვის ღონისძიებები

- 4.5.1 ქალაქის გამწვანების გეგმის შემუშავება და განხორციელება





4.5.2 ქალაქის ეკოლოგიური მდგომარეობის გაუმჯობესება და სარეკრეაციო ინფრასტრუქტურის განვითარება

4.5.3 კლიმატის ცვლილების შერბილებისა და ადაპტაციის ღონისძიებების განხორციელება

#### **4.6 მუნიციპალური სერვისების გაუმჯობესება**

4.6.1 მუნიციპალური სერვისების ავტომატიზაცია და მომსახურების „ერთი ფანჯრის პრინციპი“-ს ამოქმედება

#### **4.7 მუნიციპალური ქონების მართვა**

4.7.1 მუნიციპალური ქონების ინვენტარიზაცია

4.7.2 ინფრასტრუქტურული პროექტებისა და აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის ექსპრორპიაციას დაქვემდებარებული უძრავი ქონების ათვისება



## 4. მუნიციპალური სერვისების გაუმჯობესება

### 4.1 კომუნალური სერვისების გაუმჯობესება

#### 4.1.1 უწყვეტი წყალმომარაგების სისტემის განვითარება

##### პროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი

პროგრამის მიზანია წყლის სისტემების გამართული ფუნქციონირების უზრუნველყოფა ქალაქის მთელ ტერიტორიაზე და მოსახლეობისათვის წყლის უსაფრთხოდ და უწყვეტ რეჟიმში მიწოდების უზრუნველყოფა.

##### პროგრამის აღწერა

ქალაქ ბათუმში გერმანიის განვითარების ბანკის (KfW) შეღავათიანი სესხის ფარგლებში 2007 წლიდან მიმდინარეობს წყლისა და კანალიზაციის რეაბილიტაციის პროექტი, რომლის I და II ფაზების ფარგლებში განხორციელდა წყლისა და წყალარინების სისტემების რეაბილიტაცია ძველ ბათუმში, ასევე გადამცემი მაგისტრალის რეაბილიტაცია, წყლის სისტემის რეაბილიტაცია ე.წ. ჭაობის ტერიტორიაზე, ბარცხანის უმეტესი ნაწილის, ლეონიძის და ინასარიძის ქუჩების დასახლებებში. ინჯალოსა და სალიბაურის სამარაგო რეზერვუარების მშენებლობა, ადლიის წყალარინების გამწმენდი ნაგებობისა და ჩაისუბნის წყლის გამწმენდი ნაგებობის მშენებლობა, ბარცხანის წყლის სატუმბო სადგურის რეაბილიტაცია, A და B წყალარინების სატუმბო სადგურის რეაბილიტაცია და სხვა თანამდები ღონისძიებები. სარფი, გონიოს, კვარიათისა და ახალსოფლის წყალარინების რეაბილიტაცია 7 შუალედური სატუმბო სადგურებით, ჩაისუბნის წყალგამწმენდი ნაგებობის მშენებლობა, მეჯინისწყლის სათავე ნაგებობის რეაბილიტაცია, ძველი ბათუმის ტერიტორიაზე წყალარინების სისტემის რეაბილიტაცია. პროექტის მესამე ფაზის ფარგლებში განხორციელდა: ე.წ. ჭაობის დასახლების წყალარინების სისტემის რეაბილიტაცია, ბონი-გოროდოკის, ბარცხანისა და თამარის დასახლების წყალარინების სისტემის რეაბილიტაცია, მახინჯაურის 1800 მ3 წყლის რეზერვუარის მშენებლობა, ჩაქვის, მწვანე კონცხისა და მახინჯაურის წყალმომარაგების ახალი სისტემების მშენებლობა, ჩაქვში 2500 მ3 და 900 მ3 წყლის სამარაგო რეზერვუარის მშენებლობა, თამარის დასახლების წყალმომარაგება, ანგისის ქუჩისა და აეროპორტის მიმდებარე ტერიტორიები.

პროექტის მე-4 ფაზის ფარგლებში განხორციელდება გონიოს დასახლებაში სასმელი წყლის რეზერვუარის მშენებლობისათვის საჭირო მიწის ნაკვეთის შესყიდვა, 2000 მ3 წყლის რეზერვუარის მშენებლობა და შესაბამისად ახალსოფლის, გონიოსა და კვარიათის წყალმომარაგების სამუშაოები. ასევე განხორციელდება წყლის სისტემის მოწყობის სამუშაოები ბათუმის სამრეწველო უბანში.

შპს „ბათუმის წყალი“ წყალმომარაგების, წყალარინებისა და სანიაღვრე წყლების სისტემას უწევს ექსპლუატაციას და უზრუნველყოფს მის ნორმალურ ფუნქციონირებას. ქალაქ ბათუმის მერიამ და შპს „ბათუმის წყალმა“ მოსახლეობის ინდივიდუალური გამრიცხველიანება 2010 წელს დაიწყო. მოსახლეობისთვის სრულიად უფასოდ ხდება სტანდარტული და რადიომრიცხველების დამონტაჟება. გამრიცხველიანების შედეგად



შემცირდა არაშემოსავლიანი წყლის რაოდენობა და გაიზარდა გადასახადის ამოღება. გამრიცხველიანებული მოსახლეობის საერთო რაოდენობა 83%-ს შეადგენს. დარჩენილი აბონენტების აღრიცხვის ახალ სისტემაზე გადაყვანა ეტაპობრივად მოხდება.

წყლის დაქლორვის პროცესის თანამედროვე სისტემაზე გადაყვანის მიზნით კომპანია „ბათუმის წყალმა“ გაზობრივი ქლორი უფრო უსაფრთხო თხევადი ქლორით შეცვალა, რომლის წარმოება ადგილზე, სათავე ნაგებობებსა, თუ რეზერვუარებში ხდება. წყლის ხარისხის უწყვეტ რეჟიმში მონიტორინგს კომპანიის ცენტრალური ლაბორატორია, სასმელი წყლის ტექნიკური რეგლამენტით დადგენილი ქიმიური, მიკრობიოლოგიური და ორგანოლექტიკური თვისებების შესაბამისად ახდენს. ხარისხის კონტროლი სათაო ნაგებობებზე, რეზერვუარებში და ქალაქის წყალსადენის ქსელში ხორციელდება.

### განსახორციელებელი ღონისძიებები

- ✓ გონიოს დასახლებაში სასმელი წყლის რეზერვუარის მშენებლობისათვის საჭირო მიწის ნაკვეთის შესყიდვა;
- ✓ 2000 მ3 წყლის რეზერვუარის მშენებლობა;
- ✓ ახალსოფლის, გონიოსა და კვარიათის წყალმომარაგების სამუშაოების განხორციელება;
- ✓ სამრეწველო უბნის წყალმომარაგების სამუშაოების განხორციელება;
- ✓ ქ. ბათუმის ადმინისტრაციულ საზღვრებში წყალმომარაგების სამუშაოების პირველი ეტაპის ფარგლებში აბონენტთა წყლის ცენტრალურ სისტემაზე დაერთების სამუშაოების განხორციელება.

### პროგრამის განხორციელებასთან დაკავშირებული რისკები და მათი მართვა

№	რისკის აღწერა	რისკის ალბათობა	რისკის მნიშვნელობა	რისკების მართვის მექანიზმები
1	შეზღუდული ფინანსური რესურსები	3	5	ფინანსური რესურსების ხელმისაწვდომობის მიზნით ქ. ბათუმის მერია უზრუნველყოფს თანამშრომლობას საერთაშორისო საფინანსო და დონორ ორგანიზაციებთან გრძელვადიანი შეღავათიანი ფინანსური რესურსების მობილიზებისათვის.

### პროგრამის მიზნობრივი ჯგუფები

- ❖ ქალაქ ბათუმის მოსახლეობა.

### პროგრამაში ჩართული მხარეები

- ❖ ადგილობრივი თვითმმართველობა;
- ❖ რეგიონული ხელისუფლება;
- ❖ ცენტრალური ხელისუფლება;
- ❖ საერთაშორისო და დონორი ორგანიზაციები;



❖ არასამთავრობო ორგანიზაციები.

**პროგრამის სავარაუდო ბიუჯეტი და მისი დაფინანსების წყარო**

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი.

**პროგრამის განმახორციელებელი ერთეული და განხორციელების მეთოდი**

ქალაქ ბათუმის მერიის ქონების მართვისა და ეკონომიკური პოლიტიკის სამსახური;  
შპს „ბათუმის წყალი“.

**პროგრამის განხორციელების სამოქმედო გეგმა**

წელი	განსახორციელებელი ღონისძიებები	1 კვარტ.			2 კვარტ.			3 კვარტ.			4 კვარტ.		
	გონიოს დასახლებაში სასმელი წყლის რეზერვუარის მშენებლობისათვის საჭირო მიწის ნაკვეთის შესყიდვა												
	2000 მ3 წყლის რეზერვუარის მშენებლობა												
	ახალსოფლის, გონიოსა და კვარიათის წყალმომარაგების სამუშაოების განხორციელება												
	სამრეწველო უბნის წყალმომარაგების სამუშაოების განხორციელება												
	ქ. ბათუმის ადმინისტრაციულ საზღვრებში წყალმომარაგების სამუშაოების პირველი ეტაპის ფარგლებში აბონენტთა წყლის ცენტრალურ სისტემაზე დაერთების სამუშაოების განხორციელება.												

**შედეგების შეფასების ინდიკატორები**

- ❖ მოწყობილი ახალი სანიაღვრე არხების საერთო სიგრძე;
- ❖ კაპიტალურად რეაბილიტირებული სანიაღვრე არხების საერთო სიგრძე;
- ❖ სანიაღვრე არხებისა და მილების საერთო სიგრძე, რომლებზეც რეგულარულად ხორციელდება მიმდინარე მოვლა- კატრონობის და გაწმენდის სამუშაოები;
- ❖ ზღვაში გასასვლელი არხების რაოდენობა, რომლებზეც რეგულარულად ხორციელდება გაწმენდის სამუშაოები.



#### 4.1.2 წყალარინების სისტემის რეაბილიტაცია

##### **პროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი**

პროგრამის მიზანია წყალარინების სისტემის კაპიტალური რეაბილიტაცია ქალაქის მთელ ტერიტორიაზე და მისი გამართული და შეუფერხებელი ფუნქციონირების უზრუნველყოფა, რაც ერთის მხრივ შექმნის პირობებს კომუნალური ინფრასტრუქტურის თანამედროვე სტანდარტის შექმნისათვის და მეორეს მხრივ ეკოლოგიის თვალსაზრისით შეამცირებს გარემოს დაბინძურებასა და მასზე უარყოფით ზეგავლენას.

##### **პროგრამის აღწერა**

ბათუმის მერიამ შპს „ბათუმის წყალთან“ ერთად, გერმანიის რეკონსტრუქციის ბანკის მიერ დაფინანსებული პროექტის თანახმად, 2007 წელს ბათუმის წყალარინების ახალი ქსელის გაყვანა დაიწყო.

კომუნალური ინფრასტრუქტურის რეაბილიტაციის პროექტი რამდენიმე ფაზადაა დაყოფილი. I და II ფაზების ფარგლებში, ძველი ბათუმისა და რუსთაველის ადმინისტრაციულ ერთეულებში წყალარინების სისტემა შეიცვალა. III ფაზაში ხიმშიაშვილის, ბონი-გოროდოკისა და თამარის ადმინისტრაციული ერთეულების წყალარინების სისტემის გაყვანა და რეკონსტრუქცია მოხდება.

შპს „ბათუმის წყალი“ წყალარინების ცხრა სატუმბოს უწევს ექსპლუატაციას: A და B სატუმბოებს (განთავსებულია ბათუმში), ახალსოფლის, კვარიათის, სარფისა და გონიოს ოთხ სატუმბო სადგურს. მომავალში იგეგმება ორი ახალი სატუმბოს აშენება ე.წ. ბენზესა და ბარცხანის დასახლებებში. A და B წყალარინების სატუმბოს რეკონსტრუქცია, პროექტის ფარგლებში, 2009 წელს ჩაუტარდა, ხოლო დანარჩენი სატუმბოების მშენებლობა 2011 წელს დაიწყო და 2012 წელს დასრულდა. წყალარინების სატუმბოების დანიშნულება, წყალარინების წყლების შეკრება და ადლიის ჩამდინარე წყლების გამწმენდ ნაგებობაში გადატუმბვაა.

აღნიშნული ერთ-ერთი ყველაზე რთული და მასშტაბური ობიექტის, გამწმენდი ნაგებობის მშენებლობა 2010 წელს დაიწყო. პროექტი ავსტრიულმა კომპანიამ Posch&Partner Hydro Ingenieure შექმნა, ხოლო გერმანიის რეკონსტრუქციის ბანკმა 17 მილიონი ევროთი დააფინანსა. გამწმენდი ნაგებობის მშენებლობა 2012 წელს დასრულდა. მას ეკოლოგიური თვალსაზრისით რეგიონში ანალოგი რთულად მოეძებნება.

გამწმენდ ნაგებობაში ჩამდინარე წყლების რამდენიმე საფეხურიანი გაწმენდა ხდება: პირველადი მექანიკური, ბიოლოგიური და მეორადი მექანიკური. პირველადი მექანიკური გაწმენდის დროს ჩამდინარე წყლები ქვიშის, ცხიმისა და ნარჩენებისგან იწმინდება, შემდეგ კი, შლამის შეგროვება და სტაბილიზირება ხდება. ბიოლოგიური გაწმენდის ეტაპზე, ამინიუმი ნიტრატამდე (ნიტრიფიკაცია) გარდაიქმნება და ცხიმები, ცილები და ნახშირწყლები რედუცირდება. მეორადი მექანიკური გაწმენდის დროს, წყალს საბოლოო სალექარებში მეორადი შლამი ჩამოშორდება. გაწმენდილი წყალი, ზღვაში სატუმბო სადგურის მეშვეობით ჩაედინება. სატუმბო მილი ზღვაში 1 კმ და 100 მეტრის მანძილზე შედის და 40 მეტრ სიღრმეზე ხდება წყლის ჩაშვება. გაწმენდილი წყლის ყოველდღიურ



მონიტორინგს ადლიის წყალარინების გამწმენდი ნაგებობის ლაბორატორია, ევროკავშირის სტანდარტის - ზღვაში ჩასაშვები გაწმენდილი წყლის ზღვრული ნორმების თანახმად ახდენს.

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება ქალაქის ეზოების ქსელის კანალიზაციის სისტემის ახალ ქსელზე დაერთების სამუშაოები.

გერმანიის განვითარების ბანკის შეღავათიანი სესხის ფარგლებში განხორციელებული წყლისა და კანალიზაციის სისტემის რეაბილიტაციის პროექტი არ ფარავს სრულად ქალაქის ტერიტორიას. წყალარინების სისტემების მოწყობას საჭიროებს ჩაქვის, მახინჯაურისა და მწვანე კონცხის უბნები. ქ. ბათუმის მერია ქალაქის ცალკეულ ადგილებში წყალარინების საკითხის გადასაწყვეტად მოამზადებს ალტერნატიულ გეგმას, რომელიც არასტანდარტული გადაწყვეტილების გზით საშუალებას მისცემს მერიას თანამედროვე მეთოდების გამოყენებით უზრუნველყოს წყალარინების რეაბილიტაციის ღონისძიებების განხორციელება.

**განსახორციელებელი ღონისძიებები**

- ✓ ქ. ბათუმის ტერიტორიაზე არსებული ეზოების ქსელის კანალიზაციის სისტემის ახალ ქსელზე დაერთება;
- ✓ ქალაქის ტერიტორიაზე არსებული არასტანდარტული ლოკაციებისა და ძირითადი შემაფერხებელი გარემოებების გამოვლენა;
- ✓ ღონისძიებების განსაზღვრა არატიპიური ლოკაციებისათვის წყალარინების სისტემის მოწყობასთან დაკავშირებით;
- ✓ წყალარინების სისტემის მოწყობის გეგმის შემუშავება ჩაქვის, მწვანე კონცხისა და მახინჯაურის ტერიტორიებისათვის, სადაც არ არის მოწყობილი წყალარინების სისტემები.

**პროგრამის განხორციელებასთან დაკავშირებული რისკები და მათი მართვა**

№	რისკის აღწერა	რისკის ალბათობა	რისკის მნიშვნელობა	რისკების მართვის მექანიზმები
1	შეზღუდული ფინანსური რესურსები	3	5	ფინანსური რესურსების ხელმისაწვდომობის მიზნით ქ. ბათუმის მერია უზრუნველყოფს თანამშრომლობას საერთაშორისო საფინანსო და დონორ ორგანიზაციებთან გრძელვადიანი შეღავათიანი ფინანსური რესურსების მობილიზებისათვის.



- ❖ ქალაქ ბათუმის მოსახლეობა.
- ❖ ადგილობრივი თვითმმართველობა;
- ❖ რეგიონული ხელისუფლება;
- ❖ ცენტრალური ხელისუფლება;
- ❖ საერთაშორისო და დონორი ორგანიზაციები;
- ❖ არასამთავრობო ორგანიზაციები.

**პროგრამის სავარაუდო ბიუჯეტი და მისი დაფინანსების წყარო**

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი.

**პროგრამის განმახორციელებელი ერთეული და განხორციელების მეთოდი**

- ❖ ქ. ბათუმის მერიის ქონების მართვისა და ეკონომიკური პოლიტიკის სამსახური;
- ❖ შპს „ბათუმის წყალი“

**პროგრამის განხორციელების სამოქმედო გეგმა**

წელი	განსახორციელებელი ღონისძიებები	1 კვარტ.			2 კვარტ.			3 კვარტ.			4 კვარტ.		
	ქ. ბათუმის ტერიტორიაზე არსებული ეზოების ქსელის კანალიზაციის სისტემის ახალ ქსელზე დაერთება												
	ქალაქის ტერიტორიაზე არსებული არასტანდარტული ლოკაციებისა და ძირითადი შემაფერხებელი გარემოებების გამოვლენა												
	ღონისძიებების განსაზღვრა არატიპიური ლოკაციებისათვის წყალარინების სისტემის მოწყობასთან დაკავშირებით												
	წყალარინების სისტემის მოწყობის გეგმის შემუშავება ჩაქვის, მწანე კონცხისა და მახინჯაურის ტერიტორიებისათვის, სადაც არ არის მოწყობილი წყალარინების სისტემები												

**შედეგების შეფასების ინდიკატორები**

- ❖ გამწმენდ ნაგებობებში ჩართული საკანალიზაციო ქსელის ზრდის %-ლი მაჩვენებელი;
- ❖ წყალარინების ცენტრალურ ქსელზე დაერთებული აბონენტების რაოდენობა;
- ❖ შემუშავებულია გეგმა არატიპიური ადგილებისათვის წყალარინების სისტემის მოწყობის ალტერნატიულ საშუალებებთან დაკავშირებით.



### 4.1.3 სანიაღვრე არხების რეაბილიტაცია

#### პროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი

პროგრამის მიზანია ქალაქის სანიაღვრე სისტემის გამტარუნარიანობის გაუმჯობესება და გაფართოება რაც უზრუნველყოფს ძლიერი წვიმების პერიოდში ქალაქის დატბორვისა და შესაბამისი მატერიალური ზარალის რისკების მინიმუმამდე დაყვანას.

#### პროგრამის აღწერა

გერმანიის განვითარების ბანკის (KfW) შეღავათიანი სესხის ფარგლებში, წყლისა და ჩამდინარე წყლების სისტემის პროექტის პარალელურად მიმდინარეობს სანიაღვრე არხების რეაბილიტაციის პროექტი, რომლის მე-3 ფაზის ფარგლებშიც სანიაღვრე არხების რეაბილიტაციისა და წყალარინებისათვის ერთობლივად გამოიყო 14 მილიონი ევრო - 7 მილიონი გრანტი და 7 მილიონი შეღავათიანი სესხი. აღნიშნული პროექტის ფარგლებში განხორციელდება: ჯავახიშვილის ქუჩის სანიაღვრე სისტემის მშენებლობა, გ. ბრწყინვალის ქუჩის სანიაღვრე არხების მშენებლობა, არდაგანის ტბის მიმდებარედ სანიაღვრე არხებისა და წყალარინების სატუმბო სადგურის მშენებლობა. პროექტის თანადაფინანსების ფარგლებში, ქ. ბათუმის მერია განახორციელებს ქალაქის ღია და დახურული სანიაღვრე არხების, სანიაღვრე ჭების მშენებლობა-რეაბილიტაცია, სანიაღვრე წყლების გადამქაჩი, კომბინირებული სატუმბო სადგურების (სალექართან ერთად) და სანიაღვრე წყლების პირველადი ნაკადის მიმღები ავზების მშენებლობა; სანიაღვრე ჭების გაწმენდა, შლამის ამოღება და გატანა შლამწოვის საშუალებით; დახურული და ღია, აგრეთვე ზღვაში გასასვლელი სანიაღვრე არხების გაწმენდა; სანიაღვრე მილების გაწმენდა ჭურვის გატარებით; სანიაღვრე ჭების მიმდინარე შეკეთება; გადახურვის ფილის გამოცვლა; სანიაღვრე არხების სანიტარულ-ჰიგიენური დამუშავება; მდინარეების ფსკერების გაწმენდა; სანიაღვრე არხების მშენებლობა-რეკონსტრუქცია.

#### განსახორციელებელი ღონისძიებები

- ✓ ჯავახიშვილის ქუჩის სანიაღვრე სისტემის მშენებლობა;
- ✓ გ. ბრწყინვალის ქუჩის სანიაღვრე არხების მშენებლობა;
- ✓ არდაგანის ტბის მიმდებარედ სანიაღვრე არხებისა და წყალარინების სატუმბო სადგურის მშენებლობა.
- ✓ სანიაღვრე ქსელების მიმდინარე მოვლა-ექსპლუატაცია
- ✓ ახალი ქუჩების მშენებლობა/რეაბილიტაციი პარალელურად სანიაღვრე არხების კაპიტალური რეაბილიტაცია ქალაქის ადმინისტრაციულ უბნებში.

#### პროგრამის განხორციელებასთან დაკავშირებული რისკები და მათი მართვა

№	რისკის აღწერა	რისკის ალბათობა	რისკის მნიშვნელობა	რისკების მართვის მექანიზმები
1	შეზღუდული ფინანსური რესურსები			ფინანსური რესურსების ხელმისაწვდომობის





		3	5	მიზნით ქ. ბათუმის მერია უზრუნველყოფს თანამშრომლობას საერთაშორისო საფინანსო და დონორ ორგანიზაციებთან გრძელვადიანი შეღავათიანი ფინანსური რესურსების მოზილიზებისათვის.
--	--	---	---	---

**პროგრამის მიზნობრივი ჯგუფები**

- ❖ ქალაქ ბათუმის მოსახლეობა.

**პროგრამაში ჩართული მხარეები**

- ❖ ადგილობრივი თვითმმართველობა;
- ❖ რეგიონული ხელისუფლება;
- ❖ ცენტრალური ხელისუფლება;
- ❖ საერთაშორისო და დონორი ორგანიზაციები;
- ❖ არასამთავრობო ორგანიზაციები.

**პროგრამის სავარაუდო ბიუჯეტი და მისი დაფინანსების წყარო**

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი.

საერთაშორისო საფინანსო და დონორი ორგანიზაციები.

**პროგრამის განმახორციელებელი ერთეული და განხორციელების მეთოდი**

ქ. ბათუმის მერიის კეთილმოწყობის სამსახური.

**პროგრამის განხორციელების სამოქმედო გეგმა**

წელი	განსახორციელებელი ღონისძიებები	1 კვარტ.			2 კვარტ.			3 კვარტ.			4 კვარტ.		
	ჯავახიშვილის ქუჩის სანიაღვრე სისტემის მშენებლობა												
	გ. ბრწყინვალის ქუჩის სანიაღვრე არხების მშენებლობა												
	არდაგანის ტბის მიმდებარედ სანიაღვრე არხებისა და წყალარინების სატუმბო სადგურის მშენებლობა												
	სანიაღვრე ქსელების მიმდინარე მოვლა-ექსპლუატაცია												
	ახალი ქუჩების მშენებლობა/რეაბილიტაცია პარალელურად სანიაღვრე არხების კაპიტალური რეაბილიტაცია ქალაქის ადმინისტრაციულ უბნებში												



### შედეგების შეფასების ინდიკატორები

- ❖ მოწყობილი ახალი სანიაღვრე არხების საერთო სიგრძე;
- ❖ კაპიტალურად რეაბილიტირებული სანიაღვრე არხების საერთო სიგრძე;
- ❖ სანიაღვრე არხებისა და მილების საერთო სიგრძე, რომლებზეც რეგულარულად ხორციელდება მიმდინარე მოვლა- პატრონობის და გაწმენდის სამუშაოები;
- ❖ ზღვაში გასასვლელი არხების რაოდენობა, რომლებზეც რეგულარულად ხორციელდება გაწმენდის სამუშაოები.



#### 4.1.4 მუნიციპალური ნარჩენების მართვის ეფექტური სისტემის დანერგვა და განხორციელება

##### პროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი

პროგრამის მიზანია მუნიციპალური ნარჩენების მართვის ეფექტური სისტემის ჩამოყალიბება და ამოქმედება საერთაშორისო სტანდარტებისა და საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნების შესაბამისად.

##### პროგრამის აღწერა

2017 წელს ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტმა ოფიციალურად დაამტკიცა ბათუმის მუნიციპალური ნარჩენების მართვის 5 წლიანი გეგმა, რომელიც მიმართულია 2018-2022 წლებში ნარჩენების მართვის კუთხით დაგეგმილი ღონისძიებების განხორციელებაზე. ბათუმის მუნიციპალური ნარჩენების მართვის 5 წლიანი გეგმის მიზანია:

- ✓ კანონმდებლობით განსაზღვრული ვალდებულებების შესრულება (მ.შ ასოცირების ხელშეკრულება);
- ✓ ადმინისტრაციულ საზღვრებში არსებულ ტერიტორიაზე ნარჩენების მართვის პროცესის დაგეგმვა, ნარჩენების ინტეგრირებული მართვის თანამედროვე პრინციპებისა და მიდგომების საფუძველზე;
- ✓ ნარჩენების მართვის ისეთი სისტემის დანერგვა, რომელიც უზრუნველყოფს ქალაქ ბათუმის ტერიტორიაზე მცხოვრები მოსახლებიდან და საწარმოო დაწესებულებებიდან წარმოქმნილი ნარჩენების შეგროვებისა და გატანის ეფექტიანი მომსახურების მიწოდებას;
- ✓ ბათუმის მუნიციპალიტეტში ნარჩენების დახარისხებულად შეგროვების სისტემების ეტაპობრივი დანერგვა და გამართული ფუნქციონირება, ქვეყნისა და რეგიონის მასშტაბით აღდგენის პროცესების ხელშეწყობის მიზნით.

##### განსახორციელებელი ღონისძიებები

- ✓ ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე წარმოქმნილი ნარჩენების მონაცემთა საინფორმაციო ბაზის (მონაცემების შეგროვებისა და მონაცემთა ბაზის სისტემის) ჩამოყალიბება 2018 წლის ბოლოსთვის;
- ✓ მუნიციპალური ნარჩენების შეგროვებისა და ტრანსპორტირების ეფექტიანი მომსახურების (მათ შორის როგორც მოსახლების, ისე საწარმოების საკმარისი რაოდენობის კონტეინერებით, ნარჩენების გატანის საკმარისი სიხშირით უზრუნველყოფა) მიწოდება მოსახლეობისა და არსებული საწარმოებისათვის მუნიციპალიტეტის მთელ ტერიტორიაზე;
- ✓ ნარჩენების შეგროვების შემდეგი მინიმალური მაჩვენებლების მიღწევა:
  - მუნიციპალური ნარჩენების 95% 2021 წლისთვის;
  - სახიფათო მუნიციპალური ნარჩენების 50% 2021 წლისთვის;
- ✓ სახიფათო მუნიციპალური ნარჩენების მართვის კოორდინირება საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროსთან შესაბამისი დადგენილების



- მოთხოვნების დაკმაყოფილების მიზნით;
- ✓ ქალაქ ბათუმის ადმინისტრაციულ ტერიტორიაზე სახიფათო ნარჩენების წარმომქმნელი საწარმოების და მათი დაგროვების რაოდენობების დადგენა 90%-ით 2021 წლისათვის;
  - ✓ სამრეწველო, ავტოტექნომოსახურეობის და ელექტრომემკეთებელ საწარმოებში (სპეციფიკური ნარჩენების) ინვენტარიზაციის ჩატარება და დაგროვების რაოდენობის 90% დადგენა 2021 წლისათვის.
  - ✓ ქ. ბათუმის მერიის ტერიტორიაზე არსებული სტიქიური ნაგავსაყრელების დახურვა/რემედიაცია 2020 წლისთვის;
  - ✓ ქალაქის, მინის, მეტალისა და პლასტიკის წარმოქმნის წყაროსთან სეპარირების სისტემის ჩამოყალიბება 2019 წლისთვის;
  - ✓ ქალაქის, მინის, მეტალისა და პლასტიკის რეციკლირების შემდეგი მინიმალური მაჩვენებლების მიღწევა:
    - ქალაქი 30% 2020 წლისთვის;
    - მინა 20% 2020 წლისთვის;
    - მეტალი 70% 2020 წლისთვის;
    - პლასტიკი 30% 2020 წლისთვის;
  - ✓ ქ. ბათუმის მოსახლეობიდან ნარჩენების მართვის ხარჯების სრულად ამოღების სისტემის შემუშავება და დანერგვა 2020 წლისთვის;
  - ✓ ქ. ბათუმის ტერიტორიაზე მდებარე კერძო სექტორიდან ხარჯების სრულად ამოღების სისტემის შემუშავება და დანერგვა 2020 წლისთვის;
  - ✓ ბათუმის ადმინისტრაციულ ტერიტორიაზე განლაგებულ სამედიცინო დაწესებულებებში დაგროვილი სამედიცინო ნარჩენების 100%-ით შეგროვებისა და ინსინერაციის უზრუნველყოფა 2020 წლისათვის; სამედიცინო დაწესებულებებიდან ნარჩენების შეგროვება გატანა ხდება შპს „სანდასუფთავებასთან“ გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე. ამ დროისთვის შპს „სანდასუფთავება“ ემსახურება 220 - მდე სამედიცინო დაწესებულებას, ხოლო დანარჩენები დამოუკიდებლად ახორციელებენ ნარჩენების შეგროვებას და გატანას ნაგავსაყრელის ტერიტორიაზე.
  - ✓ მოსახლეობის ცნობიერების ამაღლება ნარჩენების მართვის საკითხებზე;
  - ✓ ქ. ბათუმის მერიის თანამშრომლების უნარ-შესაძლებლობების გაძლიერება ნარჩენების მართვის ეფექტიანი სისტემის დანერგვის კუთხით.

**პროგრამის განხორციელებასთან დაკავშირებული რისკები და მათი მართვა**

№	რისკის აღწერა	რისკის ალბათობა	რისკის მნიშვნელობა	რისკების მართვის მექანიზმები
1	სამოქმედო გეგმაში გათვალისწინებული ამოცანების ვადების დარღვევა	3	5	ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტი უზრუნველყოფს გეგმის განხორციელების კონტროლის მექანიზმის შემუშავებასა და ამოქმედებას, რაც შეამცირებს გეგმით გათვალისწინებული ღონისძიებების



				ვადაგადაცილების რისკს.
2	ფინანსური რესურსების შეზღუდული ხელმისაწვდომობა	5	5	ფინანსური რესურსების ხელმისაწვდომობის მიზნით ქ. ბათუმის მერია უზრუნველყოფს თანამშრომლობას საერთაშორისო საფინანსო და დონორ ორგანიზაციებთან გრძელვადიანი შეღავათიანი ფინანსური რესურსების მობილიზებისათვის.

**პროგრამის მიზნობრივი ჯგუფები**

- ❖ ქალაქ ბათუმის მოსახლეობა;
- ❖ ქ. ბათუმის ტერიტორიაზე მოქმედი იურიდიული პირები, რომლებიც სარგებლობენ დასუფთავების სერვისით.

**პროგრამაში ჩართული მხარეები**

- ❖ ადგილობრივი თვითმმართველობა;
- ❖ რეგიონული ხელისუფლება;
- ❖ ცენტრალური ხელისუფლება;
- ❖ საერთაშორისო და დონორი ორგანიზაციები;
- ❖ არასამთავრობო ორგანიზაციები.

**პროგრამის სავარაუდო ბიუჯეტი და მისი დაფინანსების წყარო**

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი;  
საერთაშორისო საფინანსო და დონორი ორგანიზაციები.

**პროგრამის განმახორციელებელი ერთეული და განხორციელების მეთოდი**

- ❖ ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის კეთილმოწყობის სამსახური;
- ❖ ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო სამსახური;
- ❖ ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის სამსახური;
- ❖ შპს „სანდასუფთავება“.

**პროგრამის განხორციელების სამოქმედო გეგმა**

წელი	განსახორციელებელი ღონისძიებები	1 კვარტ.			2 კვარტ.			3 კვარტ.			4 კვარტ.		
	ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე წარმოქმნილი ნარჩენების მონაცემთა საინფორმაციო ბაზის (მონაცემების შეგროვებისა და მონაცემთა ბაზის სისტემის) ჩამოყალიბება 2018 წლის ბოლოსთვის												



<p>მუნიციპალური ნარჩენების შეგროვებისა და ტრანსპორტირების ეფექტიანი მომსახურების (მათ შორის როგორც მოსახლების, ისე საწარმოების საკმარისი რაოდენობის კონტეინერებით, ნარჩენების გატანის საკმარისი სიხშირით უზრუნველყოფა) მიწოდება მოსახლეობისა და არსებული საწარმოებისათვის მუნიციპალიტეტის მთელ ტერიტორიაზე</p>												
<p>ნარჩენების შეგროვების შემდეგი მინიმალური მაჩვენებლების მიღწევა:</p> <ul style="list-style-type: none"> <li>○ მუნიციპალური ნარჩენების 95% 2021 წლისთვის;</li> <li>○ სახიფათო მუნიციპალური ნარჩენების 50% 2021 წლისთვის</li> </ul>												
<p>სახიფათო მუნიციპალური ნარჩენების მართვის კოორდინირება საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროსთან შესაბამისი დადგენილების მოთხოვნების დაკმაყოფილების მიზნით</p>												
<p>ქალაქ ბათუმის ადმინისტრაციულ ტერიტორიაზე სახიფათო ნარჩენების წარმომქმნელი საწარმოების და მათი დაგროვების რაოდენობების დადგენა 90%-ით 2021 წლისათვის</p>												
<p>სამრეწველო, ავტოტექნომომსახურეობის და ელექტომემკეთებელ საწარმოებში (სპეციფიკური ნარჩენების) ინვენტარიზაციის ჩატარება და დაგროვების რაოდენობის 90% დადგენა 2021 წლისათვის.</p>												
<p>ქ. ბათუმის მერიის ტერიტორიაზე არსებული სტიქიური ნაგავსაყრელების დახურვა/რემედიაცია 2020 წლისთვის</p>												
<p>ქადალდის, მინის, მეტალისა და პლასტიკის წარმოქმნის წყაროსთან</p>												



	სეპარირების სისტემის ჩამოყალიბება 2019 წლისთვის													
	ქალაქის, მინის, მეტალისა და პლასტიკის რეციკლირების შემდეგი მინიმალური მაჩვენებლების მიღწევა: o ქალაქი 30% 2020 წლისთვის; o მინა 20% 2020 წლისთვის; o მეტალი 70% 2020 წლისთვის; o პლასტიკი 30% 2020 წლისთვის													
	ქ. ბათუმის მოსახლეობიდან ნარჩენების მართვის ხარჯების სრულად ამოღების სისტემის შემუშავება და დანერგვა 2020 წლისთვის													
	ქ. ბათუმის ტერიტორიაზე მდებარე კერძო სექტორიდან ხარჯების სრულად ამოღების სისტემის შემუშავება და დანერგვა 2020 წლისთვის													
	ბათუმის ადმინისტრაციულ ტერიტორიაზე განლაგებულ სამედიცინო დაწესებულებებში დაგროვილი სამედიცინო ნარჩენების 100%-ით შეგროვებისა და ინსინერაციის უზრუნველყოფა 2020 წლისათვის; სამედიცინო დაწესებულებებიდან ნარჩენების შეგროვება გატანა ხდება შპს „სანდასუფთავებასთან“ გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე. ამ დროსთვის შპს „სანდასუფთავება“ ემსახურება 220 - მდე სამედიცინო დაწესებულებას, ხოლო დანარჩენები დამოუკიდებლად ახორციელებენ ნარჩენების შეგროვებას და გატანას ნაგავსაყრელის ტერიტორიაზე.													
	მოსახლეობის ცნობიერების ამაღლება ნარჩენების მართვის საკითხებზე													
	ქ. ბათუმის მერიის თანამშრომლების უნარ- შესაძლებლობების გაძლიერება ნარჩენების მართვის ეფექტიანი სისტემის დანერგვის კუთხით.													



### შედეგების შეფასების ინდიკატორები

- ❖ შემუშავებული მონაცემთა ელექტონული ბაზა მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე წარმოქმნილი ნარჩენების რაოდენობის სახეობების შესახებ;
- ❖ ნარჩენების შეგროვების მინიმალური ეროვნული მაჩვენებლები:
  - მუნიციპალური ნარჩენები 90% -2021 წლისთვის;
  - სახიფათო ნარჩენები 50% 2021 წლისთვის;
- ❖ სახიფათო ნარჩენების შეგროვების მინიმალური ეროვნული მაჩვენებლების მიღწევა- 50% 2021 წლისთვის;
- ❖ ადგილობრივ დონეზე სახიფათო ნარჩენების მართვის შემუშავებული დოკუმენტი
- ❖ ქ.ბათუმის ტერიტორიაზე არსებული დახურული სტიქიური ნაგავსაყრელების რაოდენობა;
- ❖ ნარჩენების შეგროვებისა და რეციკლირების მინიმალური ეროვნული მაჩვენებლები;
- ❖ საწარმო-დაწესებულებებიდან და კომერციული ობიექტებიდან ხარჯების ამოღების მაჩვენებლები.





#### 4.1.5 მოქალაქეთა ბუნებრივი აირით მომსახურების უზრუნველყოფა

##### პროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი

პროგრამის მიზანია ხელი შეუწყოს ქალაქის ტერიტორიაზე ბუნებრივი აირის სრულად და შეუფერხებლად მიწოდებას, ასევე აღნიშნული კომუნალური მომსახურება ხელმისაწვდომი გახადოს მოწყვლადი ჯგუფებისათვის.

##### პროგრამის აღწერა

პროგრამის ფარგლებში ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია უზრუნველყოფს ბუნებრივი აირის დისტრიბუტორი კომპანიისათვის „საზოგადოებრივი ტერიტორიის/სივრცის დროებითი სარგებლობის წესის“ შესახებ ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 24 მარტის #6 დადგენილებისა და „ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებულ საზოგადოებრივ სივრცეებში გადათხრითი სამუშაოების წარმოებისას ზოგიერთი საკითხის მოწესრიგების შესახებ“ ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერის 2014 წლის 12 დეკემბრის #888 ბრძანების შესაბამისად, მაქსიმალურად შემჭიდროვებულ ვადებში, „ერთი ფანჯრის“ პრინციპით შესაბამისი სანებართვო მომსახურების გაწევას დაინტერესებული ბუნებრივი აირის დისტრიბუტორი კომპანიისათვის ქალაქის ტერიტორიაზე კომუნიკაციის გაყვანასთან დაკავშირებით.

პროგრამის ფარგლებში ასევე ქ. ბათუმის მერია განსაკუთრებულ ყურადღებას დაუთმობს მოწყვლადი ჯგუფების გაზიფიცირების საკითხს. კერძოდ, განხორციელდება მკვეთრად გამოხატული შშმ პირის, მათ შორის შშმ სტატუსის ბავშვების; ვეტერანების, მათთან გათანაბრებული პირების, ომში დაღუპულთა ოჯახის წევრების და მარჩენალდაკარგულების, 0-დან 70000 ქულის მქონე სოციალურად დაუცველი ოჯახის გაზიფიცირებით უზრუნველყოფა. ამ მიზნით, ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტი შეიმუშავებს ზემოაღნიშნული იმ მოწყვლადი ჯგუფების მონაცემთა ბაზას, რომელთა საცხოვრებელი სახლებიც არ არის უზრუნველყოფილი ბუნებრივი აირით და განახორციელებს მათთვის ბუნებრივი აირის მილგაყვანილობისა და მრიცხველის სამონტაჟო სამუშაოების ღირებულების 90%-ის თანადაფინანსებას ერთი წერტილის გათვალისწინებით გაზქურამდე.

##### განსახორციელებელი ღონისძიებები

- ✓ ბუნებრივი აირის დისტრიბუტორი კომპანიის მომართვის შემდგომ, შესაბამისი ნებართვის გაცემისათვის საჭირო პროცედურების გავლა ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 24 მარტის #6 დადგენილებისა და „ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებულ საზოგადოებრივ სივრცეებში გადათხრითი სამუშაოების წარმოებისას ზოგიერთი საკითხის მოწესრიგების შესახებ“ ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერის 2014 წლის 12 დეკემბრის #888 ბრძანების შესაბამისად;
- ✓ კომუნიკაციების გაყვანის ნებართვის გაცემა მაქსიმალურად შემჭიდროვებულ ვადებში, „ერთი ფანჯრის“ პრინციპით;
- ✓ მოწყვლადი ჯგუფების მონაცემთა ბაზის შეიმუშავება;
- ✓ მოწყვლადი ჯგუფების გაზიფიცირების სამუშაოების თანადაფინანსების განხორციელება.



**პროგრამის განხორციელებასთან დაკავშირებული რისკები და მათი მართვა**

№	რისკის აღწერა	რისკის ალბათობა	რისკის მნიშვნელობა	რისკების მართვის მექანიზმები
1	ნაკლები ინტერესი ბუნებრივი აირის დისტრიბუტორი კომპანიების მხრიდან.	3	5	შესაბამისი სანებართვო მომსახურების მაქსიმალურად სწრაფად და ერთი ფანჯრის პრინციპის მიწოდებით, ქ. ბათუმის მერია შექმნის პირობებს შესაბამისი ბუნებრივი აირის დისტრიბუტორი კომპანიების დაინტერესებისათვის.

**პროგრამის მიზნობრივი ჯგუფები**

- ❖ ქალაქ ბათუმის მოსახლეობა;
- ❖ ბუნებრივი აირის დისტრიბუტორი კომპანიები;
- ❖ ქ. ბათუმის ტერიტორიაზე მოქმედი საწარმოები, მსხვილი კომპანიები, სასტუმროები, რესტორნები.
- ❖ მკვეთრად გამოხატული შშმ პირები, მათ შორის შშმ სტატუსის ბავშვები;
- ❖ ვეტერანების, მათთან გათანაბრებული პირების, ომში დაღუპულთა ოჯახის წევრების და მარჩენალდაკარგულები;
- ❖ 0-დან 70000 ქულის მქონე სოციალურად დაუცველი ოჯახები.

**პროგრამაში ჩართული მხარეები**

- ❖ ადგილობრივი თვითმმართველობა;
- ❖ რეგიონული ხელისუფლება;
- ❖ ცენტრალური ხელისუფლება;
- ❖ ბუნებრივი აირის დისტრიბუტორი კომპანიები;
- ❖ ქ. ბათუმის ტერიტორიაზე მოქმედი მსხვილი ორგანიზაციები.
- ❖ არასამთავრობო ორგანიზაციები.

**პროგრამის სავარაუდო ბიუჯეტი და მისი დაფინანსების წყარო**

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი.

**პროგრამის განმახორციელებელი ერთეული და განხორციელების მეთოდი**

- ქ. ბათუმის მერიის ქონების მათვისა და ეკონომიკური პოლიტიკის სამსახური;
- ქ. ბათუმის მერიის არქიტექტურისა და ურბანული განვითარების სამსახური;
- ქ. ბათუმის მერიის კეთილმოწყობის სამსახური;
- ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის სამსახური.
- ქ. ბათუმის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახური;



ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის ტერიტორიული ორგანოები.  
პროგრამა უშუალოდ განხორციელდება პასუხისმგებელი სტრუქტურული ერთეულების მიერ.

**პროგრამის განხორციელების სამოქმედო გეგმა**

წელი	განსახორციელებელი ღონისძიებები	1 კვარტ.			2 კვარტ.			3 კვარტ.			4 კვარტ.		
	ბუნებრივი აირის დისტრიბუტორი კომპანიის მომართვის შემდგომ, შესაბამისი ნებართვის გაცემისათვის საჭირო პროცედურების გავლა ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 24 მარტის #6 დადგენილებისა და „ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებულ საზოგადოებრივ სივრცეებში გადათხრითი სამუშაოების წარმოებისას ზოგიერთი საკითხის მოწესრიგების შესახებ“ ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერის 2014 წლის 12 დეკემბრის #888 ბრძანების შესაბამისად;												
	კომუნიკაციების გაცვანის ნებართვის გაცემა მაქსიმალურად შემჭიდროვებულ ვადებში, „ერთი ფანჯრის“ პრინციპით												
	მოწყვლადი ჯგუფების მონაცემთა ბაზის შემუშავება												
	მოწყვლადი ჯგუფების გაზიფიცირების სამუშაოების თანადაფინანსების განხორციელება.												

**შედეგების შეფასების ინდიკატორები**

- ❖ ბუნებრივი აირის ქსელზე დაერთებული აბონენტების რაოდენობა;
- ❖ გაზიფიკაციის საკომპენსაციო თანხით უზრუნველყოფილ ბენეფიციართა რაოდენობა.



#### 4.1.6 ქალაქის ენერგომომარაგების გაუმჯობესების ხელშეწყობა

##### პროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი

პროგრამის მიზანია ხელი შეუწყოს ერთის მხრივ ქალაქში ელექტროენერჯის არსებული მზარდი მოთხოვნების შესაბამისად ელექტროენერჯის დამატებით მიწოდებისათვის საჭირო ინფრასტრუქტურის განვითარებას, და მეორეს მხრივ უზრუნველყოს საყოფაცხოვრებო და კომერციული სექტორის უსაფრთხოება რაც განპირობებული იქნება ინფრასტრუქტურის მოწყობის შედეგად ამ მიმართულებით ავარიული შემთხვევების თავიდან აცილებით.

##### პროგრამის აღწერა

ქალაქის ეკონომიკური აქტივობის ზრდის პარალელურად, განსაკუთრებით სამშენებლო და ტურიზმის სექტორის სწრაფი განვითარების შედეგად, იზრდება მოთხოვნა ელექტროენერჯის მიწოდებაზე. აღნიშნული მოთხოვნის შესაბამისად ელექტროენერჯის მიწოდება საჭიროებს შესაბამისი ინფრასტრუქტურის განვითარებას. ქალაქ ბათუმის მერია საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში მაქსიმალურად შეუწყობს ხელს ენერგოკომპანიებს ქალაქის დამატებითი ელექტროენერჯით უზრუნველყოფაში, კერძოდ, „საზოგადოებრივი ტერიტორიის/სივრცის დროებითი სარგებლობის წესის“ შესახებ ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 24 მარტის #6 დადგენილებისა და „ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებულ საზოგადოებრივ სივრცეებში გადათხრითი სამუშაოების წარმოებისას ზოგიერთი საკითხის მოწესრიგების შესახებ“ ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერის 2014 წლის 12 დეკემბრის #888 ბრძანების შესაბამისად, ქ. ბათუმის მერია მაქსიმალურად შემჭიდროვებულ ვადებში, „ერთი ფანჯრის“ პრინციპით უზრუნველყოფს შესაბამისი სანებართვო მომსახურების გაწევას დაინტერესებული ენერგომომმარაგებელი კომპანიისათვის ქალაქის ტერიტორიაზე კომუნიკაციის გაყვანის ან ახალი ქვესადგურის განთავსებასთან დაკავშირებით. ასევე კომპანიის მომართვის შემთხვევაში უზრუნველყოფს სატრანსპორტო ახალი ქვესადგურების მოწყობისათვის მიწის გამოყოფისა და შესაბამისი ნებართვების გაცემის საკითხების მოგვარებას.

##### განსახორციელებელი ღონისძიებები

- ✓ ენერგომომმარაგებელი კომპანიის მომართვის შემდგომ, შესაბამისი ნებართვის გაცემისათვის საჭირო პროცედურების გავლა ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 24 მარტის #6 დადგენილებისა და „ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებულ საზოგადოებრივ სივრცეებში გადათხრითი სამუშაოების წარმოებისას ზოგიერთი საკითხის მოწესრიგების შესახებ“ ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერის 2014 წლის 12 დეკემბრის #888 ბრძანების შესაბამისად;
- ✓ ნებართვის გაცემა მაქსიმალურად შემჭიდროვებულ ვადებში, „ერთი ფანჯრის“ პრინციპით;
- ✓ საჭიროების შემთხვევაში კომპანიისათვის ახალი სატრანსპორტო ქვესადგურების მოწყობისათვის მიწის გამოყოფისა და შესაბამისი ნებართვების გაცემის პროცედურული საკითხების განხორციელება.

##### პროგრამის განხორციელებასთან დაკავშირებული რისკები და მათი მართვა



№	რისკის აღწერა	რისკის ალბათობა	რისკის მნიშვნელობა	რისკების მართვის მექანიზმები
1	ნაკლები ინტერესი ენერგომომმარაგებელი კომპანიების მხრიდან.	3	5	შესაბამისი სანებართვო მომსახურების მაქსიმალურად სწრაფად და ერთი ფანჯრის პრინციპის მიწოდებით, ქ. ბათუმის მერია შექმნის პირობებს შესაბამისი ენერგომომმარაგებელი კომპანიების დაინტერესებისათვის.

### პროგრამის მიზნობრივი ჯგუფები

- ❖ ქალაქ ბათუმის მოსახლეობა;
- ❖ ენერგომომმარაგებელი კომპანიები;
- ❖ ქ. ბათუმის ტერიტორიაზე მოქმედი საწარმოები, მსხვილი კომპანიები, სასტუმროები, რესტორნები.

### პროგრამაში ჩართული მხარეები

- ❖ ადგილობრივი თვითმმართველობა;
- ❖ ენერგომომმარაგებელი კომპანიები;
- ❖ ქ. ბათუმის ტერიტორიაზე მოქმედი მსხვილი ორგანიზაციები.

### პროგრამის სავარაუდო ბიუჯეტი და მისი დაფინანსების წყარო

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი.

### პროგრამის განმახორციელებელი ერთეული და განხორციელების მეთოდი

ქ. ბათუმის მერიის ქონების მათვისა და ეკონომიკური პოლიტიკის სამსახური;

ქ. ბათუმის მერიის არქიტექტურისა და ურბანული განვითარების სამსახური;

ქ. ბათუმის მერიის კეთილმოწყობის სამსახური;

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის სამსახური.

პროგრამა განხორციელდება უშუალოდ პასუხისმგებელი სტრუქტურული ერთეულების მიერ.

### პროგრამის განხორციელების სამოქმედო გეგმა

წელი	განსახორციელებელი ღონისძიებები	1 კვარტ.	2 კვარტ.	3 კვარტ.	4 კვარტ.
	ენერგომომმარაგებელი კომპანიის მომართვის შემდგომ, შესაბამისი ნებართვის გაცემისათვის საჭირო პროცედურების გავლა ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 24 მარტის #6 დადგენილებისა და „ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის				



<p>ტერიტორიაზე არსებულ საზოგადოებრივ სივრცეებში გადათხრითი სამუშაოების წარმოებისას ზოგიერთი საკითხის მოწესრიგების შესახებ“ ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერის 2014 წლის 12 დეკემბრის #888 ბრძანების შესაბამისად</p>														
<p>ნებართვის გაცემა მაქსიმალურად შემჭიდროვებულ ვადებში, „ერთი ფანჯრის“ პრინციპით</p>														
<p>საჭიროების შემთხვევაში კომპანიისათვის ახალი სატრანსპორტო ქვესადგურების მოწყობისათვის მიწის გამოყოფისა და შესაბამისი ნებართვების გაცემის პროცედურული საკითხების განხორციელება.</p>														

**შედეგების შეფასების ინდიკატორები**

- ❖ ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ ენერგომომმარაგებელ კომპანიებზე გაცემული ნებართვების რაოდენობა;
- ❖ ახალი ქვესადგურების რაოდენობა;
- ❖ შესაბამისი ნებართვის საფუძველზე, ქსელზე დაერთებული ახალი ობიექტების რაოდენობა.



## 4.2 ქალაქის კეთილმოწყობის სამუშაოები და საბინაო პოლიტიკა

### 4.2.1 შიდასაუბნო გზების რეაბილიტაცია

#### პროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი

პროგრამის მიზანია შეიქმნას თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი საგზაო ინფრასტრუქტურა რაც ხელს შეუწყობს არამარტო ცხოვრების დონის ამაღლებას ქალაქის მოსახლეობისათვის, არამედ მიმზიდველს გახდის ქალაქს საერთაშორისო ეკონომიკური და საინვესტიციო აქტივობებისა და ტურიზმის განვითარების თვალსაზრისით.

#### პროგრამის აღწერა

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება **გზების, ქუჩებისა და ტროტუარების მიმდინარე მოვლა-პატრონობა**, კერძოდ: ასფალტირებული ქუჩების დაზიანებული მონაკვეთების აღდგენა-რეაბილიტაცია, ორმული შეკეთება; არაასფალტირებული ქუჩების კაპიტალური რემონტი, ქუჩის მიმართულების მიმანიშნებელი ბანერების დამზადება-მონტაჟი. ჩვეულებრივი და დეკორატიული ბოძკინტების მონტაჟი; **საგზაო ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია და კაპიტალური მშენებლობა**, კერძოდ: ასფალტირებული ქუჩების დაზიანებული მონაკვეთების სრული კაპიტალური აღდგენა-რეაბილიტაცია უპირატესად იმ უბნებში სადაც დასრულდა მიწისქვეშა კომუნაკაციების რეაბილიტაცია. პროგრამის ფარგლებში ასევე განხორციელდება არსებულ ქუჩებში ასფალტ-ბეტონის საფარის და ტროტუარის ფილების დაგება, ბორდიურების მოწყობა, ბეტონის საფარის დაგება.

#### განსახორციელებელი ღონისძიებები

- ✓ საჭიროებისამებრ ქალაქის ტერიტორიაზე ასფალტირებული და რკინა-ბეტონის საფარის ქუჩების მიმდინარე სარემონტო სამუშაოების განხორციელება;
- ✓ ქალაქის ტერიტორიაზე არაასფალტირებული ქუჩების მიმდინარე სარემონტო სამუშაოების განხორციელება
- ✓ ქალაქის ტერიტორიაზე არაასფალტირებული ქუჩების მიმდინარე სარემონტო სამუშაოების განხორციელება
- ✓ ქუჩის მანიშნებლების დამზადება-მონტაჟი;
- ✓ საგზაო ინფრასტრუქტურის (ტროტუარი, ბორდიური, ქვაფენილი, ბოძკინტი) მოვლა-შენახვის ღონისძიებები;
- ✓ ე.წ. "ჭაობის დასახლების" ქუჩების კეთილმოწყობა (პირველი ეტაპი)
- ✓ ბარცხანის დასახლების ქუჩების კეთილმოწყობა
- ✓ ბარცხანის დასახლების ქუჩების კეთილმოწყობა
- ✓ ბონი-გოროდოკის დასახლების ქუჩების კეთილმოწყობა
- ✓ კახაბრის დასახლებაში ქუჩების კეთილმოწყობა
- ✓ მწვანე კონცხის დასახლებაში ქუჩების კეთილმოწყობა;
- ✓ გონიო-კვარიათის დასახლების ქუჩების კეთილმოწყობა პირველი ეტაპი;
- ✓ აეროპორტის დასახლების ქუჩების კეთილმოწყობა;
- ✓ თამარის დასახლების ქუჩების კეთილმოწყობა;
- ✓ ქუჩების კეთილმოწყობის სამუშაოების განხორციელება ქალაქის სხვა ადინისტრაციულ



უბნებში.

**პროგრამის განხორციელებასთან დაკავშირებული რისკები და მათი მართვა**

№	რისკის აღწერა	რისკის ალბათობა	რისკის მნიშვნელობა	რისკების მართვის მექანიზმები
1	სამუშაოების განმახორციელებელი კომპანიის მიერ სამუშაოების დაგვიანებით და დაბალი ხარისხით შესრულება.	2	5	ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მხრიდან ხშირი ტექნიკური ზედამხედველობის განხორციელება.

**პროგრამის მიზნობრივი ჯგუფები**

- ❖ ქალაქ ბათუმის მოსახლეობა;
- ❖ ტურისტები;
- ❖ ვიზიტორები.

**პროგრამაში ჩართული მხარეები**

- ❖ ცენტრალური ხელისუფლება;
- ❖ რეგიონული ხელისუფლება;
- ❖ ადგილობრივი თვითმმართველობა;
- ❖ კერძო კომპანიები;
- ❖ ინვესტორები.

**პროგრამის სავარაუდო ბიუჯეტი და მისი დაფინანსების წყარო**

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი.

**პროგრამის განმახორციელებელი ერთეული და განხორციელების მეთოდი**

პროგრამის განხორციელების სამოქმედო გეგმა

წელი	განსახორციელებელი ღონისძიებები	1 კვარტ.	2 კვარტ.	3 კვარტ.	4 კვარტ.
	საჭირებისამებრ ქალაქის ტეროტიროაზე ასფალტირებული და რკინა-ბეტონის საფარის ქუჩების მიმდინარე სარემონტო სამუშაოების განხორციელება				
	ქალაქის ტერიტორიაზე არასასფალტირებული ქუჩების მიმდინარე სარემონტო სამუშაოების განხორციელება				
	ქალაქის ტერიტორიაზე არასასფალტირებული ქუჩების მიმდინარე სარემონტო სამუშაოების განხორციელება				
	ქუჩის მანიშნებლების დამზადება-მონტაჟი				





საგზაო ინფრასტრუქტურის (ტროტუარი, ბორდიური, ქვაფენილი, ბოძკინტი) მოვლა-შენახვის ღონისძიებები																			
ე.წ. "ჭაობის დასახლების" ქუჩების კეთილმოწყობა (პირველი ეტაპი)																			
ბარცხანის დასახლების ქუჩების კეთილმოწყობა																			
ბარცხანის დასახლების ქუჩების კეთილმოწყობა																			
ბონი-გოროდოკის დასახლების ქუჩების კეთილმოწყობა																			
კახაბრის დასახლებაში ქუჩების კეთილმოწყობა																			
მწვანე კონცხის დასახლებაში ქუჩების კეთილმოწყობა																			
გონიო-კვარიათის დასახლების ქუჩების კეთილმოწყობა პირველი ეტაპი																			
აეროპორტის დასახლების ქუჩების კეთილმოწყობა																			
თამარის დასახლების ქუჩების კეთილმოწყობა																			
ქუჩების კეთილმოწყობის სამუშაოების განხორციელება ქალაქის სხვა ადინისტრაციულ უბნებში.																			

**შედეგების შეფასების ინდიკატორები**

- ❖ წლის განმავლობაში შეკეთებული ასფალტირებული და რკინა-ბეტონის საფარიანი ქუჩების საერთო ფართობი;
- ❖ წლის განმავლობაში შეკეთებული არასასფალტირებული ქუჩების საერთო ფართობი;
- ❖ ქვაფენილიანი ქუჩების საერთო ფართობი, სადაც წლის განმავლობაში ხორციელდება მოვლა-პატრონობის ღონისძიებები;
- ❖ ტროტუარების საერთო ფართობი, რომელზეც წლის განმავლობაში ხორციელდება სარეაბილიტაციო სამუშაოები;
- ❖ წლის განმავლობაში სრულად რეაბილიტირებული ქუჩების რაოდენობა;
- ❖ წლის განმავლობაში ნაწილობრივ რეაბილიტირებული ქუჩების რაოდენობა;
- ❖ წლის განმავლობაში რეაბილიტირებული გზის სიგრძე; წლის განმავლობაში რეაბილიტირებული გზის ფართობი.



## 4.2.2 საცხოვრებელი სახლების რეაბილიტაცია და საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესების ხელშეწყობა

### პროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი

პროგრამის მიზანია ქალაქის მასშტაბით ამორტიზირებული და ექსპლუატაციისათვის უვარგისი საბინაო ინფრასტრუქტურის განვითარება. ამასთანავე გრძელვადიან პერიოდში აუცილებელი პრობლემების მოგვარების შემდგომ, მოქალაქეთა პასუხისმგებლობის ამაღლების მხარდაჭერა, იმისათვის რომ დამოუკიდებლად განახორციელონ საერთო სარგებლობის საკუთრების მოვლა-პატრონობის ღონისძიებები.

### პროგრამის აღწერა

ქალაქში არსებული მრავალსართულიან/მრავალბინიან საცხოვრებელ სახლებში საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესების მიზნით, პროგრამის ფარგლებში, ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან 75%-დან 100% მდე თანადაფინანსებით განხორციელდება საბინაო ამხანაგობების საერთო სარგებლობის სივრცეების რეაბილიტაცია, ეზოების კეთილმოწყობისა და კომუნალური სისტემის რეაბილიტაციის ღონისძიებები. სარეაბილიტაციო და კეთილმოწყობითი სამუშაოები განხორციელდება ქ. ბათუმის მერიისა და ა(ა)იპ ბათუმის კორპუსის მიერ ამხანაგობის მიერ წარმოდგენილი პროექტისა და შესაბამისი თანდართული დოკუმენტაციის საფუძველზე.

### განსახორციელებელი ღონისძიებები

- ✓ მრავალსართულიანი საცხოვრებელი კორპუსების სახურავების რეაბილიტაცია;
- ✓ მრავალსართულიანი/მრავალბინიანი სახლების კომუნალური სისტემის შეცვლა;
- ✓ მრავალსართულიანი/მრავალბინიანი სახლების სახურავებზე თოვლდამჭერების, წყალშემკრები და წყალსაწრეტი ღარების მონტაჟი;
- ✓ მრავალსართულიანი/მრავალბინიან სახლებში არსებული ამორტიზირებული ლიფტების დემონტაჟი და ახალი ლიფტების მონტაჟი;
- ✓ მრავალსართულიანი სახლების ეზოებისათვის ატრაქციონების შექმნა-მონტაჟი;
- ✓ მრავალსართულიანი სახლების ეზოებში დისტანციური პულტით მართვადი ბარიერების მოწყობა;
- ✓ მრავალსართულიანი/მრავალბინიანი სახლების ეზოების კეთილმოწყობისა და კომუნალური სისტემის მოწესრიგება;
- ✓ მრავალსართულიანი/მრავალბინიანი სახლების სადარბაზოებში სადარბაზოს კარებისა და ელექტრო საკეტების მოწყობა;
- ✓ საცხოვრებელი სახლებისთვის საინფორმაციო ფირნიშების შექმნა-მონტაჟი;
- ✓ მრავალსართულიანი სახლების ეზოებში გარე განათების მოწყობა;
- ✓ ქალაქში არსებულ სახლებზე დაზიანებული ფასადების რეაბილიტაცია;
- ✓ მრავალსართულიანი საცხოვრებელი სახლების სადარბაზოების შესასვლელში პანდუსების მოწყობა;
- ✓ ქ. ბათუმის ტერიტორიაზე არსებული ავარიული სახლების ექსპერტიზა;
- ✓ მრავალსართულიანი/მრავალბინიანი სახლების სადარბაზოს ამორტიზირებული შესასვლელი გადახურვის ფილის მოწყობა;
- ✓ მრავალსართულიანი/მრავალბინიანი სახლების სადარბაზოში არსებული



ამორტიზირებული ვიტრაჟების შეცვლა;

- ✓ საცხოვრებელ სახლებზე დაზიანებული აზბესტის ფურცლების ნაცვლად ლითონის პროფილური ფურცლის აკვრა.

**პროგრამის განხორციელებასთან დაკავშირებული რისკები და მათი მართვა**

№	რისკის აღწერა	რისკის ალბათობა	რისკის მნიშვნელობა	რისკების მართვის მექანიზმები
1	საერთო საგებლობის სივრცეებისა და საკუთრების დაუდევრად გამოყენების შედეგად არამიზნობრივი ხარჯების გაწევა	3	5	ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია უზრუნველყოფს ცონბიერების ამაღლების მიმართულებით განხორციელებულ ღონისძიებებში მოსახლეობის აქტიურ ჩართვას.

**პროგრამის მიზნობრივი ჯგუფები**

- ❖ ქალაქ ბათუმის მოსახლეობა;
- ❖ ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობები.

**პროგრამაში ჩართული მხარეები**

- ❖ ადგილობრივი თვითმმართველობა;
- ❖ ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობები;
- ❖ ქალაქ ბათუმის მოსახლეობა;
- ❖ არასამთავრობო ორგანიზაციები.

**პროგრამის სავარაუდო ბიუჯეტი და მისი დაფინანსების წყარო**

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი.

**პროგრამის განმახორციელებელი ერთეული და განხორციელების მეთოდი**

ა(ა)იპ ბათუმის კორპუსი;  
ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობები.

**პროგრამის განხორციელების სამოქმედო გეგმა**

წელი	განსახორციელებელი ღონისძიებები	1 კვარტ.			2 კვარტ.			3 კვარტ.			4 კვარტ.		
	მრავალსართულიანი საცხოვრებელი კორპუსების სახურავების რეაბილიტაცია;												
	მრავალსართულიანი/მრავალბინიანი სახლების კომუნალური სისტემის შეცვლა;												
	მრავალსართულიანი/მრავალბინიანი სახლების სახურავებზე თოვლდამჭერების, წყალშემკრები და წყალსაწრეტი ღარების მონტაჟი;												



მრავალსართულიან/მრავალბინიან სახლებში არსებული ამორტიზირებული ლიფტების დემონტაჟი და ახალი ლიფტების მონტაჟი;													
მრავალსართულიანი სახლების ეზოებისათვის ატრაქციონების შექმნა-მონტაჟი;													
მრავალსართულიანი სახლების ეზოებში დისტანციური კულტით მართვადი ბარიერების მოწყობა;													
მრავალსართულიანი/მრავალბინიანი სახლების სადარბაზოებში სადარბაზოს კარებისა და ელექტრო საკეტების მოწყობა;													
საცხოვრებელი სახლებისთვის საინფორმაციო ფირნიშების შექმნა-მონტაჟი;													
მრავალსართულიანი სახლების ეზოებში გარე განათების მოწყობა;													
ქალაქში არსებულ სახლებზე დაზიანებული ფასადების რეაბილიტაცია;													
მრავალსართულიანი საცხოვრებელი სახლების სადარბაზოების შესასვლელში პანდუსების მოწყობა;													
ქ. ბათუმის ტერიტორიაზე არსებული ავარიული სახლების ექსპერტიზა;													
მრავალსართულიანი/მრავალბინიანი სახლების სადარბაზოს ამორტიზირებული შესასვლელი გადახურვის ფილის მოწყობა;													
მრავალსართულიანი/მრავალბინიანი სახლების სადარბაზოში არსებული ამორტიზირებული ვიტრაჟების შეცვლა;													
საცხოვრებელ სახლებზე დაზიანებული აზბესტის ფურცლების ნაცვლად ლითონის პროფილური ფურცლის აკვრა.													

### შედეგების შეფასების ინდიკატორები

- ❖ ამხანაგობების ჩართულობით განხორციელებული პროექტების რაოდენობა;
- ❖ პროგრამის ფარგლებში ამხანაგობების თანადაფინანსებით განხორციელებული



პროექტების რაოდენობა;

- ❖ კეთილმოწყობილი ეზოების რაოდენობა;
- ❖ სადარბაზოების რაოდენობა, სადაც ჩატარებულია კეთილმოწყობითი სამუშაოები;
- ❖ რეაბილიტირებული ავარიული ფასადების რაოდენობა.



### 4.2.3 მუნიციპალური სასაფლაოების მოწყობა და მოვლა-პატრონობა

#### პროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი

პროგრამის მიზანია მოკლევადიან პერიოდში უზრუნველყოს მუნიციპალური სასაფლაოების სერვისის ხარისხიანი და შეუფერხებელი მიწოდება და გრძელვადიან პერიოდში გადაჭრას ქალაქის სასაფლაოსთან დაკავშირებული პრობლემები.

#### პროგრამის აღწერა

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება არსებული სასაფლაოების მოვლა-პატრონობის ღონისძიებები, ასევე გაგრძელდება და დასრულდება ჩაქვის ტერიტორიაზე ახალი სასაფლაოს მოწყობის სამუშაოები. პროგრამის ფარგლებში ასევე მოხდება უპატრონო მიცვალებულთა რეგისტრაცია და დაკრძალვა ურეხის სასაფლაოზე.

#### განსახორციელებელი ღონისძიებები

- ✓ სასაფლაოების მიმდინარე მოვლა-პატრონობის ღონისძიებების განხორციელება, კერძოდ:
  - საფლავებზე მისასვლელი ბილიკების დაგვა-დასუფთავება;
  - ამორტიზირებული ხეების მოჭრა;
  - მოვლა-პატრონობისათვის საჭირო მანქანა-დანადგარებისა და მოწყობილობების შეძენა;
- ✓ ტერიტორიის რეგულარული დაგვა-დასუფთავება და გამწვანება.
- ✓ უპატრონო მიცვალებულების დაკრძალვა;
- ✓ ჩაქვის ახალი სასაფლაოს მშენებლობის დასრულება და სასაფლაოს ამოქმედება.

#### პროგრამის განხორციელებასთან დაკავშირებული რისკები და მათი მართვა

№	რისკის აღწერა	რისკის ალბათობა	რისკის მნიშვნელობა	რისკების მართვის მექანიზმები
1	სასაფლაოების არსებული ტერიტორიის შევსება გრძელვადიან პერიოდში	3	5	მიწათსარგებლობის გენერალურ გეგმაში აღნიშნული საკითხის გათვალისწინება და გრძელვადიან პერიოდში მისი მოგვარების გადაწყვეტა.
2	შემოვლითი გზის მშენებლობასთან დაკავშირებული ჩაქვის არსებული სასაფლაოს ახალ სასაფლაოზე გადმოტანასთან დაკავშირებული საკითხები.	3	3	ქ. ბათუმის მერია შემოვლითი გზის მშენებლობასთან დაკავშირებულ შესაბამის სახელმწიფო ორგანოებთან კოორდინაციით უზრუნველყოფს აღნიშნული საკითხის გადაწყვეტას.



**პროგრამის მიზნობრივი ჯგუფები**

- ❖ ქალაქ ბათუმის მოსახლეობა;

**პროგრამაში ჩართული მხარეები**

- ❖ ადგილობრივი თვითმმართველობა;
- ❖ ქალაქ ბათუმის მოსახლეობა.

**პროგრამის სავარაუდო ბიუჯეტი და მისი დაფინანსების წყარო**

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი.

**პროგრამის განმახორციელებელი ერთეული და განხორციელების მეთოდი**

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის სამსახური;  
ა(ა)იპ ბათუმის სასაფლაოები.

**პროგრამის განხორციელების სამოქმედო გეგმა**

წელი	განსახორციელებელი ღონისძიებები	1 კვარტ.			2 კვარტ.			3 კვარტ.			4 კვარტ.		
	სასაფლაოების მიმდინარე მოვლა-პატრონობის ღონისძიებების განხორციელება,												
	ტერიტორიის რეგულარული დაგვა-დასუფთავება და გამწვანება.												
	უპატრონო მიცვალებულების დაკრძალვა												
	ჩაქვის ახალი სასაფლაოს მშენებლობის დასრულება და სასაფლაოს ამოქმედება.												

**შედეგების შეფასების ინდიკატორები**

- ❖ მუნიციპალური სასაფლაოების ფართობი, სადაც ხორციელდება მოვლა-პატრონობის ღონისძიებები;
- ❖ მოწყობილი და ამოქმედებული ახალი სასაფლაო ჩაქვის ტერიტორიაზე.



### 4.3 მუნიციპალური სატრანსპორტო სისტემის განვითარება

#### 4.3.1 ქ. ბათუმის ეფექტური პარკირების სისტემის შემუშავება და ამოქმედება

##### პროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი

- ❖ ქალაქის ქუჩების განტვირთვა სატრანსპორტო ნაკადებისაგან;
- ❖ მდგრადი ტრანსპორტის სისტემის გამოყენების წახალისება;
- ❖ ქალაქში სატრანსპორტო შეფერხებების დონის შემცირება;
- ❖ საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების უზრუნველყოფა;
- ❖ მავნე გამონაბოლქვის შემცირება.

##### პროგრამის აღწერა

პროგრამის ფარგლებში ჩამოყალიბდება პარკირების პოლიტიკა, რომელიც წახალისებს ინიციატივებს ქ. ბათუმში საზოგადოებრივი ტრანსპორტის გამოყენებასთან, ველოსიპედიტა და ფეხით გადაადგილებებთან დაკავშირებით. ასევე განახორციელებს პარკირების თანამედროვე გადაწყვეტების გამოყენებას, როგორცაა პარკირების ავტომატური ლიფტინგის სისტემის განთავსება და ამოქმედება, რომელიც შედარებით მცირე ფართობზე (200 კვ. მეტრზე) 50-70 ავტომობილის დაპარკინგების საშუალებას იძლევა. პროგრამა ისარგებლებს UNDP პროექტის - „ინტეგრირებული მდგრადი ტრანსპორტი ქალაქ ბათუმსა და აჭარის რეგიონში“ მომზადებული „პარკირების ახალი სტრატეგია და პოლიტიკა ქ. ბათუმისათვის“ დოკუმენტის რეკომენდაციებით.

##### განსახორციელებელი ღონისძიებები

- ✓ პარკირების სატარიფო პოლიტიკის შემუშავება და გატარება;
- ✓ ქუჩების მიღმა ავტომატიზირებული მიწისზედა პარკირების ადგილების მოწყობა;
- ✓ აღსრულების გაუმჯობესება;
- ✓ საინფორმაციო კამპანიის მომზადება და გატარება.

##### პროგრამის განხორციელებასთან დაკავშირებული რისკები და მათი მართვა

№	რისკის აღწერა	რისკის ალბათობა	რისკის მნიშვნელობა	რისკების მართვის მექანიზმები
1	უკმაყოფილება კერძო ავტომობილების მფლობელთა მხრიდან.	5	5	საინფორმაციო კამპანიების წარმოება და ცნობიერების ამაღლების ღონისძიებების გატარება
2	სუსტი აღსრულების მექანიზმი	4	5	მონიტორინგისა და აღსრულების ხშირი და მკაცრი კონტროლის განხორციელება

##### პროგრამის მიზნობრივი ჯგუფები

- ❖ ქალაქ ბათუმის მოსახლეობა
- ❖ ტურისტები;

##### პროგრამაში ჩართული მხარეები

- ❖ ცენტრალური ხელისუფლება;
- ❖ რეგიონული ხელისუფლება;





- ❖ ვიზიტორები.
- ❖ ადგილობრივი თვითმმართველობები;
- ❖ საერთაშორისო ორგანიზაციები;
- ❖ არასამთავრობო ორგანიზაციები.

**პროგრამის სავარაუდო ბიუჯეტი და მისი დაფინანსების წყარო**

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი.

**პროგრამის განმახორციელებელი ერთეული და განხორციელების მეთოდი**

- ❖ ქ. ბათუმის მერიის ქონების მართვისა და ეკონომიკური პოლიტიკის სამსახური;

**პროგრამის განხორციელების სამოქმედო გეგმა**

წელი	განსახორციელებელი ღონისძიებები	1 კვარტ.			2 კვარტ.			3 კვარტ.			4 კვარტ.		
	პარკირების სატარიფო პოლიტიკის შემუშავება და გატარება												
	ქუჩების მიღმა ავტომატიზირებული მიწისზედა პარკირების ადგილების მოწყობა												
	აღსრულების გაუმჯობესება												
	საინფორმაციო კამპანიის მომზადება და გატარება.												

**შედეგების შეფასების ინდიკატორები**

- ❖ ქუჩების გამტარუნარიანობის მაჩვენებლები;
- ❖ მობილობის მდგრადი საშუალებებით მოსარგებლეთა რაოდენობა;
- ❖ ავტოსაგზაო შემთხვევების შემცირებული სტატისტიკა;
- ❖ ჰაერის დაბინძურების მაჩვენებლები.



### 4.3.2 მუნიციპალური ტრანსპორტით მგზავრთა გადაყვანის ეფექტური სიტემის შემუშავება და განხორციელება

#### პროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი

პროგრამის მიზანია სატრანსპორტო ქსელის მიერ მომხმარებელთა საჭიროებების დაკმაყოფილების უზრუნველყოფა; სატრანსპორტო ქსელის ხარჯების ეფექტურობის გაზრდა; სატრანსპორტო ქსელის სერვისების ქალაქზე მორგება საუკეთესო შესაძლო გზით.

#### პროგრამის აღწერა

ბათუმში ამჟამად საზოგადოებრივი ტრანსპორტის სიჭარბეა. ბევრი მარშრუტია, რომელსაც ასევე ბევრი ავტობუსი ემსახურება. მიუხედავად იმისა, რომ ეს კომფორტულია მგზავრებისთვის, რომლებიც სარგებლობენ დანიშნულების ადგილამდე მიყვანისა და მცირე მანძილზე გადაადგილების მომსახურებით, სამარშრუტო მიკროავტობუსების დიდი რაოდენობა იწვევს საგზაო საცობებსა და ჰაერის დაბინძურებას. პროგრამის ფარგლებში განხორციელდება ქალაქის ახალი სამარშრუტო ქსელის შემუშავება და დანერგვა; მგზავრთა გადასასხდომი ტერმინალების მოწყობა და ამოქმედება; მიკროავტობუსების რაოდენობის ეტაპობრივი შემცირება; მიკროავტობუსების მარშრუტებზე მკაცრი კონტროლის განხორციელება.

პროგრამის განხორციელება ხელს შეუწყობს მუნიციპალური ტრანსპორტის ოპერირების ეფექტურობის გაზრდას, ასევე, მგზავრთათვის დანიშნულების ადგილამდე წვდომის გაუმჯობესებასა და მგზავრობის დროის შემცირებას, გარდა ამისა უზრუნველყოფს ქალაქის განტვირთვას სატრანსპორტო ნაკადებისა და საცობებისაგან, ასევე მავნე გამონაბოლქვის შემცირებას.

პროგრამის განხორციელებისას გათვალისწინებული იქნება UNDP პროექტის - „ინტეგრირებული მდგრადი ტრანსპორტი ქალაქ ბათუმსა და აჭარის რეგიონში“ ფარგლებში მომზადებული ტექნიკურ-ეკონომიკური კვლევების რეკომენდაციები.

#### განსახორციელებელი ღონისძიებები

- ✓ სამარშრუტო ქსელის ოპტიმიზაცია, ახალი სამარშრუტო ქსელის დაგეგმარება;
- ✓ მგზავრთა გადასასხდომი ტერმინალების მოწყობა და ოპერირება;
- ✓ მიკროავტობუსების რაოდენობის შემცირება;
- ✓ მიკროავტობუსების მარშრუტების მკაცრი კონტროლი;
- ✓ საგზაო ნიშნების მონტაჟი;
- ✓ გზებზე მონიშვნის უსაფრთხოების ხაზების გავლება;
- ✓ შუქნიშნების რეგულირება.

#### პროგრამის განხორციელებასთან დაკავშირებული რისკები და მათი მართვა

№	რისკის აღწერა	რისკის ალბათობა	რისკის მნიშვნელობა	რისკების მართვის მექანიზმები
---	---------------	-----------------	--------------------	------------------------------



1	მიკროავტობუსების მძღოლების დასაქმებასთან დაკავშირებული საკითხები და უკმაყოფილება მათი მხრიდან	5	5	მუნიციპალური ტრანსპორტის გაუმჯობესებისა და გაფართოების შესაბამისად მათი დასაქმების საკითხების ეტაპობრივი გადაწყვეტა.
2	თავისუფალი ტერიტორიის ხელმისაწვდომობის შეზღუდვა გადასასახდომი ტერმინალების მოწყობისათვის	4	5	საჭიროების შემთხვევაში საკითხის ინიცირება შესაბამის სამთავრობო სტრუქტურებთან ტერიტორიის გადმოცემასთან დაკავშირებით.

**პროგრამის მიზნობრივი ჯგუფები**

- ❖ ქალაქ ბათუმის მოსახლეობა;
- ❖ ტურისტები;
- ❖ ვიზიტორები.

**პროგრამაში ჩართული მხარეები**

- ❖ ცენტრალური ხელისუფლება;
- ❖ რეგიონული ხელისუფლება;
- ❖ ადგილობრივი თვითმმართველობა;
- ❖ საერთაშორისო და დონორი ორგანიზაციები.

**პროგრამის სავარაუდო ბიუჯეტი და მისი დაფინანსების წყარო**

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი.

**პროგრამის განმახორციელებელი ერთეული და განხორციელების მეთოდი**

- ❖ ქ. ბათუმის მერიის საქალაქო ტრანსპორტის განყოფილება;
- ❖ შპს „ბათუმის ავტოტრანსპორტი“.

**პროგრამის განხორციელების სამოქმედო გეგმა**

წელი	განსახორციელებელი ღონისძიებები	1 კვარტ.	2 კვარტ.	3 კვარტ.	4 კვარტ.
	სამარშუტო ქსელის ოპტიმიზაცია, ახალი სამარშუტო ქსელის დაგეგმარება				
	მგზავრთა გადასასახდომი ტერმინალების მოწყობა და ოპერირება				
	მიკროავტობუსების რაოდენობის შემცირება				
	იკროავტობუსების მარშრუტების მკაცრი კონტროლი				
	საგზაო ნიშნების მონტაჟი				
	გზებზე მონიშვნის უსაფრთხოების ხაზების გავლება				



შუქნიშნების რეგულირება.													
-------------------------	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--

### შედეგების შეფასების ინდიკატორები

- ❖ მუნიციპალური ტრანსპორტით გადაყვანილ მგზავრთა რაოდენობა;
- ❖ მუნიციპალური სატრანსპორტო კომპანიის შემცირებული საოპერაციო ხარჯები;
- ❖ ქალაქის ქუჩებში პიკის საათებში სატრანსპორტო ნაკადის გამტარუნარიანობის ზრდის პროცენტული მაჩვენებელი წინა წელთან შედარებით;
- ❖ ქალაქის ქუჩებში სატრანსპორტო ნაკადის გამტარუნარიანობის სეზონურად ზრდის პროცენტული მაჩვენებელი წინა წელთან შედარებით.



### 4.3.3 ბათუმის მუნიციპალური ავტობუსების პარკის განახლება

#### პროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი

პროგრამის მიზანია მდგრადი და ეკოლოგიური მუნიციპალური სატრანსპორტო სისტემის ჩამოყალიბება და ფუნქციონირებისა და მგზავრთა კომფორტული და უსაფრთხო გადაადგილების უზრუნველყოფა.

#### პროგრამის აღწერა

ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის შეღავათიანი სესხისა და გრანტის ფარგლებში განხორციელდება ელექტრო და ევრო 5 დიზელზე მომუშავე ავტობუსების შეძენა. ახალი ეკოლოგიურად სუფთა ავტობუსები ჩაანაცვლებენ არსებულ ავტობუსებს და ასევე იმოდრავებენ ახალ მარშრუტებზე, გარდა ამისა, პროგრამის ფარგლებში განხორციელდება ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების (EBRD) ბანკის წესებით შესყიდულ საქონელზე და მომსახურებაზე დამატებული ღირებულების გადასახადის და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა გადასახდელების (სანებართვო, საბაჟო და სხვა) თანადაფინანსება.

#### განსახორციელებელი ღონისძიებები

- ✓ დიზელის და ელექტრო ავტობუსების შესყიდვის სატენდერო დოკუმენტაციის მომზადება და ტენდერის გამოცხადება;
- ✓ მომწოდებელი კომპანიის შერჩევა და ხელშეკრულების გაფორმება სატენდერო დოკუმენტაციისა და EBRD კრიტერიუმების მიხედვით;
- ✓ ავტობუსების ეტაპობრივი შემოყვანა;
- ✓ (EBRD) ბანკის წესებით შესყიდულ საქონელზე და მომსახურებაზე დამატებული ღირებულების გადასახადის და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა გადასახდელების (სანებართვო, საბაჟო და სხვა) თანადაფინანსება.

#### პროგრამის განხორციელებასთან დაკავშირებული რისკები და მათი მართვა

№	რისკის აღწერა	რისკის ალბათობა	რისკის მნიშვნელობა	რისკების მართვის მექანიზმები
1	ახალი ავტობუსების შემოყვანის დროში გაწეილი პროცედურები.	3	4	სატენდერო კომისია, რომელიც დაკომპლექტებული იქნება მუნიციპალიტეტის შესაბამისი პასუხისმგებელი პირებით, მაქსიმალურად შემჭიდროვებულ ვადებში უზრუნველყოფს წინადადებების განხილვასა და შეფასებას.



**პროგრამის მიზნობრივი ჯგუფები**

- ❖ ქალაქ ბათუმის მოსახლეობა;
- ❖ ტურისტები;
- ❖ ვიზიტორები;
- ❖ ადგილობრივი თვითმმართველობა;
- ❖ საერთაშორისო და დონორი ორგანიზაციები.

**პროგრამაში ჩართული მხარეები**

- ❖ ცენტრალური ხელისუფლება;
- ❖ რეგიონული ხელისუფლება;
- ❖ ადგილობრივი თვითმმართველობა;
- ❖ საერთაშორისო და დონორი ორგანიზაციები;
- ❖ არასამთავრობო ორგანიზაციები.

**პროგრამის სავარაუდო ბიუჯეტი და მისი დაფინანსების წყარო**

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი.

**პროგრამის განმახორციელებელი ერთეული და განხორციელების მეთოდი**

ქ. ბათუმის მერიის ქონების მართვისა და ეკონომიკური პოლიტიკის სამსახური;  
ქალაქ ბათუმის მერიის საფინანსო სამსახური;  
შპს „ბათუმის ავტოტრანსპორტი“.

პროგრამის ფარგლებში ახალი ავტობუსების შეძენა განხორციელდება საერთაშორისო ტენდერის საფუძველზე.

**პროგრამის განხორციელების სამოქმედო გეგმა**

წელი	განსახორციელებელი ღონისძიებები	1 კვარტ.			2 კვარტ.			3 კვარტ.			4 კვარტ.			
	დიზელის და ელექტრო ავტობუსების შესყიდვის სატენდერო დოკუმენტაციის მომზადება და ტენდერის გამოცხადება													
	მომწოდებელი კომპანიის შერჩევა და ხელშეკრულების გაფორმება სატენდერო დოკუმენტაციისა და EBRD კრიტერიუმების მიხედვით													
	ავტობუსების ეტაპობრივი შემოყვანა													
	(EBRD) ბანკის წესებით შესყიდულ საქონელზე და მომსახურებაზე დამატებული ღირებულების გადასახადის და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა გადასახდელების (სანებართვო, საბაჟო და სხვა) თანადაფინანსება.													



### შედეგების შეფასების ინდიკატორები

- ❖ შეძენილი დიზელის ძრავაზე მომუშავე ავტობუსების რაოდენობა;
- ❖ შეძენილი ელექტროავტობუსების რაოდენობა;
- ❖ თანადაფინანსების სახით მუნიციპალური ბიუჯეტიდან გააცემული თანხის მოცულობა.



#### 4.3.4 ქალაქ ბათუმის ველოსისტემის განვითარება

##### **პროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი**

პროგრამის მიზანია გადაადგილების მდგრადი, ალტერნატიული საშუალებების განვითარების ხელშეწყობა; ადამიანებზე, ჯანმრთელობასა და გარემოზე ტრანსპორტის მავნე ზემოქმედების შემცირება; ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრების ხელშეწყობა; ხმაურის, სათბური აირების ემისიებისა და ენერგო მოხმარების შემცირება.

##### **პროგრამის აღწერა**

ბოლო პერიოდში, ადგილობრივი თვითმმართველობები სხვადასხვა ღონისძიებებს ახორციელებენ ველო ინფრასტრუქტურის განსავითარებლად, რადგანაც სულ უფრო და უფრო მეტ ადამიანს სჯერა, რომ ველოს დიდი მნიშვნელობა აქვს ქალაქის განვითარების, მაცხოვრებელთა გადაადგილების საჭიროების დაკმაყოფილების, გარემოზე დადებითად ზემოქმედების, ცხოვრების ღონისა და ეკონომიკური განვითარებისათვის.

ევროპის ქალაქების მაგალითზე დაყრდნობით შეიძლება ითქვას, რომ ველოსიპედით გადაადგილება ძირითადად აპრობირებულია მოკლე მანძილზე გადაადგილებისათვის. 80%-ზე მეტი ასეთი გადაადგილება ძირითადად ხდება 5-7 კმ დისტანციაზე. იმის გათვალისწინებით, რომ ბათუმის მთელი ტერიტორია და შემოგარენში მდებარე სოფლები მდებარეობს 5 კმ რადიუსზე, ველოსიპედი შესაძლოა გამოყენებული იქნას არამხოლოდ ტურისტული დანიშნულებით, არამედ ყოველდღიური გადაადგილებისთვისაც.

პროგრამის ფარგლებში ქ. ბათუმის მერია უზრუნველყოფს ველოსისტემის ქსელის გაფართოებას, ახალი ველობილიკების მოწყობას, ველოსიპედების პარკის განახლებას და მუნიციპალური ველო სისტემით სარგებლობისა და ხელმისაწვდომობის გაუმჯობესებას. პროგრამა გაითვალისწინებს UNDP პროექტის „ინტეგრირებული მდგრადი ტრანსპორტი ქალაქ ბათუმსა და აჭარის რეგიონში“ მიერ მომზადებული „ბათუმის მდგრადი ურბანული მობილობის ინტეგრირებული გეგმისა“ და „ინტეგრირებული, უსაფრთხო და გაფართოებული ველოსიპედების ქსელი ქალაქ ბათუმისათვის“ ფუნქციონალური გეგმის მიგნებებისა და რეკომენდაციებს.

##### **განსახორციელებელი ღონისძიებები**

- ✓ ველოსიპედების ქსელის გაუმჯობესება;
- ✓ ველოსიპედების გაქირავების ახალი პუნქტების მოწყობა;
- ✓ ველოსიპედებზე მოთხოვნის მონიტორინგის განხორციელება;
- ✓ ინტერნეტ და მობილური აპლიკაციების შემუშავება სერვისის ხარისხის გასაუმჯობესებლად ;
- ✓ ველოპარკის გაუმჯობესება და გაფართოება ახალი ველოსიპედებით;
- ✓ გადახდისა და აბონენტად რეგისტრაციის სისტემის გაუმჯობესება;
- ✓ ველოტრანსპორტის საზოგადოებრივ ტრანსპორტთან ინტეგრაციის გაუმჯობესება.

##### **პროგრამის განხორციელებასთან დაკავშირებული რისკები და მათი მართვა**





№	რისკის აღწერა	რისკის ალბათობა	რისკის მნიშვნელობა	რისკების მართვის მექანიზმები
1	მოსახლეობის მიერ ველოსიპედის როგორც სატრანსპორტო საშუალების გამოყენების დაბალი მაჩვენებელი.	3	3	ცნობიერების ამაღლების კამპანიების ჩატარება და ველოსისტემით სარგებლობის ხელმისაწვდომობისა და კომფორტის გაზრდა; მასტიმულირებელი ღონისძიებების განხორციელება.

### პროგრამის მიზნობრივი ჯგუფები

- ❖ ქალაქ ბათუმის მოსახლეობა;
- ❖ ტურისტები;
- ❖ ვიზიტორები.

### პროგრამაში ჩართული მხარეები

- ❖ ადგილობრივი თვითმმართველობა;
- ❖ საერთაშორისო და დონორი ორგანიზაციები;
- ❖ არასამთავრობო ორგანიზაციები;
- ❖ სამოქალაქო საზოგადოება.

### პროგრამის სავარაუდო ბიუჯეტი და მისი დაფინანსების წყარო

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი.

### პროგრამის განმახორციელებელი ერთეული და განხორციელების მეთოდი

შპს „ბათუმის ავტოტრანსპორტი“;

ქ. ბათუმის მერიის კეთილმოწყობის სამსახური.

პროგრამა განხორციელდება როგორც უშუალო პასუხისმგებელი სტრუქტურული ერთეულების მიერ, ისე ტენდერის საფუძველზე შესაბამისი საქონელისა და მომსახურების შეძენის გზით.

### პროგრამის განხორციელების სამოქმედო გეგმა

წელი	განსახორციელებელი ღონისძიებები	1 კვარტ.			2 კვარტ.			3 კვარტ.			4 კვარტ.		
	ველოსიპედების ქსელის გაუმჯობესება												
	ველოსიპედების გაქირავების ახალი პუნქტების მოწყობა												
	ველოსიპედებზე მოთხოვნის მონიტორინგის განხორციელება												
	ინტერნეტ და მობილური აპლიკაციების შემუშავება სერვისის ხარისხის გასაუმჯობესებლად												



ველოპარკის გაუმჯობესება და გაფართოება ახალი ველოსიპედებით													
გადახდისა და აბონენტად რეგისტრაციის სისტემის გაუმჯობესება													
ველოტრანსპორტის საზოგადოებრივ ტრანსპორტთან ინტეგრაციის გაუმჯობესება.													

### შედეგების შეფასების ინდიკატორები

- ❖ ველოსიპედით მოსარგებლეთა რაოდენობა;
- ❖ მოწყობილი ახალი სადგომების რაოდენობა;
- ❖ მოწყობილი ახალი გაქირავების პუნქტების რაოდენობა;
- ❖ ველობილიკების საერთო სიგრძე,
- ❖ მოწყობილი ახალი ველობილიკების რაოდენობა და საერთო სიგრძე.



**4.3.5 მუნიციპალური ტრანსპორტის ერთიანი სატარიფო სისტემის დანერგვა**

**პროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი**

პროგრამის მიზანია მუნიციპალური ტრანსპორტით გადაადგილების მიმზიდველობის გაზრდა მგზავრებისათვის მუნიციპალური ტრანსპორტით სარგებლობისათვის საფასურის გადახდის კომფორტული სისტემის შეთავაზების გზით. გარდა ამისა, პროგრამა უზრუნველყოფს მუნიციპალიტეტისათვის მუნიციპალური ტრანსპორტის ადმინისტრირების გაუმჯობესებას.

**პროგრამის აღწერა**

პროგრამის ფარგლებში ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია უზრუნველყოფს მუნიციპალური ტრანსპორტის ბილინგის სისტემის დანერგვას, რაც შესაძლებელს გახდის გადამზიდავი კომპანიების მიერ სანებართვო პირობების შესაბამისად გადახდილი მოსაკრებლების, მუნიციპალური ტრანსპორტით (ავტობუსი, ველოსიპედი) სარგებლობისათვის მგზავრთა მიერ გადახდილი საფასურის, ასევე გადამზიდავი კომპანიების მიერ სანებართვო პირობების დარღვევის შედეგად დაფიქსირებული ჯარიმების აღრიცხვასა და მუდმივ განახლებას ერთიანი ელექტრონული სისტემის საშუალებით. პროგრამის ფარგლებში ასევე განხორციელდება მუნიციპალური ტრანსპორტით სარგებლობის საფასურის გადახდის ერთიანი საბარათე სისტემის დანერგვა.

**განსახორციელებელი ღონისძიებები**

- ✓ ბილინგის სისტემის კონცეფციისა და მომსახურების შესყიდვისათვის სატენდერო დოკუმენტაციის შემუშავება;
- ✓ ტენდერის ჩატარება და ხელშეკრულების გაფორმება მომსახურების მომწოდებელ კომპანიასთან;
- ✓ ბილინგის სისტემის დანერგვა და ამოქმედება;
- ✓ მუნიციპალური ტრანსპორტით სარგებლობის საფასურის გადახდის ერთიანი საბარათე სისტემის კონცეფციის შემუშავება;
- ✓ მუნიციპალური ტრანსპორტით სარგებლობის საფასურის გადახდის ერთიანი საბარათე სისტემის შემუშავების მომსახურების შესყიდვა და დანერგვა.

**პროგრამის განხორციელებასთან დაკავშირებული რისკები და მათი მართვა**

№	რისკის აღწერა	რისკის ალბათობა	რისკის მნიშვნელობა	რისკების მართვის მექანიზმები
1	შეფერხებები და ხარვეზები ელექტრონული პროგრამის მუშაობისას.	3	4	მაღალი ხარისხის პროგრამული უზრუნველყოფის დანერგვა და ხარვეზებზე ოპერატიული რეაგირება.

**პროგრამის მიზნობრივი ჯგუფები**

- ❖ ადგილობრივი თვითმმართველობა;

**პროგრამაში ჩართული მხარეები**

- ❖ ადგილობრივი თვითმმართველობა;
- ❖ სატრანსპორტო-გადამზიდავი კომპანიები;



❖ ქ. ბათუმის მოსახლეობა.

❖ საინფორმაციო ტექნოლოგიების კომპანიები.

**პროგრამის სავარაუდო ბიუჯეტი და მისი დაფინანსების წყარო**

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი.

**პროგრამის განმახორციელებელი ერთეული და განხორციელების მეთოდი**

ქ. ბათუმის მერიის საქალაქო ტრანსპორტის განყოფილება;  
შპს „ბათუმის ავტოტრანსპორტი“.

**პროგრამის განხორციელების სამოქმედო გეგმა**

წელი	განსახორციელებელი ღონისძიებები	1 კვარტ.			2 კვარტ.			3 კვარტ.			4 კვარტ.		
	ბილინგის სისტემის კონცეფციისა და მომსახურების შესყიდვისათვის სატენდერო დოკუმენტაციის შემუშავება												
	ტენდერის ჩატარება და ხელშეკრულების გაფორმება მომსახურების მომწოდებელ კომპანიასთან												
	ბილინგის სისტემის დანერგვა და ამოქმედება												
	მუნიციპალური ტრანსპორტით სარგებლობის საფასურის გადახდის ერთიანი საბარათე სისტემის კონფეციის შემუშავება												
	მუნიციპალური ტრანსპორტით სარგებლობის საფასურის გადახდის ერთიანი საბარათე სისტემის შემუშავების მომსახურების შესყიდვა და დანერგვა.												

**შედეგების შეფასების ინდიკატორები**

- ❖ დანერგილი და ამოქმედებული ბილინგის სისტემა;
- ❖ მუნიციპალური ტრანსპორტით სარგებლობის საფასურის ამოღების მაჩვენებელი;
- ❖ მუნიციპალური ტრანსპორტით მოსარგებლეთა რაოდენობა.



## 4.4 ენერგოეფექტური ტექნოლოგიების დანერგვა და განვითარება. განახლებადი ენერჯის გამოყენების ზრდა

### 4.4.1 ენერგოეფექტურობის სადემონსტრაციო პროექტების განხორციელება.

#### პროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი

პროგრამის მიზანია განახლებადი ენერჯისა და ენერგოეფექტური ტექნოლოგიების გამოყენების გაზრდის სტიმულირება, ასევე ენერჯის მოხმარების შემცირება და ამ გზით გარემოზე მავნე ზემოქმედების შემცირება. პროგრამის განხორციელება ასევე პირდაპირ კავშირშია „მერების შეთანხმებით“ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებასთან.

#### პროგრამის აღწერა

2011 წელს ქ. ბათუმი მიუერთდა ევროკავშირის „მერების შეთანხმების“ ინიციატივას და აიღო ნებაყოფლობითი ვალდებულება ენერგოეფექტური ღონისძიებების განხორციელებითა და განახლებადი ენერჯის გამოყენების გაზრდით უზრუნველყოს სამოქმედო ტერიტორიაზე სათბურის აირების მინიმუმ 20%-ით შემცირება. აღნიშნული მიზნის მისაღწევად, ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტმა 2014 წელს შეიმუშავა და დაამტკიცა ქ. ბათუმის მდგრადი ენერგეტიკის განვითარების სამოქმედო გეგმა.

ენერგეტიკის მდგრადი განვითარების სამოქმედო გეგმა მოიცავს:

- სათბურის გაზების საბაზისო ემისიის ინვენტარიზაციას ტრანსპორტის, შენობების, გარე განათების, ნარჩენების და გამწვანების სექტორში;
- ამ სექტორებისთვის სათბურის გაზების გაფრქვევის საბაზისო, ე.წ. ტრადიციული გზით საქმიანობის (BAU) სცენარის მომზადებას;
- ამ სექტორებში 2020 წლამდე პერიოდისთვის სათბურის გაზების ემისიების შემარბილებელი ღონისძიებების განსაზღვრას და მათი ეფექტის შეფასებას.

2014 წლიდან დღემდე, ბათუმის მერია სხვადასხვა საერთაშორისო და დონორ ორგანიზაციასთან ერთად ახორციელებს ენერგოეფექტურობის პროექტებს ტრანსპორტის, შენობების, გარე განათებისა და ნარჩენების მართვის სექტორებში.

პროგრამის ფარგლებში, ქ. ბათუმის მერია გააგრძელებს საერთაშორისო და დონორ ორგანიზაციებთან თანამშრომლობით ახალი, სადემონსტრაციო პროექტების განხორციელებას და სადემონსტრაციო პროექტების შედეგებსა და გამოცდილებას გაუზიარებს დაინტერესებულ მხარეებს ადგილობრივ თუ საერთაშორისო ღონისძიებებში, სემინარებსა და კონფერენციებზე მონაწილეობისას.

#### განსახორციელებელი ღონისძიებები

- ✓ ევროკავშირის, გლობალური გარემოსდაცვითი ფონდის და სხვა დონორის მიერ გამოცხადებულ საგრანტო კონკურსებში მონაწილეობა და საპროექტო განაცხადების მომზადება მესგ-ს (მდგრადი ენერგეტიკის სამოქმედო გეგმა) საფუძველზე;
- ✓ არსებულ პარტნიორებთან თანამშრომლობის ახალი სადემონსტრაციო პროექტების ინიცირება და განხორციელება;



- ✓ არსებული და ახალი ენერგოეფექტური სადემონსტრაციო პროექტების შესახებ გამოცდილების გაზიარების მიზნით სხვადასხვა ადგილობრივ და საერთაშორისო ღონისძიებასა ან/და კონფერენციაზე მონაწილეობის მიღება;
- ✓ არსებული და ახალი ენერგოეფექტური სადემონსტრაციო პროექტების შესახებ გამოცდილების გაზიარების მიზნით ადგილობრივი ან/და საერთაშორისო ღონისძიების/კონფერენციის/სემინარის ორგანიზება.

### პროგრამის განხორციელებასთან დაკავშირებული რისკები და მათი მართვა

№	რისკის აღწერა	რისკის ალბათობა	რისკის მნიშვნელობა	რისკების მართვის მექანიზმები
1	პერსონალის გამოცდილების ნაკლებობა საპროექტო განაცხადების მომზადების მიმართულებით	3	5	პროექტების წერის შესაბამისი გადამზადებისა და ტრენინგ პროგრამების უზრუნველყოფა პასუხისმგებელი პირებისათვის.
2	ტექნიკური პერსონალის გამოცდილების ნაკლებობა ენერგოეფექტური პროექტების განხორციელების მიმართულებით.	4	5	შესაბამისი გადამზადებისა და ტრენინგ პროგრამების უზრუნველყოფა პასუხისმგებელი პირებისათვის.

### პროგრამის მიზნობრივი ჯგუფები

- ❖ ქალაქ ბათუმის მოსახლეობა;
- ❖ ადგილობრივი თვითმმართველობა;
- ❖ რეგიონული ხელისუფლება;
- ❖ ცენტრალური ხელისუფლება;
- ❖ საერთაშორისო და დონორი ორგანიზაციები.

### პროგრამაში ჩართული მხარეები

- ❖ ადგილობრივი თვითმმართველობა;
- ❖ რეგიონული ხელისუფლება;
- ❖ ცენტრალური ხელისუფლება;
- ❖ საერთაშორისო და დონორი ორგანიზაციები;
- ❖ არასამთავრობო ორგანიზაციები;
- ❖ კერძო სექტორი.

### პროგრამის სავარაუდო ბიუჯეტი და მისი დაფინანსების წყარო

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი.

### პროგრამის განმახორციელებელი ერთეული და განხორციელების მეთოდი

- ❖ ქ. ბათუმის მერიის ქონების მათვისა და ეკონომიკური პოლიტიკის სამსახური;
- ❖ ქ. ბათუმის მერიის არქიტექტურისა და ურბანული განვითარების სამსახური;
- ❖ ქ. ბათუმის მერიის კეთილმოწყობის სამსახური.

პროგრამა განხორციელდება როგორც საბიუჯეტო სახსრებით განხორციელებული სატენდერო შესყიდვის, ასევე საერთაშორისო და დონორი ორგანიზაციების დაფინანსების



საფუძველზე.

**პროგრამის განხორციელების სამოქმედო გეგმა**

წელი	განსახორციელებელი ღონისძიებები	1 კვარტ.			2 კვარტ.			3 კვარტ.			4 კვარტ.		
	ევროკავშირის, გლობალური გარემოსდაცვითი ფონდის და სხვა დონორის მიერ გამოცხადებულ საგრანტო კონკურსებში მონაწილეობა და საპროექტო განაცხადების მომზადება მესგ საფუძველზე												
	არსებულ პარტნიორებთან თანამშრომლობის ახალი სადემონსტრაციო პროექტების ინიცირება და განხორციელება												
	არსებული და ახალი ენერგოეფექტური სადემონსტრაციო პროექტების შესახებ გამოცდილების გაზიარების მიზნით სხვადასხვა ადგილობრივ და საერთაშორისო ღონისძიებასა ან/და კონფერენციაზე მონაწილეობის მიღება												
	არსებული და ახალი ენერგოეფექტური სადემონსტრაციო პროექტების შესახებ გამოცდილების გაზიარების მიზნით ადგილობრივი ან/და საერთაშორისო ღონისძიების/კონფერენციის/სემინარის ორგანიზება.												

**შედეგების შეფასების ინდიკატორები**

- ❖ ენერგოეფექტურობის ინიცირებული და განხორციელებული პროექტების რაოდენობა;
- ❖ არსებული და ახალი ენერგოეფექტური სადემონსტრაციო პროექტების შესახებ გამოცდილების გაზიარების მიზნით სხვადასხვა ადგილობრივ და საერთაშორისო ღონისძიებასა ან/და კონფერენციაზე მონაწილეობის რაოდენობა;
- ❖ არსებული და ახალი ენერგოეფექტური სადემონსტრაციო პროექტების შესახებ გამოცდილების გაზიარების მიზნით ორგანიზებული ადგილობრივი ან/და საერთაშორისო ღონისძიების/კონფერენციის/სემინარის რაოდენობა.



#### 4.4.2 საცხოვრებელი სახლების დათბუნება

##### **პროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი**

პროგრამის მიზანია ქალაქის საბინაო ფონდის ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება; თანამედროვე ენერგოდამზოგავი ტექნოლოგიების გამოყენების პოპულარიზაცია; ენერჯის მოხმარების შემცირება შენობების სექტორიდან და შესაბამისად მავნე აირების გაფრქვევის შემცირება. პროგრამის განხორციელება ასევე პირდაპირ უკავშირდება „მერების შეთანხმებით“ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას.

##### **პროგრამის აღწერა**

პროგრამის ფარგლებში, მერია იხელმძღვანელებს KfW ბანკის მიერ განხორციელებული პროექტის „ენერგოეფექტურობის ჩარჩო დოკუმენტის შემუშავება და შენობების მოკლე ჩამონათვალის შედგენა ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტში“ პროექტის ფარგლებში ჩატარებული კვლევით, სადაც შერჩეულ სამიზნე მუნიციპალურ შენობებთან ერთად, ბანკმა დააფინანსა ვალენბერგის #4 ნომერში მდებარე 8 სართულიანი კორპუსის ენერგოეფექტურობის კვლევა. კორპუსი შერჩეული იქნა მისი ტიპიური მახასიათებლებიდან გამომდინარე როგორც სადემონსტრაციო შენობა, რომლის მაგალითიც შესაძლოა გამოყენებული და გამეორებული იქნეს სხვა საბჭოთა პერიოდში აშენებული მრავალსართულიანი საცხოვრებელი სახლებისათვის ენერგოეფექტური ღონისძიებების განხორციელების მიმართულებით.

კვლევაში მოცემულია ვალენბერგის ქ. #4 ში მდებარე 8 სართულიანი კორპუსის ენერგოაუდიტის შედეგები და მისი ენერგოეფექტურობის უზრუნველსაყოფად განსახორციელებელი ღონისძიებები სადარბაზოების, სარდაფის, კედლების დათბუნების, კარფანჯრების შეცვლის, გათბობა-გაგრილების სისტემების მოდერნიზებისა და ა.შ. მიმართულებით, ასევე მოცემულია სავარაუდო ხარჯებისა და ამ ღონისძიებებში ინვესტირების უკუგების სქემა.

პროექტის ფარგლებში ქ. ბათუმის მერია უზრუნველყოფს საკონსულტაციო მომსახურების გაწევასა და ცნობიერების ამაღლებას დაინტერესებული ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობებისათვის საცხოვრებელი სახლების დათბუნებასთან დაკავშირებით გასატარებელი ღონისძიებების შესახებ, ხოლო შემდგომ განიხილავს გარკვეული ღონისძიებების თანადაფინანსების საკითხს ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში.

გარდა ამისა, ქ. ბათუმის მერია ენერგეტიკის ეროვნული სამოქმედო გეგმის დამტკიცების შემდგომ, უზრუნველყოფს ზემოაღნიშნული პროექტის ფარგლებში შემუშავებული მუნიციპალური შენობების ენერგოეფექტურობის ნებაყოფლობითი სტანდარტის დამტკიცების ინიცირებას და შემდგომ მის დაწერვას პრაქტიკაში.

##### **განსახორციელებელი ღონისძიებები**





- ✓ „ენერგოეფექტურობის ჩარჩო დოკუმენტის შემუშავება და შენობების მოკლე ჩამონათვალის შედგენა ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტში“ პროექტის კვლევის დოკუმენტის გაცნობა, შენობებში ენერგოეფექტურობის ღონისძიებებზე ცნობიერების ამაღლება ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობებისათვის;
- ✓ შენობების დათბუნების კონკრეტული კომპონენტის შერჩევა და თანადაფინანსების პროექტის მომზადება „საბინაო ამხანაგობების ხელშეწყობის პროგრამით“ განხორციელებისათვის;
- ✓ შერჩეული კომპონენტის (მაგალითად გათბობის სისტემის მოდერნიზაცია) თანადაფინანსება და კეთილმოწყობის სამუშაოების განხორციელება;
- ✓ პროექტის რეპლიკაციის ხელშეწყობა და ენერგოეფექტურობის იდეის პოპულარიზაცია სხვადასხვა ადგილობრივ/საერთაშორისო ღონისძიებებზე და კონფერენციებზე;
- ✓ ენერგეტიკის ეროვნული სამოქმედო გეგმის დამტკიცების შემდგომ, მუნიციპალური შენობების ენერგოეფექტურობის ნებაყოფლობითი სტანდარტის პროექტის დამტკიცების ინიცირება.

**პროგრამის განხორციელებასთან დაკავშირებული რისკები და მათი მართვა**

№	რისკის აღწერა	რისკის ალბათობა	რისკის მნიშვნელობა	რისკების მართვის მექანიზმები
1	ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების ნაკლები ინტერესი ენერგოეფექტურობის ღონისძიებების განხორციელების მიმართულებით;	5	5	პროგრამით გათვალისწინებული ღონისძიებების თანადაფინანსება, ენერგოეფექტურობის იდეისა და სარგებელის პოპულარიზაცია, ცნობიერების ამაღლების ღონისძიებების ჩატარება.
2	ენერგოეფექტურობასთან დაკავშირებით ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელების ნაკლები გამოცდილება.	4	5	კვალიფიკაციის ასამაღლებელი ტრენინგ კურსების ორგანიზება შესაბამისი პასუხისმგებელი პირებისათვის.

**პროგრამის მიზნობრივი ჯგუფები**

- ❖ ადგილობრივი თვითმმართველობა;
- ❖ ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობები.

**პროგრამაში ჩართული მხარეები**

- ❖ ადგილობრივი თვითმმართველობა;
- ❖ ცენტრალური ხელისუფლება;
- ❖ საერთაშორისო და დონორი ორგანიზაციები;
- ❖ არასამთავრობო ორგანიზაციები.

**პროგრამის სავარაუდო ბიუჯეტი და მისი დაფინანსების წყარო**

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი.

**პროგრამის განმახორციელებელი ერთეული და განხორციელების მეთოდი**

- ❖ ა(ა)იპ „ბათუმის კორპუსი“;



- ❖ ბათუმის მერიის არქიტექტურისა და ურბანული დაგეგმარების სამსახური;
- ❖ ბათუმის მერიის კეთილმოწყობის სამსახური;
- ❖ ბათუმის მერიის ქონების მართვისა და ეკონომიკური პოლიტიკის სამსახური;
- ❖ საბინაო ამხანაგობები;
- ❖ საერთაშორისო და დონორი ორგანიზაციები;
- ❖ არასამთავრობო ორგანიზაციები/ტრენინგ ცენტრები.

**პროგრამის განხორციელების სამოქმედო გეგმა**

წელი	განსახორციელებელი ღონისძიებები	1 კვარტ.			2 კვარტ.			3 კვარტ.			4 კვარტ.			
	„ენერგოეფექტურობის ჩარჩო დოკუმენტის შემუშავება და შენობების მოკლე ჩამონათვალის შედგენა ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტში“ პროექტის კვლევის დოკუმენტის გაცნობა, შენობებში ენერგოეფექტურობის ღონისძიებებზე ცნობიერების ამაღლება ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობებისათვის													
	შენობების დათბუნების კონკრეტული კომპონენტის შერჩევა და თანადაფინანსების პროექტის მომზადება „საბინაო ამხანაგობების ხელშეწყობის პროგრამით“ განხორციელებისათვის													
	შერჩეული კომპონენტის (მაგალითად გათბობის სისტემის მოდერნიზაცია) თანადაფინანსება და კეთილმოწყობის სამუშაოების განხორციელება													
	პროექტის რეპლიკაციის ხელშეწყობა და ენერგოეფექტურობის იდეის პოპულარიზაცია სხვადასხვა ადგილობრივ/საერთაშორისო ღონისძიებებზე და კონფერენციებზე													
	ენერგეტიკის ეროვნული სამოქმედო გეგმის დამტკიცების შემდგომ, მუნიციპალური შენობების ენერგოეფექტურობის ნებაყოფლობითი სტანდარტის პროექტის დამტკიცების ინიცირება.													



### შედეგების შეფასების ინდიკატორები

- ❖ თანადაფინანსებით განხორციელებული პროექტების რაოდენობა;
- ❖ განხორციელებული ინფრასტრუქტურული სამუშაოების სტატისტიკური მაჩვენებლები;
- ❖ ენერჯის მოხმარების შემცირებული მაჩვენებელი;
- ❖ ნახშირბადის გაფრქვევის შემცირებული მაჩვენებელი.



#### 4.4.3 გარე განათების მინიმალური სტანდარტის დანერგვა

##### პროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი

პროექტის მიზანია გარე განათების სისტემის ეფექტური ფუნქციონირება და მდგრადი განვითარების უზრუნველყოფა. მინიმალური ერთიანი სტანდარტის შემოღება და განხორციელება. გარე განათების სისტემაში ენერგოდამზოგავი და განახლებადი ენერჯის ტექნოლოგიების გამოყენების გაზრდა.

##### პროგრამის აღწერა

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება გარე განათების არსებული წერტების (ქუჩები, მოედნები, პარკები, სკვერები, შენობა-ნაგებობები) მოვლა-ექსპლოატაცია; ქალაქის გარე განათების ახალი წერტების მოწყობა; განხორციელდება ბათუმის გარე განათების სისტემის აუდიტი და მომზადდება განვითარების გენერალური გეგმა, რომლის მიხედვითაც განსაზღვრული იქნება გარე განათების განვითარებისა და შესაბამისი ღონისძიებების განხორციელების მიმართულებები, თანამედროვე ენერგოეფექტური და ენერგოდამზოგავი ნათურების გამოყენების სქემა, შემუშავდება გარე განათების მინიმალური სტანდარტი, რაც განსაზღვრავს გარე განათების აუცილებელ მინიმალურ ტექნიკურ მახასიათებლებს, შეიქმნება გარე განათების სისტემის მართვის ერთიანი კომპიუტერიზირებული პუნქტი.

##### განსახორციელებელი ღონისძიებები

- ✓ გარე განათების წერტების მიმდინარე მოვლა-ექსპლოატაცია;
- ✓ ბათუმის გარე განათების სისტემის აუდიტის განხორციელება;
- ✓ ბათუმის გარე განათების განვითარების გეგმის მომზადება;
- ✓ ქალაქის გარე განათების ახალი წერტების მოწყობა;
- ✓ გარე განათების ბოძების აღჭურვა ენერგოეფექტური ნათურებით;
- ✓ გარე განათების ერთიანი კომპიუტერიზებული პუნქტის შემუშავების და დანერგვის მომსახურების შესყიდვის ტექნიკური დავალების შემუშავება და მისი დანერგვის მომსახურების შესყიდვა;
- ✓ განათების ერთიანი კომპიუტერიზებული პუნქტის დანერგვა და ამოქმედება;
- ✓ თანამშრომლების შესამუშავების გაძლიერება ერთიანი კომპიუტერიზებული პუნქტის ექსპლუატაციასთან დაკავშირებით.

##### პროგრამის განხორციელებასთან დაკავშირებული რისკები და მათი მართვა

№	რისკის აღწერა	რისკის ალბათობა	რისკის მნიშვნელობა	რისკების მართვის მექანიზმები
1	ბაზარზე არსებული ენერგოეფექტური გარე განათების ტექნოლოგიების დაბალი ხარისხი, რამაც შესაძლოა განაპირობოს ექსპლუატაციის ხანმოკლე პერიოდი;	3	5	მაქსიმალურად ზუსტი ტექნიკური დავალების მომზადება ხარისხიანი სანათების მოწოდების უზრუნველსაყოფად
2	ენერგოაუდიტის განხორციელების, გარე განათების სისტემიდან			ქ. ბათუმის მერია უზრუნველყოფს



<p>ნახშირბადის გაფრქვევის კალკულაციასთან დაკავშირებით შესაბამისი ტექნიკური პერსონალის ნაკლები გამოცდილება.</p>			<p>შესაბამისი პერსონალის გადამზადებასა და კვალიფიკაციის ამაღლებას აღინშნული მიმართულებით</p>
--	--	--	--

**პროგრამის მიზნობრივი ჯგუფები**

- ❖ ქალაქ ბათუმის მოსახლეობა;
- ❖ ტურისტები;
- ❖ ვიზიტორები.

**პროგრამაში ჩართული მხარეები**

- ❖ ცენტრალური ხელისუფლება;
- ❖ რეგიონული ხელისუფლება;
- ❖ ადგილობრივი თვითმმართველობა;
- ❖ საერთაშორისო და დონორი ორგანიზაციები;
- ❖ კერძო კომპანიები.

**პროგრამის სავარაუდო ბიუჯეტი და მისი დაფინანსების წყარო**

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი.

**პროექტის განმახორციელებელი ერთეული და განხორციელების მეთოდი**

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის სამსახური; საერთაშორისო და დონორი ორგანიზაციები.

პროგრამა განხორციელდება ტენდერის საფუძველზე განხორციელებული საქონლის ან/და მომსახურების შესყიდვის გზით.

**პროგრამის განხორციელების სამოქმედო გეგმა**

წელი	განსახორციელებელი ღონისძიებები	1 კვარტ.			2 კვარტ.			3 კვარტ.			4 კვარტ.		
	გარე განათების წერტილების მიმდინარე მოვლა-ექსპლოატაცია												
	ბათუმის გარე განათების სისტემის აუდიტის განხორციელება												
	ბათუმის გარე განათების განვითარების გეგმის მომზადება												
	ქალაქის გარე განათების ახალი წერტილების მოწყობა												
	გარე განათების ბოძების აღჭურვა ენერგოეფექტური ნათურებით												
	გარე განათების ერთიანი კომპიუტერიზებული პუნქტის შემუშავების და დანერგვის მომსახურების შესყიდვის ტექნიკური დავალების შემუშავება და მისი დანერგვის მომსახურების შესყიდვა												



განათების ერთიანი კომპიუტერიზებული პუნქტის დანერგვა და ამოქმედება													
თანამშრომლების შესაძლებლობების გაძლიერება ერთიანი კომპიუტერიზებული პუნქტის ექსპლუატაციასთან დაკავშირებით.													

**შედეგების შეფასების ინდიკატორები**

- ❖ გარე განათების წერტილების რაოდენობა, რომელთა მოვლა-ექსპლუატაცია ხორციელდება ქალაქის ტერიტორიაზე;
- ❖ წლის განმავლობაში დამატებული ახალი განათების წერტილების რაოდენობა;
- ❖ წლის განმავლობაში დამონტაჟებული ენერგოეფექტური სანათების რაოდენობა;
- ❖ გარე განათების სისტემიდან ენერგიის დანაკარგის შემცირებული მაჩვენებელი;
- ❖ გარე განათების სისტემიდან მოხმარებული ენერგიისა და ელექტროენერგიის შესაბამისი გადასახადის შემცირებული მაჩვენებელი;
- ❖ გარე განათების სისტემიდან ნახშირბადის გაფრქვევის შემცირების მაჩვენებელი.



## 4.5 ქალაქის გამწვანებისა და გარემოს დაცვის ღონისძიებები

### 4.5.1 ქალაქის გამწვანების გეგმის შემუშავება და განხორციელება

#### პროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი

პროგრამის მიზანია უზრუნველყოს ქალაქის გამწვანებისა და სარეკრეაციო სივრცეების მოწყობის საკითხებთან დაკავშირებით გრძელვადიანი მდგრადი პოლიტიკის შემუშავება, რაც ხელს შეუწყობს შესაბამისი სამუშაოების გეგმაზომიერ და ხარისხიან განხორციელებას.

#### პროგრამის აღწერა

მწვანე სივრცეებს დიდი წვლილი შეაქვთ გარემოს შენარჩუნებაში. ისინი ფილტრავენ დამაბინძურებლებსა და მტვერს, ასევე უზრუნველყოფენ დაბალი ტემპერატურის შენარჩუნებას ურბანულ ტერიტორიებზე და ამავდროულად ამცირებენ ნიადაგის ეროზიის საფრთხეს. მწვანე სივრცეები არეგულირებს ჰაერის ხარისხსა და კლიმატს, ამცირებს გლობალური დათბობის უარყოფით ზეგავლენას. პროგრამის ფარგლებში, ქ. ბათუმის მერია უზრუნველყოფს გამწვანების გეგმის მომზადებას, დამტკიცებასა და განხორციელებას. სტრატეგიის დოკუმენტი დაეყრდნობა მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დოკუმენტს და შესაბამისი მიმართულებების საფუძველზე შეიმუშავებს კონკრეტულ ღონისძიებებს ქალაქის მწვანე სივრცეების მოწყობისა და არსებულის მოვლა-შენახვისა და განვითარების მიმართულებით.

#### განსახორციელებელი ღონისძიებები

- ✓ ქალაქის გამწვანების მიმართულებით არსებული სიტუაციის ანალიზის მომზადება;
- ✓ მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის საფუძველზე პრიორიტეტული მიმართულებებისა და ღონისძიებების განსაზღვრა;
- ✓ ქალაქის გამწვანების გეგმის პროექტის მომზადება და განხილვა დაინტერესებულ მხარეებთან;
- ✓ საბოლოო დოკუმენტის ქ. ბათუმის საკრებულოსათვის წარდგენა დასამტკიცებლად.

#### პროგრამის განხორციელებასთან დაკავშირებული რისკები და მათი მართვა

№	რისკის აღწერა	რისკის ალბათობა	რისკის მნიშვნელობა	რისკების მართვის მექანიზმები
1	დაბალი ხარისხის გეგმის დოკუმენტის შემუშავება	2	5	ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის დაკავშირებული სტრუქტურები უზრუნველყოფენ გეგმის მომზადებას ყველა დაკავშირებული მხარის ჩართულობითა და რეკომენდაციების გათვალისწინებით.



**პროგრამის მიზნობრივი ჯგუფები**

- ❖ ადგილობრივი თვითმმართველობა;
- ❖ ქ. ბათუმის მოსახლეობა.

**პროგრამაში ჩართული მხარეები**

- ❖ ადგილობრივი თვითმმართველობა;
- ❖ რეგიონული ხელისუფლება;
- ❖ ცენტრალური ხელისუფლება;
- ❖ საერთაშორისო და დონორი ორგანიზაციები;
- ❖ გარემოს დაცვის მიმართულელებით მომუშავე არასამთავრობო და საგანმანათლებლო ორგანიზაციები.

**პროგრამის სავარაუდო ბიუჯეტი და მისი დაფინანსების წყარო**

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი.

**პროგრამის განმახორციელებელი ერთეული და განხორციელების მეთოდი გამწვანების და ლანდშაფტური დაგეგმარების სამსახური**

პროგრამის განხორციელების სამოქმედო გეგმა

წელი	განსახორციელებელი ღონისძიებები	1 კვარტ.			2 კვარტ.			3 კვარტ.			4 კვარტ.		
	ქალაქის გამწვანების მიმართულებით სიტუაციის მომზადება												
	მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის საფუძველზე პრიორიტეტული მიმართულებებისა და ღონისძიებების განსაზღვრა												
	ქალაქის გამწვანების პროექტის მომზადება და განხილვა დაინტერესებულ მხარეებთან												
	საბოლოო დოკუმენტის ქ. ბათუმის საკრებულოსათვის წარდგენა დასამტკიცებლად.												

**შედეგების შეფასების ინდიკატორები**

- ❖ მომზადებული და დამტკიცებული ქ. ბათუმის გამწვანების სტრატეგია.





## 4.5.2 ქალაქის ეკოლოგიური მდგომარეობის გაუმჯობესება და სარეკრეაციო ინფრასტრუქტურის განვითარება

### პროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი

პროგრამის მიზანია ქალაქში ეკოლოგიურად სუფთა გარემოს უზრუნველყოფა, სარეკრეაციო და ტურისტული ინფრასტრუქტურის და გამწვანებული ტერიტორიის გაფართოება, რაც შედეგად უზრუნველყოფს ეკოლოგიური და საცხოვრებელი გარემოს გაუმჯობესებას.

### პროგრამის აღწერა

პროგრამის ფარგლებში ადგილობრივი მოსახლეობის პრიორიტეტების გათვალისწინებით განხორციელდება ქალაქის გამწვანების ღონისძიებები, ახალი მწვანე ზონების შექმნა, პარკების, სკვერებისა და მოედნების ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია და მშენებლობა, ქალაქის მწვანე საფარის მიმდინარე მოვლა-პატრონობის ღონისძიებები, მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული სარეკრეაციო (მათ შორის ტურისტული დანიშნულების) ობიექტების მოვლა-პატრონობა და განვითარება.

### განსახორციელებელი ღონისძიებები

- ✓ ქალაქის გამწვანების მიმდინარე ღონისძიებების განხორციელება (ერთწლიანი და მრავალწლიანი მცენარეების გაშენება, მოვლა-პატრონობა);
- ✓ ახალი მწვანე სივრცეების მოწყობა;
- ✓ მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული სარეკრეაციო და ტურისტული ინფრასტრუქტურის მოვლა-პატრონობა და განვითარება.

### პროგრამის განხორციელებასთან დაკავშირებული რისკები და მათი მართვა

№	რისკის აღწერა	რისკის ალბათობა	რისკის მნიშვნელობა	რისკების მართვის მექანიზმები
1	შეზღუდვა ახალი მწვანე სივრცის მოწყობისათვის საჭირო ტერიტორიის არსებობასა და ხელმისაწვდომობასთან დაკავშირებით			
2	კლიმატის ცვლილებასთან დაკავშირებული ნეგატიური მოვლენების გავლენა სარეკრეაციო ინფრასტრუქტურაზე.			

### პროგრამის მიზნობრივი ჯგუფები

- ❖ ქალაქ ბათუმის მოსახლეობა;
- ❖ ტურისტები;
- ❖ ვიზიტორები;
- ❖ საერთაშორისო და დონორი ორგანიზაციები .

### პროგრამაში ჩართული მხარეები

- ❖ ცენტრალური ხელისუფლება;
- ❖ რეგიონული ხელისუფლება;
- ❖ ადგილობრივი თვითმმართველობა;
- ❖ არასამთავრობო ორგანიზაციები;
- ❖ საერთაშორისო და დონორი ორგანიზაციები;
- ❖ სამოქალაქო საზოგადოება;



- ❖ გარემოს დაცვასა და ეკოლოგიურ საკითხებზე მომუშავე სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებები.

**პროგრამის სავარაუდო ბიუჯეტი და მისი დაფინანსების წყარო**

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი.

**პროგრამის განმახორციელებელი ერთეული და განხორციელების მეთოდი**

ქ. ბათუმის კეთილმოწყობის სამსახური;

ა(ა)იპ ბათუმის გამწვანებისა და ლანდშაფტური დაგეგმარების სამსახური.

პროგრამა განხორციელდება უშუალოდ პასუხისმგებელი სტრუქტურული ერთეულის მიერ, ასევე ტენდერის საფუძველზე შესაბამისი საქონელის, მომსახურების ან სამუშაოს შესყიდვის გზით.

**პროგრამის განხორციელების სამოქმედო გეგმა**

წელი	განსახორციელებელი ღონისძიებები	1 კვარტ.			2 კვარტ.			3 კვარტ.			4 კვარტ.		
	ქალაქის გამწვანების მიმდინარე ღონისძიებების განხორციელება (ერთწლიანი და მრავალწლიანი მცენარეების გაშენება, მოვლა-პატრონობა)												
	ახალი მწვანე სივრცეების მოწყობა												
	მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული სარეკრეაციო და ტურისტული ინფრასტრუქტურის მოვლა-პატრონობა და განვითარება.												

**შედეგების შეფასების ინდიკატორები**

- ❖ ქალაქის ტერიტორიის ფართობის, სადაც მოწყობილია სარეკრეაციო ინფრასტრუქტურა;
- ❖ ერთ სულზე გამწვანებული ტერიტორიის საშუალო ფართობი;
- ❖ ქალაქის ტერიტორიის ფართობი, რომელზეც ხორციელდება გამწვანების მიმდინარე ღონისძიებები;
- ❖ ტერიტორიის ფართობი, სადაც მოწყობილია ახალი სარეკრეაციო ინფრასტრუქტურა;
- ❖ სკვერების რაოდენობა, სადაც ხორციელდება მიმდინარე მოვლა-პატრონობის ღონისძიებები.



### 4.5.3 კლიმატის ცვლილების შერბილებისა და ადაპტაციის ღონისძიებების განხორციელება

#### პროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი

პროგრამის მიზანია ბათუმში ცხოვრებისა და ტურიზმის განვითარების პირობების გაუმჯობესება; ეკონომიკისა და ტურიზმის განვითარების ხელშეწყობა; ადგილობრივი გარემო პირობების გაუმჯობესება. კლიმატის ცვლილებით გამოწვეული მოვლენებისადმი შეგუების საშუალებით მედეგობის ამაღლება.

#### პროგრამის აღწერა

2011 წელს „მერების შეთანხმების“ ხელმოწერით ქ. ბათუმი შეუერთდა ევროპულ ინიციატივას, რომელიც მიზნად ისახავს 2020 წლამდე სათბურის გაზების ემისიების მინიმუმ 20%-ით შემცირებას – მიზანი, რომელიც მიღწეულ უნდა იქნას ქალაქის სოციალურ და ეკონომიკურ განვითარებასთან ერთად. აღნიშნული მიზნის მისაღწევად ბათუმის მერიამ შეიმუშავა ენერგეტიკის მდგრადი განვითარების გეგმა, რომელიც იყენებს მასალებს UNDP/GEF პროექტის - „მესამე ეროვნული შეტყობინება გაეროს კლიმატის ცვლილების ჩარჩო კონვენციის მიმართ“ (შემდგომში მესამე ეროვნული შეტყობინება) მიერ მომზადებული გამარტივებული სამოქმედო გეგმიდან. ენერგეტიკის მდგრადი განვითარების სამოქმედო გეგმა მოიცავს:

- ❖ სათბურის გაზების საბაზისო ემისიის ინვენტარიზაციას ტრანსპორტის, შენობების, გარე განათების, ნარჩენების და გამწვანების სექტორში;
- ❖ ამ სექტორებისთვის სათბურის გაზების გაფრქვევის საბაზისო, ე.წ. ტრადიციული გზით საქმიანობის (BAU) სცენარის მომზადებას;
- ❖ ამ სექტორებში 2020 წლამდე პერიოდისთვის სათბურის გაზების ემისიების შემარბილებელი ღონისძიებების განსაზღვრას და მათი ეფექტის შეფასებას.

2014 წლიდან დღემდე ქ. ბათუმის მერია მესგ (მდგრადი ენერგეტიკის სამოქმედო გეგმა) საფუძველზე სხვადასხვა დონორ ორგანიზაციებთან ერთად ახორციელებს კლიმატის ცვლილების შერბილების ღონისძიებებს შენობების, ტრანსპორტის, ნარჩენების მართვის, გარე განათებისა და გამწვანების სექტორებში.

2016 წელს მერების შეთანხმების ოფისმა ამოქმედა ახალი ინიციატივა „ მერების შეთანხმება კლიმატისა და ენერგეტიკისათვის“, რომელიც კლიმატის შერბილების ღონისძიებებთან ერთად ითვალისწინებს არსებულ კლიმატთან ადაპტაციის ღონისძიებების გატარების ვალდებულებას. კონკრეტულად, ხელმოწერი მუნიციპალიტეტი ვალდებულია:

- ❖ 2030 წლისათვის, მინიმუმ 30%-ით შეამციროს CO<sub>2</sub> -ის (და სხვა სათბური აირების) ემისია საკუთარი ტერიტორიიდან, ენერგოეფექტურობისა და ენერჯის განახლებადი წყაროების ათვისების ღონისძიებების საშუალებით;
- ❖ კლიმატის ცვლილების შედეგებთან შეგუებით ამაღლოს მუნიციპალიტეტის მედეგობა.

აღნიშნულ ინიციატივაზე მიერთების შემდგომ, მუნიციპალიტეტი:

- ❖ მოამზადებს საბაზისო ემისიების ინვენტარიზაციას და შეაფასებს კლიმატის ცვლილებით გამოწვეულ რისკებისა და მოწყვლადობას;
- ❖ საკრებულოს გადაწყვეტილების მიღებიდან ორი წლის ვადაში წარადგენს მდგრადი ენერგეტიკისა და კლიმატის სამოქმედო გეგმას და კლიმატის ცვლილების შერბილებისა



და შეგუების ღონისძიებებს ასახავს შესაბამის ადგილობრივი პოლიტიკისა და სტრატეგიის დოკუმენტებში თუ გეგმებში;

- ❖ მდგრადი ენერგეტიკისა და კლიმატის სამოქმედო გეგმის წარდგენიდან ყოველ ორ წელიწადში, პროცესის მიმდინარეობის შეფასების, ზედამხედველობისა და შემოწმების მიზნით წარადგენს შუალედურ ანგარიშს;

გაუზიარებს ხედვას, მიღწევებს, ცოდნასა და გამოცდილებას ადგილობრივი და რეგიონალური ხელისუფლების სხვა ორგანოების წარმომადგენლებს, ევროკავშირისა თუ მის ფარგლებს გარეთ, ინფორმაციის გაცვლისა და პირდაპირი თანამშრომლობის გზით.

### განსახორციელებელი ღონისძიებები

- ✓ ბათუმის მდგრადი ენერგეტიკის განვითარების სამოქმედო გეგმის მონიტორინგის განხორციელებისთვის ტექნიკური დავალების მომზადება და ტენდერის გამოცხადება;
- ✓ გამარჯვებული კომპანიის მიერ მესგ (მდგრადი ენერგეტიკის სამოქმედო გეგმა) მონიტორინგის დოკუმენტის მომზადება;
- ✓ „მერების შეთანხმება კლიმატისა და ენერგეტიკისათვის“ ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მიერთების ინიცირება (საკრებულოს მიერ დამტკიცება, ოფიციალური ხელმოწერა);
- ✓ ბათუმის კლიმატისა და ენერგეტიკის სამოქმედო გეგმის მომზადების ტექნიკური დავალების შემუშავება;
- ✓ ბათუმის კლიმატისა და ენერგეტიკის სამოქმედო გეგმის მომზადებაზე ტენდერის გამოცხადება და გამარჯვებული კომპანიის შერჩევა;
- ✓ ბათუმის კლიმატისა და ენერგეტიკის სამოქმედო გეგმის მომზადება;
- ✓ ბათუმის კლიმატისა და ენერგეტიკის სამოქმედო გეგმის პროექტის საკრებულოზე წარდგენა დასამტკიცებლად.

### პროგრამის განხორციელებასთან დაკავშირებული რისკები და მათი მართვა

№	რისკის აღწერა	რისკის ალბათობა	რისკის მნიშვნელობა	რისკების მართვის მექანიზმები
1	სტატისტიკური მონაცემების შეზღუდული ხელმისაწვდომობა.	5	5	ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტი ითანამშრომლებს ყველა დაკავშირებულ სტრუქტურასთან სტატისტიკური ინფორმაციის შეგროვებასთან დაკავშირებით.

### პროგრამის მიზნობრივი ჯგუფები

- ❖ ადგილობრივი თვითმმართველობა;
- ❖ ქ. ბათუმის მოსახლეობა;
- ❖ კლიმატის ცვლილებისადმი მოწყვლადი ჯგუფები.

### პროგრამაში ჩართული მხარეები

- ❖ ადგილობრივი თვითმმართველობა;
- ❖ რეგიონული ხელისუფლება;
- ❖ ცენტრალური ხელისუფლება;
- ❖ საერთაშორისო და დონორი ორგანიზაციები;
- ❖ გარემოს დაცვის მიმართულებით მომუშავე არასამთავრობო და საგანმანათლებლო



ორგანიზაციები.

**პროგრამის სავარაუდო ბიუჯეტი და მისი დაფინანსების წყარო**

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი.  
საერთაშორისო ორგანიზაციები.

**პროგრამის განმახორციელებელი ერთეული და განხორციელების მეთოდი**

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ქონების მართვისა და ეკონომიკური პოლიტიკის სამსახური.

პროგრამა განხორციელდება ტენდერის საფუძველზე გეგმის მომზადების სამუშაოების შესყიდვის გზით.

**პროგრამის განხორციელების სამოქმედო გეგმა**

წელი	განსახორციელებელი ღონისძიებები	1 კვარტ.			2 კვარტ.			3 კვარტ.			4 კვარტ.											
	ბათუმის მდგრადი ენერჯეტიკის განვითარების სამოქმედო გეგმის მონიტორინგის განხორციელებისთვის ტექნიკური დავალების მომზადება და ტენდერის გამოცხადება																					
	გამარჯვებული კომპანიის მიერ მესგ (მდგრადი ენერჯეტიკის სამოქმედო გეგმა) მონიტორინგის დოკუმენტის მომზადება																					
	„მერების შეთანხმება კლიმატისა და ენერჯეტიკისათვის“ ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მიერთების ინიცირება (საკრებულოს მიერ დამტკიცება, ოფიციალური ხელმოწერა)																					
	ბათუმის კლიმატისა და ენერჯეტიკის სამოქმედო გეგმის მომზადების ტექნიკური დავალების შემუშავება																					
	ბათუმის კლიმატისა და ენერჯეტიკის სამოქმედო გეგმის მომზადებაზე ტენდერის გამოცხადება და გამარჯვებული კომპანიის შერჩევა																					
	ბათუმის კლიმატისა და ენერჯეტიკის სამოქმედო გეგმის მომზადება																					
	ბათუმის კლიმატისა და ენერჯეტიკის სამოქმედო გეგმის																					



	პროექტის საკრებულოზე წარდგენა დასამტკიცებლად.													
--	---	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--

### შედეგების შეფასების ინდიკატორები

- ❖ მუნიციპალიტეტში დანერგილი ელექტრონული მომსახურების სახეობები და ტიპები და რაოდენობა;
- ❖ მუნიციპალური სერვის ცენტრის თანამშრომელთა რაოდენობა;
- ❖ ელექტრონული მომსახურებით მოსარგებლე მოქალაქეთა რაოდენობა;
- ❖ ელექტრონული მომსახურებით მოსარგებლე ბიზნეს სუბიექტთა რაოდენობა;
- ❖ ელექტრონული მომსახურებით მოსარგებლე საჯარო უწყებების რაოდენობა;
- ❖ „ერთი ფანჯრის პრინციპით“ გაწეული მომსახურებების სტატისტიკა;
- ❖ „ერთი ფანჯრის პრინციპით“ მოსარგებლე მოქალაქეების, ბიზნეს სფეროსა და საჯარო უწყებების კმაყოფილების ხარისხი (გამოკითხვის საფუძველზე)



## 4.6 მუნიციპალური სერვისების გაუმჯობესება

### 4.6.1 მუნიციპალური სერვისების ავტომატიზაცია და მომსახურების „ერთი ფანჯრის პრინციპი“-ს ამოქმედება

#### პროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი

პროგრამის მიზანია მოსახლეობისა და ბიზნესისათვის მომსახურების პროცესში ბიუროკრატიული ბარიერების შემცირება და მუნიციპალური მომსახურების სწრაფი და ხელმისაწვდომი მომსახურების მიწოდება.

#### პროგრამის აღწერა

ელექტრონული სერვისების დანერგვას შეუძლია მოსახლეობისათვის მომსახურების პროცესში ბიუროკრატიული ბარიერების შემცირება და ადგილობრივ თვითმმართველობასთან ურთიერთობის გამარტივება. პროექტის ფარგლებში მუნიციპალიტეტი განახორციელებს ელექტრონული სერვისების დანერგვასა და თვითმმართველობის საქმიანობის გადატანას ციფრულ სივრცეში. განხორციელდება ელექტრონული სერვისების დანერგვა შემდეგი მიმართულებით:

- ადმინისტრაციული;
- სივრცითი მოწყობა, არქიტექტურა და ზედამხედველობა;
- ეკოლოგია და გამწვანება;
- კეთილმოწყობა და დასუფთავება;
- ინფრასტრუქტურა და ტრანსპორტი;
- ეკონომიკური განვითარება და ქონების მართვა;
- კულტურა, განათლება და სპორტი;
- ჯანდაცვა და სოციალური;
- იურიდიული;
- საფინანსო-საბიუჯეტო;
- სამხედრო აღრიცხვა.

გარდა ამისა, ქ. ბათუმის მერია უზრუნველყოფს „ერთი ფანჯრის“ პრინციპის ამოქმედებას ყველა სახის მომსახურებისა და ინფორმაციის გაცვლისათვის, რაც გულისხმობს ერთიანი მომსახურების მუნიციპალური სერვის ცენტრის ამოქმედებას, სადაც მუნიციპალიტეტთან დაკავშირებული მომსახურებების მიღება შესაძლებელი იქნება ერთ სივრცეში. ამასთანავე, „ერთი ფანჯრის“ პრინციპის ამოქმედება ხელს შეუწყობს მუნიციპალური სერვისების მიწოდების ხარისხის გაზრდას და თავის მხრივ გაამარტივებს და დაზოგავს არამხოლოდ მოქალაქეების სერვისების მიწოდებასთან დაკავშირებულ პროცედურებსა და დროს, არამედ ასევე ხელს შეუწყობს მიმზიდველი ბიზნეს გარემოს შექმნას ბიზნეს სუბიექტებისათვის საჭირო სანებართვო თუ საკონსულტაციო მომსახურების ერთ სივრცეში და მოკლე დროში მიღების თვალსაზრისით.

#### განსახორციელებელი ღონისძიებები

- ✓ ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიაში არსებული ბიზნეს პროცესების ანალიზი;
- ✓ პროგრამული უზრუნველყოფის შექმნა;



- ✓ ერთიანი ელექტრონული სერვისების და გეოსერვისების პორტალის შექმნა;
- ✓ მუნიციპალიტეტის თანამშრომელთა გადამზადება და შესაძლებლობების გაძლიერება;
- ✓ მუნიციპალური სერვის ცენტრის შექმნა და ფუნქციონირების უზრუნველყოფა.

### პროგრამის განხორციელებასთან დაკავშირებული რისკები და მათი მართვა

№	რისკის აღწერა	რისკის ალბათობა	რისკის მნიშვნელობა	რისკების მართვის მექანიზმები
1	შეფერხებები სისტემის მუშაობაში;	3	4	საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურის დროული რეაგირება.
2	სისტემის უსაფრთხოების უზრუნველყოფა.	3	5	საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურის დროული რეაგირება.

### პროგრამის მიზნობრივი ჯგუფები

- ❖ ქალაქ ბათუმის მოსახლეობა;
- ❖ ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტი;
- ❖ მეწარმეები, ბიზნეს სექტორის წარმომადგენლები;
- ❖ საჯარო უწყებები და ორგანიზაციები, რომლებიც სარგებლობენ მუნიციპალური სერვისებით;
- ❖ არასამთავრობო ორგანიზაციები.

### პროგრამაში ჩართული მხარეები

- ❖ ქალაქ ბათუმის მოსახლეობა;
- ❖ ბიზნეს სექტორის წარმომადგენლები
- ❖ ინფორმაციული ტექნოლოგიების მიმართულებით მომუშავე კერძო კომპანიები;
- ❖ საერთაშორისო და დონორი ორგანიზაციები;
- ❖ არასამთავრობო ორგანიზაციები.

### პროგრამის სავარაუდო ბიუჯეტი და მისი დაფინანსების წყარო

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი.

### პროგრამის განმახორციელებელი ერთეული და განხორციელების მეთოდი

- ❖ ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახური/განყოფილება;
- ❖ ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის სტრუქტურული ქვედანაყოფები;

### პროგრამის განხორციელების სამოქმედო გეგმა

წელი	განსახორციელებელი ღონისძიებები	1 კვარტ.				2 კვარტ.				3 კვარტ.				4 კვარტ.			
	ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიაში არსებული ბიზნეს პროცესების ანალიზი																
	პროგრამული უზრუნველყოფის																





	შექმნა													
	ერთიანი ელექტრონული სერვისების და გეოსერვისების პორტალის შექმნა													
	მუნიციპალიტეტის თანამშრომელთა გადამზადება და შესაძლებლობების გაძლიერება													
	მუნიციპალური სერვის ცენტრის შექმნა და ფუნქციონირების უზრუნველყოფა.													

### შედეგების შეფასების ინდიკატორები

- ❖ მუნიციპალიტეტში დანერგილი ელექტრონული მომსახურების სახეობები და ტიპები და რაოდენობა;
- ❖ მუნიციპალური სერვის ცენტრის თანამშრომელთა რაოდენობა;
- ❖ ელექტრონული მომსახურებით მოსარგებლე მოქალაქეთა რაოდენობა;
- ❖ ელექტრონული მომსახურებით მოსარგებლე ბიზნეს სუბიექტთა რაოდენობა;
- ❖ ელექტრონული მომსახურებით მოსარგებლე საჯარო უწყებების რაოდენობა;
- ❖ „ერთი ფანჯრის პრინციპით“ გაწეული მომსახურებების სტატისტიკა;
- ❖ „ერთი ფანჯრის პრინციპით“ მოსარგებლე მოქალაქეების, ბიზნეს სფეროსა და საჯარო უწყებების კმაყოფილების ხარისხი (გამოკითხვის საფუძველზე)



## 4.7 მუნიციპალური ქონების მართვა

### 4.7.1 მუნიციპალური ქონების ინვენტარიზაცია

#### პროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი

პროგრამის მიზანია ხელი შეუწყოს ინვესტიციების განხორციელებას მუნიციპალური ქონების შესახებ ინფორმაციის სისტემატიზირებითა და ხელმისაწვდომობის გაზრდის გზით. შედეგად ერთის მხრივ, მუნიციპალიტეტს ექნება სრული ინფორმაცია საკუთრებაში არსებული ქონების შესახებ, მეორეს მხრივ დაინტერესებულ ინვესტორს შეეძლება სწრაფად და დროულად, დისტანციურად მოიპოვოს ინფორმაცია საპრივატიზებო ობიექტის ან მიწის ნაკვეთისა და აღნიშნული ობიექტების განკარგვის პირობების შესახებ.

#### პროგრამის აღწერა

პროექტის ფარგლებში ქ. ბათუმის მერია უზრუნველყოფს მის საკუთრებაში არსებული ქონების აღრიცხვას და ერთიანი ფორმის სახით მერიის ვებ გვერდზე განთავსებას. ვებ პორტალზე ასევე განთავსებული იქნება ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ დამტკიცებული „საპრივატიზებო ობიექტების ნუსხა“. ეს მისცემს საშუალებას ინვესტორებს გაიგონ ინფორმაცია ბათუმის ტერიტორიაზე არსებული გასაყიდი ობიექტების მდებარეობის, მიწის/შენობის ფართობისა და მათი ნორმატიული ღირებულების შესახებ.

#### განსახორციელებელი ღონისძიებები

- ✓ ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების ინვენტარიზაციის შესყიდვისათვის ტექნიკური დავალების მომზადება;
- ✓ ქ. ბათუმის საკუთრებაში არსებული ქონების ინვენტარიზაციის მომსახურების შესყიდვა;
- ✓ ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის ვებ გვერდზე მუნიციპალური ქონების ელექტრონული მონაცემთა ბაზის განთავსება შესაბამისი ფუნქციებით;
- ✓ მონაცემთა სისტემატიური განახლება.

#### პროგრამის განხორციელებასთან დაკავშირებული რისკები და მათი მართვა

№	რისკის აღწერა	რისკის ალბათობა	რისკის მნიშვნელობა	რისკების მართვის მექანიზმები
1	დაბალხარისხიანი მომსახურების მიწოდება მუნიციპალური ქონების ინვენტარიზაციასთან დაკავშირებით	3	5	მაქსიმალურად ზუსტი და მაღალი ხარისხის ტექნიკური დავალების შემუშავება.
2	შეფერხებები ელექტრონული სისტემის მუშაობაში.	3	5	შეფერხებების რისკების მინიმუმამდე დაყვანა პროგრამის დამუშავების და დანერგვის პერიოდში. ასევე ოპერატიული რეაგირება მუნიციპალიტეტის



				საინფორმაციო ტექნოლოგიების განყოფილების მიერ.
--	--	--	--	---

**პროგრამის მიზნობრივი ჯგუფები**

**პროგრამაში ჩართული მხარეები**

- ❖ ადგილობრივი თვითმმართველობა;
- ❖ ინვესტორები;
- ❖ უძრავი ქონებით დაინტერესებული პირები.
- ❖ ადგილობრივი თვითმმართველობა;
- ❖ ადგილობრივი და უცხოური საინვესტიციო კომპანიები;
- ❖ არასამთავრობო ორგანიზაციები.

**პროგრამის სავარაუდო ბიუჯეტი და მისი დაფინანსების წყარო**

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი.

**პროექტის განმახორციელებელი ერთეული და განხორციელების მეთოდი**

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის ქონების მართვისა და ეკონომიკური პოლიტიკის სამსახური;  
ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის ინფორმაციული ტექნოლოგიების სამსახური/განყოფილება;  
პროგრამა განხორციელდება ტენდერის საფუძველზე მოსმახურების შესყიდვის გზით.

**პროგრამის განხორციელების სამოქმედო გეგმა**

წელი	განსახორციელებელი ღონისძიებები	1 კვარტ.			2 კვარტ.			3 კვარტ.			4 კვარტ.			
	ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების ინვენტარიზაციის შესყიდვისათვის ტექნიკური დავალების მომზადება													
	ქ. ბათუმის საკუთრებაში არსებული ქონების ინვენტარიზაციის მომსახურების შესყიდვა													
	ბათუმის მუნიციპალიტეტის ვებ გვერდზე მუნიციპალური ქონების ელექტრონული მონაცემთა ბაზის განთავსება შესაბამისი ფუნქციებით													
	მონაცემთა სისტემატიური განახლება													

**შედეგების შეფასების ინდიკატორები**

- პრივატიზებული ობიექტების რაოდენობა;
- იჯარით გაცემული ობიექტების რაოდენობა;
- განხორციელებული ინვესტიციების მოცულობა;
- განხორციელებული ინვესტიციების შედეგად დასაქმებული ადამიანების რაოდენობა.



#### 4.7.2 ინფრასტრუქტურული პროექტებისა და აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის ექსპროპრიაციას დაქვემდებარებული უძრავი ქონების ათვისება

##### პროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი

პროგრამის მიზანია ინფრასტრუქტურული პროექტებისა და აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის, როგორცაა გზისა და მაგისტრალის გაყვანა-მშენებლობა, საზოგადოებრივი საჭიროებისათვის აუცილებელი ნაგებობისა და ობიექტის მშენებლობა; ელექტროენერჯის გადამცემი და გამანაწილებელი ხაზების მშენებლობა, საკომუნიკაციო ქსელების გაყვანა ექსპროპრიაციას დაქვემდებარებული უძრავი ქონების ათვისებასთან დაკავშირებული პროცედურების შეუფერხებელი განხორციელება.

##### პროგრამის აღწერა

პროგრამა განხორციელდება „აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროების ათვისების საკუთრების ჩამორთმევის წესის“ შესახებ საქართველოს კანონით დადგენილი პროცედურების შესაბამისად და გაითვალისწინებს საჭიროებისამებრ ექსპროპრიაციას დაქვემდებარებული უძრავი ქონების ათვისებასთან დაკავშირებული პროცედურების განხორციელებას.

პროგრამის ღონისძიებები უკავშირდება ქ. ბათუმის ტერიტორიაზე საკომუნიკაციო სისტემების გაყვანის, ახალი ქუჩების მშენებლობის, საზოგადოებრივი საჭიროებისათვის აუცილებელი ნაგებობისა და ობიექტის მშენებლობასთან დაკავშირებულ ექსპროპრიაციას დაქვემდებარებული უძრავი ქონების ათვისებას.

##### განსახორციელებელი ღონისძიებები

- ✓ ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოსათვის შესაბამისი სამართლებრივი აქტის წარდგენა ექსპროპრიაციის პროცედურების დაწყების თაობაზე („აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის საკუთრების ჩამორთმევის წესის“ შესახებ საქართველოს კანონის“ შესაბამისად;
- ✓ საექსპროპრიაციო ქონების მესაკუთრეებთან მოლაპარაკების წარმართვა შეთანხმების მხარეთა მიერ ნებაყოფლობით გაფორმების მიზნით;
- ✓ მხარეთა შორის შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, ექსპროპრიაციის უფლების მოპოვების მიზნით შესაბამისი მასალებისა და მოტივირებული/დასაბუთებული წერილის მომზადება საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროში გადასაგზავნად;
- ✓ საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს მიერ შესაბამისი სამართლებრივი აქტის გამოცემის შემდეგ, ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის აპარატთან ერთობლივად სასამართლოსათვის მიმართვა ექსპროპრიაციის უფლების მინიჭების მოთხოვნით;
- ✓ სასამართლოს მიერ შესაბამისი გადაწყვეტილების მიღების შემდეგ ექსპროპრიაციის განხორციელება

##### პროგრამის განხორციელებასთან დაკავშირებული რისკები და მათი მართვა



№	რისკის აღწერა	რისკის ალბათობა	რისკის მნიშვნელობა	რისკების მართვის მექანიზმები
1	წინააღმდეგობა კერძო მესაკუთრეების მხრიდან	3	5	მოქმედება შესაბამისი კანონმდებლობის საფუძველზე

**პროგრამის მიზნობრივი ჯგუფები**

- ❖ ქ. ბათუმის მოსახლეობა;
- ❖ ადგილობრივი თვითმმართველობა

**პროგრამაში ჩართული მხარეები**

- ❖ ადგილობრივი თვითმმართველობა;
- ❖ ცენტრალური ხელისუფლება;
- ❖ არასამთავრობო ორგანიზაციები.

**პროგრამის სავარაუდო ბიუჯეტი და მისი დაფინანსების წყარო**

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი.

**პროგრამის განმახორციელებელი ერთეული და განხორციელების მეთოდი**

ქ. ბათუმის მერიის ქოების მართვისა და ეკონომიკური პოლიტიკის სამსახური.

პროგრამა განხორციელდება უშუალოდ პასუხისმგებელი სტრუქტურული ერთეულის მიერ.

**პროგრამის განხორციელების სამოქმედო გეგმა**

წელი	განმახორციელებელი ღონისძიებები	1 კვარტ.			2 კვარტ.			3 კვარტ.			4 კვარტ.		
	ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოსათვის შესაბამისი სამართლებრივი აქტის წარდგენა ექსპროპრიაციის პროცედურების დაწყების თაობაზე („აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის საკუთრების ჩამორთმევის წესის“ შესახებ საქართველოს კანონის“ შესაბამისად												
	საექსპროპრიაციო ქონების მესაკუთრეებთან მოლაპარაკების წარმართვა შეთანხმების მხარეთა მიერ ნებაყოფლობით გაფორმების მიზნით												
	მხარეთა შორის შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, ექსპროპრიაციის უფლების მოპოვების მიზნით შესაბამისი მასალებისა და მოტივირებული/დასაბუთებული წერილის მომზადება საქართველოს ეკონომიკისა და												



მდგრადი განვითარების სამინისტროში გადასაგზავნად													
საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს მიერ შესაბამისი სამართლებრივი აქტის გამოცემის შემდეგ, ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის აპარატთან ერთობლივად სასამართლოსათვის მიმართვა ექსპროპრიაციის უფლების მინიჭების მოთხოვნით													
სასამართლოს მიერ შესაბამისი გადაწყვეტილების მიღების შემდეგ ექსპროპრიაციის განხორციელება.													

### შედეგების შეფასების ინდიკატორები

- ❖ აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის განხორციელებული ღონისძიებების რაოდენობა
- ❖ დაკმაყოფილებული კერძო მესაკუთრეების რაოდენობა;
- ❖ მუნიციპალიტეტის საკუთრებაში გადმოცემული ქონების სტატისტიკური მახასიათებლები.



## ქალაქის ურბანული განვითარება

### 5.1 ურბანული განვითარების მარეგულირებელი სტრატეგიული განვითარების და სამართლებრივი ჩარჩოს შემუშავება და ამოქმედება

5.1.1 მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის შემუშავება და სამშენებლო პოლიტიკის გაუმჯობესება

5.1.2 ისტორიული განაშენიანებისა და განაშენიანების რეგულირების დაცვის ზონების დამტკიცება

5.1.3 ძველი ბათუმის ისტორიული განაშენიანების რეგულირების ზონაში კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების დაცვისა და რეაბილიტაცია



## 5. ქალაქის ურბანული განვითარება

### 5.1 ურბანული განვითარების მარეგულირებელი სტრატეგიული განვითარების და სამართლებრივი ჩარჩოს შემუშავება და ამოქმედება

#### 5.1.1 მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის შემუშავება და სამშენებლო პოლიტიკის გაუმჯობესება

##### პროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი

პროგრამის მიზანია ქალაქის დასახლებული ტერიტორიების გეგმაზომიერი განაშენიანება და რაციონალური გამოყენება; ქალაქის მდგრადი განვითარების უზრუნველყოფა.

##### პროგრამის აღწერა

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 29 სექტემბრის №33 დადგენილებით დამტკიცებული გეგმარებითი დავალების შესაბამისად ქალაქ ბათუმის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის შემუშავება ქალაქის ტერიტორიის გამოყენების, განაშენიანების ძირითადი პარამეტრების, კეთილმოწყობის, გარემოს დაცვის, ლანდშაფტისა და სარეკრეაციო სივრცეების სისტემების, უძრავი კულტურული მემკვიდრეობის დამცავ სივრცით-ტერიტორიული პირობების, საინჟინრო, სატრანსპორტო და სოციალური ინფრასტრუქტურის და სხვა მიმართულებების გათვალისწინებით. გეგმის შემუშავების პარალელურად, ასევე ანალიზს დაექვემდებარება და გადაიხედება საკრებულოს მიერ მიღებული ადრინდელი რეგულაციები და დადგენილებები მათი ქმედითუნარიანობისა და ეფექტურობის თვალსაზრისით. საჭიროების შემთხვევაში შემუშავდება წინადადებები მათი სრულყოფისთვის. გენერალური გეგმის შემუშავების პარალელურად ასევე განხორციელდება ცალკეული ტერიტორიების განაშენიანების რეგულირების გეგმების მომზადება, რომლებიც შემდგომ წარედგინება საზოგადოებასა და დაინტერესებულ ინვესტორებს.

##### განსახორციელებელი ღონისძიებები

- ✓ ტენდერის გამოცხადება ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 29 სექტემბრის №33 დადგენილებით დამტკიცებული გეგმარებითი დავალების შესაბამისად და ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის მომზადების მომსახურების შესყიდვა;
- ✓ გამარჯვებული კომპანიის მიერ ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის შემუშავება;
- ✓ ტერიტორიების განაშენიანების რეგულირების გეგმების მომზადება;
- ✓ გეგმის შემუშავების პროცესის კოორდინაცია და შესრულებული სამუშაოების მონიტორინგის განხორციელება.

##### პროგრამის განხორციელებასთან დაკავშირებული რისკები და მათი მართვა

№	რისკის აღწერა	რისკის ალბათობა	რისკის მნიშვნელობა	რისკების მართვის მექანიზმები
1	დაბალი ხარისხის დოკუმენტის მიღება	4	5	გეგმის მომზადების პროცესში ქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მაქსიმალური ჩართულობა.





**პროგრამის მიზნობრივი ჯგუფები**

- ❖ ქალაქ ბათუმის მოსახლეობა;
- ❖ ადგილობრივი თვითმმართველობა;
- ❖ რეგიონალური ხელისუფლება;
- ❖ ცენტრალური ხელისუფლება;
- ❖ საერთაშორისო და დონორი ორგანიზაციები.

**პროგრამაში ჩართული მხარეები**

- ❖ ცენტრალური ხელისუფლება;
- ❖ რეგიონული ხელისუფლება;
- ❖ ადგილობრივი თვითმმართველობა;
- ❖ საერთაშორისო და დონორი ორგანიზაციები;
- ❖ საკონსულტაციო ორგანიზაციები;
- ❖ არასამთავრობო სექტორისა და სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლები;
- ❖ დარგის ექსპერტები.

**პროგრამის სავარაუდო ბიუჯეტი და მისი დაფინანსების წყარო**

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი.

**პროგრამის განმახორციელებელი ერთეული და განხორციელების მეთოდი**

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის არქიტექტურისა და ურბანული განვითარების სამსახური.

პროგრამა განხორციელდება პასუხისმგებელი სტრუქტურული ერთეულის მიერ.

**პროგრამის განხორციელების სამოქმედო გეგმა**

წელი	განსახორციელებელი ღონისძიებები	1 კვარტ.			2 კვარტ.			3 კვარტ.			4 კვარტ.			
	ტენდერის გამოცხადება ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 29 სექტემბრის №33 დადგენილებით დამტკიცებული გეგმარებითი დავალების შესაბამისად და ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის მომზადების მომსახურების შესყიდვა													
	გამარჯვებული კომპანიის მიერ ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის შემუშავება													
	ტერიტორიების განაშენიანების რეგულირების გეგმების მომზადება													
	გეგმის შემუშავების პროცესის კოორდინაცია და შესრულებული სამუშაოების მონიტორინგის განხორციელება													



### 5.1.2 ისტორიული განაშენიანებისა და განაშენიანების რეგულირების დაცვის ზონების დამტკიცება

#### პროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი

ისტორიული განაშენიანების დაცვის ზონის დადგენის მიზანია მასში დაცული ძეგლების ისტორიულად ჩამოყალიბებული სივრცით-არქიტექტურული გარემოს, განაშენიანების ტრადიციული ფორმებისა და იერსახის შენარჩუნება, ქალაქის ისტორიული ნაწილის, როგორც ისტორიულად ჩამოყალიბებული ორგანიზმის (დაგეგმარების სტრუქტურა, მორფოლოგია, შენობების მასშტაბი, ხასიათი, სილუეტი, იერსახე, ლანდშაფტი და სხვა), დაცვისა და შენარჩუნების უზრუნველყოფა, სარეაბილიტაციო, სამშენებლო და სხვა სამუშაოთა რეგულირება, საქალაქო გარემოს გაჯანსაღება, დეგრადირებული ურბანული ქსოვილის ისტორიულ სახესთან მაქსიმალურად მიახლოება, ისტორიული განაშენიანების ეკონომიკური და კულტურული პოტენციალის რეალიზაცია.

განაშენიანების რეგულირების ზონის დადგენის მიზანია ისტორიულად ჩამოყალიბებული და ახალი განაშენიანების ჰარმონიულად შერწყმის უზრუნველყოფა.

#### პროგრამის აღწერა

პროგრამის ფარგლებში ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია უზრუნველყოფს გის და დზ საკონსულტაციო ცენტრი „გეოგრაფიკი“-ს მიერ 2017 წელს მომზადებული ისტორიული განაშენიანებისა და განაშენიანების რეგულირების დაცვის ზონების საპროექტო დოკუმენტაციის საფუძველზე ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს შესაბამისი დადგენილების დამტკიცების ინიცირებას.

შედეგად უზრუნველყოფილი იქნება ქ. ბათუმის ისტორიული ნაწილის, მასში არსებული ძეგლების, მათი ისტორიულად ჩამოყალიბებული ბუნებრივი და ხელოვნური გარემოს შენარჩუნება, ასევე კულტურული მემკვიდრეობის დამცავი ზონებისა და მათ ფარგლებში სამშენებლო და სხვა საქმიანობის მარეგულირებელი რეჟიმები.

#### განსახორციელებელი ღონისძიებები

- ✓ ისტორიული განაშენიანებისა და განაშენიანების რეგულირების დაცვის ზონების დამტკიცების თაობაზე ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის მომზადება და წარდგენა დასამტკიცებლად.

#### პროგრამის განხორციელებასთან დაკავშირებული რისკები და მათი მართვა

№	რისკის აღწერა	რისკის ალბათობა	რისკის მნიშვნელობა	რისკების მართვის მექანიზმები
1				



### პროგრამის მიზნობრივი ჯგუფები

- ❖ ქალაქ ბათუმის მოსახლეობა;
- ❖ ადგილობრივი თვითმმართველობა;
- ❖ რეგიონული ხელისუფლება;
- ❖ ცენტრალური ხელისუფლება;
- ❖ საერთაშორისო და დონორი ორგანიზაციები.

### პროგრამაში ჩართული მხარეები

- ❖ ცენტრალური ხელისუფლება;
- ❖ რეგიონული ხელისუფლება;
- ❖ ადგილობრივი თვითმმართველობა;
- ❖ საერთაშორისო და დონორი ორგანიზაციები;
- ❖ საკონსულტაციო ორგანიზაციები;
- ❖ არასამთავრობო სექტორისა და სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლები;
- ❖ დარგის ექსპერტები.

### პროგრამის სავარაუდო ბიუჯეტი და მისი დაფინანსების წყარო

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი.

### პროგრამის განმახორციელებელი ერთეული და განხორციელების მეთოდი

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის არქიტექტურისა და ურბანული დაგეგმარების სამსახური. პროგრამა განხორციელდება უშუალოდ განმახორციელებელი სტრუქტურული ერთეულის მიერ.

### პროგრამის განხორციელების სამოქმედო გეგმა

წელი	განსახორციელებელი ღონისძიებები	1 კვარტ.			2 კვარტ.			3 კვარტ.			4 კვარტ.		
	ისტორიული განაშენიანებისა და განაშენიანების რეგულირების დაცვის ზონების დამტკიცების თაობაზე ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის მომზადება და წარდგენა დასამტკიცებლად.												

### შედეგების შეფასების ინდიკატორები

- ❖ ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ დამტკიცებული დადგენილება ისტორიული განაშენიანებისა და განაშენიანების რეგულირების დაცვის ზონების დამტკიცების შესახებ



### 5.1.3 ძველი ბათუმის ისტორიული განაშენიანების რეგულირების ზონაში კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების დაცვისა და რეაბილიტაცია

#### პროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი

პროგრამის მიზანია ქ. ბათუმის ისტორიული ნაწილის, მასში არსებული ძეგლების, მათი ისტორიულად ჩამოყალიბებული ბუნებრივი და ხელოვნური გარემოს შენარჩუნება; კულტურული მემკვიდრეობის დამცავი ზონებისა და მათ ფარგლებში სამშენებლო და სხვა სახის საქმიანობის რეგულირება. პროგრამა ასევე ხელს შეუწყობს ინვესტიციების მოზიდვასა და განხორციელებას რეაბილიტირებული კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებთან დაკავშირებით პირობიანი საინვესტიციო წინადადებების შემუშავებისა და ინვესტიციებისათვის მათი შეთავაზების გზით.

#### პროგრამის აღწერა

პროგრამის ფარგლებში ისტორიული განაშენიანების სპეციალური ზონის მაცხოვრებლებისათვის მოხდება ალტერნატიული საცხოვრებელი ფართის შეთავაზება. ამგვარად მუნიციპალიტეტი იწყებს ბათუმში, მითითებულ ზონაში, კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების , ასევე მათი მიმდებარე ფონური ნაგებობების (საწყის ეტაპზე ძეგლის ფიზიკური დაცვის არეალში) ეტაპობრივ, მუნიციპალურ საკუთრებაში გამოსყიდვას.

შემდგომ ეტაპზე მოხდება კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სააგენტოს ჩართულობით ამ შენობების რეაბილიტაციის პროექტების შემუშავება და ინვესტიციებისათვის პირობიანი საინვესტიციო წინადადებების შეთავაზება. პირობიანი საინვესტიციო წინადადებაში ქ. ბათუმის მერია გაითვალისწინებს სარეაბილიტაციო პროექტის განხორციელების სანაცვლოდ კონკრეტული შენობის მრავალწლიან ოპერირებაში ან საკუთრებაში გადაცემას.

#### განსახორციელებელი ღონისძიებები

- ✓ ძველი ბათუმის ისტორიული განაშენიანების რეგულირების ზონაში არსებული კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების მცხოვრებთათვის ალტერნატიული ფართის შეთავაზება;
- ✓ კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების , ასევე მათი მიმდებარე ფონური ნაგებობების მუნიციპალიტეტის საკუთრებაში გამოსყიდვის პროცედურების ორგანიზება და განხორციელება;
- ✓ კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების რეაბილიტაციის პროექტების შემუშავება;
- ✓ საინვესტიციო წინადადებების მომზადება და შეთავაზება ინვესტიციებისათვის.

#### პროგრამის განხორციელებასთან დაკავშირებული რისკები და მათი მართვა

№	რისკის აღწერა	რისკის ალბათობა	რისკის მნიშვნელობა	რისკების მართვის მექანიზმები
1	წინააღმდეგობა კერძო მფლობელების მხრიდან	3	5	ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია კერძო მფლობელებს შესთავაზებს სამართლიან



				და დამაკმაყოფილებელ ალტერნატივასა და კომპენსაციას.
2	ნაკლები ინტერესი ინვესტორების მხრიდან	3	4	ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია უზრუნველყოფს საინვესტიციო წინადადებების შეთავაზებასა და წარდგენას სხვადასხვა საერთაშორისო და ადგილობრივ საინვესტიციო შეხვედრებსა და ფორუმებზე.

**პროგრამის მიზნობრივი ჯგუფები**

- ❖ ქალაქ ბათუმის მოსახლეობა
- ❖ ტურისტები
- ❖ ინვესტორები

**პროგრამაში ჩართული მხარეები**

- ❖ ადგილობრივი თვითმმართველობა;
- ❖ რეგიონული ხელისუფლება;
- ❖ ცენტრალური ხელისუფლება;
- ❖ საერთაშორისო ორგანიზაციები;
- ❖ არასამთავრობო ორგანიზაციები.

**პროგრამის სავარაუდო ბიუჯეტი და მისი დაფინანსების წყარო**

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი.

**პროგრამის განმახორციელებელი ერთეული და განხორციელების მეთოდი**

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ქონების მართვისა და ეკონომიკური პოლიტიკის სამსახური;

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის არქიტექტურისა და ურბანული განვითარების სამსახური;

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის სამსახური.

კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სააგენტო.

**პროგრამის განხორციელების სამოქმედო გეგმა**

წელი	განსახორციელებელი ღონისძიებები	1 კვარტ.			2 კვარტ.			3 კვარტ.			4 კვარტ.		
	ძველი ბათუმის ისტორიული განაშენიანების რეგულირების ზონაში არსებული კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების მცხოვრებთათვის ალტერნატიული ფართის შეთავაზება												
	კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების , ასევე მათი მიმდებარე ფონური ნაგებობების												



მუნიციპალიტეტის საკუთრებაში გამოსყიდვის პროცედურების ორგანიზება და განხორციელება													
კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების რეაბილიტაციის პროექტების შემუშავება													
საინვესტიციო წინადადებების მომზადება და შეთავაზება ინვესტორებისათვის.													

### შედეგების შეფასების ინდიკატორები

- ❖ ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში გადმოცემული კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების რაოდენობა;
- ❖ საინვესტიციო წინადადებების საფუძველზე რეაბილიტირებული კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების რაოდენობა;
- ❖ ალტერნატიული საცხოვრებელი ფართებით დაკმაყოფილებული ოჯახების რაოდენობა
- ❖ მოსახლეობისათვის საკომპენსაციოდ შეთავაზებული საცხოვრებელი ფართების რაოდენობრივი მაჩვენებლები, სარემონტო სამუშაოებისათვის გაცემული თანხების ოდენობა.





## 6. მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა

### 6.1 ჯანმრთელობის დაცვის სერვისებზე თანაბარი ხელმისაწვდომობის მხარდაჭერა და უსაფრთხო გარემოს შექმნა მოქალაქეებისათვის

#### 6.1.1 დაავადებათა პრევენცია

##### პროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი

მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და გაუმჯობესება დაავადებათა პრევენციის, საზოგადოებრივი ჯანმრთელობის საფრთხეებისადმი მზადყოფნის და დროული რეაგირების გზით.

##### პროგრამის აღწერა

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის პროგრამები ეფუძნება იმ ცარიელი ნიშის შევსებას, რომელიც რჩება სახელმწიფო/რეგიონული დონის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის პროგრამების მიღმა. პროგრამების მიზანია, სათანადო ხარისხის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სერვისების მიწოდების გზით უზრუნველყოს ქალაქ ბათუმის მოსახლეობის სიცოცხლის ხანგრძლივობის გაზრდა, ჯანმრთელობის მდგომარეობისა და ცხოვრების ხარისხის ამაღლება.

დაავადებათა პრევენციის პროგრამის ფარგლებში განხორციელდება დაავადებებით გამოწვეული ავადობის, შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის და სიკვდილიანობის შემცირების მიმართულებით შემუშავებული ღონისძიებები, კერძოდ პრევენციული ხასიათის სქრინინგ პროგრამები, რომლებიც შექმნის შესაძლებლობას ადრეულ ეტაპზე იქნას გამოვლენილი კონკრეტული დაავადებები და მინიმუმამდე შემცირდეს შესაძლებლობების შეზღუდვის რისკები. პროგრამის ფარგლებში ბენეფიციარებს შეეძლებათ ისარგებლონ ონკოლოგიურ დაავადებათა დიაგნოსტიკით, ახალშობილებში აუდიოლოგიური პათოლოგიისა და ზოგიერთი გენეტიკური დაავადების( კერძოდ, მუკოვისციდოზის) ადრეული აღმოჩენის მიზნით დაგეგმილი ღონისძიებებით.

##### განსახორციელებელი ღონისძიებები

- ✓ ონკოლოგიურ დაავადებათა დიაგნოსტიკა;
- ✓ ქ. ბათუმში დაბადებულ ახალშობილთა სქრინინგი მუკოვისციდოზზე;
- ✓ ქ. ბათუმში დაბადებულ ახალშობილთა სმენის სქრინინგული გამოკვლევა.

##### პროგრამის განხორციელებასთან დაკავშირებული რისკები და მათი მართვა

№	რისკის აღწერა	რისკის	რისკის	რისკების მართვის
---	---------------	--------	--------	------------------





		ალბათობა	მნიშვნელობა	მექანიზმები
1	ონკოლოგიურ დაავადებათა დიაგნოსტიკის ღონისძიებებში მოსახლეობის დაბალი ჩართულობა	3	4	მოსახლეობის ცნობადობის ამაღლება, ინფორმირება საპრომოუშენო ღონისძიებების დაგეგმვით.
2				

### პროგრამის მიზნობრივი ჯგუფები

- ❖ ქ. ბათუმის მოსახლეობა

### პროგრამაში ჩართული მხარეები

- ❖ ქ. ბათუმის მოსახლეობა;
- ❖ ადგილობრივი თვითმმართველობა;
- ❖ შესაბამისი პროფილის სამედიცინო დაწესებულებები;
- ❖ რეგიონული ხელისუფლება;
- ❖ ცენტრალური ხელისუფლება.

### პროგრამის სავარაუდო ბიუჯეტი და მისი დაფინანსების წყარო

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი.

### პროგრამის განმახორციელებელი ერთეული და განხორციელების მეთოდი

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახური

### პროგრამის განხორციელების სამოქმედო გეგმა

წელი	განსახორციელებელი ღონისძიებები	1 კვარტ.			2 კვარტ.			3 კვარტ.			4 კვარტ.		
	ონკოლოგიურ დაავადებათა დიაგნოსტიკა												
	ქ. ბათუმში დაბადებულ ახალშობილთა სქრინინგი მუკოვისციდოზზე												
	ქ. ბათუმში დაბადებულ ახალშობილთა სმენის სქრინინგული გამოკვლევა.												

### შედეგების შეფასების ინდიკატორები

- ❖ ბენეფიციართა რაოდენობა, რომლებმაც ისარგებლეს ონკოლოგიურ დაავადებათა დიაგნოსტიკის ღონისძიებებით;
- ❖ ბენეფიციართა რაოდენობა, რომლებსაც ჩაუტარდათ მუკოვისციდოზისა და სმენის სქრინინგული გამოკვლევები.



## 6.1.2 გადამდები დაავადების - C ჰეპატიტის მკურნალობის პროგრამის ხელმისაწვდომობის ზრდა

### პროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი

პროგრამის მიზანია C ჰეპატიტის დიაგნოსტიკა, მკურნალობის კონტროლი და გართულებების პრევენცია, ასევე აღნიშნულ მომსახურებაზე ხელმისაწვდომობის გაზრდა მოსახლეობის მოწყვლადი ჯგუფებისთვის.

### პროგრამის აღწერა

საქართველოს მთავრობის 2015 წლის 20 აპრილის #169 დადგენილებით ამოქმედდა "C ჰეპატიტის მართვის პირველი ეტაპის ღონისძიებების უზრუნველყოფის თაობაზე" სახელმწიფო პროგრამა, რომლის ფარგლებშიც C ჰეპატიტით დაავადებულ პირებს უტარდებათ მედიკამენტოზური მკურნალობა და დიაგნოსტიკა თანადაფინანსებით. პროგრამის ხელშეწყობისა და ჩართულობის გაზრდის მიზნით ქ. ბათუმის მერიამ შეიმუშავა C ჰეპატიტის დიაგნოსტიკის და მკურნალობის მონიტორინგის თანადაფინანსების ღონისძიებები, რის მიხედვითაც სოციალურად დაუცველ სრულად დაუფინანსდება მომსახურება, ხოლო სხვა კატეგორიის მოსახლეობას დაუფინანსდება დამატებით სრული ღირებულების 42 %.

### განსახორციელებელი ღონისძიებები

✓ დიაგნოსტიკისა და მკურნალობის მონიტორინგის თანადაფინანსება ბენეფიციართათვის.

### პროგრამის განხორციელებასთან დაკავშირებული რისკები და მათი მართვა

№	რისკის აღწერა	რისკის ალბათობა	რისკის მნიშვნელობა	რისკების მართვის მექანიზმები
1	მოსახლეობის დაბალი ჩართულობა	3	3	მოსახლეობის ცნობადობის ამაღლება, ინფორმირება დაავადებისა და მისი შესაძლო შედეგების შესახებ
2				

### პროგრამის მიზნობრივი ჯგუფები

❖ ქ. ბათუმის მოსახლეობა

### პროგრამაში ჩართული მხარეები

- ❖ ქ. ბათუმის მოსახლეობა;
- ❖ ადგილობრივი თვითმმართველობა;
- ❖ შესაბამისი პროფილის სამედიცინო დაწესებულებები;
- ❖ რეგიონული ხელისუფლება;
- ❖ ცენტრალური ხელისუფლება.



**პროგრამის სავარაუდო ბიუჯეტი და მისი დაფინანსების წყარო**

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი.

**პროგრამის განმახორციელებელი ერთეული და განხორციელების მეთოდი**

ქ. ბათუმის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახური.

პროგრამით გათვალისწინებული მომსახურეობა განხორციელდება სამედიცინო ვაუჩერის საშუალებით. ვაუჩერის გაცემის, გამოყენების წესს და ქვეპროგრამის ღონისძიებასთან დაკავშირებულ ღონისძიებებს განსაზღვრავს ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერი.

**პროგრამის განხორციელების სამოქმედო გეგმა**

წელი	განსახორციელებელი ღონისძიებები	1 კვარტ.			2 კვარტ.			3 კვარტ.			4 კვარტ.		
	დიაგნოსტიკისა და მკურნალობის მონიტორინგის თანადაფინანსება ბენეფიციართათვის.												

**შედეგების შეფასების ინდიკატორები**

❖ პროგრამით მოსარგებლე ბენეფიციართა რაოდენობა.



### 6.1.3. მედიკამენტებზე ხელმისაწვდომობის ზრდა

#### პროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი

პროგრამის მიზანია ქრონიკული დაავადებების მქონე პირთათვის და მოწყვლადი სოციალური ჯგუფებისათვის მედიკამენტებსა და საკვებ დანამატებზე ხელმისაწვდომობის გაზრდა და გრძელვადიან პერიოდში ქრონიკული დაავადებებით გამოწვეული სიკვდილიანობის რისკის შემცირება.

#### პროგრამის აღწერა

არაგადამდები დაავადებების გამოწვევი რისკ ფაქტორები მრავალია: არაჯანსაღი კვება, დაბალი ფიზიკური აქტივობა, ბიოლოგიური რისკ ფაქტორები - სხეულის მასის ინდექსი, სისხლში გლუკოზისა და ქოლესტერინის კონცენტრაცია, გარემო ფაქტორები - სტრესი, ხმაური, ჰაერის დაბინძურება. ქრონიკული დაავადებების გავრცელების თვალსაზრისით მოსახლეობის მაღალი რისკ ჯგუფები საშუალო და დაბალი შემოსავლების მქონე ადამიანებია, რომლებიც უფრო მეტად მოწყვლადი არიან ზემოთაღნიშნული ფაქტორების მიმართ. პროგრამის ფარგლებში განხორციელდება ქრონიკული დაავადებების მქონე პაციენტთათვის მედიკამენტებზე ხელმისაწვდომობის გაზრდის ღონისძიებები, ასევე მოწყვლადი სოციალური ჯგუფებისათვის მედიკამენტებსა და საკვებ დანამატებზე ხელმისაწვდომობის გაზრდის ღონისძიებები.

#### განსახორციელებელი ღონისძიებები

- ✓ ქრონიკული დაავადების მქონე პაციენტთა სამკურნალო-საწამლო საშუალებებით უზრუნველყოფა და ხელმისაწვდომობის ზრდა;
- ✓ მოწყვლადი სოციალური ჯგუფების მქონე პირთა მედიკამენტებითა და საკვები დანამატებით უზრუნველყოფა.

#### პროგრამის განხორციელებასთან დაკავშირებული რისკები და მათი მართვა

№	რისკის აღწერა	რისკის ალბათობა	რისკის მნიშვნელობა	რისკების მართვის მექანიზმები
1	ბენეფიციართა მონაცემთა არასრული ბაზა	3	3	მონაცემთა ბაზის დაზუსტება
2	მედიკამენტებზე მოთხოვნილების პერმანენტული ზრდა	3	4	ელექტრონული რეცეპტების შემოღება, რათა გამორიცხული იქნას მედიკამენტების არასაჭიროებისამებრ და გაიდლაინების მიხედვით დანიშვნა



**პროგრამის მიზნობრივი ჯგუფები**

- ❖ ქ. ბათუმის მოსახლეობა

**პროგრამაში ჩართული მხარეები**

- ❖ ქ. ბათუმის მოსახლეობა;
- ❖ ადგილობრივი თვითმმართველობა;
- ❖ შესაბამისი პროფილის სამედიცინო დაწესებულებები;
- ❖ რეგიონული ხელისუფლება;
- ❖ ცენტრალური ხელისუფლება.

**პროგრამის სავარაუდო ბიუჯეტი და მისი დაფინანსების წყარო**

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი.

**პროგრამის განმახორციელებელი ერთეული და განხორციელების მეთოდი**

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახური.

პროგრამა განხორციელდება შესაბამისი მუნიციპალური ქვეპროგრამით დადგენილი კრიტერიუმების საფუძველზე.

**პროგრამის განხორციელების სამოქმედო გეგმა**

წელი	განსახორციელებელი ღონისძიებები	1 კვარტ.			2 კვარტ.			3 კვარტ.			4 კვარტ.		
	ქრონიკული დაავადების მქონე პაციენტთა სამკურნალო-საწამლო საშუალებებით უზრუნველყოფა და ხელმისაწვდომობის ზრდა												
	მოწყვლადი სოციალური ჯგუფების მქონე პირთა მედიკამენტებითა და საკვები დანამატებით უზრუნველყოფა.												

**შედეგების შეფასების ინდიკატორები**

- ❖ მედიკამენტებითა და საკვები დანამატებით უზრუნველყოფის ღონისძიებების მოსარგებლეთა რაოდენობა.



### 6.1.4 სტაციონარულ და ამბულატორიულ სამედიცინო მომსახურებაზე ხელმისაწვდომობის ზრდა

#### პროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი

პროგრამის მიზანია უზრუნველყოს მოსახლეობის ხელმისაწვდომობის გაზრდა იმ სტაციონარულ და ამბულატორიულ სამედიცინო მომსახურებაზე, რომლებიც არ ფინანსდება სახელმწიფო პროგრამებით. ასევე უზრუნველყოს მოწყვლადი კატეგორიებისათვის აღნიშნული მომსახურებით სარგებლობის ხელმისაწვდომობა.

#### პროგრამის აღწერა

საქართველოს მოსახლეობისათვის სამედიცინო დახმარება ძირითადად უზრუნველყოფილია სახელმწიფო ბიუჯეტიდან დაფინანსებული მთელი რიგი სამედიცინო პროგრამებით. მიუხედავად ამისა, მოსახლეობის ნაწილს, დაბალი შემოსავლების გამო, არ აქვს საშუალება დაფაროს იმ სამედიცინო მომსახურების ხარჯები, რომლებიც სრულად არ იფარება სხვადასხვა სახელმწიფო სამედიცინო პროგრამებით. ამ მიზნით ქ. ბათუმის მერია განახორციელებს ღონისძიებებს, რომლებიც თანადაფინანსების პრინციპით დააფინანსებს გეგმიურ ოპერაციებს, ხელს შეუწყობს სტაციონარულ და ამბულატორიულ სამედიცინო მომსახურებაზე მოქალაქეთა ხელმისაწვდომობის გაზრდას. პროგრამა აქცენტს გააკეთებს აღნიშნული პროგრამის ღონისძიებების ხელმისაწვდომობის გაზრდაზე მოწყვლადი სოციალური ჯგუფებისათვის.

#### განსახორციელებელი ღონისძიებები

- ✓ ღვიძლის ტრანსპლანტაციის საჭიროების მქონე პირთა თანადაფინანსება;
- ✓ ბენეფიციართა გეგმიური ოპერაციული მკურნალობის თანადაფინანსება;
- ✓ რეგისტრირებულ ჰემოდიალიზის ცენტრის პაციენტთა და ლეიკემიით დაავადებულ ბავშვთა ფინანსური ხელმისაწვდომობის გაზრდა;
- ✓ მოწყვლადი ჯგუფების სტომატოლოგიური და ორთოპედიული მომსახურების ხელმისაწვდომობის გაზრდა;
- ✓ ბავშვებისათვის მენჯ-ბარძაყის სახსრის დისპლაზიისა და ამოვარდნილობის ამბულატორიული მკურნალობის კურსის დაფინანსება.

#### პროგრამის განხორციელებასთან დაკავშირებული რისკები და მათი მართვა

№	რისკის აღწერა	რისკის ალბათობა	რისკის მნიშვნელობა	რისკების მართვის მექანიზმები
1	ბენეფიციართა დაბალი ჩართულობა	3	3	მოსახლეობის ცნობადობის ამაღლება, ინფორმირება საპრომოუშენო ღონისძიებების დაგეგმვით.

პროგრამის მიზნობრივი ჯგუფები

პროგრამაში ჩართული მხარეები



- ❖ ქ. ბათუმის მოსახლეობა
- ❖ ქ. ბათუმის მოსახლეობა;
- ❖ ადგილობრივი თვითმმართველობა;
- ❖ შესაბამისი პროფილის სამედიცინო დაწესებულებები;
- ❖ რეგიონული ხელისუფლება;
- ❖ ცენტრალური ხელისუფლება.

**პროგრამის სავარაუდო ბიუჯეტი და მისი დაფინანსების წყარო**

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი.

**პროგრამის განმახორციელებელი ერთეული და განხორციელების მეთოდი**

ქ. ბათუმის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახური

**პროგრამის განხორციელების სამოქმედო გეგმა**

წელი	განსახორციელებელი ღონისძიებები	1 კვარტ.			2 კვარტ.			3 კვარტ.			4 კვარტ.		
	ღვიძლის ტრანსპლანტაციის საჭიროების მქონე პირთა თანადაფინანსება												
	ბენეფიციართა გეგმიური ოპერაციული მკურნალობის თანადაფინანსება												
	რეგისტრირებულ ჰემოდიალიზის ცენტრის პაციენტთა და ლეიკემიით დაავადებულ ბავშვთა ფინანსური ხელმისაწვდომობის გაზრდა												
	მოწყვლადი ჯგუფების სტომატოლოგიური და ორთოპედიული მომსახურების ხელმისაწვდომობის გაზრდა;												
	ბავშვებისათვის მენჯ-ბარძაყის სახსრის დისპლაზიისა და ამოვარდნილობის ამბულატორიული მკურნალობის კურსის დაფინანსება.												

**შედეგების შეფასების ინდიკატორები**

- ❖ ღვიძლის ტრანსპლანტაციის თანადაფინანსების ღონისძიების მოსარგებლე ბენეფიციართა რაოდენობა;
- ❖ გეგმიური ოპერაციული მკურნალობის თანადაფინანსების მომსახურებით მოსარგებლე ბენეფიციართა რაოდენობა;



- ❖ იმ ბენეფიციართა რაოდენობა რომელთაც გაეწიათ მატერიალური დახმარება ჰემოდიალიზის და ლეიკემიის მიმართულებით;
- ❖ ბენეფიციართა რაოდენობა, რომელთაც გაეწიათ სტომატოლოგიური და ორთოპედიული მომსახურება;
- ❖ ბენეფიციართა რაოდენობა, რომელთაც დაუფინანსდათ მენჯ-ბარძაყის სახსრის დისპლაზიისა და ამოვარდნილობის ამბულატორიული მკურნალობა.





### 6.1.5 სარეაბილიტაციო მომსახურების მიწოდება საჭიროების მქონე პირებისათვის

#### პროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი

პროგრამის მიზანია აუდიოლოგიური და სხვა პათოლოგიების მქონე პირთათვის სარეაბილიტაციო სერვისების მიწოდება.

#### პროგრამის აღწერა

პროგრამის ფარგლებში ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია უზრუნველყოფს ბენეფიციარებისათვის სხვადასხვა სამკურნალო-სარეაბილიტაციო მომსახურების მიწოდების დაფინანსებას, კერძოდ სმენის დარღვევის მქონე, განვითარების შეფერხებების მქონე, აუტისტური სპექტრის მქონე ბავშვთა რეაბილიტაციას. ასევე უზრუნველყოფს შშმ სტატუსის მქონე ბავშვთა და ვეტერანთა სამკურნალო-სარეაბილიტაციო ღონისძიებები გატარებას.

#### განსახორციელებელი ღონისძიებები

- ✓ ბათუმში რეგისტრირებული სმენის დარღვევის მქონე ბავშვთა რეაბილიტაცია;
- ✓ ბათუმში რეგისტრირებული განვითარების დარღვევის მქონე ბავშვთა რეაბილიტაცია;
- ✓ აუტისტური სპექტრის მქონე ბავშვთა რეაბილიტაცია;
- ✓ შშმ სტატუსის მქონე ბავშვთა და ვეტერანთა საკურორტო სამკურნალო რეაბილიტაციის ღონისძიებები.

#### პროგრამის განხორციელებასთან დაკავშირებული რისკები და მათი მართვა

№	რისკის აღწერა	რისკის ალბათობა	რისკის მნიშვნელობა	რისკების მართვის მექანიზმები
1	ინფორმირებულობისა და ჩართულობის ნაკლებობა	3	4	ინფორმირებულობის ამღლება სხვადასხვა საპრომოუშენო ღონისძიებებით
2	სარეაბილიტაციო ცენტრების ნაკლებობა			სარეაბილიტაციო ცენტრების მხარდაჭერა
3	კვალიფიციური სპეციალისტების ნაკლებობა			მხარდაჭერა დეფიციტური სპეციალობების გადამზადებასა და თრენინგებში

#### პროგრამის მიზნობრივი ჯგუფები

- ❖ ქ. ბათუმის მოსახლეობა

#### პროგრამაში ჩართული მხარეები

- ❖ ქ. ბათუმის მოსახლეობა;
- ❖ ადგილობრივი თვითმმართველობა;
- ❖ შესაბამისი პროფილის სამედიცინო დაწესებულებები;
- ❖ რეგიონული ხელისუფლება;
- ❖ ცენტრალური ხელისუფლება.

#### პროგრამის სავარაუდო ბიუჯეტი და მისი დაფინანსების წყარო



ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი.

**პროგრამის განმახორციელებელი ერთეული და განხორციელების მეთოდი**

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახური.

**პროგრამის განხორციელების სამოქმედო გეგმა**

წელი	განსახორციელებელი ღონისძიებები	1 კვარტ.			2 კვარტ.			3 კვარტ.			4 კვარტ.		
	ბათუმში რეგისტრირებული სმენის დარღვევის მქონე ბავშვთა რეაბილიტაცია												
	ბათუმში რეგისტრირებული განვითარების დარღვევის მქონე ბავშვთა რეაბილიტაცია												
	აუტისტური სპექტრის მქონე ბავშვთა რეაბილიტაცია												
	შშმ სტატუსის მქონე ბავშვთა და ვეტერანთა საკურორტო სამკურნალო რეაბილიტაციის ღონისძიებები.												

**შედეგების შეფასების ინდიკატორები**

❖ პროგრამის ბენეფიციართა რაოდენობა.



### 6.1.6 ჯანმრთელობისათვის უსაფრთხო გარემოს შექმნა

#### პროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი

პროგრამის მიზანია ქალაქის სანიტარიულ-ჰიგიენური მდგომარეობის გაუმჯობესება და ჯანმრთელობისათვის უსაფრთხო გარემოს შექმნა, გადამდები დაავადებების პრევენია.

#### პროგრამის აღწერა

პროგრამის ფარგლებში საგანმანათლებლო, საამღზრდელო და ასევე ქ. ბათუმის ტერიტორიაზე განთავსებული საზოგადოებრივი მნიშვნელობის დაწესებულებების სანიტარულ-ჰიგიენური მონიტორინგის განხორციელება, მაწანწალა ცხოველების (ძაღვების, კატების) პოპულაციის რეგულირების ღონისძიებების განხორციელება, მავნე მწერებისა და მღრღნელების მაქსიმალურ შემცირებისა და მოსახლეობის ეპიდემიოლოგიური უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების, იტალიური ეზოებისა და სარდაფების დეზინსექცია და ქვეწარმავლების საწინააღმდეგო სპეციალური პრეპარატებით დამუშავება.

#### განსახორციელებელი ღონისძიებები

- ✓ ბათუმის ტერიტორიაზე არსებული საგანმანათლებლო, საამღზრდელო და საზოგადოებრივი დანიშნულების დაწესებულებების სანიტარული მონიტორინგის განხორციელება;
- ✓ მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების, იტალიური ეზოებისა და სარდაფების დეზინსექცია- დერატიზაცია ;
- ✓ მაწანწალა ცხოველების მოვლა-პატრონობისა და პოპულაციის რეგულირების ღონისძიებების განხორციელება.

#### პროგრამის განხორციელებასთან დაკავშირებული რისკები და მათი მართვა

№	რისკის აღწერა	რისკის ალბათობა	რისკის მნიშვნელობა	რისკების მართვის მექანიზმები
1	ბათუმის ტერიტორიაზე არსებული საგანმანათლებლო, საამღზრდელო და საზოგადოებრივი დანიშნულების დაწესებულებების არასრული წუსხა	3	2	მონაცემთა ბაზის დაზუსტება
2	ბათუმის ტერიტორიაზე არსებული მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების, იტალიური ეზოებისა და სარდაფების არასრული ბაზა	3	2	მონაცემთა ბაზის დაზუსტება
3	მაწანწალა ცხოველების პოპულაციის პერმანენტული ცვლილება და მონაცემთა არასრულყოფილი ბაზის არსებობა	3	3	მონაცემთა ბაზის დაზუსტება და საკანონმდებლო ბაზის სრულყოფა და ახალი ინიციატივების შემუშავება



**პროგრამის მიზნობრივი ჯგუფები**

- ❖ ქ. ბათუმის მოსახლეობა;
- ❖ ქ. ბათუმის ტერიტორიაზე მდებარე საზოგადოებრივი დანიშნულების დაწესებულებები.

**პროგრამაში ჩართული მხარეები**

- ❖ ქ. ბათუმის მოსახლეობა;
- ❖ ადგილობრივი თვითმმართველობა.

**პროგრამის სავარაუდო ბიუჯეტი და მისი დაფინანსების წყარო**

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი.

**პროგრამის განმახორციელებელი ერთეული და განხორციელების მეთოდი**

ქ. ბათუმის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახური.

**პროგრამის განხორციელების სამოქმედო გეგმა**

წელი	განსახორციელებელი ღონისძიებები	1 კვარტ.			2 კვარტ.			3 კვარტ.			4 კვარტ.		
	ბათუმის ტერიტორიაზე არსებული საგანმანათლებლო, სააღმზრდელო და საზოგადოებრივი დანიშნულების დაწესებულებების სანიტარული მონიტორინგის განხორციელება												
	მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების, იტალიური ეზოებისა და სარდაფების დერატიზაცია-დეზინსექცია												
	მაწანწალა ცხოველების მოვლა-პატრონობისა და პოპულაციის რეგულირების ღონისძიებების განხორციელება.												

**შედეგების შეფასების ინდიკატორები**

- ❖ ბათუმის ტერიტორიაზე არსებული საგანმანათლებლო, სააღმზრდელო და საზოგადოებრივი დანიშნულების დაწესებულებების რაოდენობა სადაც განხორციელდა სანიტარული მონიტორინგი;
- ❖ მონიტორინგის შედეგად გამოვლენილი დარღვევების კლების პროცენტული მაჩვენებელი
- ❖ მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების, იტალიური ეზოებისა და სარდაფების რაოდენობა, სადაც განხორციელდა დერატიზაცია-დეზინსექციის ღონისძიებები;
- ❖ მაწანწალა ცხოველების რაოდენობა, რომელთაც ჩაუტარდათ მოვლა-პატრონობისა და პოპულაციის რეგულირების ღონისძიებები.



### 6.1.7 სამედიცინო დაწესებულებების განვითარების ხელშეწყობა

#### პროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი

პროგრამის მიზანია მოქალაქეთათვის გადაუდებელი სამედიცინო მომსახურების ხარისხიანი სერვისის მიწოდების უზრუნველყოფა

#### პროგრამის აღწერა

პროგრამის ფარგლებში ქ. ბათუმის მერია გადაუდებელი სამედიცინო მომსახურების კვალიფიციური და ხარისხიანი სერვისის მიწოდების უზრუნველსაყოფად განახორციელებს ბათუმის სასწრაფო სამედიცინო დახმარების ცენტრის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესებას, ახალი ავტომანქანებით აღჭურვას, ცენტრში დასაქმებული სამედიცინო პერსონალის მხარდაჭერას. ზაფხულის სეზონზე გაზრდილი მოთხოვნის შესაბამისად, სასწრაფო სამედიცინო დახმარების ცენტრის დამატებითი მომსახურების მხარდაჭერას.

#### განსახორციელებელი ღონისძიებები

- ✓ ბათუმის სასწრაფო სამედიცინო დახმარების ცენტრის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესება;
- ✓ ცენტრში დასაქმებული სამედიცინო პერსონალის მხარდაჭერა.

#### პროგრამის განხორციელებასთან დაკავშირებული რისკები და მათი მართვა

№	რისკის აღწერა	რისკის ალბათობა	რისკის მნიშვნელობა	რისკების მართვის მექანიზმები
1	დროული სამედიცინო დახმარების გაწევა „ოქროს შუალედის“ დაცვით	3	4	მატერიალურ-ტექნიკური ბაზის პერმანენტული განახლება, გზების მოწესრიგება
2	მაღალკვალიფიციური სამედიცინო მომსახურების გაწევა	3	4	ექიმთა პერიოდული გადამზადება, თრენინგების ჩატარება

#### პროგრამის მიზნობრივი ჯგუფები

- ❖ ქ. ბათუმის მოსახლეობა;
- ❖ ქ. ბათუმის ვიზიტორები

#### პროგრამაში ჩართული მხარეები

- ❖ ქ. ბათუმის მოსახლეობა;
- ❖ ადგილობრივი თვითმმართველობა;
- ❖ შესაბამისი პროფილის სამედიცინო დაწესებულებები;
- ❖ რეგიონული ხელისუფლება;
- ❖ ცენტრალური ხელისუფლება.

#### პროგრამის სავარაუდო ბიუჯეტი და მისი დაფინანსების წყარო

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი.

#### პროგრამის განმახორციელებელი ერთეული და განხორციელების მეთოდი

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახური



შპს „ბათუმის სასწრაფო სამედიცინო დახმარების ცენტრი.“

**პროგრამის განხორციელების სამოქმედო გეგმა**

წელი	განსახორციელებელი ღონისძიებები	1 კვარტ.			2 კვარტ.			3 კვარტ.			4 კვარტ.		
	ბათუმის სასწრაფო სამედიცინო დახმარების ცენტრის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესება												
	ცენტრში დასაქმებული სამედიცინო პერსონალის მხარდაჭერა.												

**შედეგების შეფასების ინდიკატორები**

- ❖ ზაფხულის სეზონზე სასწრაფო დახმარების დამატებითი ბრიგადების რაოდენობა;
- ❖ ზამთრის სეზონზე სასწრაფო დახმარების დამატებითი ბრიგადების რაოდენობა;
- ❖ მუნიციპალური ბიუჯეტიდან დაფინანსებული სასწრაფო სამედიცინო ცენტრის ექიმების ხელფასის საშუალო ყოველთვიური დანამატი;
- ❖ სასწრაფო სამედიცინო დახმარების ცენტრის მიერ შეძენილი ავტომობილების რაოდენობა



## 6.2 სოციალური თანასწორობის უზრუნველყოფის ხელშეწყობა

### 6.2.1 მოწყვლადი ჯგუფების ხელმისაწვდომობის ზრდა ძირითად კომუნალურ სერვისებსა და საქალაქო ტრანსპორტით გადაადგილებაზე

#### პროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი

პროგრამის მიზანია შექმნას მინიმალური საარსებო პირობები მოწყვლადი ჯგუფებისათვის მათთვის ძირითადი კომუნალური სერვისების მიწოდებისა და კომუნალური ხარჯების დაფარვის გზით.

#### პროგრამის აღწერა

პროგრამის ფარგლებში მოწყვლადი სოციალური ჯგუფებისათვის, როგორცაა: შშმ პირები, მათ შორის შშმ სტატუსის მქონე ბავშვები, ვეტერანები და მათთან გათანაბრებული პირები, ომში დაღუპულთა ოჯახის წევრები და მარჩენალდაკარგულები, სოციალურად დაუცველი პირები, მრავალშვილიანი ოჯახები, მარტოხელა დედები და მათი შვილები ისარგებლებენ სერვისით, რომლის ფარგლებშიც მოხდება ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან მათთვის ძირითადი კომუნალური ხარჯების დაფარვა. კერძოდ: წყლისა და კანალიზაციის გადასახადის, დასუფთავების მოსაკრებლის, სატელეფონო-სააბონენტო გადასახადის. მუნიციპალური ტრანსპორტით მგზავრობის საფასურის 50%-ით სუბსიდირება შემდეგი სოციალური კატეგორიისათვის: მასწავლებლები, სტუდენტები, იძულებით გადაადგილებული პირები, ასაკით პენსიონერები, საბავშვო ბაღების და ბიბლიოთეკების თანამშრომლები; მუნიციპალური ტრანსპორტით მგზავრობის საფასურის 100%-ით სუბსიდირება შემდეგი მოწყვლადი კატეგორიისათვის: ბათუმის ხანდაზმულთა სოციალური ცენტრის ბენეფიციარები, ვეტერანებისა და მათთან გათანაბრებული პირები, 0-70 000 ქულის მქონე ბენეფიციარები, შშმ პირები, შშმ სტატუსის ბავშვები. გარდა ამისა, პროგრამის ფარგლებში განხორციელდება მოწყვლადი სოციალური კატეგორიისათვის ბუნებრივი აირის მილგაყვანილობისა და მრიცხველის სამონტაჟო სამუშაოების ღირებულების 90%-ის თანადაფინანსება ერთი წერტილის გათვალისწინებით გაზქურამდე.

#### განსახორციელებელი ღონისძიებები

მოწყვლადი სოციალური ჯგუფებისათვის:

- ✓ წყლისა და კანალიზაციის გადასახადის დაფარვა;
- ✓ დასუფთავებისათვის მოსაკრებლის გადასახადის დაფარვა;
- ✓ სატელეფონო-სააბონენტო გადასახადის დაფარვა;
- ✓ გაზიფიცირების - ბუნებრივი აირის მილგაყვანილობისა და მრიცხველის სამონტაჟო სამუშაოების ღირებულების 90%-ის თანადაფინანსება ერთი წერტილის გათვალისწინებით გაზქურამდე;
- ✓ ვეტერანების, მათთან გათანაბრებული პირების, ომში დაღუპულთა ოჯახის წევრების და მარჩენალდაკარგულების თხევადი აირის ტალონით დახმარება;
- ✓ მასწავლებლების, სტუდენტების, იძულებით გადაადგილებული პირების, ასაკით პენსიონერების, საბავშვო ბაღების და ბიბლიოთეკების თანამშრომლების, მუნიციპალური ტრანსპორტით მგზავრობის საფასურის 50%-ით სუბსიდირება;
- ✓ ბათუმის ხანდაზმულთა სოციალური ცენტრის ბენეფიციარების, ვეტერანებისა და მათთან გათანაბრებული პირების, 0-70 000 ქულის მქონე ბენეფიციარების, შშმ



პირების, შშმ სტატუსის ბავშვების, მოსწავლეების მუნიციპალური ტრანსპორტით მგზავრობის საფასურის 100%-ით სუბსიდირება;

- ✓ ეტლით მოსარგებლე შშმ სტატუსის მქონე სტუდენტების სატრანსპორტო ხარჯების სუბსიდირება.

### პროგრამის განხორციელებასთან დაკავშირებული რისკები და მათი მართვა

№	რისკის აღწერა	რისკის ალბათობა	რისკის მნიშვნელობა	რისკების მართვის მექანიზმები
1	ბენეფიციართა მონაცემთა ბაზების დაგვიანებით მოწოდება შესაბამისი უწყებებიდან.	3	5	კოორდინირებული მუშაობა ყველა დაკავშირებულ მხარესა და უწყებასთან შესაბამისი ბაზების დროულად მოწოდებასთან დაკავშირებით.

#### პროგრამის მიზნობრივი ჯგუფები

- ❖ შშმ პირები, მათ შორის შშმ სტატუსის მქონე ბავშვები;
- ❖ ვეტერანები და მათთან გათანაბრებული პირები, ომში დაღუპულთა ოჯახის წევრები და მარჩენალდაკარგულები;
- ❖ სოციალურად დაუცველი პირები;
- ❖ მრავალშვილიანი ოჯახები,
- ❖ მარტოხელა დედები;
- ❖ ზოგადსაგანმანათლებლო და სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების აკადემიური პერსონალი, სტუდენტები, ბიბლიოთეკების თანამშრომლები.

#### პროგრამაში ჩართული მხარეები

- ❖ ადგილობრივი თვითმმართველობა;
- ❖ სოციალური პროფილის სამთავრობო უწყებები და ორგანიზაციები;
- ❖ არასამთავრობო ორგანიზაციები.

#### პროგრამის სავარაუდო ბიუჯეტი და მისი დაფინანსების წყარო

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი.

#### პროგრამის განმახორციელებელი ერთეული და განხორციელების მეთოდი

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახური.

პროგრამა უშუალოდ განხორციელდება განმახორციელებელი სტრუქტურული ერთეულების მიერ.

#### პროგრამის განხორციელების სამოქმედო გეგმა





წელი	განსახორციელებელი ღონისძიებები	1 კვარტ.			2 კვარტ.			3 კვარტ.			4 კვარტ.		
	მოწყვლადი კატეგორიისათვის წყლისა და კანალიზაციის გადასახადის დაფარვა												
	დასუფთავებისათვის მოსაკრებლის გადასახადის დაფარვა												
	სატელეფონო-სააბონენტო გადასახადის დაფარვა												
	გაზიფიცირების - ბუნებრივი აირის მილგაყვანილობისა და მრიცხველის სამონტაჟო სამუშაოების ღირებულების 90%-ის თანადაფინანსება ერთი წერტილის გათვალისწინებით გაზქურამდე												
	ვეტერანების, მათთან გათანაბრებული პირების, ომში დაღუპულთა ოჯახის წევრების და მარჩენალდაკარგულების თხევადი აირის ტალონით დახმარება												
	მასწავლებლების, სტუდენტების, იძულებით გადაადგილებული პირების, ასაკით პენსიონერების, საბავშვო ბაღების და ბიბლიოთეკების თანამშრომლების, მუნიციპალური ტრანსპორტით მგზავრობის საფასურის 50%-ით სუბსიდირება												
	ბათუმის ხანდაზმულთა სოციალური ცენტრის ბენეფიციარების, ვეტერანებისა და მათთან გათანაბრებული პირების, 0-70 000 ჟელის მქონე ბენეფიციარების, შშმ პირების, შშმ სტატუსის ბავშვების, მოსწავლეების მუნიციპალური ტრანსპორტით მგზავრობის საფასურის 100%-ით სუბსიდირება.												

### შედეგების შეფასების ინდიკატორები

- ❖ პროგრამის ღონისძიებებით მოსარგებლე ბენეფიციართა რაოდენობა;
- ❖ კომუნალური სერვისების სუბსიდირებაზე მიმართული თანხების მოცულობა.



## 6.2.2 მოწყვლადი სოციალური კატეგორიების მატერიალური დახმარება

### პროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი

პროგრამის მიზანია მოწყვლადი კატეგორიის ფინანსური ხელმისაწვდომობის გაზრდის ხელშეწყობა ერთჯერადი მატერიალური დახმარების გაწევის გზით.

### პროგრამის აღწერა

პროგრამის ფარგლებში, სადღესასწაულო დღეებთან დაკავშირებით ერთჯერადი მატერიალური დახმარება გაეწევათ ომისა და სამხედრო ძალების ვეტერანებს, II მსოფლიო ომის ვეტერანებს და II მსოფლიო ომში დაღუპული პირის ოჯახის წევრებს, საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისთვის ბრძოლებში დაღუპულთა ოჯახის წევრებსა და დაინვალიდებულ ვეტერანებს. პროგრამის ფარგლებში ერთჯერადი მატერიალური დახმარების გაცემა განხორციელდება ასევე შვილის შემენასთან დაკავშირებით სოციალურად დაუცველი პირებისათვის, გარდაცვლილი ვეტერანის (ომის მონაწილე) და სოციალურად დაუცველი ოჯახის წევრებისათვის.

### განსახორციელებელი ღონისძიებები

- ✓ სადღესასწაულო დღეებში ვეტერანებზე (ომის მონაწილეები და ომში დაღუპულთა ოჯახის წევრები) მატერიალური დახმარების გაწევა
- ✓ შვილის შემენასთან დაკავშირებით სოციალურად დაუცველი ოჯახებისათვის მატერიალური დახმარების გაწევა
- ✓ ვეტერანთა (ომის მონაწილე) და სოციალურად დაუცველ პირთა გარდაცვალების შემთხვევაში მათ ოჯახებზე ერთჯერადი მატერიალური დახმარების გაწევა.

### პროგრამის განხორციელებასთან დაკავშირებული რისკები და მათი მართვა

№	რისკის აღწერა	რისკის ალბათობა	რისკის მნიშვნელობა	რისკების მართვის მექანიზმები
1	ბენეფიციართა მონაცემთა ბაზების დაგვიანებით მოწოდება შესაბამისი უწყებებიდან,	3	5	კოორდინირებული მუშაობა ყველა დაკავშირებულ მხარესა და უწყებასთან შესაბამისი ბაზების დროულად მოწოდებასთან დაკავშირებით.

### პროგრამის მიზნობრივი ჯგუფები

- ❖ სხვადასხვა ქვეყნის ტერიტორიაზე მოქმედებებში მონაწილე ვეტერანები;
- ❖ II მსოფლიო ომის ვეტერანები და II მსოფლიო ომში დაღუპული პირის ოჯახის წევრები;

### პროგრამაში ჩართული მხარეები

- ❖ ადგილობრივი თვითმმართველობა;
- ❖ სოციალური პროფილის სამთავრობო უწყებები და ორგანიზაციები;
- ❖ არასამთავრობო ორგანიზაციები.



- ❖ საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისთვის ბრძოლებში დაღუპულთა ოჯახის წევრები და დაინვალიდებულ ვეტერანები.
- ❖ სოციალურად დაუცველი ოჯახები და პირები.

**პროგრამის სავარაუდო ბიუჯეტი და მისი დაფინანსების წყარო**

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი.

**პროგრამის განმახორციელებელი ერთეული და განხორციელების მეთოდი**

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახური;

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო სამსახური.

პროგრამა განხორციელდება უშუალოდ პასუხისმგებელი განმახორციელებელი სტრუქტურული ერთეულების მიერ.

**პროგრამის განხორციელების სამოქმედო გეგმა**

წელი	განსახორციელებელი ღონისძიებები	1 კვარტ.			2 კვარტ.			3 კვარტ.			4 კვარტ.		
	სადღესასწაულო დღეებში ვეტერანებზე (ომის მონაწილეები და ომში დაღუპულთა ოჯახის წევრები) მატერიალური დახმარების გაწევა												
	შვილის შეძენასთან დაკავშირებით სოციალურად დაუცველი ოჯახებისათვის მატერიალური დახმარების გაწევა												
	ვეტერანთა (ომის მონაწილე) და სოციალურად დაუცველ პირთა გარდაცვალების შემთხვევაში მათ ოჯახებზე ერთჯერადი მატერიალური დახმარების გაწევა.												

**შედეგების შეფასების ინდიკატორები**

- ❖ ბენეფიციართა რაოდენობა, რომელთაც გაეწია მატერიალური დახმარება.



## 6.3 სოციალური (საზოგადოებრივი) რისკების მართვის მექანიზმებისა და მოსახლეობის ცხოვრების დონის გაუმჯობესება, ცხოვრების გარანტირებული მინიმუმის შექმნა

### 6.3.1 მოწყვლადი სოციალური კატეგორიებისათვის მინიმალური სოციალური პირობების შექმნა

#### პროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი

პროგრამის მიზანია მოწყვლადი სოციალური კატეგორიებისათვის, უპირატესად სოციალურად დაუცველი ოჯახებისათვის, სოციალური პირობების გაუმჯობესება და მინიმალური საცხოვრებელი პირობების შექმნა

#### პროგრამის აღწერა

პროგრამის ფარგლებში მოწყვლადი ჯგუფებისათვის, კერძოდ: შშმ პირებისათვის, ბინაზე მოვლის საჭიროების მქონე პირებისათვის, მრავალშვილიანი (სამი ან მეტი შვილი) სოციალურად დაუცველი ოჯახებისა და სოციალურად დაუცველი ოჯახებისათვის განხორციელდება საკუთრებაში არსებული საცხოვრებელი ფართის სარემონტო სამუშაოები, პირველადი საჭიროების საყოფაცხოვრებო ნივთების, ავეჯისა და ტექნიკის შეძენა. აღნიშნული პროგრამა უზრუნველყოფს მოწყვლადი ჯგუფებისათვის მინიმალური საცხოვრებელი პირობების შექმნას და მათი სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესების ხელშეწყობას.

გარდა ამისა, პროგრამის ფარგლებში განხორციელდება ყოველთვიური მატერიალური დახმარება შემდეგ მოწყვლად ჯგუფებზე: 0-70 000-მდე სარეიტინგო ქულის მქონე მრავალშვილიან ოჯახებზე (3 და მეტი შვილი, უდედმამო ბავშვებზე, მარტოხელა მშობლებზე, 0-დან 100 000 ქულის მქონე ოჯახებს ბავშვთა მოვლის საშუალებების შესაძენად ყოველთვიური დახმარება ყოველ ერთ წლამდე ბავშვზე.

მატერიალური დახმარების გაცემა 0-70000-მდე სარეიტინგო ქულის მქონე 3-შვილიან ოჯახზე ყოველთვიურად 80 ლარის ოდენობით, 0-70000-მდე სარეიტინგო ქულის მქონე 4-შვილიან ოჯახზე ყოველთვიურად 100 ლარის ოდენობით, 0-70000-მდე სარეიტინგო ქულის მქონე 5 და მეტი შვილიან ოჯახზე ყოველთვიურად 180 ლარის ოდენობით, 5 და მეტი შვილიანი ოჯახების ყოველთვიური დახმარება 150 ლარის ოდენობით, უდედმამო ბავშვების ყოველთვიური დახმარება 150 ლარის ოდენობით, მარტოხელა მშობლები (მარტოხელა დედა და მარტოხელა მამა) ყოველთვიური დახმარება 50 ლარის ოდენობით, 0-დან 100 000 ქულის მქონე ოჯახებს ბავშვთა მოვლის საშუალებების შესაძენად ყოველთვიური დახმარება ყოველ ერთ წლამდე ბავშვზე 60 ლარის ოდენობით

#### განსახორციელებელი ღონისძიებები

- ✓ პროგრამის ბენეფიციართა ბაზის შედგენა და ბაზის შესაბამისად, პროგრამის ფარგლებში განსახორციელებელი სამუშაოების რაოდენობრივი განსაზღვრა;
- ✓ პროგრამის ბენეფიციარების შერჩევა;
- ✓ ბენეფიციარებისათვის პირველადი საყოფაცხოვრებო ნივთების, ავეჯის, ტექნიკის,



- სოციალური დანიშნულების საქონლისა და სარემონტო მასალების შექმნა;
- ✓ სოციალურად დაუცველი ოჯახებისათვის საკუთრებაში არსებული საცხოვრებელი ფართის სარემონტო სამუშაოების ჩატარება;
  - ✓

**პროგრამის განხორციელებასთან დაკავშირებული რისკები და მათი მართვა**

№	რისკის აღწერა	რისკის ალბათობა	რისკის მნიშვნელობა	რისკების მართვის მექანიზმები
1	ბენეფიციართა მონაცემთა ბაზების დაგვიანებით მოწოდება შესაბამისი უწყებებიდან,	3	5	კოორდინირებული მუშაობა ყველა დაკავშირებულ მხარესა და უწყებასთან შესაბამისი ბაზების დროულად მოწოდებასთან დაკავშირებით.

**პროგრამის მიზნობრივი ჯგუფები**

- ❖ შშმ პირები,
- ❖ ბინაზე მოვლის საჭიროების მქონე პირები,
- ❖ მრავალშვილიანი (სამი ან მეტი შვილი) ოჯახები;
- ❖ სოციალურად დაუცველი ოჯახები.

**პროგრამაში ჩართული მხარეები**

- ❖ ადგილობრივი თვითმმართველობა;
- ❖ სოციალური პროფილის სამთავრობო უწყებები და ორგანიზაციები;
- ❖ არასამთავრობო ორგანიზაციები.

**პროგრამის სავარაუდო ბიუჯეტი და მისი დაფინანსების წყარო**

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი.

**პროგრამის განმახორციელებელი ერთეული და განხორციელების მეთოდი**

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახური.

პროგრამა განხორციელდება ტენდერის საფუძველზე შესაბამისი საქონლისა და მომსახურების შესყიდვის გზით.

**პროგრამის განხორციელების სამოქმედო გეგმა**

წელი	განსახორციელებელი ღონისძიებები	1 კვარტ.	2 კვარტ.	3 კვარტ.	4 კვარტ.
	პროგრამის ბენეფიციართა ბაზის შედგენა და ბაზის შესაბამისად, პროგრამის ფარგლებში განსახორციელებელი სამუშაოების				



	რაოდენობრივი განსაზღვრა													
	პროგრამის ბენეფიციარების შერჩევა													
	ბენეფიციარებისათვის პირველადი საყოფაცხოვრებო ნივთების, ავეჯის, ტექნიკის, სოციალური დანიშნულების საქონლისა და სარემონტო მასალების შეძენა													
	სოციალურად დაუცველი ოჯახებისათვის საკუთრებაში არსებული საცხოვრებელი ფართის სარემონტო სამუშაოების ჩატარება.													
	0-70000-მდე სარეიტინგო ქულის მქონე 3 შვილიანი ოჯახების ყოველთვიური დახმარება 80 ლარის ოდენობით													
	0-70000-მდე სარეიტინგო ქულის მქონე 4 შვილიანი ოჯახების ყოველთვიური დახმარება 100 ლარის ოდენობით													
	0-70000-მდე სარეიტინგო ქულის მქონე 5 და მეტი შვილიანი ოჯახების ყოველთვიური დახმარება 180 ლარის ოდენობით													
	5 და მეტი შვილიანი ოჯახების ყოველთვიური დახმარება 150 ლარის ოდენობით													
	მარტოხელა მშობლები (მარტოხელა დედა და მარტოხელა მამა) ყოველთვიური დახმარება 50 ლარის ოდენობით													
	სოციალურად დაუცველი ოჯახების (0-100000 ქულის მქონე) ყოველ ერთ წლამდე ასაკის ბავშვზე ყოველთვიური მატერიალური დახმარების გაწევა													

### შედეგების შეფასების ინდიკატორები

- ❖ პროგრამის მოსარგებლე ბენეფიციართა რაოდენობა;
- ❖ პროგრამის ფარგლებში განხორციელებული სამუშაოების რაოდენობრივი სტატისტიკა.



### 6.3.2 მზრუნველობა-მოკლებულ და მოვლის საჭიროების მქონე პირებისათვის სოციალური პრობლემების გაუმჯობესება

#### პროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი

პროგრამის მიზანია ხანდაზმულთა და ოჯახურ მზრუნველობას მოკლებულ, სოციალურად დაუცველ, მიუსაფარ პირთათვის აუცილებელი სოციალური პრობლემების შექმნა.

#### პროგრამის აღწერა

უმწეო მდგომარეობაში მყოფ ბენეფიციარებზე ზრუნვა ხელისუფლების საქმიანობის ერთ-ერთი ძირითადი მიმართულებაა, განსაკუთრებით კი უპოვარ და მზრუნველობას მოკლებულ ადამიანებზე, რომლებსაც არ გააჩნიათ საცხოვრებელი ფართი და არ ჰყავთ ნათესავები, მეურვეები ან უკიდურეს შემთხვევაში მიტოვებულნი არიან ბედის ანაბარად. დღეისათვის არსებული სახელმწიფო თუ საერთაშორისო ორგანიზაციები სრულად ვერ ახდენენ ამ კატეგორიის მოქალაქეთა სამედიცინო-სოციალურ დახმარებას (სამედიცინო მომსახურება, თავშესაფრითა და კვებით უზრუნველყოფა და სხვა). ხშირ შემთხვევაში აქცენტი კეთდება მხოლოდ ინდივიდუალურ, ნაწილობრივ მომსახურებაზე (მხოლოდ ცალკე აღებული კვება, სამედიცინო მომსახურება ან თავშესაფარი). ამ მხრივ ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტი უკვე წლების განმავლობაში ახორციელებს უპოვარ და მზრუნველობას მოკლებულ ბენეფიციართა მოვლა-პატრონობის ხარჯების დაფინანსებას, რომელიც ითვალისწინებს ამ კატეგორიის მოქალაქეების თავშესაფრით, შესაბამისი სამედიცინო მომსახურებით, საყოფაცხოვრებო პრობლემითა და კვებით უზრუნველყოფას. გარდა ამისა გათვალისწინებულია სამედიცინო და სოციალური სერვისების მიწოდება სახლის პრობლემში იმ ბენეფიციარებზე, რომლებსაც ყველაზე მეტად სჭირდებათ დახმარება. კერძოდ მომსახურება გაეწევა ქრონიკულად დაავადებულ, ხანგრძლივი მოვლის საჭიროების მქონე ან/და საწოლს მიჯაჭვულ ქ. ბათუმში რეგისტრირებულ 0-დან 100 000-მდე ქულის მქონე ბენეფიციარებს, შშმ პირებს, ასაკით პენსიონერებს. ისინი უზრუნველყოფილი იქნებიან სამედიცინო დახმარებით (პრევენცია, მკურნალობა, რეაბილიტაცია) ყოველდღიურ საქმიანობაში მხარდაჭერით (განათლება, უნარების განვითარება, პერსონალური ჰიგიენის მოწესრიგება) პაციენტებისა და ახლობლების ფსიქოლოგიური და სოციალური დახმარებით (მხარდაჭერა, ჯანსაღი სოციალური გარემოს შესაქმნელად, ასევე საჭირო სერვისების მისაღებად).

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება თავშესაფარის არსებული მოდელის (რომელიც ითვალისწინებს ბენეფიციარის მიღებას მხოლოდ ღამისთევით) გაუმჯობესება. თავშესაფრის ბენეფიციარების შერჩევისათვის შემუშავდება სპეციალური კრიტერიუმები, რომლის საფუძველზეც შეირჩევა საცხოვრისის გარეშე დარჩენილი მიუსაფარი და მარტოხელა ადამიანები. განხორციელდება მათი უზრუნველყოფა კვებით, ტანსაცმლით და საჭიროების შემთხვევაში სამედიცინო მომსახურებით. გარდა ამისა, პროგრამის ფარგლებში განხორციელდება თავშესაფარის მოდელის შემუშავება მიუსაფარი ბავშვებისათვის. აღნიშნული მიზნებისათვის ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტი მჭიდროდ ითანამშრომლებს საერთაშორისო და დონორ ორგანიზაციებთან გამოცდილების გაზიარებისა და ერთობლივი პროექტების ინიცირება/განხორციელების მიზნით.



### განსახორციელებელი ღონისძიებები

- ❖ ქალაქში არსებული სოციალური მდგომარეობის შეფასებისა და საჭიროებების კვლევის მომზადება;
- ❖ მუნიციპალური თავშესაფარის ახალი მოდელის კონცეფციისა და ბენეფიციართა შერჩევის კრიტერიუმების შემუშავება და დამტკიცება;
- ❖ თავშესაფარის განთავსებისათვის საჭირო შენობის შერჩევა, რეაბილიტაცია და აღჭურვა;
- ❖ ბენეფიციართა შერჩევა კრიტერიუმების საფუძველზე;
- ❖ თავშესაფარის ამოქმედება და ფუნქციონირების უზრუნველყოფა;
- ❖ მიუსაფარი ბავშვების თავშესაფრის მოდელის შემუშავება;
- ❖ უპოვარ და მზრუნველობას მოკლებულ პირთა შესაბამისი სამედიცინო მომსახურებით უზრუნველყოფა;
- ❖ უპოვარ და მზრუნველობას მოკლებულ პირთა საყოფაცხოვრებო პირობებითა და კვებით უზრუნველყოფა;
- ❖ სამედიცინო და სოციალური სერვისების მიწოდება სახლის პირობებში.

### პროგრამის განხორციელებასთან დაკავშირებული რისკები და მათი მართვა

№	რისკის აღწერა	რისკის ალბათობა	რისკის მნიშვნელობა	რისკების მართვის მექანიზმები
1	შეზღუდული ფინანსური რესურსები თავშესაფრის მიერ ბენეფიციართა სრული რაოდენობის მომსახურების უზრუნველყოფასთან დაკავშირებით.	4	5	კოორდინირებული მუშაობა და მჭიდრო კომუნიკაცია შესაბამის სამთავრობო სტრუქტურებთან.
2	შეზღუდული რესურსები თავშესაფრის გაუმჯობესებული მოდელის ამოქმედებასთან დაკავშირებით	4	5	თავშესაფრის გაუმჯობესებული მოდელის კონცეფციის ზუსტად და დეტალურად შედგენა, სადაც განსაზღვრული იქნება განხმახორციელებელი პარტნიორები და მათი ჩართულობისა და თანამშრომლობის მექანიზმები.

### პროგრამის მიზნობრივი ჯგუფები

- ❖ ქ. ბათუმში რეგისტრირებული მზრუნველობა-მოკლებულ და მოვლის საჭიროების მქონე პირები.

### პროგრამაში ჩართული მხარეები

- ❖ ადგილობრივი თვითმმართველობა;
- ❖ რეგიონული ხელისუფლება;
- ❖ ცენტრალური ხელისუფლება;
- ❖ საქველმოქმედო ორგანიზაციები და ფონდები;
- ❖ სოციალური პროფილით მომუშავე ორგანიზაციები და ასოციაციები.





**პროგრამის სავარაუდო ბიუჯეტი და მისი დაფინანსების წყარო**  
ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი.

**პროგრამის განმახორციელებელი ერთეული და განხორციელების მეთოდი**  
ბათუმის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახური;  
ა(ა)იპ ბათუმის სოციალური სერვისების სააგენტო.

**პროგრამის განხორციელების სამოქმედო გეგმა**

წელი	განსახორციელებელი ღონისძიებები	1 კვარტ.			2 კვარტ.			3 კვარტ.			4 კვარტ.		
	ქალაქში არსებული სოციალური მდგომარეობის შეფასებისა და საჭიროებების კვლევის მომზადება												
	მუნიციპალური თავშესაფარის ახალი მოდელის კონცეფციისა და ბენეფიციართა შერჩევის კრიტერიუმების შემუშავება და დამტკიცება												
	თავშესაფარის განთავსებისათვის საჭირო შენობის შერჩევა, რეაბილიტაცია და აღჭურვა												
	ბენეფიციართა შერჩევა კრიტერიუმების საფუძველზე												
	თავშესაფარის ამოქმედება და ფუნქციონირების უზრუნველყოფა												
	მიუსაფარი ბავშვების თავშესაფარის მოდელის შემუშავება												
	უპოვარ და მზრუნველობას მოკლებულ პირთა შესაბამისი სამედიცინო მომსახურებით უზრუნველყოფა												
	უპოვარ და მზრუნველობას მოკლებულ პირთა საყოფაცხოვრებო პირობებითა და კვებით უზრუნველყოფა												
	სამედიცინო და სოციალური სერვისების მიწოდება სახლის პირობებში.												

**შედეგების შეფასების ინდიკატორები**

- ❖ მუნიციპალური თავშესაფარის ბენეფიციართა შერჩევის კრიტერიუმების ინსტრუმენტი;
- ❖ მიუსაფარ ბავშვთა თავშესაფარის შემუშავებული მოდელი;



- ❖ თავშესაფრის ბენეფიციართა რაოდენობა, რომელიც სარგებლობს თავშესაფარის მომსახურებით
- ❖ შემუშავებულია მიუსაფარ ბავშვთა თავშესაფრის მოდელი;
- ❖ ბენეფიციართა რაოდენობა, რომლებიც სარგებლობენ სამედიცინო და სოციალური სერვისების სახლის პირობებში მიწოდების მომსახურებით.



## 7 ადამიანური კაპიტალის განვითარებაზე ორიენტირებული ინკლუზიური, ხარისხიანი და ხელმისაწვდომი განათლების მიღების შესაძლებლობების შექმნა და მხარდაჭერა

### 7.1 მაღალი ხარისხის, გამჭვირვალე, ინკლუზიური და ბავშვის საუკეთესო ინტერესებზე ორიენტირებული სკოლამდელი აღზრდისა და განათლების სისტემის დანერგვა

- 7.1.1 სკოლამდელი აღზრდისა და განათლების ახალი სისტემის შემუშავება და ამოქმედება
- 7.1.2 სკოლამდელი აღზრდისა და განათლების მომსახურების ხელმისაწვდომობის გაზრდა

### 7.2 ინკლუზიური განათლების სისტემის განვითარების ხელშეწყობა

- 7.2.1 სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებებში სენსორული ინტეგრაციის პროგრამის დანერგვა და ამოქმედება
- 7.2.2 ზოგადი განათლების მიღების ხელმისაწვდომობა განსაკუთრებული საჭიროების მქონე პირებისათვის

### 7.3 ადამიანური კაპიტალის განვითარება

- 7.3 პროფესიული განვითარების ხელშეწყობა
- 7.3.2 უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტთა სწავლის სტიმულირება



## 7 ადამიანური კაპიტალის განვითარებაზე ორიენტირებული ინკლუზიური, ხარისხიანი და ხელმისაწვდომი განათლების მიღების შესაძლებლობების შექმნა და მხარდაჭერა

7.1 მაღალი ხარისხის, გამჭვირვალე, ინკლუზიური და ბავშვის საუკეთესო  
ინტერესებზე ორიენტირებული სკოლამდელი აღზრდისა და განათლების  
სისტემის დანერგვა

7.1.1 სკოლამდელი აღზრდისა და განათლების ახალი სისტემის შემუშავება და  
ამოქმედება

### პროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი

საქართველოს ორგანული კანონი - „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს  
შესაბამისად, სკოლამდელი განათლების სფეროს რეგულირება მუნიციპალიტეტის  
ექსკლუზიურ უფლებამოსილებას განეკუთვნება. პროგრამის მიზანია ადრეული და  
სკოლამდელი აღზრდის სისტემის რეფორმის შესაბამისად უზრუნველყოს თანამედროვე,  
სტანდარტების შესაბამისი სკოლამდელი აღზრდისა და განათლების სისტემის შექმნა და  
ფუნქციონირება.

### პროგრამის აღწერა

2018 წლიდან სკოლამდელი აღზრდისა და განათლების სფეროში დაგეგმილია  
უმნიშვნელოვანესი რეფორმების ჩატარება, რომელიც პირველად იწყება საქართველოში და  
მიზნად ისახავს ყველა ბავშვისთვის მაღალი ხარისხის, გამჭვირვალე, ინკლუზიური,  
ანგარიშვალდებულების პრინციპზე დაფუძნებული და ბავშვის საუკეთესო ინტერესებზე  
ორიენტირებული სკოლამდელი აღზრდისა და განათლების სისტემის ხელმისაწვდომობის  
უზრუნველყოფას.

აღნიშნული რეფორმის ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გატარების მიზნით,  
პროგრამა ითვალისწინებს, მუნიციპალური სკოლამდელი აღზრდისა და განათლების  
დაწესებულებების დაფუძნებას დამოუკიდებელ იურიდიულ პირებად, რომლებშიც  
უზრუნველყოფილი იქნება თანამედროვე, სტანდარტების შესაბამისი სწავლა/სწავლება,  
დაცული იქნება სანიტარიულ-ჰიგიენური და კვების ორგანიზების ნორმები, მოწესრიგდება  
ინფრასტრუქტურა, განხორციელდება აღმზრდელ-პედაგოგთა და სხვა პერსონალის  
გადამზადება, განხორციელდება როგორც მუნიციპალური, ასევე, კერძო სკოლამდელი  
აღზრდისა და განათლების დაწესებულებების ავტორიზაცია და აღნიშნული  
დაწესებულებების რეგულარული და პერიოდული მონიტორინგი.

### განსახორციელებელი ღონისძიებები

- ✓ სკოლამდელი აღზრდისა და განათლების სისტემის მართვისა და დაფინანსების  
მოდელის შემუშავება;
- ✓ პოლიტიკის განხორციელების სამოქმედო გეგმის შემუშავება;
- ✓ რეფორმის გასატარებლად შესაბამისი სამართლებრივი აქტების მომზადება;
- ✓ საზოგადოების ინფორმირება სისტემაში მიმდინარე რეფორმისა და მარეგულირებელი



- ნორმატიული აქტების შესახებ;
- ✓ სკოლამდელი აღზრდისა და განათლების მომსახურების მიწოდების პროცესში ბავშვთა მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების ჩართვა;
  - ✓ მუნიციპალური სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების დამოუკიდებელ იურიდიულ პირად ჩამოსაყალიბებლად შესაბამისი მოდელის შემუშავება და ამ დაწესებულებათა დაფუძნება;
  - ✓ დაწესებულებებში, დადგენილი სტანდარტების შესაბამისი ინფრასტრუქტურის მოწყობა, სწავლა/სწავლების, სანიტარიულ-ჰიგიენური და კვების ორგანიზების ნორმების დანერგვა;
  - ✓ აღზრდელ-პედაგოგთა და სხვა პერსონალის გადამზადება;
  - ✓ სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების ეტაპობრივი ავტორიზაცია და მონიტორინგი.

### პროგრამის განხორციელებასთან დაკავშირებული რისკები და მათი მართვა

№	რისკის აღწერა	რისკის ალბათობა	რისკის მნიშვნელობა	რისკების მართვის მექანიზმები
1	რეფორმის გასატარებლად შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე ადამიანური რესურსის ნაკლებობა	4	5	დარგის სპეციალისტებთან კონსულტაცია და არსებული კადრების გადამზადების ღონისძიებების ჩატარება
2	შეზღუდული ფინანსური რესურსები			ეროვნულ და რეგიონულ სამთავრობო უწყებებთან თანამშრომლობა

#### პროგრამის მიზნობრივი ჯგუფები

- ❖ ქალაქ ბათუმის მოსახლეობა;
- ❖ სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებები;

#### პროგრამაში ჩართული მხარეები

- ❖ ქალაქ ბათუმის მოსახლეობა;
- ❖ ადგილობრივი თვითმმართველობა;
- ❖ სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებები;
- ❖ რეგიონული ხელისუფლება;
- ❖ ცენტრალური ხელისუფლება;
- ❖ არასამთავრობო ორგანიზაციები.

#### პროგრამის სავარაუდო ბიუჯეტი და მისი დაფინანსების წყარო

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი.

#### პროგრამის განმახორციელებელი ერთეული და განხორციელების მეთოდი

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამსახური.

#### პროგრამის განხორციელების სამოქმედო გეგმა



წელი	განსახორციელებელი ღონისძიებები	1 კვარტ.			2 კვარტ.			3 კვარტ.			4 კვარტ.		
	სკოლამდელი აღზრდისა და განათლების სისტემის მართვისა და დაფინანსების მოდელის შემუშავება												
	სკოლამდელი აღზრდის პოლიტიკის განხორციელების სამოქმედო გეგმის შემუშავება;												
	რეფორმის გასატარებლად შესაბამისი სამართლებრივი აქტების მომზადება												
	საზოგადოების ინფორმირება სისტემაში მიმდინარე რეფორმისა და მარეგულირებელი ნორმატიული აქტების შესახებ												
	სკოლამდელი აღზრდისა და განათლების მომსახურების მიწოდების პროცესში ბავშვთა მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების ჩართვა												
	მუნიციპალური სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების დამოუკიდებელ იურიდიულ პირად ჩამოსაყალიბებლად შესაბამისი მოდელის შემუშავება და ამ დაწესებულებათა დაფუძნება												
	დაწესებულებებში, დადგენილი სტანდარტების შესაბამისი ინფრასტრუქტურის მოწყობა, სწავლა/სწავლების, სანიტარიულ-ჰიგიენური და კვების ორგანიზების ნორმების დანერგვა												
	აღმზრდელ-პედაგოგთა და სხვა პერსონალის გადამზადება												
	სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების ეტაპობრივი ავტორიზაცია და მონიტორინგი.												



### შედეგების შეფასების ინდიკატორები

- ❖ სკოლამდელი აღზრდისა და განათლების სისტემის მართვისა და დაფინანსების შემუშავებული მოდელი;
- ❖ სკოლამდელი აღზრდის პოლიტიკის შემუშავებული სამოქმედო გეგმა;
- ❖ შემუშავებული სამართლებრივი ბაზა სკოლამდელი აღზრდის მოდელის განხორციელებასთან დაკავშირებით;
- ❖ ცალკე იურიდიულ პირებად ჩამოყალიბებული სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა რაოდენობა;
- ❖ გადამზადებულ აღმზრდელთა და პედაგოგთა რაოდენობა;
- ❖ ავტორიზებული დაწესებულებების რაოდენობა.



## 7.1.2 სკოლამდელი აღზრდისა და განათლების მომსახურების ხელმისაწვდომობის გაზრდა

### პროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი

პროგრამის მიზანია უზრუნველყოს სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებათა როგორც ინფრასტრუქტურული, ისე სისტემური ადაპტაცია განსაკუთრებული საჭიროებების მქონე ბავშვებისათვის და ამ გზით გაზარდოს ხელმისაწვდომობა სკოლამდელ აღზრდასა და განათლების მომსახურებაზე.

### პროგრამის აღწერა

პროგრამა, ქ. ბათუმში, სკოლამდელი აღზრდისა და განათლების ხელმისაწვდომობის გაზრდის მიზნით, ითვალისწინებს სტანდარტების დაცვით ახალი მუნიციპალური სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების მშენებლობას და არსებულის რეაბილიტაციას, ინკლუზიური განათლების მიმართულებით აღმზრდელ - პედაგოგთა და აღმზრდელთა გადამზადებას, დაწესებულებების ინფრასტრუქტურის ადაპტირებას და შესაბამისი მატერიალურ-ტექნიკური ბაზით აღჭურვას.

პროგრამის ფარგლებში, პარალელურად, განხორციელდება ვაუჩერიზაციის მოდელზე მუშაობა, რომლის ფარგლებში, შესაბამისი უწყებებიდან გამოთხოვილი იქნება ინფორმაცია ქალაქ ბათუმში რეგისტრირებულ 2-6 წლამდე ბავშვთა რაოდენობის თაობაზე, მოხდება კერძო სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების შესწავლა, თუ რამდენად შეძლებენ ისინი აღსაზრდელთათვის დადგენილი სტანდარტების შესაბამისი მომსახურების მიწოდებას. საკითხის შესწავლა-მოკვლევის შედეგად შემუშავდება სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების ვაუჩერიზაციის მოდელი.

### განსახორციელებელი ღონისძიებები

- ✓ ახალი სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების შენობების მშენებლობა და არსებული შენობების რეაბილიტაცია;
- ✓ ვაუჩერიზაციის მოდელის შემუშავება და დანერგვა;
- ✓ ინკლუზიური განათლების მიმართულებით აღმზრდელ - პედაგოგთა და აღმზრდელთა გადამზადება;
- ✓ დაწესებულებების ინფრასტრუქტურის ადაპტირება და შესაბამისი მატერიალურ-ტექნიკური ბაზით აღჭურვა განსაკუთრებული საჭიროების მქონე ბავშვებისათვის.

### პროგრამის განხორციელებასთან დაკავშირებული რისკები და მათი მართვა

№	რისკის აღწერა	რისკის ალბათობა	რისკის მნიშვნელობა	რისკების მართვის მექანიზმები
1	შეზღუდული წვდომა სტატისტიკურ ინფორმაციაზე			კომუნიკაცია შესაბამის სახელმწიფო/კერძო ორგანიზაციებსა და სტრუქტურებთან სტატისტიკური ინფორმაციის მოგროვების მიზნით





2	სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების შეზღუდული რესურსები სკოლამდელი განათლების მიღებასთან დაკავშირებით ბაზარზე არსებული მოთხოვნის დაკმაყოფილების მიმართულებით			ვაუჩერიზაციის მოდელის დანერგვა
---	---	--	--	--------------------------------

**პროგრამის მიზნობრივი ჯგუფები**

- ❖ ქალაქ ბათუმის მოსახლეობა;
- ❖ სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებები;

**პროგრამაში ჩართული მხარეები**

- ❖ ქალაქ ბათუმის მოსახლეობა;
- ❖ ადგილობრივი თვითმმართველობა;
- ❖ სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებები;
- ❖ რეგიონული ხელისუფლება;
- ❖ ცენტრალური ხელისუფლება;
- ❖ არასამთავრობო ორგანიზაციები.

**პროგრამის სავარაუდო ბიუჯეტი და მისი დაფინანსების წყარო**

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი.

**პროგრამის განმახორციელებელი ერთეული და განხორციელების მეთოდი**

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამსახური

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის კეთილმოწყობის სამსახური

**პროგრამის განხორციელების სამოქმედო გეგმა**

წელი	განსახორციელებელი ღონისძიებები	1 კვარტ.			2 კვარტ.			3 კვარტ.			4 კვარტ.		
	სკოლამდელი აღზრდისა და განათლების ახალი დაწესებულებების შენობების მშენებლობა და არსებული შენობების რეაბილიტაცია												
	ვაუჩერიზაციის მოდელის შემუშავება და დანერგვა												
	ინკლუზიური განათლების მიმართულებით აღმზრდელ - პედაგოგთა და აღმზრდელთა გადამზადება												
	დაწესებულებების ინფრასტრუქტურის ადაპტირება და შესაბამისი მატერიალურ-ტექნიკური ბაზით აღჭურვა განსაკუთრებული საჭიროების მქონე ბავშვებისათვის.												



### შედეგების შეფასების ინდიკატორები

- ❖ სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების ახალი შენობების რაოდენობა;
- ❖ რეაბილიტირებული სკოლამდელი აღზრდის არსებული დაწესებულებების რაოდენობა
- ❖ ინკლუზიური განათლების მიმართულებით გადამზადებული აღმზრდელთა და პედაგოგთა რაოდენობა;
- ❖ განსაკუთრებული საჭიროების მქონე ბავშვებისათვის ადაპტირებული სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა რაოდენობა.



## 7.2 ინკლუზიური განათლების სისტემის განვითარების ხელშეწყობა

### 7.2.1 სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებებში სენსორული ინტეგრაციის პროგრამის დანერგვა და ამოქმედება

#### პროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი

პროგრამის მიზანია სპეციალური კურსის ამოქმედება სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებებში განსაკუთრებული საჭიროების მქონე ბავშვებისათვის, რომელიც ხელს შეუწყობს მათ ფსიქო-სოციალურ რეაბილიტაციასა და საზოგადოებაში ინტეგრაციის გაუმჯობესებას.

#### პროგრამის აღწერა

პროგრამის ფარგლებში, მუნიციპალურ სკოლამდელ აღზრდისა და განათლების დაწესებულებებში გამოიყოფა და სათანადოდ აღიჭურვება სენსორული ინტეგრაციის ოთახი აუტისტური სპექტრის მქონე ბავშვებისათვის, მათი ფსიქო-სოციალური რეაბილიტაციისა და საზოგადოებაში ინტეგრაციის მიზნით.

პროგრამის განხორციელების შედეგად ბავშვებს ჩამოუყალიბდებათ ადაპტური ქცევა, გაიზრდება ფუნქციურ უნარებში დამოუკიდებლობის ხარისხი, გაიზრდება მათი სოციალური თანამონწილების ხარისხი, ხელს შეუწყობს მათი თვითშეფასების ამაღლებას.

აღსაზრდელებს მომსახურებას გაუწევს ამ სფეროს სპეციალისტი-ოკუპაციური თერაპევტი.

#### განსახორციელებელი ღონისძიებები

- ✓ სენსორული ინტეგრაციის ოთახის მოწყობასა და თანმდევ ღონისძიებებთან დაკავშირებული კვლევის ჩატარება;
- ✓ აუტისტური სპექტრის მქონე ბავშვთა ფსიქო-სოციალური რეაბილიტაციისა და ინტეგრაციის პროგრამის შემუშავება და ამოქმედება;
- ✓ სენსორული ინტეგრაციის ოთახის მოწყობის მიზნით ტექნიკური დავალების შემუშავება;
- ✓ ტენდერის საფუძველზე სენსორული ინტეგრაციის ოთახის მოწყობის სამუშაოების შესყიდვა და განხორციელება;
- ✓ საპილოტე პროექტის ამოქმედება.

#### პროგრამის განხორციელებასთან დაკავშირებული რისკები და მათი მართვა

№	რისკის აღწერა	რისკის ალბათობა	რისკის მნიშვნელობა	რისკების მართვის მექანიზმები
1	სპეციალისტის-ოკუპაციური თერაპევტის ნაკლებობა			დარგის სპეციალისტის დაინტერესება/წახალისება და/ან ფსიქოლოგის კუსდამთავრებულის გადამზადება



--	--	--	--	--

**პროგრამის მიზნობრივი ჯგუფები**

- ❖ ქ. ბათუმში მცხოვრები აუტისტური სპექტრის მქონე ბავშვები;
- ❖ სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებები.

**პროგრამაში ჩართული მხარეები**

- ❖ ქალაქ ბათუმის მოსახლეობა;
- ❖ ადგილობრივი თვითმმართველობა;
- ❖ სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებები;
- ❖ რეგიონული ხელისუფლება;
- ❖ ცენტრალური ხელისუფლება;
- ❖ არასამთავრობო ორგანიზაციები.

**პროგრამის სავარაუდო ბიუჯეტი და მისი დაფინანსების წყარო**

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი.

**პროგრამის განმახორციელებელი ერთეული და განხორციელების მეთოდი**

ქ. ბათუმის მერიის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამსახური.

პროგრამა განხორციელდება ტენდერის საფუძველზე შესაბამისი მომსახურების შემქმნის გზით.

**პროგრამის განხორციელების სამოქმედო გეგმა**

წელი	განსახორციელებელი ღონისძიებები	1 კვარტ.			2 კვარტ.			3 კვარტ.			4 კვარტ.			
	სენსორული ინტეგრაციის ოთახის მოწყობასა და თანმდევი ღონისძიებებთან დაკავშირებული საჭიროებების კვლევის ჩატარება													
	აუტისტური სპექტრის მქონე ბავშვთა ფსიქო-სოციალური რეაბილიტაციისა და ინტეგრაციის პროგრამის შემუშავება და ამოქმედება													
	სენსორული ინტეგრაციის ოთახის მოწყობის მიზნით ტექნიკური დავალების შემუშავება													
	ტენდერის საფუძველზე სენსორული ინტეგრაციის ოთახის მოწყობის სამუშაოების შესყიდვა და განხორციელება													
	საპილოტე პროექტის ამოქმედება.													



### შედეგების შეფასების ინდიკატორები

- ❖ სენსორული ინტეგრაციის ოთახის მოწყობასთან დაკავშირებული საჭიროებების კვლევა;
- ❖ აუტისტური სპექტრის მქონე ბავშვთა ფსიქო-სოციალური რეაბილიტაციისა და ინტეგრაციის ამოქმედებული პროგრამა;
- ❖ აუტისტური სპექტრის მქონე ბავშვთა ფსიქო-სოციალური რეაბილიტაციისა და ინტეგრაციის პროგრამის ბენეფიციართა რაოდენობა.



## 7.2.2 ზოგადი განათლების მიღების ხელმისაწვდომობა განსაკუთრებული საჭიროების მქონე პირებისათვის

### პროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი

ინკლუზიური განათლების მიზანია, ყველა ბავშვს მიეცეს თანაბარი შესაძლებლობა თანატოლებთან ერთად სწავლისა და ხარისხიანი განათლების მიღებისა საცხოვრებელ ადგილთან ახლოს. აღნიშნულთან მიმართებაში, პროგრამის მიზანია ხელი შეუწყოს განსაკუთრებული საჭიროების მქონე ბავშვთა ზოგადი განათლების მიღებასა და მათთვის განათლებისა და განვითარებისათვის შესაბამისი, ადაპტირებული გარემოს შექმნას.

### პროგრამის აღწერა

მნიშვნელოვანია სხვადასხვა სახის სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეებისათვის ხელმისაწვდომი გახდეს ზოგადი განათლების მიღება. ამ მიზნით, ბათუმის მერია უზრუნველყოფს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეების სატრანსპორტო მომსახურებას და ქალაქ ბათუმის სკოლებში, სხვადასხვა სახის სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეებისათვის შესაბამისი სპორტული დარბაზების მოწყობას.

### განსახორციელებელი ღონისძიებები

- ✓ სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეების ტრანსპორტირების უზრუნველყოფა საგანმანათლებლო დაწესებულებამდე;
- ✓ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების სპორტული დარბაზების ადაპტირებისათვის და ახალი ადაპტირებული დარბაზების მოწყობისათვის ტექნიკური დავალების შემუშავება და აღნიშნულის საფუძველზე ადაპტირებული სპორტული დარბაზების მოწყობის მომსახურების შესყიდვა.

### პროგრამის განხორციელებასთან დაკავშირებული რისკები და მათი მართვა

№	რისკის აღწერა	რისკის ალბათობა	რისკის მნიშვნელობა	რისკების მართვის მექანიზმები
1	ადაპტირებული დარბაზის მოწყობის სამუშაოების დაბალი ხარისხითა და სტანდარტებთან შეუსაბამოდ განხორციელება	4	5	მაქსიმალურად ზუსტი და მაღალი ხარისხის ტექნიკური დავალების შემუშავება, სამუშაოების შესრულების ზედამხედველობა.

### პროგრამის მიზნობრივი ჯგუფები

- ❖ ქ. ბათუმში მცხოვრები სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე ბავშვები;
- ❖ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებები;

### პროგრამაში ჩართული მხარეები

- ❖ ქალაქ ბათუმის მოსახლეობა;
- ❖ ადგილობრივი თვითმმართველობა;
- ❖ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებები;
- ❖ რეგიონული ხელისუფლება;
- ❖ ცენტრალური ხელისუფლება;



❖ არასამთავრობო ორგანიზაციები.

**პროგრამის სავარაუდო ბიუჯეტი და მისი დაფინანსების წყარო**

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი.

**პროგრამის განმახორციელებელი ერთეული და განხორციელების მეთოდი**

ქ. ბათუმის მერიის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამსახური.

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის სამსახური.

პროგრამა განხორციელდება ტენდერის საფუძველზე შესაბამისი მომსახურების შეძენის გზით.

**პროგრამის განხორციელების სამოქმედო გეგმა**

წელი	განსახორციელებელი ღონისძიებები	1 კვარტ.			2 კვარტ.			3 კვარტ.			4 კვარტ.		
	სპეციალური საჭიროების მქონე მოსწავლეების ტრანსპორტირების უზრუნველყოფა საგანმანათლებლო დაწესებულებამდე												
	ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების სპორტული დარბაზების ადაპტირებისათვის და ახალი ადაპტირებული დარბაზების მოწყობისათვის ტექნიკური დავალების შემუშავება												
	ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების სპორტული დარბაზების ადაპტირებისათვის და ახალი ადაპტირებული დარბაზების მოწყობის ტექნიკური დავალების საფუძველზე ადაპტირებული სპორტული დარბაზების მოწყობის მომსახურების შესყიდვა.												

**შედეგების შეფასების ინდიკატორები**

- ❖ სპეციალური საჭიროების მქონე მოსწავლეების რაოდენობა, რომლებიც სარგებლობენ ტრანსპორტირების სერვისით;
- ❖ ადაპტირებული სპორტული დარბაზების რაოდენობა.



### 7.3 ადამიანური კაპიტალის განვითარება

#### 7.3 პროფესიული განვითარების ხელშეწყობა

##### პროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი

პროგრამის მიზანია კვალიფიციური სამუშაო ძალის განვითარების ხელშეწყობა უცხოეთის სხვადასხვა სტაჟირებისა და გადამზადების პროგრამებში მათი მონაწილეობის თანადაფინანსების გზით.

##### პროგრამის აღწერა

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტისთვის მნიშვნელოვანია შრომის ბაზრის მოთხოვნებზე ორიენტირებული ადამიანური კაპიტალის განვითარების ხელშეწყობა. ამ ეტაპზე ქალაქში ფუნქციონირებს 3 სახელმწიფო და 7 კერძო უმაღლესი სასწავლო დაწესებულება, ბათუმში ასევე ხელმისაწვდომია პროფესიული განათლება. უმაღლესი და პროფესიული განათლება, თვითმმართველობის ექსკლუზიურ უფლებამოსილებას არ წარმოადგენს, თუმცა, ბათუმის, როგორც დინამიურად მზარდი ქალაქისთვის, აუცილებელია კონკურენტუნარიანი, შესაბამისი კვალიფიკაციის კადრების განვითარება. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, პროგრამის ფარგლებში ხელი შეეწყობა ადგილობრივი კადრების უცხოეთში სტაჟირებას, ტრენინგ პროგრამებსა და კვალიფიკაციის ასამაღლებელ კურსებში მონაწილეობას.

##### განსახორციელებელი ღონისძიებები

- ✓ პროგრამის ბენეფიციართა შერჩევის კრიტერიუმების ჩამოყალიბება და დამტკიცება;
- ✓ პროგრამის ბენეფიციართას შერჩევის კომისიის ჩამოყალიბება და ამოქმედება;
- ✓ კონკურსის საფუძველზე პროგრამის ბენეფიციარების შერჩევა და დაფინანსება.

##### პროგრამის განხორციელებასთან დაკავშირებული რისკები და მათი მართვა

№	რისკის აღწერა	რისკის ალბათობა	რისკის მნიშვნელობა	რისკების მართვის მექანიზმები
1	დაინტერესებულ პირთა არასაკმარისი ინფორმირებულობა პროგრამის თაობაზე			პროგრამის შესახებ ინფორმაციის სისტემატიური გავრცელება სხვადასხვა მასობრივი საინფორმაციო საშუალებებით

##### პროგრამის მიზნობრივი ჯგუფები

- ❖ ქ. ბათუმის მოსახლეობა

##### პროგრამაში ჩართული მხარეები

- ❖ ქალაქ ბათუმის მოსახლეობა;
- ❖ ადგილობრივი თვითმმართველობა;
- ❖ რეგიონული ხელისუფლება;
- ❖ ცენტრალური ხელისუფლება;
- ❖ არასამთავრობო ორგანიზაციები;
- ❖ საერთაშორისო და დონორი ორგანიზაციები.





**პროგრამის სავარაუდო ბიუჯეტი და მისი დაფინანსების წყარო**

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი.

**პროგრამის განმახორციელებელი ერთეული და განხორციელების მეთოდი**

ქ. ბათუმის მერიის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამსახური.  
პროგრამა უშუალოდ განხორციელდება პასუხისმგებელი სტრუქტურული ერთეულის მიერ.

**პროგრამის განხორციელების სამოქმედო გეგმა**

წელი	განსახორციელებელი ღონისძიებები	1 კვარტ.			2 კვარტ.			3 კვარტ.			4 კვარტ.		
	პროგრამის ბენეფიციართა შერჩევის კრიტერიუმების ჩამოყალიბება და დამტკიცება												
	პროგრამის ბენეფიციართას შერჩევის კომისიის ჩამოყალიბება და ამოქმედება												
	კონკურსის საფუძველზე პროგრამის ბენეფიციარების შერჩევა და დაფინანსება.												

**შედეგების შეფასების ინდიკატორები**

- ❖ პროგრამის ფარგლებში საზღვარგარეთ სტაჟირებასა და გადამზადების პროგრამებში მონაწილეობისათვის დაფინანსებული პირების რაოდენობა.



### 7.3.2 უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტთა სწავლის სტიმულირება

#### პროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი

კვალიფიციური ადამიანური კაპიტალის განვითარების ხელშეწყობა სტუდენტების მაღალი აკადემიური მოსწრების ზრდის სტიმულირებით.

#### პროგრამის აღწერა

მუნიციპალიტეტის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პრიორიტეტი მომავალი თაობისათვის ხარისხიანი განათლების მიღების შესაძლებლობის გაზრდაა. იმისათვის, რომ კიდევ უფრო მეტად ამაღლდეს სტუდენტის სწავლის ხარისხი, მნიშვნელოვანია მისი მოტივირება.

